

This is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC) project:

---

**Author:**

**Title:** IBERIA-COLCHIS Researches on the Archaeology and History of Georgia in the Classical and Early Medieval Period 8

---

The DSCC is part of the Ancient World Digital Library hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library.

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from the Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: <http://dcaa.hosting.nyu.edu/takedown-notice>



DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION



NYU | ISAW

საქართველოს ეროვნული მუზეუმის  
ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი  
GEORGIAN NATIONAL MUSEUM  
Journal of Otar Lordkipanidze Centre of Archaeology



# იბერია-კოლხეთი

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის  
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

## IBERIA-COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia  
in the Classical and Early Medieval Period

# 8

თბილისი 2012 Tbilisi

*მთ. რედაქტორი: გელა გამკვრელიძე*

***სარედაქციო-სარეცენზიო საბჭო:***

ზურაბ ბრაგვაძე, დევიდ ბრაუნდი, ნინო ლორთქიფანიძე,  
დარეჯან კაჭარავა, გურამ კვირკველია,  
დავით მინდორაშვილი, გოდერძი ნარიმანიშვილი,  
ვახტანგ შატბერაშვილი, მაია ჩარკვიანი

Editor-in-Chief: *Dr. Prof. Gela Gamkrelidze*

**Editorial & Reviewers Board:**

Dr. Z. Bragvadze, Dr. Prof. D. Braund (UK), Dr. N. Lordkipanidze,  
Dr. Prof. D.Kacharava, Dr. Prof. G. Kvirvelia, Dr. D. Mindorashvili,  
Dr. G. Narimanishvili, Dr. V. Shatberashvili, Dr. M. Charkviani

**See the web site:**

<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/coll/0001/000498/>

<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/coll/0001/000772/>

<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/coll/0001/001087/>

<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/coll/0001/001122/>

<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/coll/0001/001186/>

**Address:** Otar Lordkipanidze Centre of Archaeology  
14, D. Uznadze str. Tbilisi, 0102, **Georgia**  
e-mail: iberiacolchis@yahoo.com.

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი. 2012

**ISSN 1512-4207**

UDC 94(479.22)+902. ი-315

## შინაარსი

## CONTENTS

ანა ჭყონია, ოქრომჭედლის სახელოსნოს ნაშთები ვანის ნაქალაქარზე (Anna Chonia, <b>The Remains of Goldsmith's Workshop from Vani City-site</b> ). .....	5
ქეთევან ჯავახიშვილი, ოქროს ფურცლით შემკული იშვიათი ნივთები ტახტიძირის სამაროვნიდან (Ketevan Javakhishvili, <b>The Rare Artifacts Decorated with Golden Sheet from Takhtidziri</b> ). .....	17
ნანა კაპანაძე, ზურაბ ბრავაძე, ზემო იმერეთი აღრეულ შუა საუკუნეებში. (Nana Kapanadze, Zurab Bragvadze, <b>Upper Imereti in Early Medieval Period</b> ). .....	22
ნინო მინდაძე, თინათინ ჭანიშვილი, კენოთაფის გამართვის ტრადიცია საქართველოში (Nino Mindadze, Tinatin Tchanishvili, <b>The Tradition of Cenotaph in Georgia</b> ). .....	32
ნანა გოგიბერიძე, ბავშვების სამარხების ერთი ჯგუფი ტახტიძირის ძვ. IV-III სს. სამაროვნიდან (Nana Gogiberidze, <b>One group of child burials from the 4<sup>th</sup>- 3<sup>rd</sup> Takhtidziri burial ground</b> ). .....	42
რევაზ პაპუაშვილი, ლერი ჯიბლაძე, ნანა პაპუაშვილი, არქეოლოგიური სამუშაოები წყალტუბო-მენჯის მონაკვეთის ელექტრობადამცემი ხაზის ტრასაზე (Revaz Papuashvili, Leri Jibladze, Nana Papuashvili, <b>Archaeological Works on the Area of Tskaltubo - Menji Transmission Line</b> ). .....	46
ვახტანგ ნიკოლაიშვილი, გიორგი მანჯგალაძე, გოდერძი ნარიმანიშვილი, სამთავროს აღრეანტიკური ხანის ძვასამარხები (Vakhtang Nikolaishvili, Giorgi Manjgaladze, Goderdzi Narimanishvili, <b>Samtavro Early Classical Period Stone Graves</b> ).....	57
ანზორ სიხარულიძე, ქეთევან ჯავახიშვილი, ვერა ჩიხლაძე, ნუკრი მაისურაშვილი, ნუკრი ლლონტი, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა თიანეთთან (Anzor Sikharulidze, Ketevan Javakhishvili, Vera Chikhladze, Nukri Maisurashvili, Nukri Glonti, <b>Newly-Discovered Burial from Tianeti</b> ). .....	62
დავით მინდორაშვილი, აღრეული შუა საუკუნეების ნასოფლარი სოფ. სვენეთთან (David Mindorashvili, <b>An Early Medieval Village Site Near v. Sveneti</b> ). .....	75

მერაბ ძნელაძე, ვერა ჩიხლაძე, არქეოლოგიური აღმოჩენები თბილისის წმ. ორმოც საბასტიელ მონაგმთა მონასტრის ტერიტორიაზე. 2011წ. (Merab Dzneldadze, Vera Chikhladze, <b>Archaeological Discoveries on the Territory of Tbilisi Forty Sebastian Martyr's Monastery</b> ). .....	83
ვახტანგ შატბერაშვილი, სევესტრის ხეობის ანტიკური ხანაში (Vakhtang Shatberashvili, <b>Khevkhmela Gorge in Classical period</b> ). .....	98
მარინე კვაჭაძე, მძივები ელი-ბაბას სამაროვნშიდან (Marine Kvachadze, <b>The Beads from Eli Baba Cemetery</b> ). .....	116
ბიბლიოგრაფია და რეცენზიები .....	127

#### PAPERS IN ENGLISH

David Lomitashvili, Nino Kebuladze, Ana Tvaradze, Ian Colvin, <b>NOKALAKEVI IN THE VIII<sup>TH</sup>-VII<sup>TH</sup> CENTURIES B.C. (THE 1<sup>ST</sup> PERIOD OF DEVELOPMENT)</b> . .....	139
George Tseretheli †, <b>THE BILINGUAL INSCRIPTION FROM ARMAZ NEAR MCHETA IN GEORGIA</b> . .....	146
Gela Gamkrelidze, <b>THE PROCESS OF GLOBALISTIC ROMANIZATION AND IBERIA-COLCHIS (An overview)</b> . .....	183
<b>The Researcher of Ancient History of Georgia Gela Gamkrelidze is 60 Years Old</b> . .....	195
<i>List of works by Gela Gamkrelidze (1976 - 2012)</i> . გელა გამყრელიძის შრომების სია 2012 წლამდე. ....	197
<b>SUMMARIES</b> .....	205
შემოკლებათა განმარტება <b>Abbreviations</b> .....	212

**ოქრომჭედლის სახელოსნოს ნაშთები ვანის ნაქალაქარზე**

ცნება „კოლხური ოქრო“ დღეს ფართო მნიშვნელობით მოიაზრება: ერთი მხრივ, ის გულისხმობს კოლხეთში ოქროს, როგორც ნედლეულის, არსებობას; მეორე მხრივ, მხატვრული ხელოსნობის ერთ-ერთი დარგის — ოქრომჭედლობის განვითარებას. დღეს რეალობაა, რომ ძველ კოლხეთში მოიპოვებოდა ძვირფასი ლითონები, დამონმებული სხვადასხვა კატეგორიის ცნობებით, და ასევე რეალობაა ოქრომჭედლობის მაღალმხატვრული ნიმუშების აღმოჩენები. დღეს უკვე შეიძლება საუბარი „კოლხური ოქროს ფენომენზე“, რაც მკაფიოდ გამოიხატა ოქრომჭედლობის გარკვეული მოდელისა თუ ერთიანი მხატვრული სისტემის შექმნაში, ოქრომჭედლობის ადგილობრივი სკოლისა და პროფესიონალ ოქრომჭედელთა არსებობაში [ჭყონია ან. 1981:7-99; ლორთქიფანიძე ოთ. 2002:176-181, 208-209; Chqonia A. 1996:45-50; Deppert-Lippit B. 198-199, 201; Lordkipanidse O. 1996:368-376, 381-382; Chqonia A. 2008:81-95]. ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური მონაპოვრის მიხედვით ნათლად ჩანს მხატვრული ხელოსნური წარმოების, კერძოდ, ოქრომჭედლობის დიდი მასშტაბი, რაც, ბუნებრივია, დამოკიდებული იყო საზოგადოების მოთხოვნილებასა და საზოგადოების ცხოვრებაში მის მნიშვნელობაზე. თავის მხრივ კი ეს განაპირობებდა ადგილზევე სახელოსნოებისა და ოქრომჭედელთა ფენის ჩამოყალიბებას. ვანის ნაქალაქარის ოქროს მრავალრიცხოვან ნიმუშებს შორის გამოყოფილი შედარებით მცირე ნაწილი — ოქროს მხატვრული დამუშავების ნაშთები — პირდაპირ მიანიშნებს ადგილზე ოქროს ნივთების დამზადებას; წარმოადგენს უპირველეს წყაროს ოქრომჭედლობის სახელოსნო ცენტრის ფუნქციონირების დასადგენად. ამის გამო ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი ოქროს

მხატვრული დამუშავების ნაშთები კიდევ ერთხელ მოექცა ყურადღების ცენტრში, ჩვენ ხელთ არსებული ყველა მონაცემის — ცნობილი და სათანადოდ განხილული [ჭყონია ან. 1976: 212-214; ჭყონია ან. 1981:92-93, 139-141; Чкониа А. 1977:76-77; Čkonia A. 2005:266-268] თუ ახლადმოძიებული მასალების გათვალისწინებით.

ოქროს მხატვრული დამუშავების პროცესთან დაკავშირებული ნიმუშები, პირობითად, სამ ჯგუფში გაერთიანდა: პირველ ჯგუფში — ოქროს ზოდები, ნაღვენთები, ფირფიტის ჩამონაჭრები, ნამზადები; მეორე ჯგუფში — დაზიანებული და ფრაგმენტული ოქროს სამკაული, განკუთვნილი მეორადი დამუშავებისათვის; მესამე ჯგუფში — შეკეთებული ან გადაკეთებული ოქროს სამკაულები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველ ჯგუფში წარმოდგენილი ნიმუშები — ნაღვენთები, ფირფიტის ჩამონაჭრები, სხვადასხვა სახის ნამზადები (ბურთულეები, ფირფიტები, მავთულის და ღეროს ნაწილები), აგრეთვე, ზოდები.

ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილია ოქროს შვიდი ზოდი: ოთხი — ძვ. V-III ს.-ის დასაწყისის სამარხებში (№№ 6, 11, 16, 24 სამარხები) [ჭყონია ან. 1981:92, კატ. №333, 334; კაჭარავა დ., მჟავანაძე ზ. 1986:22,27 სურ 11<sub>2</sub>; კაჭარავა დ., ხარაბაძე ს. 2011:25]; ერთი — შემთხვევით ცენტრალურ ტერასაზე [ჭყონია ან. 1981:92, კატ. №335]; ორი — არქეოლოგიური გათხრების დროს, ელინისტური ხანის კულტურულ ფენებში, აქედან ერთი — ცენტრალურ ტერასაზე, ნაგებობის შიდა ფართობის პრეპარაციისას (ნაკვეთი 165. სავ.№07:1-04:1273. უბნის ხელმძღვანელი ელ. გიგოლაშვილი) (შენიშვნის სახით: გამოუქვეყნებელ ნიმუშებთან ყველა შემთხვევაში მითითებულია საველი ან ინვენტარის

ნომრები), მეორე ნიმუში — ზედა ტერასაზე, საკულტო ნაგებობის შიგნით, თირზე (ნაკვეთი 142. სავ.№07:1-05:709, უბნის ხელმძღვანელი გ. კვიციანი). სამარხებში დაფიქსირებული ზოდები ჩამოსხმულია, ფორმით და წონით სხვადასხვაგვარი: მსხვილი და ოვალური ფორმის ლეროს (სურ.1. სამარხი №6, წონა — 21,46გ), წახნაგებიანი ლეროს (სურ.2. სამარხი №11, წონა — 5,00გ), პირამიდისებური ფორმის (სურ.3. სამარხი №16, წონა — 24,07გ), სქელი ოვალური ფირფიტის მსგავსი (სამარხი №24, სავ.№07:1-04:1405. უდ. სიგრძე — 14,5მმ, სისქე — 3მმ, წონა — 5,46გ) ნიმუშები. შემთხვევით და ზედა ტერასაზე აღმოჩენილი ზოდები „წვეთისებური“ ფორმისაა; ზედაპირი დაუმუშავებელია, ამიტომ ძნელი დასადგენია — ბუნებრივი წარმოშობისაა თუ ჩამოსხმული (შესაბამისად, სურ.4. სიგრძე — 9მმ, უდ. სიგანე — 4,5მმ, წონა — 1,38გ და სურ.5. სიგრძე — 7მმ, უდ.სიგანე — 4მმ, წონა — 1,10გ). ცენტრალურ ტერასაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ზოდი უსწორო ფორმის სქელი ფირფიტის სახითაა ჩამოსხმული (სურ.6. უდ.სიგრძე — 9მმ, სისქე — 2მმ, წონა — 1,10გ).

არქეოლოგიური კონტექსტის გარეშე ზოდების ზუსტი ფუნქციის დადგენა რთულია. არ გამოირიცხება მათი კავშირი უშუალოდ საწარმოო პროცესთან, თუმცა, სამარხებიდან მომდინარე ნიმუშებს, ალბათ, სხვა ახსნაც ეძებნებათ [მათიაშვილი ნ. 2005:86].

მცირე ზომის ნალვენთების ანუ ოქროს ჩამოსხმის დროს წარმოქმნილი ნარჩენების ერთი ნიმუში აღმოჩენილია ცენტრალურ ტერასაზე არქეოლოგიური გათხრების დროს და კონკრეტული არქეოლოგიური კომპლექსის ნაწილია (იხ. ქვემოთ). ორი ნიმუში ნაპოვნია შემთხვევით [ჭყონია ან. 1981:92, კატ. №336, 337].

ფირფიტების ჩამონაჭრებიდან ერთი (სურ.7) მომდინარეობს ქვედა ტერასიდან (ელინისტური ხანის სატაძრო კომპლექსის ტერიტორია. უბნის ხელმძღვანელი ნ. მათიაშვილი) [ჭყონია ან. 1981:92, კატ.№341].

მეორე ნიმუში (სურ.8) აღმოჩნდა შემთხვევით [ჭყონია ან. 1981:92, კატ.№342].

ნამზადებიდან ყურადღებას იქცევს სადაფირფიტები. ერთ სადა, ვინრო ფირფიტაზე (სურ.9) ბოლოები საგანგებოდაა შემოჭრილი — (მომრგვალებულია) [ჭყონია ან. 1981:92, კატ.№340]. მეორე ვინრო ფირფიტა (ქვედა ტერასა, ნაკვეთი 188, სავ.№07:1-05:1288, სიგრძე — 28მმ) ერთ მხარეს დავინროებულია, მისი ზედაპირი დაუმუშავებელია. ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე აღმოჩნდა აგრეთვე მცირე ზომის მრგვალი, სქელი ფირფიტა-ნამზადი (სურ.10. სავ.№07:1-01:4. დმ—4მმ, სისქე — 2მმ, წონა — 0.32გ).

ნამზადებს წარმოადგენს ოქროს ბურთულები (ორი ბურთულა ნაპოვნია ქვედა ტერასაზე არქეოლოგიური გათხრების დროს [ჭყონია ან. 1981:92, კატ. №№338, 339], სამი — ზედა ტერასაზე შემთხვევით. სავ. №№07:1-02:17, 18; 07:1-04:169), რომელთა დიამეტრი 2-3 მმ-ს შორის მერყეობს. ქვედა ტერასაზე, სატაძრო კომპლექსის ცენტრალურ დარბაზში დადასტურებულია ოქროს ცვარას აღმოჩენაც (სავ.№07:1-01:5), რომლის დიამეტრი 1 მმ-ის ტოლია. განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ოქროს ნალვენთთან ერთად, ოქროს მსხვილი ლერო-ნამზადი (სურ.11), (დანვრილებით იხ. ქვემოთ).

ცნობილია, რომ ოქრომჭედელი მუშაობისას სარგებლობდა (და სარგებლობს) გამზადებული დეტალებით, მათ შორის — მავთულით. სამკაულის დამზადების დროს მავთული გამოიყენებოდა ხშირად დიდი რაოდენობით (მაგალითად, გამოანგარიშებულია, რომ ელინისტური ხანის ერთი ყელსაბამის დამზადებისას დაიხარჯა 9 მ სიგრძის მავთული) [Hoffmann H., Davidson P.F. 1965:36]. აღსანიშნავია, რომ ლათინურ ეპიგრაფიკულ ძეგლებში დამოწმებულია სპეციალური ტერმინი — barbaricari(u)s, ანუ ოქრომჭედელი, რომელიც მუშაობს ოქროს წვრილი მავთულის (ოქრომკედის) დამზადებაზე [Gummerus H. 1915; 171, #102. VI 9641].

მზა მავთულის გამოყენება ჩანს ვანის

სამკაულებზეც. მაგალითად, №11 სამარხის სხივებიან საყურეებზე — დაკეჭნილი მავთული გაგრძელებულია თვალისთვის მიუწვდომელ ადგილას; ოქრომჭედელი, სავარაუდოდ, იყენებს ნამზადს და მავთულს აღარ ამოკლებს. №15 სამარხში აღმოჩენილი ყელსაბამის სხვადასხვა ზომის მძივებზე ნახვრეტის გარშემო დარჩილული რგოლების დიამეტრი ყველა შემთხვევაში 3 მმ-ია, ე.ი. რგოლები შედგენილია ერთი სიგრძის მავთულებისგან — ნამზადებისგან.

საინტერესო ნიმუშია 50 მმ-მდე სიგრძის სადა მავთული, როგორც ჩანს, თავდაპირველად — დაკეცილი (შეიმჩნევა 13 არამკვეთრი ნაკეცი), ამჟამად — გასწორებული (მინიდან ამოღებისას მავთული გადატყდა ერთ-ერთ ნაკეცზე და ორი ფრაგმენტის სახითაა წარმოდგენილი). მავთული დაფიქსირდა ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე (სურ.12. ნაკვეთი 146, სავ. №07:1-04:1309), კულტურულ ფენაში ძვ.წ. III-I სს., კონკრეტულად რომელიმე კომპლექსთან მისი დაკავშირება ვერ მოხერხდა. ნამზადები უნდა იყოს ვანის ნაქალაქარზე შემთხვევით აღმოჩენილი ღეროსა და მავთულების ნაწილები (სურ. 13-18) [ჭყონია ან. 1981:92, კატ. №№344-349].

მეორე ჯგუფში გაერთიანებული ნიმუშები — ნაკლული, დეფორმირებული სამკაულების ფრაგმენტები საკმაოდ მრავლადაა აღმოჩენილი ვანის ნაქალაქარზე. თუმცა, ყველა დაზიანებული ნივთისთვის მეორადი დამუშავების ფუნქციის მინიჭება, ალბათ, მართებული არ არის. ამ მხრივ ეჭვს არ იწვევს ცენტრალურ ტერასაზე, რიყის ქვებით ნაგები კომპლექსის დასავლეთით გამოვლენილი მასალა: როგორც ჩანს, ოქროს ნივთები — დეფორმირებული საყურე რგოლი, საკიდების ნაწილები, მილაკები, ორნამენტირებული ფირფიტის ფრაგმენტები ერთად იყო თავმოყრილი (ნაკვეთი 102. სავ. №07:1-89:534, 535, 549, 550, 583, 584, 586, 587); გათხრების დროს ისინი გაბნეულად დაფიქსირდა საკმაოდ მცირე ფართობზე (1,50×0,80 მ<sup>2</sup>). ნიმუშები თარიღდება ძვ.წ. IV საუკუ-

ნის მეორე ნახევარი — ძვ.წ. III საუკუნით (სურ.19).

ოქროს დაზიანებული ნივთების მეორადი დამუშავება საყოველთაოდაა გავრცელებული და საუკუნეთა სიღრმეში მიდის. მაგალითად, ცნობილი მკვლევარის ქრისტინა ელუერის მიხედვით, პალესტინაში, ტელ ელ-აჟუში აღმოჩენილი ოქროსა და ვერცხლის დაზიანებული ნივთების დეტალები, განკუთვნილია გადადნობისათვის, ძვ.წ. XVI საუკუნით თარიღდება [Eluère Ch. 1990:102]. ეს მოვლენა დადასტურებულია იმ რეგიონებშიც, რომლებიც ოქროს (ნედლეულის) ნაკლებობას არ განიცდიდნენ. „ოქრომრავალი“ კოლხეთი, როგორც ჩანს, მათ რიგს უერთდება.

და ბოლოს, ვანში ადგილობრივი სახელოსნოების არსებობაზე მიუთითებს აგრეთვე შეკეთებული ან გადაკეთებული სამკაულების აღმოჩენის შემთხვევები. ამჟამად მხოლოდ ორი მაგალითის დასახელებით შემოვიფარგლებით. შეკეთებულია №19 სამარხის საყურეები (წყვილი) — ფორმით, დეკორატიული და ტექნოლოგიური ელემენტებით, ფრინველის გამოსახულებებით კოლხური ოქრომჭედლობის ტიპური ნიმუში (ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი) [Лордкипаниძე О. 1990:328]. ორივე საყურეზე დაფიქსირდა შეკეთების კვალი: საყურე რგოლის გატეხილი ნაწილები ერთმანეთთან მირჩილულია დამატებითი ფირფიტის გამოყენებით. ერთი საყურე შეკეთების შემდეგ კვლავ დაზიანებულია (სურ.20).

გადაკეთებულია აქატის საკიდები — პეპელას გამოსახულებები (სურ.21). კერძოდ, აქატის საკიდებს დაემატა ოქროს დეტალები, მაგრამ გადაკეთებისას — ოქროს მავთულისა და ყუნწის დამატების დროს არ იყო გათვალისწინებული გამოსახულების წინა მხარე და ცალკეული დეტალი (პეპელას თავი დაფარულია, მავთული ღარებზე გადადის...) [ჭყონია ან. 1981:78-79].

ხშირად მხოლოდ ეს ფაქტი — სამკაულის შეკეთება თუ გადაკეთება — მიჩნეულია სახელოსნოს არსებობის დამადასტურებელ ნიმ-



ნად. გარდა ამისა, ზოგჯერ ერთი საგნის (ტიგელის ან რომელიმე იარაღის) აღმოჩენა საკმარისი ხდება ოქრომჭედლის სახელოსნოს არსებობის დადგენისათვის (მაგალითად, ეს ტენდენცია შეიმჩნევა ჩრდილო შავიზღვისპირეთის ცენტრებთან მიმართებით). ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი, ჩვენ ხელთ არსებული მასალა მრავალრიცხოვანებითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც აშკარად მიანიშნებს ოქრომჭედლის სახელოსნოს თუ სახელოსნოების ფუნქციონირებას. თუმცა, გარდა ერთი შემთხვევისა, ნიმუშების აღმოჩენის პირობები (დაფიქსირებულია გაფანტულად) სახელოსნოს ადგილის ზუსტად განსაზღვრის საშუალებას არ იძლევა. შესაძლებელია მხოლოდ ნიმუშების გარკვეული ნაწილის დაკავშირება ამა თუ იმ კომპლექსთან სამუშაო ადგილის დაკონკრეტების გარეშე, როგორც, მაგალითად, მეტად საინტერესო აღმოჩენებისა — ქვედა ტერასის სატაძრო კომპლექსთან.

საერთოდ, ტაძრის (სამლოცველოს, ტემენოსის) ტერიტორიაზე ოქრომჭედლის სახელოსნოების განლაგება გავრცელებული მოვლენაა. წერილობითი წყაროების მიხედვით ცნობილია აგრეთვე ოქრომჭედლის სახელოსნოები ათენის აგორასა და რომის ფორუმზე [Coche de la Ferté E. 1956:3-4]. რომის „დიდ გზაზე“, „წმინდა გზაზე“ (ჰ.გუმერუსის მიხედვით [Gummerus H. 1915; 129-189; Gummerus H. 1918:256-302] Corpus Inscriptionum Latinarum, VI-9207, 9545- 9549, 33872; X - 6492 და სხვ.). ოქრომჭედლის სახელოსნო იმ კატეგორიას განეკუთვნებოდა, რომლის ქალაქარეთ გატანის ობიექტური აუცილებლობა არ იყო.

ვანის ძველ ქალაქშიც, როგორც ჩანს, მსგავს გარემოებას ჰქონდა ადგილი. ამის ნათელი დადასტურებაა ცენტრალური ტერასის ერთ მონაკვეთზე — ქალაქის შიდა ტერატიკორიაზე — ოქრომჭედლის სახელოსნოს ნაშთების აღმოჩენა [ჭყონია ან. 1986:97, 100].

არქეოლოგიური გათხრების შედეგად ოქრომჭედლის სახელოსნოს ნაშთების

გამოვლენა მნიშვნელოვანი და იშვიათი შემთხვევაა. არსებობს ასეთი შეფასებაც: ოქრომჭედელი კვალს მხოლოდ თავის შემოქმედებით ტოვებს, რადგან მისი სახელოსნო არამყარია [Eluère Ch. 1990:100]. ჩვეულებრივ, ოქრომჭედლის სახელოსნოს დაფიქსირება რთულია და ხშირად შეუძლებელიც. ვანის შემთხვევაშიც, ბუნებრივია, ძეგლის ატრიბუცია გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს. ამჟამად ჩვენი მიზანია ერთიანად ყველა ფაქტის კონსტატაცია და შეჯერება.

ოქრომჭედლის სახელოსნოს ნაშთებად მიჩნეული ე.წ. თეთრი ნაგებობა აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე (ნაკვეთი 118) მონუმენტური კედლის („გადამწვარი კედლის“) პარალელურად, მის აღმოსავლეთით — თირში ნაკვეთ „არხში“; შემორჩენილია მხოლოდ კედლისა და საძირკვლის ნაწილი (სურ.22). კედელი ამოყვანილია კლდეზე (თირზე); ნაგებია კირქვის უსწორო ფორმის ქვებით, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია თიხა-მიწით. ზოგჯერ ქვებს შორის ჩადგმულია 20-30 სმ სიგრძის ფილები — წყობის შევსება-გამაგრების მიზნით. კედელი (საძირკვლის ნაწილი) ორივე მხარეს მოქცეულია თირში ნაკვეთ ბუდეებში (ერთგან ბუდეში, თეთრი ქვების ნაცვლად, დიდი ზომის რიყის ქვებია ჩანწყობილი). „თეთრ წყობას“ დასავლეთის მხრიდან ემიჯნება რიყის ქვები („ხურდა“ — წყობის შიდა ნაწილი). კედლის სიგრძეა 2,5 მ; სიმაღლე — 0,60 მ (შემორჩა წყობის სამი-ოთხი რიგი).

სტრატეგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით ზემომითითებული ძეგლების ქრონოლოგია ასეთია: უძველესია „არხი“ (ზუსტი თარიღი ვერ დადგინდა). ძვ.წ. IV-III სს.-შია მოქცეული „თეთრი ნაგებობა“ და მისი გაუქმების შემდეგ აღმართული მონუმენტური კედელი.

საერთოდ, თეთრი ნაგებობები ვანში ქვით ნაშენ ძეგლებს შორის ყველაზე ადრეულია, თარიღდება ძვ.წ. IV ს-ით; (ცენტრალურ ტერასაზე №9 სამარხის მახლობლად გათხრილი

თეთრი შენობის მიხედვით — ძვ.წ. IV ს.-ის შუახანებით). ამ თარიღს არ ეწინააღმდეგება ნაგებობის ნაშთებთან გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა; ხოლო ნაგებობის ნანგრევებზე ზემოდან დაფიქსირებული მძლავრი ფენა, როგორც ჩანს, „არხის“ შევსება, ზოგადად ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღდა.

კედლის ნანგრევებთან დიდი რაოდენობით აღმოჩნდა, სავარაუდოდ, ხელოსნური წარმოების ნაშთები: ნახშირის მცირე ფრაგმენტები, ნაცარი, მცირე ზომის წიდეები — მინისებური მასები (ლაბორატორიული გამოკვლევის თანახმად, წიდეები ლითონს არ შეიცავდა). წყობის ქვემოდან მესამე რიგის დონეზე დადასტურდა ნახშირის უხვად შემცველი თიხნარი მასები და ბათქაშების ფრაგმენტები (კირქვის ქვებით ნაშენ საფუძველზე ამოყვანილი თიხით შელესილი ხის კედლების ნაშთები?).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნანგრევებთან აღმოჩენილი ოქროს ღერო — ნამზადი და ოქროს ნაღვენთი. ღერო მსხვილია, ოთხკუთხაგანი ვაკეთიანი. ზედაპირზე ჩანს იარაღის კვალი (გამოჭედილია), ბოლოები ჩამოჭრილია ირიბად (ერთი ბოლო ნაწილობრივ ჩამოტეხილია). ღერო ამჟამად მოღუნულია (სურ.11). მისი სიგრძე, გაშლილ მდგომარეობაში, 13,8 სმ-ია; წონა — 6,21 გრამი [ჭყონია ან. 1981:92, კატ №343, სურ. 74]. ნაღვენთის სიგრძე 4,5 მმ-ია, წონა — 0,2 გრამი (სავ. №07:1-80:365. ინვ. №49-981:37). ნაპოვნია აგრეთვე დაზიანებული და ნაკლები ოქროს სამკაულის ნიმუშები, რომლებიც, შესაძლებელია, განკუთვნილი იყო მეორადი დამუშავებისათვის: დეფორმირებული მძივები, გვირგვინის(?) მცირე ფრაგმენტი და სხვა [ჭყონია ან. 1981:59,79, კატ. №76,121, სურ. 39,52].

დიდ ინტერესს იწვევს ნაგებობასთან ახლოს, მის მიმდებარე ფართობზე და, საერთოდ, ძვ.წ. IV-III სს-ებით დათარიღებულ კულტურულ ფენაში, დამუშავებული ძვლის ნიმუშების, როგორც ჩანს, ხელოსნის იარა-

ღების აღმოჩენები [ჭყონია ან. 1986:114, სურ.97]. გამორიცხული არ არის ლითონის, ქვის, ხის იარაღებთან ერთად მათი გამოყენება ოქრომჭედლობაშიც, მაგრამ რეალურად ამის დადასტურება ვერ ხერხდება. შუასაუკუნეების ავტორთა ცნობების გათვალისწინებით (იხ.: [ჭყონია ან. 1981:93], იქვე დასახელებული ლიტერატურა), გამონაკლისს წარმოადგენს ცხოველთა კბილები და ეშვები, რომელთა საშუალებით ხდებოდა ოქროს ზედაპირის დამუშავება — გაპრიალება. აღსანიშნავია, რომ ნოქალაქევის არქეოლოგიურ მონაპოვართან დაკავშირებითაც დასაშვებიადაა მიჩნეული ცხოველთა ეშვებისა და კბილების გამოყენება ოქროს ზედაპირის გასაპრიალებლად [ქებულაძე ნ., ლომიტაშვილი დ. 1999:85].

და ბოლოს, კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი, რომელიც თეთრ ნაგებობას, სავარაუდოდ, ოქრომჭედლის სახელოსნოს, უკავშირდება. კერძოდ, ნაგებობასთან ახლოს გაითხარა, პირობითად, სარიტუალო ადგილი (სურ.23), სადაც *in situ* დაფიქსირდა კოლხური თიხის ნაწარმის ნიმუშები — ორი ქოთანის, დერგი და ამფორა, აგრეთვე, რამდენიმე რიგად, ერთმანეთზე დაწყობილი ხარის და ძროხის ყბის ძვლები.

თიხის ჭურჭელი ზოგადად ძვ. წ. IV ს.-ით თარიღდება. ამფორა ადრეული ნიმუშების რიცხვს მიეკუთვნება, მსგავსია წარჩინებული კოლხი მეომრის — დედატოსის სამარხში აღმოჩენილი ამფორისა. (ძვ.წ. IVს.-ის მეორე ნახევრის დასაწყისი [Путуридзе Р. 1977:69, სურ.2]).

ხელოსნების, კერძოდ, მჭედლების სახელოსნოებში შესრულებულ რიტუალებზე საინტერესო მასალაა შემორჩენილი აფხაზეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში: სამჭედლოს მფარველია ღვთაება, სახელად — შაშვი; მჭედლები მას სწირავენ მსხვერპლს, მის წინაშე დებენ ფიცს... [Джанашиа Н. 1960:71-75; Инал-Ипа Ш. 1960:348-350]. სამჭედლოში დადასტურებულია ღვინიანი ჭურჭლის (ქვევრის) არსებობაც [Аджинджал И. 1969:226], რადგან

სახელოსნოში ღვინით გარკვეული რიტუალი სრულდება ღვთაება შაშვის სახელზე.

მჭედლებისა და ოქრომჭედლების მჭიდრო ურთიერთობაზე მიუთითებს როგორც ეთნოგრაფიული [ბოჭორიშვილი ლ. 1946:284-285], ისე არქეოლოგიური მონაცემები (სარკინეში გათხრილ მრავალგანყოფილებიან დიდ სახელოსნოში, სადაც ხდებოდა რკინის და სხვა ლითონების დამუშავება, ოქრომჭედლის სამუშაო ადგილიც ყოფილა გამართული [აფაქიძე ან. 1963:209-211; ხახუტაიშვილი დ. 1966:129-130]). სავარაუდოა, რომ მჭედლებსა და ოქრომჭედლებს ბევრი საერთო ჰქონდათ რელიგიურ წარმოდგენებსა და რიტუალებშიც.

ამგვარად, ზემოგანხილული არქეოლოგიური მონაპოვარი – მთელი კონტექსტი მრავალმხრივი და მრავალრიცხოვანი ფაქტებისა, საკმაოდ მყარ საფუძველს წარმოადგენს ოქრომჭედლის სახელოსნოს არსებობის დასამტკიცებლად.

ძველ ვანში სახელოსნოს თუ სახელოსნოების ფუნქციონირებასთან პირდაპირ კავშირშია ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ, ოქრომჭედელთა მომარაგება ნედლეულით — ოქროთი. აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის მითითებით, ვანის სამკაულების საკეთებელი ოქრო შორიდან მოტანილი არ უნდა ყოფილიყო. აკად. ექვთიმე თაყაიშვილმა პირველმა გამოთქვა მოსაზრება ვანში ადგილობრივი ნედლეულის საფუძველზე ოქრომჭედლობის სახელოსნო ცენტრის არსებობის შესახებ და ვანშივე ივარაუდა ოქროს მოპოვებაც [თაყაიშვილი ექვთ. 1907:5-6]. მართალია, თანამედროვე გეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ არ დაადასტურა უშუალოდ ვანის ტერიტორიაზე ოქროს არსებობა [ჭყონია ან. 2007:267-268], ყოველ შემთხვევაში, ვანის სახელოსნოებისთვის ოქროს მიწოდება ხდებოდა „ოქრომრავალი“ კოლხეთის რომელიმე ახლომდებარე რეგიონიდან. ვანის სახელოსნოები, როგორც ჩანს, სარგებლობდნენ ნამზადებით და ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი საბუთია *in situ* (ოქრომ-

ჭედლის სახელოსნოს ნანგრევებში) აღმოჩენილი ოქროს მსხვილი ღერო. ცნობილია, რომ ოქრომჭედელი შეიძლება ფლობდეს სანარმოო საშუალებებსა და არ ჰქონდეს შრომის საგანი. მაგალითად, ასეთი ვითარება აირეკლა „ოდისეაში“: ჰეფესტოს – უნივერსალურ მჭედელს (და ოქრომჭედელსაც) – მასალას აწვდის ნესტორი [ШМИДТ Р. 1935:272]. ვანში ადგილობრივი ოქრომჭედლობის განვითარებისათვის უზრუნველყოფილი იყო აუცილებელი ორივე პირობა: შრომის საგანი (ოქრო) და სანარმოო საშუალებები (სახელოსნო თავისი აღჭურვილობით). ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი სამკაული, ასევე, სახელოსნოს და ოქროს მხატვრული დამუშავების ნაშთები ადასტურებენ ადგილობრივი პროფესიონალური სკოლის არსებობას და ვანის ძველი ქალაქი (ქალაქის სხვა განმსაზღვრელ ფუნქციასთან ერთად) წარმოგვიდგება როგორც მხატვრული ხელოსნობის – ოქრომჭედლობის დანიშნულებული ცენტრი.

და მაინც, ვინ იყვნენ ვანელი ოქრომჭედლები, რა როლი ენიჭებოდათ მათ საზოგადოებაში, ქალაქის ცხოვრებაში? უცნობია მათი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი; მხოლოდ ანალოგიების მოშველიებითა და ლოგიკური კანონზომიერებით დასაშვებია, სხვა ხელოსნებთან შედარებით, მათი მდგომარეობის მაღალი დონის ვარაუდი. იბადება მრავალი კითხვა, მაგრამ სათანადო მონაცემების — წერილობითი (ეპიგრაფიკული) თუ გამომსახველობითი წყაროების — არარსებობის პირობებში უმეტესობა პასუხგაუცემელი რჩება. თუმცა, მოხსნილია კითხვა ოქრომჭედლების წარმომავლობის შესახებ, გამომდინარე კოლხური ოქრომჭედლობის ბუნებიდან ანუ მრავალფეროვანი რთული (პოლიტექნიკური) ნიმუშებისა და, რაც მთავარია, განვითარების უწყვეტი და ხანგრძლივი გზის არსებობით. ხელოსანთა, მათ შორის ოქრომჭედელთა, მოგზაურობა-გადაადგილება ყველა დროში გავრცელებული მოვლენა იყო (დანვრილებით იხ. [Ridder

A. 1911:8; Максимова М. 1979:40; Трейстер М. 1998:140-141] და სხვ.). სავარუდოდ, მან გვერდი ვერ აუარა ვანსაც (იგულისხმება მოსული — „მოხეტიალე“ ოქრომჭედლების საქმიანობა), მაგრამ ამის რაიმე კვალი არსებული მასალების მიხედვით არ დასტურდება.

ოქრომჭედლობის კონსერვატიული ხასიათი, წარმოების მოწყობისა და პროცესის ერთგვაროვნება და საყოველთაოდ გავრცელება ხშირად იძლევა რეალურ შესაძლებლობას სხვადასხვა სახის მონაცემების გამოყენებისა ხელოსანთა ყოფის და საქმიანობის რეკონსტრუქციისათვის. ამ მხრივ დღემდე დიდ ინტერესს იწვევს ფინელი მეცნიერის ჰ. გუმერუსის მიერ შეკრებილი ეპიგრაფიკული მასალა რომის ოქრომჭედელთა შესახებ [Gummerus H. 1915:129-190; Gummerus H. 1918:256:302]. საყურადღებოა, აგრეთვე, იკონოგრაფიული ხასიათის ძეგლები, მაგალითად, ახ.წ. I საუკუნის მარმარილოს სტელა (სურ.24. ოქრომჭედელი გრდემლთან — aurifex brattarius [Coche de la Ferté E. 1956:5, 112, ტაბ.1; Pernot M. 2011:106]), პომპეის კედლის მხატვრობა (სურ.25-26. ოქრომჭედელი ამურების მუშაობის პროცესი (Casa die Vettii. ახ.წ. 50-79 წწ.) [Сергеенко М.Е. 1949: 213, სურ.73; Pernot M. 2011:105, სურ.60]). კოლხი ოქრომჭედლების საქმიანობის დასახასიათებლად, განსხვავებული გარემოსა და ისტორიული ვითარების გათვალისწინებით, ეს პარალელები ფორმალურ ხასიათს ატარებს და ამიტომ მათზე დაყრდნობით რეკონსტრუქციაზე საუბარი მიზანშეწონილი არ უნდა იყოს. მომავალი კვლევა-ძიება, იმედია, გარკვეულ სინათლეს შეიტანს ამ მიმართულებით. ჯერჯერობით კი კოლხი ოქრომჭედლები რჩებიან უსახელო ოსტატებად, რომელთა შემოქმედება დღესაც ღირებულია და მნიშვნელოვანი.

## ლიტერატურა:

**აფაქიძე ან.** 1963: ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. I. თბილისი.

**ბოჭორიშვილი ლ.** 1946: ოქრომჭედლობა სვანეთში. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. VII, №5. თბილისი, გვ. 283-289.

**თაყაიშვილი ექვთ.** 1907: არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. წიგნი პირველი. ტფილისი.

**კაჭარავა დ., მუავანაძე ზ.** 1986: ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1980 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში. — ვანი. VIII. თბილისი, გვ. 9-33.

**კაჭარავა დ., ხარაბაძე ს.** 2011: დაკრძალვის ნესები ვანის ნაქალაქარზე ძვ.წ. IV-III საუკუნეებში. — იბერია-კოლხეთი. №7, გვ. 22-46.

**ლორთქიფანიძე ოთ.** 2002: ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი.

**მათიაშვილი ნ.** 2005: ელინისტური ხანის კოლხეთის ისტორიის საკითხები. თბილისი.

**ქებულაძე ნ., ლომიჭაშვილი დ.** 1999: საოქრომჭედლო საქმე ძვ.წ.VIII-VIII სს. კოლხეთში (ნოქალაქევის მასალების მიხედვით). — მესხეთი (საისტორიო კრებული). III. თბილისი-ახალციხე, გვ. 78-91.

**ჭყონია ან.** 1976: ოქროს მხატვრული დამუშავება ძველ ვანში. — ვანი. II. არქეოლოგიური გათხრები. თბილისი, გვ. 205-214.

**ჭყონია ან.** 1981: ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. — ვანი. VI. თბილისი.

**ჭყონია ან.** 1986: არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე (ნაკვეთები 102-103, 117-119). — ვანი. VIII. თბილისი, გვ.93-115.

**ჭყონია ან.** 2007: ქართული ოქრომჭედლობის შესწავლის ისტორიიდან. ექვთიმე თაყაიშვილი. — საქართველოს არქეოლოგიის ისტორიის საკითხები. თბ., გვ. 264-272.

**ხახუტაიშვილი დ.** 1966: იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები. თბილისი.

**Аджинджал И.** 1969: Из этнографии Абхазии. Материалы и исследования. Сухуми.

**Джанашиа Н.** 1960: Абхазский культ и быт. – Статьи по этнографии Абхазии. Сухуми, с. 59-109.

**Инал-Ипа Ш.** 1960: Абхазы. Историко-этнографические очерки. Сухуми.

**Лордкипанидзе О.** 1990: Вани в системе Колхидского царства. – Причерноморье в VII-V вв. до н.э. Письменные источники и археология. Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Тбилиси, с.327-337.

**Максимова М.** 1979: Артюховский курган. Ленинград.

**Путуридзе Р.** 1977: Колхидские амфоры из Вани. – Краткие сообщения Института археологии. Москва, с. 68-71.

**Сергеенко М.** 1949: Помпеи. Москва, Ленинград.

**Трейстер М.** 1998: Ионийские ремесленники-скифам. – Вестник древней истории. 4 (227). Москва, с. 130-141.

**Чкониа А.** 1977: К изучению колхидского златокузнечества. – Краткие сообщения Института археологии. Вып. 151. Москва. с. 75-77.

**Шмидт Р.** 1935: Очерки по истории горного дела и металлообрабатывающего производства в античной Греции. – Известия Государственной академии истории материальной культуры. Вып. 108. Москва-Ленинград.

**Chqonia A.** 1996: Colchian Jewelry from the Vani City Site. – Ancient Jewelry and Archaeology. Bloomington and Indianapolis, p. 45-50.

**Čkonia A.** 2005: L'artisanat d'art dans le développement des villes colchidiennes-Vani. – Pont-Euxin et polis. Actes du X<sup>e</sup> Symposium de Vani. Paris, p.265-270.

**Chqonia A.** 2008: Colchian Goldwork. \_ Wine, Worship, and Sacrifice: The Golden Gravers of Ancient Vani. New York. p. 81-95.

**Coche de la Ferté E.** 1956: Les bijoux antiques. Paris.

**Deppert-Lippitz B.** 1996: Interrelations be-

tween Greek Jewellery of the 6<sup>th</sup> and 5<sup>th</sup> Centuries B.C. and Gold Finds from the Black Sea Region. – Sur les traces des Argonautes. Actes du 6<sup>e</sup> Symposium de Vani. Paris, gv. 195-201.

**Eluère Ch.** 1990: Les secrets de l'or antique. Paris.

**Gummerus H.** 1915: Die römische Industrie Wirtschaftsgeschichtliche Untersuchungen. – Klio, Band . XIV. Leipzig, S. 129-189.

**Gummerus H.** 1918: Die römische Industrie Wirtschaftsgeschichtliche Untersuchungen. – Klio, Band . XV. Leipzig, S. 256-302.

**Hoffmann H., Davidson P.** 1965: Greek Gold. Jewelry from the Age of Alexander. Mainz am Rhein.

**Lordkipanidse O.** 1996: Vani – ein antikes religiöses Zentrum im Lande des Goldenen Vlieses (Kolchis). – Jahrbuch des Römisch-Germanischen Zentralmuseums Mainz. 42. Jahrgang 1995, S. 353-401.

**Pernot M.** 2011: Quels métiers les arts des plombiers, bronziers et orfèvres impliquent- ils? - Les savoirs professionnels des gens de métier. Études sur le monde du travail dans les sociétés urbaines de L'empire romain. Naples, P.101-118.

**Ridder A.** 1911: Collection de Clercq. Catalogue. Vol.7,1 (Les bijoux). Paris.

#### **ილუსტრაციების აღწერილობა:**

**სურ. 1.** ზოდი. ოქრო, სიგრძე — 31 მმ. ვანი, სამარხი №6. **სურ. 2.** ზოდი. ოქრო, სიგრძე — 15,5 მმ. ვანი, სამარხი №11. **სურ. 3.** ზოდი. ოქრო, სიგრძე — 23 მმ. ვანი, სამარხი №16. **სურ. 4.** ზოდი. ოქრო, სიგრძე — 9 მმ. ვანი, შემთხვევითი აღმოჩენა. **სურ. 5.** ზოდი. ოქრო, სიგრძე — 7 მმ. ვანი, ზედა ტერასა, ნაკვეთი 142 (საკულტო ნაგებობის შიგნით). **სურ. 6.** ზოდი. ოქრო, სიგრძე — 9 მმ. ვანი, ცენტრალური ტერასა, ნაკვეთი 165 (ნაგებობის შიგნით). **სურ. 7.** ფირფიტის ჩამონაჭერი. ოქრო, სიგრძე გაშლილ მდგომარეობაში — 56 მმ. ვანი, ქვედა ტერასა


(ელინისტური ხანის სატაძრო კომპლექსი).  
**სურ. 8.** ფირფიტის ჩამონაჭერი. ოქრო, სიგრძე გაშლილ მდგომარეობაში — 19 მმ. ვანი, შემთხვევითი აღმოჩენა. **სურ. 9.** ვინრო ფირფიტა — ნამზადი. ოქრო, სიგრძე — 23,5 მმ. ვანი, ქვედა ტერასა, შემთხვევითი აღმოჩენა. **სურ. 10.** მრგვალი სქელი ფირფიტა — ნამზადი. ოქრო, დიამეტრი — 4 მმ. ვანი, ქვედა ტერასა, ნაკვეთი 188 (სატაძრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორია). **სურ. 11.** ღერო — ნამზადი. ოქრო, სიგრძე გაშლილ მდგომარეობაში — 138 მმ. ვანი, ცენტრალური ტერასა. ნაკვეთი 118 („თეთრი ნაგებობის“ ნანგრევებთან). **სურ. 12.** მავთული (2 ფრაგმენტი), სადა — ნამზადი. ოქრო, საერთო სიგრძე — 49 მმ. ვანი, ცენტრალური ტერასა, ნაკვეთი 146 (ძვ. წ. III-I სს. კულტურული ფენა). **სურ. 13.** ღერო — ნამზადი. ოქრო, სიგრძე გაშლილ მდგომარეობაში — 57 მმ. ვანი, შემთხვევითი აღმოჩენა. **სურ. 14.** მავთული, შემკული ირგვლივი ღარებით — ნამზადი. ოქრო, სიგრძე გაშლილ მდგომარეობაში — 45 მმ. ვანი, ცენტრალური ტერასა, შემთხვევითი აღმოჩენა. **სურ. 15.** მავთული, დაგრეხილი — ნამზადი. ოქრო, სიგრძე გაშლილ მდგომარეობაში — 30 მმ. ვანი, ცენტრალური ტერასა, შემთხვევითი აღმოჩენა. **სურ. 16.** მავთული, შემკული ირგვლივი ღარებით — ნამზადი. ოქრო, სიგრძე გაშლილ მდგომარეობაში — 15 მმ. ვანი, ცენტრალური ტერასა, შემთხვევითი აღმოჩენა. **სურ. 17.** მავთული, სადა — ნამზადი. ოქრო, სიგრძე გაშლილ მდგომარეობაში — 15 მმ. ვანი, შემთხვევითი აღმოჩენა. **სურ. 18.** მავთულის ფრაგმენტები (3 ფრაგმენტი), სადა-ნამზადი ოქრო, უდ. სიგრძე — 10 მმ. ვანი, ცენტრალური ტერასა, შემთხვევითი აღმოჩენა. **სურ. 19.** დაზიანებული და ნაკლული სამკაული, განკუთვნილი მეორადი დამუშავებისათვის. ოქრო. ვანი, ცენტრალური ტერასა, ნაკვეთი 102. (ძვ.წ. IV-III სს. კულტურული ფენა). **სურ. 20.** საყურეები (წყვილი). ოქრო; შეკეთებული. ვანი, სამარხი №19.

**სურ. 21.** საკიდები (2 ცალი). აქატი, ოქრო; გადაკეთებული. ვანი, შემთხვევითი აღმოჩენა. **სურ. 22.** ვანი. ცენტრალური ტერასა, ნაკვეთი 118. „თეთრი ნაგებობის“ ნაშთები. **სურ. 23.** ვანი, ცენტრალური ტერასა, „თეთრ ნაგებობასთან“ (ჩრდილოეთით) — სარიტუალო ადგილი. **სურ. 24.** მარმარილოს სტელა (აბრა) — ოქრომჭედელი გრდემლთან. ახ.წ. I ს. ინახება ვატიკანის მუზეუმში. ე. კოშ დე ლა ფერტეს მიხედვით [Coche de la Fertè E.1956: ტაბ. I]. **25-26.** კედლის მხატვრობა — ოქრომჭედელი ამურების საქმიანობის ეპიზოდები. პომპეი. ახ. წ. 50-79 წწ. მ. პერნოს მიხედვით. [Pernot M. 2011: სურ. 60].


# I



1




2




3



4



5




6




7




8




9



10



11



12



13



14




15



16



17




18


## II



19



20



21



22



23



# III



24



25



26

## ქეთევან ჯავახიშვილი

### ოქროს ფურცლით შამკული იშვიათი ნივთები ტახტიძირის სამაროვნისა

1996 წელს მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ. ტახტიძირში გაითხარა სამაროვანი, რომელიც ძვ.წ. IV-III სს. არის დათარიღებული [გაგოშიძე იულ. 1996:16-17] (ექსპედიციის ხელმძღვანელი იულ. გაგოშიძე. წევრები: ნ. გოგიბერიძე, ირ. ქორიძე, მ. ჯალაბაძე).

სამაროვანზე გამოვლენილ მრავალრიცხოვან, სხვადასხვა შესანიშნავ ნივთებს შორის № 8 სამარხში, მიცვალებულის მკერდის არეში, მძივებთან და საკიდებთან ერთად აღმოჩნდა ძალიან საინტერესო ნივთები: თეთრი გამჭვირვალე მინის ორი ოვალური მედალიონი-ინტალიო. ამჟამად მინა მცირედ ირიზებულია და რამდენადმე დაბინდული. მედალიონები დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში (№№ 1448,1449). მათი ზომებია 14X13 და 10X8 მმ. მედალიონების ერთი ზედაპირი ბრტყელია, მეორე მცირედ ამობურცული. ერთის ბრტყელ პირზე გამოსახულია (ამოჭრილია) გრიფონი დიდი გაშლილი ფრთით. გრიფონს პატარა თავი, გრძელი კისერი, ლამაზი მოქნილი სხეული, გრძელი, აწეული S-ის მოყვანილობის კუდი აქვს. თითქოს უკანა ფეხებზე ჩამჯდარა: წინა ერთი ფეხი წინ აქვს განეული, მეორე — უკან. კარგი ნახელავია. გამოსახულება არ არის ღრმა, მაგრამ საკმაოდ მკაფიოა. შიგ ჩანს ხილია ოქროს ძალიან თხელი ფურცელი. მედალიონს ორივე ბოლო აკლია, ნაპირები ოდნავ დაზიანებულია, ოქროს ფურცელი ალაგ-ალაგ ამოვარდნილია (სურ.1). მეორე მედალიონის ბრტყელ პირზე გამოსახულია მანდილოსანი, რომელიც ზის კლდეზე (?). მკაფიოდ ჩანს ტანსა და ცალ ფეხზე შემოხვეული ჰიმატიონის ნაოჭები. მეორე ფეხი შეუმოსავია; იდაყვი მოხრილ წინ განვდილ ხელში რაღაც საგანი (ლარნაკი?) უჭირავს; ჩანს მანდილოსნის კისერი და და-

ზიანების გამო სახის მხოლოდ ნაწილი (ნიკაპი, ცხვირი, შუბლი). კარგი ნახელავი უნდა ყოფილიყო. გამოსახულება არ არის ღრმა, მასში ჩანს ხილია ძალიან თხელი ოქროს ფურცელი. მედალიონს ორივე ბოლო და გვერდის ნაწილი აკლია, გამოსახულება ნაკლებულია, ოქროს ფურცელი ალაგ-ალაგ ამოვარდნილია (სურ. 2).

ძველ ეგვიპტესა და ფინიკიაში მინის დამუშავების საკმაოდ განვითარებული ტექნიკა არსებობდა, მაგრამ მინის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი — გამჭვირვალეობა — ჯერ კიდევ ბოლომდე გათვითცნობიერებული არ იყო. მინა აღიქმებოდა ძირითადად, როგორც ფერადი ქვების შემცველი იაფი მასალა. პატარა ლარნაკები, მძივსაკიდები და მძივები მზადდებოდა გაუმჭვირვალე, მკვრივი მინისებური პასტისაგან. უფერო, გამჭვირვალე მინის ნაკეთობები ამ ხანაში ძალიან იშვიათია. ელინისტურ ხანაში ჩაისახა მინის დამუშავების ახალი მეთოდები. შეიქმნა სხვადასხვაგვარი მინის ნაწარმი, მათ შორის გამჭვირვალე მინის ოქროს ფურცლით შემკული ნაკეთობებიც [Макимова М. 1948:232-235]. ოქროს თხელი ფურცლის გამოყენება გამჭვირვალე მინის ნაკეთობების შესამკობად პირველად ეგვიპტეში დაიწყო. ძვ.წ. IV ს. აქ ჩაეყარა საფუძველი ოქროს ფურცლით შემკული მძივების დამზადების ხელოვნებას [Макимова М. 1948:235; Алексеева Е. 1978:27]. ამ მძივებში ოქროს ძალიან თხელი ფურცელი გამჭვირვალე, ხშირ შემთხვევაში უფერო ან ბაცი მწვანე მინის ორ ფენას შორის თავსდება, არის გამოცმძივებიშიგნიდანელვარებს. მარტივი მეთოდით — ჭედვით შესაძლებელი იყო ოქროს ძალიან თხელი (0,0001 მმ სისქის) ფურცლის მიღება, რაც ამ ძვირადღირებულ საორნამენტო მასალის ეკონომიის საშუალებას იძლეოდა [Алексеева 1978:27]. ოქროს

ფურცლით შემკული მძივების დამზადების ტექნიკა საკმაოდ რთული იყო. მისი არსებობა შეიძლებოდა მხოლოდ იმ ცენტრებში, სადაც იყო მინის განვითარებული წარმოება. ოქროს ფურცლით შემკული მინის ნაკეთობების დამზადება თხოულობდა მაღალ მხატვრულ ოსტატობას და გამოცდილებას არა მხოლოდ მინის დამუშავების სხვადასხვა მეთოდებისა, არამედ ოქრომჭედლობის ცოდნასაც. მინის მოოქროვილი ნაკეთობების ოსტატები იმავდროულად ოქრომჭედლებიც იყვნენ, რომლებიც ამ ნაკეთობების დამზადებაში ოსტატდებოდნენ. გარკვეული დროის შემდეგ ოქროს ფურცლით შემკული გამჭვირვალე მინის დამზადების ამ რთული ტექნიკის გამოყენება დაიწყო სხვადასხვა ნაკეთობების დასამზადებლად [Алексеева Е. 1978:21]. შემოინახა ოქროს ფურცლით შემკული ანტიკური დროის მცირერიცხოვანი თასები და ლარნაკები [Максимова М. 1948:242; Кунина Н. 1997:30-31, კატ. №48,49] და აგრეთვე მცირეოდენი გლიპტიკური ძეგლებიც. ოქროს ფურცლით შემკული ნაკეთობების შესრულების ტექნიკური სირთულე, მასალის სიძვირე, მსოფლიო მუზეუმებში მათი სიმცირე მონიშნავს, რომ ეს ნივთები ძვირადღირებულ ფუფუნების საგნებს წარმოადგენდა [Максимова М. 1948:238, სურ.95; Кунина Н. 1997:30].

ოქროს ფურცლით შემკული ნაკეთობანი საქართველოშიც გავრცელდა. სხვადასხვა ფორმისა და ზომის ოქროს ფურცლით შემკული მძივები როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ელინისტური ხანის დასაწყისიდანვე ჩნდება და მეტ-ნაკლები რაოდენობით რომაულ და შემდგომ ხანაშიც გვხვდება. დედოფლის გორაზე სასახლის №1 სათავსოში (ძვ.წ. I – ახ.წ. I სს.) აღმოჩნდა ოვალური, დაბრტყელებული, კოპებიანი ოქროს ფურცლით შემკული მძივის ფრაგმენტი აფროდიტე ანადიომენეს (?) გამოსახულებით (ცნობა მოგვანოდა ნ.გოგობერიძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებთ). მსგავსი მძივები ხერსონესიდან ახ.წ. I ს. კომპლექსებში არის აღმოჩენილი [Алексеева Е.

1978:32-33, ტაბ. 26, 63-66].

გარდა ამისა, საქართველოში აღმოჩენილია გლიპტიკური ხელოვნების იშვიათი ძეგლები: ტოპაზის ინტალიო ჰელიოსის გამოსახულებით სოფ. უსახელოდან, რომელიც ოქროს მედალიონს ამკობს (I-II სს.) [ლორთქიფანიძე მარგ. 1969:121-122, ტაბ.VII,109], მთის ბროლის ინტალიო რომის იმპერატორ ლუციუს ვერუსის (161-169 წწ.) გამოსახულებით, ჩასმული ოქროს მოთვალულ აგრაფში, ბათუმიდან (II ს.). (ორივე ნივთი ინახება პეტერბურგში, სახელმწიფო ერმიტაჟში) და ოქროს ბეჭედში ჩასმული ამეთვისტოს ინტალიო არმაზისხევიდან, რომელზედაც აქტეონის ირმად გადაქცევის მითოლოგიური სცენაა გამოსახული (II ს.) [ლორთქიფანიძე მარგ. 1969:125, ტაბ.VII,111]. ამ ნივთებში ქვის ამოჭრილ გამოსახულებებში ჩანს იშვიათი თხელი ფირფიტა – ფოლგა. ბუდეში ქვა ამოჭრილი პირით ქვევით არის ჩაბრუნებული, ისე რომ გამჭვირვალე ქვის ზედაპირზე ღრმად ნაკვეთი გამოსახულება ოქროსფრად გამოსჭვივის. სამივე ნივთი წარმოადგენს გლიპტიკური ხელოვნების მაღალმხატვრულ და შესრულების ტექნიკით იშვიათ ნიმუშებს.

კასპის რაიონის სოფ. ხოვლეში აღმოჩენილია ოქროს ფურცლით შემკული იშვიათი ნივთები: მინის ორი მოხატული სურა (ახ.წ. III ს), რომლებზედაც ანტიკური მითოლოგიური სცენები და ღვთაებები არის წარმოდგენილი [შატბერაშვილი ვ. 2007:88-90, ტაბ.178-179] და ბოლოს ტახტიძირის სამაროვანზე აღმოჩენილი ოქროს ფურცლით შემკული ორი მედალიონი, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს.

ოქროს ფურცლით შემკული მინის გლიპტიკური ძეგლების დამზადების ორგვარი ხერხი არსებობს. ერთ შემთხვევაში ნივთები მზადდებოდა ფერადი მინის ოვალური ფირფიტისაგან, რომლის ორივე მხარეს მოთავსებულია ოქროს ფურცლის დატვიფრული ფიგურები. შემდეგ ეს ორივე მხარე დაფარულია უფერო გამჭვირვალე მინის თხელი ფენით. ამგვარი წესით დამზადებული ნივთე-

ბი აღმოჩენილია ორი ცალი ბოსფორში, პავლოვის ყორღანში [Артамонов М. 1966:1176 №№274,275; Boardman J. 1970:233-234, გამოსახ. 822; Уильямс Д., ... 1995:171, № 108; ლატზ-ორსტერ . 2002:567, კატ. № 429 ც], ერთი - საბერძნეთში, თესალიაში, ჰომოლიონში, ერთ-ერთ სამარხში [Boardman 1970:234-235; Уильямс Д., ... 1995:171, № 109; Platz-Horster 2002:569, კატ. № 427ა]. კიდევ ერთი ასეთი ნივთი გამოფენილი იყო ლონდონში აუქციონზე [Уильямс Д., ... 1995:171]. ამგვარივე წესით არის დამზადებული ბერლინის მუზეუმში დაცული ტარენტოში აღმოჩენილი ნივთი, რომელშიც ოქროს ფურცლის დატვიფრული ფიგურები სპილოს ძვლის ოვალურ ფირფიტაზეა მოთავსებული და შემდეგ ბაცი ცისფერი გამჭვირვალე მინის თხელი ფენით დაფარული [Уильямс Д., ... 1995:171, № 110; Platz-Horster G. 2002:568, კატ. № 428]. ყველა ეს ნივთი ძვ.წ. IV საუკუნით, უმეტესად, საუკუნის მეორე ნახევრით არის დათარიღებული. პავლოვის ყორღანისა და ჰომოლიონის ნივთებზე მსჯელობისას ბორდმანი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ეს ნივთები ერთ სახელოსნოში, ალექსანდრიაში უნდა იყოს დამზადებული [Boardman J. 1970:233].

არსებობს ოქროს ფურცლით შემკული გლიპტიკური ძეგლები, რომლებიც სხვა ხერხით არის დამზადებული. ასეთებია მთლიანად ბაცი მომწვანო გამჭვირვალე მინისაგან დამზადებული ფარაკიანი ბეჭდები. ამ ბეჭდების ფარაკებზე გამოსახულება ამოჭრილია (ისინი ინტალიოებს წარმოადგენენ) და შიგ ჩანწეხილია ოქროს თხელი ფურცელი. შემდეგ ეს ფარაკი დაფარულია გამჭვირვალე მინის თხელი ფენით. ერთი ასეთი ბეჭედი ინახება მეტროპოლიტენ მუზეუმში, მეორე — ბრიტანეთის მუზეუმში. ორივე ეს ნივთი დათარიღებულია ძვ.წ. 350-300 წწ-ით [Уильямс Д.,... 1995:№159,160]. ერთი ასეთივე ბეჭედი აღმოჩენილია ყობანში, კურჯიპის ყორღანში. დათარიღებულია ძვ.წ. V-III საუკუნეებით [Галанина Л. 1980:89, №34].

ტახტიძირის მედალიონები დამზადებუ-

ლია ოქროს ფურცლით შემკული გლიპტიკური ძეგლების დამზადების მეორე ხერხით, მაგრამ სხვა ამგვარი ნივთებისაგან განსხვავებით, მათი ზედაპირი არ არის დაფარული გამჭვირვალე მინის დამცავი ფენით. როგორც ჩანს, მედალიონების ამოჭრილ გამოსახულებაში ჩანწეხილი ოქროს ფურცელი მიწებებული არის რალაც ნებოვანი ნივთიერებით, რომელსაც ახსენებს მ. მაქსიმოვა ოქროს ფურცლით შემკული მინის ბეჭდების შესახებ მსჯელობისას [Максимова М. 1948:242]. ტახტიძირის მედალიონები არ არის გახვრეტილი, არა აქვს არც ლითონის ჩარჩო (როგორც ეს პავლოვის ყორღანის, ჰომოლიუმის და ბერლინის მუზეუმში დაცულ ოქროს ფურცლით შემკულ ნივთებს). ამიტომ ძნელია წარმოდგენა იმისა, თუ როგორ იხმარებოდა ეს ნივთები. გვინდა აღვნიშნოთ, რომ არსებობს ტახტიძირის მსგავსი ცალ მხარეს ბრტყელი და მეორე მხარეს მცირედ ამობურცული გამჭვირვალე მინის მედალიონები, რომლებზედაც გამოსახულება შესრულებულია სხვადასხვა ფერის საღებავებით. პანტიკაპეონში აღმოჩენილია სამი ასეთი მედალიონი [Кунина Н. 1997:19, კატ. №65-67, სურ. 38-40; Кунина Н. 2002:186-191, კატ. №65-67, სურ.1ა,в; სურ.2,3. (ყველა დათარიღებულია ძვ.წ. IV საუკუნით)]; ორი აღმოჩენილია ქერსონესის ოლქის სოფ. პრივოლნოეში [Кубышев А., 1997:72, სურ.1; Островерхов А. 2009:71, სურ.1,2]. ასეთივე მედალიონი აღმოჩენილია კრასნოდარის მხარის ტენგინსკის ნაქალაქარზე ყორღან-საკურთხეველ №2-ში (ძვ.წ. IV ს.) [Эрлих В. 2010]. პრივოლნოეს ნივთების შემსწავლელები - კუბიშევი და ოსტროვერხოვი აღნიშნავენ, რომ ეს მედალიონები აღმოჩენილია მიცვალებულის ყელის არეში, ამიტომ მიიჩნევენ, რომ ეს არის ყელსაბამის შემადგენელი „კულონი“ ორი ნაწილი. აქ არაფერი არის ნათქვამი, როგორ იყო ეს „კულონი“ ჩართული ყელსაბამში. არ არის აღნიშნული, გახვრეტილია თუ არა ეს „კულონი“, ან აქვს თუ არა მას რაიმე ლითონის მოჩარჩოება (ფოტოზე ამგვარი არაფერი შეიმჩნევა) [იხ. Островерхов А. 2009:71, ფოტო

№1], რის გამოც ამ ნივთების გამოყენების შემოთავაზებული ვარიანტი ნაკლებად დამაჯერებლად გვეჩვენება. უფრო მართებულად მიგვაჩნია ნ. კუნიანას მოსაზრება, რომ საკითხი ამ ნივთების ხმარების შესახებ ღიად რჩება [Кунина Н. 2002:190].

რაც შეეხება ტახტიძირის მედალიონების გამოსახულებებს. მედალიონზე გამოსახული ფრთაგაშლილი გრიფონის მსგავსი გამოსახულებები ხშირად გვხვდება ძვ.წ. V-IV სს. ბერძნულ სკარაბეოიდებზე [Boardman J. 1970: №№ 464,465,512,616-618,622 და სხვა], ხოლო ლოდზე ან ტახტზე მჯდომი მანდილოსანი, რომელსაც ხელში სხვადასხვა საგნები (თასი, გვირგვინი, ფრინველი და სხვა) უჭირავს, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სიუჟეტია ძვ.წ. V-IV სს. ბერძნულ სკარაბეოიდებზე და ლითონის ფარაკიან ბეჭდებზე [Boardman J. 1970: №№632,674,687,759,778,779 და სხვა; Boardman J., 1978: ტაბ. XXVI,141, ტაბ. XXVII,144 და სხვა].

ვფიქრობთ, ტახტიძირის ეს ორი იშვიათი ნივთი ძვ.წ. IV ს. მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს. მათ, სავარაუდოდ, ეგვიპტესთან, კერძოდ კი ალექსანდრიასთან უნდა ჰქონდეთ კავშირი.

#### ლიტერატურა:

**გაგოშიძე იულ. 1997:** არქეოლოგიური გათხრები ტახტიძირში (ქარელის რ-ნი). — კავკასიის არქეოლოგია. უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები, საერთაშორისო სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსი. თბილისი, გვ.16-17.

**ლორთქიფანიძე მარგ. 1969:** ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, თბილისი.

**შატერაშვილი ვ. 2007:** მდიდრული სამარხი სოფელ ხოვლედან. — იბერია-კოლხეთი, №3, თბილისი, გვ.87-96.

**Алексеева Е. 1978:** Античные бусы Северного Причерноморья. – Вып. Г-2. Москва.

**Артамонов М. 1966:** Сокровища скифских курганов. Прага, Ленинград.

**Галанина Л. 1980:** Курджипский курган. Ленинград.

**Кубышев А., Островерхов А. 1997:** Стекланные погребальные «кулоны» раннеэллинистического времени из Северного Причерноморья. Чобручский археологический комплекс и вопросы взаимоотношения античной и варварской культур (IV в. до н.э.- IV в.н.э). – Материалы полевого семинара, Тирасполь, с. 72.

**Кунина Н. 1997:** Античное стекло. Санкт-Петербург.

**Кунина Н. 2000:** Стекланные медальоны с рисунками из некрополя Пантикапея. – Сб. Античное Причерноморье, научн. ред. С. Соловьев, Санкт-Петербург, с.186-191.

**Максимова М. 1948:** Обработка изделий. Стекло. Эллинистическая техника. – Сб. статей под ред. И.Толстого. с. 232-244.

**Островерхов А. 2009:** Складні медальйони і деякі питання ідеологічних уявлень населення Північного Причорномор'я у IV-III ст. до н.э. – Археология, №3

**Уилльямс Д., Огден Дж. 1995:** Греческое золото. Санкт-Петербург.

**Эрлих В. 2011:** Святилища некрополя Тенгинского городища IV-II вв. до н.э. Москва.

**Boardman J. 1970:** Greek Gems and Finger Rings. London.

**Boardman J., Vollenweider M. 1978:** Catalogue of the Engraved Gems and Finger Rings. I, Greek and Etruscan. Oxford.

**Platz-Horster G. 2002:** Griechischer Schmuck in "barbarischen" Gräbern. Die Griechische Klassik Idee Oder Wirklichkeit, Berlin .

#### ილუსტრაციების აღწერილობა:

**სურ 1.** მინის მედალიონი-ინტალიო, გრიფონის გამოსახულებით.

**სურ 2.** მინის მედალიონი-ინტალიო, მჯდომარე მანდილოსნის გამოსახულებით.

# I



სურ. 1



სურ. 2

## ზემო იმერეთი აღრეულ შუა საუკუნეებში

ყველა მკვლევარი, ვინც კი ზემო იმერეთის ძველი ისტორიის პრობლემებს შეხებია, მას განიხილავდა არგვეთის საერისთავოს ისტორიასთან მიმართებაში და ეს ვითარება არც არის მოულოდნელი, რადგან საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ეს მიწა-წყალი არგვეთის საერისთავოს შემადგენელი ტერიტორია იყო ამ უკანასკნელის შექმნის დღიდანვე. დღევანდელი მონაცემებით შედარებით კარგად არის შესწავლილი არგვეთის ამ ნაწილის ანტიკური ისტორიის საკითხები და ეს მომენტი დაკავშირებულია საირხის გახმაურებულ აღმოჩენებთან.

არგვეთის, როგორც ადმინისტრაციული და ტერიტორიული ერთეულის, კვლევას სათავე დაუდო გ. ცქიტიშვილმა და იმთავითვე ივარაუდა, არგვეთის საერისთავოს ფარგლებში ორი პოლიტიკური ერთეულის, შორაპნისა და საჩხერის ქვეყნების არსებობა [ცქიტიშვილი გ. 1964:58]. შეიძლება ითქვას, რომ განსვენებული მეცნიერის ამ მოსაზრებას თავის დროზე არავინ გამოხმაურებია და მხოლოდ საირხის აღმოჩენების შემდეგ დადგა დღის წესრიგში არგვეთის საერისთავოს პოლიტიკური სტრუქტურის გარკვევის მცდელობა.

სანამ ამ საკითხებზე შედარებით დანვრილებით შევჩერდებოდეთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ცნობილი მოვლენა, არგვეთის საერისთავოს შექმნა და თვალი გავადევნოთ წერილობით წყაროებში შემორჩენილ ცნობებს ზემო იმერეთში არსებული ადმინისტრაციული ერთეულების შესახებ.

„ქართლის ცხოვრების“ საისტორიო ტრადიცია, ლეონტი მროველი, არგვეთის საერისთავოს შექმნას მეფე ფარნავაზს მიანერს: „ერთი გაგზავნა მარგვის ერისთავად და მისცა მცირით მთითვან, რომელ არს

ლიხი, ვიდრე ზღუ[რ]მადე [ეგრისისა], რიონს ზემოთ და ამანვე ფარნავაზ ალაშენა ორნი ციხენი შორაპანი და დიშნა“ [ქც. 1955:24] ლეონტი მროველის გადმოცემის მიხედვით ვერ ირკვევა ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. კერძოდ, კონკრეტულად ვის ეკუთვნოდა არგვეთი და შესაბამისად, ზემო იმერეთი ფარნავაზამდე, ან რის საფუძველზე შექმნა აქ ქართლის მეფემ ადმინისტრაციული ოლქი. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია ნ. ბერძენიშვილის შენიშვნა, რომლის თანახმადაც, ლეონტი მროველს საქართველო სავსებით გამოკვეთილ, ცალკე ერთეულად წარმოუდგენია. ეს ქართლი არის სწორედ ის საქართველო X-XI საუკუნეებში საბოლოოდ რომ ჩამოინაკვთა და ლეონტის ერისთავნიც ისეთივენი არიან, როგორც იყვნენ ერისთავები XI საუკუნეში: ლეონტის ერისთავები მეფეებს სვამენ, ისინი ადგილთა ერისთავები არიან, მამა-პაპურ რჯულს იცავენ, მეფის თვითნებობას ებრძვიან და რაც ყველაზე უმთავრესია, ლეონტი არც ერთ შემთხვევას არ ასახელებს, რომ მეფე ერისთავებს ცვლიდეს. ერისთავები მკვიდრად სხედან თავიანთ საერისთავოებში. თითოეული საერისთავო ვეებერთელა ტერიტორიაა. რეალურ-ისტორიული საეჭვოა აქ რაიმე იყოს, სამაგიეროდ ლეონტის დროის სურათია მოცემული. ასეთი სურათი კი ყველაზე უფრო შესაფერია X-XI საუკუნეებისათვის [ბერძენიშვილი ნ. 1979:12-15]. როგორც ვხედავთ, თავიდანვე არსებობდა ეჭვი ფარნავაზის დროინდელი საერისთავოების, მათ შორის არგვეთის საერისთავოს, ლეონტი მროველისეული ინტერპრეტაციის გარშემო და მიიჩნეოდა, რომ ეს ადმინისტრაციული ერთეული ფეოდალური ურთიერთობებისა და საქართველოს გაერთიანების თანადროული პროდუქტი უნდა ყოფილიყო. თუმცა,

სამეცნიერო ლიტერატურაში, მიზეზი იმისა, თუ რას უნდა გამოეწვია, თუნდაც შუა საუკუნეების არგვეთში საერისთავოს შექმნა, დღემდე თითქმის პასუხგაუცემელია. სამაგიეროდ, კარგად არის ცნობილი ის ეკონომიკური წანამძღვრები, რომლებმაც გამოიწვია ყვირილის ხეობაში მოსახლე საზოგადოების დაწინაურება ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან. მ. ინაძის აზრით, ამ მოვლენის ეკონომიკური საფუძველი იყო მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება [ინაძე მ. 1995:134], ხოლო ჯ. ნადირაძის მოსაზრებით, ყვირილის ხეობის საზოგადოების აღმავლობას საფუძველი მისცა ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის განვითარების მაღალმა დონემ [ნადირაძე ჯ. 1990:8-22]. ამ საკითხებზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ანტიკური ეპოქის ტრადიციები არ შეიძლება დაკარგულიყო ახ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში და როგორც ამას ზემო იმერეთის არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებს, აღნიშნული პერიოდის საზოგადოებაც იდგა განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე. ნათქვამის მკაფიო დასტური მოდინახეს, რგანისა და ჯიეთის გვიანანტიკური ხანის სამარხებია, რომლებშიც გამოვლენილია ოქრომჭედლობის, ტორევეტიკისა და იარაღის არაერთი ბრწყინვალე ნიმუში, რაც ამკარად მიუთითებს მათ მფლობელთა დიდ ეკონომიკურ შესაძლებლობებზე.

სამწუხაროდ, ნათქვამის დამადასტურებელი წერილობითი წყაროების ცნობები პრაქტიკულად არ გაგვაჩნია. საერთოდ, ზემო იმერეთის ადრეული შუა საუკუნეების ისტორიის შესახებ ქართული საისტორიო მწერლობა არანაირ ცნობებს არ გვანვდის. ასეთ ცნობებს ვერ ვხვდებით ვერც თანადროულ ბიზანტიურ საისტორიო მწერლობაში. არადა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადრეული შუა საუკუნეები, V და განსაკუთრებით, VI საუკუნე მოვლენებით დატვირთული პერიოდია როგორც ქართლის, ასევე ეგრისის ისტორიაში. ეს არის გამოჩენილი მეფეების, ვახტანგ გორგასლის, გუბაზ I-ისა და გუბაზ

II-ის მოღვაწეობის ხანა. VI საუკუნე ქართლში სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა და მისი ხელახალი აღდგენის ეპოქაა, ხოლო იმავე ხანების ეგრისში მძვინვარებს „დიდი ომიანობა“. VII საუკუნის 50-იან წლებში საქართველოში ლაშქრობენ არაბები.

მოდინახეს სამაროვანი, ჯიეთისა და იცქისის ნამოსახლარი ფენები სწორედ აღნიშნული მოვლენების თანადროულია და საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ ძეგლების შემოქმედი საზოგადოება აქტიურად იყო ჩაბმული ხსენებული პერიოდის ისტორიულ რეალებში და ამ ვითარებაში ცოტა მოულოდნელადაც გამოიყურება წერილობითი წყაროების მხრიდან აღნიშნული მხარის სრული იგნორირება. არსებული რეალობა გვაფიქრებინებს, რომ ზემო იმერეთი, შესაძლოა, ამ დიდი ისტორიული მოვლენების მიღმა დარჩა და მას არ შეხებია არც ირანელთა თარეში, არც „დიდი ომიანობის“ პერიპეტიები და ამ კუთხეში არც არაბებს შეუღწევიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთერთი ეს მოვლენა აუცილებლად აისახებოდა რომელიმე საისტორიო წყაროში. ასე რომ, მხოლოდ არქეოლოგიური მონაცემებილა გვრჩება ზემო იმერეთის ადრეული შუა საუკუნეების ისტორიული სურათის შესაძლო რეკონსტრუქციის საქმეში.

პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის ნაშრომებიდან ცნობილი ხდება, რომ ირან-ბიზანტიას მიმდინარე ხანგრძლივი ომის აქტიური მონაწილეები იყვნენ ქართული სახელმწიფოებიც (ქართლი და ეგრისი). ჩვენთვის საინტერესო რეგიონთან დაკავშირებით, ამ ცნობებიდან გამომდინარე, მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ზემო იმერეთში საომარი მოქმედებები არ განვითარებულა და აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი არც ბიზანტიელებისთვის და არც ირანელებისთვის ინტერესის სფეროს არ წარმოადგენდა. ეს ვითარება კი ცოტა უცნაურად გამოიყურება, რადგან ცნობილია, რომ ორივე მეომარ მხარეს დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში



ამკარად ჰქონდათ საკუთარი, მყარად გამოკვეთილი სტრატეგიული მიზნები და ისიც კარგად არის ცნობილი, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ირანიც და ბიზანტიაც ეგრისისა და ქართლის მომიჯნავე რეგიონის გაკონტროლების საქმეს. ამის დასტურად შორაპნისა და სკანდას ციხეების მაგალითებიც საკმარისია. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ხსენებული ციხეები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ადრეული შუა საუკუნეების ეგრისის ცხოვრებაში და წარმოადგენდნენ რიონ-ყვირილის სასიმაგრო თავდაცვითი ხაზის სასიცოცხლო საფორტიფიკაციო ნაგებობებს [ლანჩავა ომ. 1998:48-50]. შორაპანიც და სკანდაც ზემო იმერეთის მოსაზღვრე ციხეებია. საკუთრივ ზემო იმერეთიც მდიდარია საფორტიფიკაციო ნაგებობებით (ციხე მოდინახე, წინსოფლის ციხე, ხრეთის ციხე, სვერის ციხე, იცქისის ციხე, თოდაძის ციხე, ნიგოზეთის ციხე, ნავარძეთის ციხე), მაგრამ არც ერთი მათგანის შესახებ ადრეული შუა საუკუნეების ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებული ცნობა არ მოგვეპოვება. ამ ვითარებას მხოლოდ ორი ახსნა შეიძლება ჰქონდეს. პირველი, რომ აღნიშნულ ციხეებს არანაირი გამოყენება არ ჰქონდათ და შესაბამისად, არც არანაირ როლს ასრულებდნენ ამ პერიოდის ისტორიულ პროცესებში. რაც ჩვენ ნაკლებ სარწმუნოდ გვეჩვენება, რადგან თუ ეს მართლა ასე იყო, საერთოდ რა აზრი ჰქონდა მათ აშენებას. და მეორე, რაც ჩვენი აზრით, უფრო ახლოს არის სინამდვილესთან და გამოიხატება იმაში, რომ ეს ციხეები აშენდა ამ მოვლენებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. მაგრამ ამ ვითარებაშიც ცოტა გაუგებარია ის მდგომარეობა, რომ არც განვითარებულ და არც გვიან შუა საუკუნეებში მათ შესახებ წერილობითი ცნობები არც თუ ისე მრავალრიცხოვანია და შეიძლება ითქვას, რომ თუ მხედველობაში არ მივიღებთ სვერისა და მოდინახეს ციხეების ირგვლივ დაცულ ორიოდ ცნობას, სხვა მონაცემები არ დასტურდება. ამიტომ არ გამოვრიცხავთ იმ ვარაუდის

დაშვების შესაძლებლობასაც, რომ VI-VII საუკუნეებში ეს ციხეები საერთოდ არ არსებობდა და შესაბამისად, ზემო იმერეთიც უციხეებო რეგიონს წარმოადგენდა. აქვე ისიც გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ციხეების პრობლემა ცალკე კვლევის საგანია, მაგრამ ჩვენ ეს საკითხი სხვა კუთხით გვაინტერესებს. კერძოდ, ვცდილობთ გავერკვეთ, რა ურთიერთმიმართება შეიძლება არსებობდეს ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიურ არტეფაქტებსა და საკუთრივ არქიტექტურულ ნაგებობებს შორის. თუმცა, იმაშიც მყარად ვართ დარწმუნებული, რომ ეს საკითხი ამ ეტაპზე ალბათ, მაინც ვერ გაირკვევა, რადგან არქეოლოგიური გათხრების გარდა აუცილებელია საკუთრივ ამ ძეგლთა არქიტექტურული ანალიზიც, რაც, რა თქმა უნდა, სცილდება წარმოდგენილი ნაშრომის ფარგლებს. აქვე ისიც ამკარაა, რომ ციხეებს ზოგადად ისტორიული თვალსაზრისითაც ენიჭება დიდი მნიშვნელობა, რადგან როდესაც რომელიმე ტერიტორიის საგამგეო ერთეულად განხილვას ვცდილობთ, მით უფრო ადრეულ შუა საუკუნეებში, ციხეების პრობლემას გვერდს ვერ ავუვლით. ეს იმიტომ რომ, ამა თუ იმ ლოკალური კუთხის მმართველი ზედაფენის სოციალური დეტერმინაცია წარმოუდგენელი ან ნაკლებ სარწმუნოა სათანადო ციხის ფლობის გარეშე, რადგან როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, მმართველის პოლიტიკური ძალა მის მიერ ციხის აშენებაშია განსახიერებული, რამეთუ ვინც ციხის უფალია, ის ქვეყნის რეალური მფლობელი და გამგებელიც არის [ინაძე მ. 1988:158]. სათანადო კვლევებით თუ დადასტურდებოდა, რომ ზემო იმერეთის რომელიმე ციხე აგებულია ადრეულ შუა საუკუნეებში, მაშინ უფრო დაბეჯითებით შეიძლებოდა მსჯელობა ამ მინა-წყლის ცალკე საგამგეო ერთეულად არსებობის შესახებ. აღნიშნულ საკითხს ქვემოთ კვლავ დავუბრუნდებით, ახლა კი მხოლოდ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ სკანდა-შორაპნის სასიმაგრო ზოლის ფუნქციონირე-

ბის პირობებში, ზემო იმერეთი, ერთი შეხედვით, საერთო ისტორიული კონტექსტიდან ამოვარდნილად გამოიყურება და ჩვენს მიზანსაც იმის გარკვევა წარმოადგენს, რამდენად აქვს რეალური საფუძველი ასეთი მსჯელობის შესაძლებლობას. ვფიქრობთ, ეს საკითხი პირდაპირ უკავშირდება არგვეთის საერისთავოს პრობლემას და ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ „ქართლის ცხოვრების“ საისტორიო ტრადიცია არგვეთის საერისთავოს შექმნას (ისევე, როგორც სხვა დანარჩენი საერისთავოებისა) არ განიხილავს ციხეების გარეშე და ლეონტი მროველის თანახმად, ფარნავაზი კოლხეთის აღმოსავლეთში ახორციელებს ერთდროულად ორ მოქმედებას: აარსებს საერისთავოს და აგებს ორ ციხეს. ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთმნიშვნელოვნად მოხდა არგვეთის საერისთავოს გაიგივება შორაპნის საერისთავოსთან (გ. ცქიტიშვილი) და დიმნას თავიდანვე მიენიჭა მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა. უცილობელი ფაქტია, რომ შორაპანი მიჩნეულია ფარნავაზის მიერ შექმნილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ცენტრად, ხოლო ამ ვითარებაში რაღა ფუნქცია ჰქონდა დიმნას ციხეს და საერთოდ დიშ, ეს კითხვა დღემდე თითქმის უპასუხოდაა დარჩენილი და შეიძლება ითქვას, რომ ამ პრობლემაზე პასუხის გაცემა არც არავის უცდია. ინტერესმოკლებული არ არის იმის აღნიშვნაც, რომ არგვეთის საერისთავოსთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულ ლეონტი მროველისეულ ისტორიულ კონცეფციას გარკვეულწილად ეხმიანება ჯუანშერიც, რომელიც ამ საგამგეო ერთეულს იმავე გეოგრაფიულ არეალში ათავსებს, როგორც ლეონტი მროველი, მაგრამ განსხვავებით, მას წარმოადგენს უფრო დიდ ადმინისტრაციულ ოლქად. ჯუანშერის თანახმად, ვახტანგ გორგასლის მიერ ამ კუთხის ერისთავად დადგენილი ბაკური ერთდროულად არგვეთისა და თავკერის მფლობელია [ქც. 1955:185]. ე.ი. ამ პერიოდში არგვეთის საერისთავო რაჭასაც

მოიცავს. ჩვენ საშუალება გვაქვს „ქართლის ცხოვრების“ ეს ცნობები შევადაროთ ადრეული შუა საუკუნეების ბიზანტიურ საისტორიო მწერლობაში (პროკოპი კესარიელი) შემონახულ ცნობებს და გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები. პროკოპი კესარიელი, რომელიც კარგად იცნობს დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიას, გადმოგვცემს, რომ რაჭა-ლეჩხუმი (სკვიმნიის სამთავრო) შედიოდა ეგრისის სამეფოს დაქვემდებარებაში და არანაირად არ იყო დამოკიდებული ქართლის სამეფოზე [პროკოპი კესარიელი 1966:126]. აქვე ისიც საკითხავია, რამდენად მიუწვდებოდა ხელი ვახტანგ გორგასალს და რამდენად შესწევდა საიმისოდ პოლიტიკური ძალა, რომ დასავლეთ საქართველოში შეექმნა ქართლის სამეფოსადმი დამოკიდებული საერისთავო. არგვეთის რაღაც ნაწილი, უფრო ქართლთან მიმდებარე მინა-წყალი, საფიქრებელია, რომ ამ პერიოდშიც აღმოსავლურ ქართული სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ ამ ვითარებას ჰქონდა რამდენიმე საუკუნის ტრადიცია და არაფერ შუაში იყო ვახტანგ გორგასლის პოლიტიკური ნებასურვილი. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი მიიჩნევდა, რომ ლეონტი მროველთან და ჯუანშერთან მოხსენიებული ფარნავაზისა და ვახტანგ გორგასლის დროინდელი საერისთავო ტერიტორიები წარმოადგენდა რეალური ისტორიული ფაქტების ანარეკლს [ბერძენიშვილი ნ. 1975:154]. მისივე აზრით, ეს საერისთავო ქვეყნები უფრო ძლიერ და მტკიცე მომენტზე იყო დამყარებული, ვიდრე სახელმწიფოს მეთაურთა რაციონალისტურ, ადმინისტრაციულ და სახელმწიფოებრივ ღონისძიებებზე და ემყარებოდნენ ეთნიკური და ტერიტორიული წარმონაქმნობის პრინციპს [ბერძენიშვილი ნ. 1975:154]. ამ ეტაპზე ჩვენი კვლევის მნიშვნელობისთვის კიდევ ერთი ნიშანდობლივი მომენტი ნ. ბერძენიშვილის მსჯელობიდან: „ქვეყნის დაყოფა საერისთავოებად, ე.ი. ქვეყნის ადმინისტრაციული დანაწილება სახელმწიფოს წარმოქმნის ნიშანია.. ასეთი დან-

ანლიება ხდება არა ვინმეს (მეფის) ნებისმიერად, არამედ ისტორიულად წარმოიქმნება სხვადასხვა „ქვეყნების“ წარმოქმნის შედეგად. ასე რომ, პროცესი პირუკუ არის იმისა, როგორც ჩვენ ამას გვიხატავენ. ე.ი. უწინ დიდი ქვეყანები (ქართლოსის, ეგროსის, ჰეროსის და სხვ.) კი არ წარმოქმნილან, როგორც ამას ლეონტი წარმოგვიდგენს და მერმე რომელიმე ფარნავაზს (პირველ მეფეს) კი არ დაუნაწილებია ადმინისტრაციულ ერთეულებად, არამედ, პირიქით — საუკუნეთა მანძილზე ესა თუ ის „ქვეყანა“ იქმნებოდა, ხვდებოდნენ ურთიერთს ეს ქვეყნები. იბრძოდნენ, უკავშირდებოდნენ, ქრებოდნენ, ძლიერდებოდნენ, ითქვიფებოდნენ და ბოლოს და ბოლოს ყალიბდებოდნენ გარკვეული მტკიცე ერთეულები — „ქვეყნები“, რომელთა გაერთიანებას ახერხებდა გარკვეულ უპირატესობათა მქონე „ქვეყანა“, რომელიც ასეთ ერთეულებს გარს შემოიკრებდა. ასეთი საერისთავოები იყო ისტორიული წარმონაქმნი ქვეყნები, რომელთა გადაქცევა ადმინისტრაციულ ერთეულებად იყო ქვეყნის განვითარების ახალი საფეხური. უძველესი ერისთავი ეს იგივე ბასილევუსია, „მამასახლისი“ სკეპტუხი, რომელიც დროთა განმავლობაში თანდათან კარგავს ბასილევუსობას ერთადერთი (პირველი) ბასილევუსის გაძლიერების სასარგებლოდ. ვიდრე, ბოლოს უბრალო მოხელე ერისთავად არ გადაიქცევა“ [ბერძენიშვილი ნ. 1975:150]. ამ ვრცელი მსჯელობიდან გამომდინარე, უნდა დავეთანხმოთ მოსაზრებას, იმასთან დაკავშირებით, რომ ამა თუ იმ საერისთავოს ტერიტორია თავდაპირველად შედარებით მცირე მინა-წყალს მოიცავდა და შემდეგ ხდებოდა მათი ერთ დიდ ადმინისტრაციულ ოლქად გაერთიანება [ინაძე მ. 1988:159]. ეჭვგარეშეა, რომ ანალოგიური სიტუაცია იქნებოდა არგვეთის საერისთავოსთან დაკავშირებითაც. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ლეონტი მროველისა და ჯუანშერის წარმოდგენები არგვეთის დიდი საერისთავოს არსებობის შესახებ, გაზვიადებულია და არ ასახავს იმ ისტორიულ

რეალობას, რასაც ადგილი ჰქონდა ანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების ზემო იმერეთში.

როგორც ანტიკური, ასევე ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების მონაცემები მიანიშნებენ, რომ ზემო იმერეთს რაღაც პოლიტიკური ერთეულის სტატუსი უნდა ჰქონოდა და არ არის გამორიცხული, რომ წარმოადგენდა საგამგეო ტერიტორიას. თუმცა, ადრეული შუა საუკუნეებისთვის ეს ვარაუდი ჯერ კიდევ საკამათო მოსაზრებათა რიგს მიეკუთვნება, რადგან ჩვენს განკარგულებაში არსებული არქეოლოგიური ძეგლები ერთმნიშვნელოვნად არ იძლევიან აღნიშნული თვალსაზრისის გადაჭრით მტკიცების საშუალებას, მაგრამ კატეგორიულად არც საპირისპიროს გამორიცხავენ. ძნელი სათქმელია, რამდენად მართებულია კონკრეტული პერიოდისთვის ადრეული ან შედარებით მერმინდელი ანალოგიების მომველიება, მაგრამ თუ ასეთ მეთოდს მივმართავდით, ამ შემთხვევაში, გაცილებით მარტივი იქნებოდა ზემოთქმული ვარაუდის დასაბუთება, რადგან ცნობილია, რომ განვითარებული შუა საუკუნეების ზემო იმერეთი ნამდვილად წარმოადგენდა საქართველოს ერთერთი მნიშვნელოვანი ფეოდალს, არგვეთის საერისთავოს ნაწილს და აქვე მდებარეობდა ერისთავის რეზიდენციაც. მხედველობაში გვაქვს „მატიანე ქართლისაში“ მოხსენიებული ჩიხის საერისთავო. აღნიშნულ ისტორიულ წყაროში უკვე აღარაა ნახსენები ლეონტი მროველისა და ჯუანშერისეული არგვეთის საერისთავო და დასტურდება „ერისთავი ჩიხისა“. მართალია, მატიანეში პირდაპირ არ არის ნახსენები ჩიხის საერისთავო, მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ „ერისთავი ჩიხისა“, რა თქმა უნდა, საერისთავო მინა-წყალს გულისხმობს. ამ საერისთავოს მოხსენიება უკავშირდება აფხაზთა მეფეების ქართლისთვის ბრძოლის პერიპეტიებს: „მას ჟამსა გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე, ძმა თეოდოსესი და დემეტრესი, ძე ლეონისი. დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად

ჩიხას ძე დემეტრესი. და ვითარ გარდაიცვალა გიორგი, აფხაზთა მეფე, დარჩა ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერქუა ბაგრატი, რომელი იცნობების ექსორიაქმნილობით. და ცოლმან გიორგი მეფისამან მოკლა ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა.“ [ქც. 1955:258]. როგორც მოხმობილი ციტატიდან ჩანს, „ერისთავი ჩიხისა“ სულ ორჯერ მოიხსენიება ქართულ საისტორიო მწერლობაში. ნ. ბერძენიშვილი ეჭვობდა, ხომ არ იგულისხმებოდა ამ შემთხვევაში „ჩიხის ერისთავი“ ქართლის ერისთავად [ბერძენიშვილი ნ. 1975:354]. თუ ჩიხა ქართლის საერისთავო იყო, მაშინ ცხადია, რომ ამ პერიოდის ზემო იმერეთიც, შესაბამისად ქართლის ფარგლებში იქნებოდა მოქცეული. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ალბათ, საინტერესო უნდა იყოს არა ის, თუ ვის ექვემდებარება ეს მხარე, არამედ ის, თუ როდიდან შეიძლება ვივარაუდოთ აღნიშნული საერისთავოს არსებობა. სამწუხაროდ, „მატიანე ქართლისა“ ამ პრობლემის ირგვლივ პასუხს არ იძლევა. ამის მიუხედავად, ეს ცნობა არაერთ საყურადღებო კითხვას ბადებს და მათზე პასუხის გაცემა პირდაპირ უკავშირდება ზემო იმერეთის ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების პრობლემას. აქვე იმასაც დავძენთ, რომ არქეოლოგიური თვალსაზრისით სოფელი ჩიხა თითქმის შეუსწავლელია და აქ მხოლოდ XX საუკუნის 70-იან წლებში ჩაატარა ჯ. ნადირაძემ მცირე მასშტაბის სადაზვერვო სამუშაოები. სოფლის ეკლესიის სამხრეთით, ადგილ „გობინარში“ დადასტურდა ადრე ანტიკური და ელინისტური ხანის მატერიალური კულტურის შემცველი ფენების უაღრესად მწირი ნაშთები. გამოვლინდა ნითლად მოხატული და ნითლად შეღებილი კერამიკის მცირე ფრაგმენტები. როგორც გამთხრელი აღნიშნავდა, ელინისტური ხანის შემდგომ ეს ადგილი აღარ წარმოადგენდა დასახლებულ პუნქტს [ნადირაძე ჯ. 1990:135-136] ბუნებრივია, ერთი სადაზვერვო თხრილის მონაცემებზე დაყრდნობით ძალიან ძნელია ზოგადად დასახლებული პუნქტის შესახებ

მსჯელობა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალა ამ, თუნდაც მცირე გათხრებს, არ მოუცია. შესაძლებელია, მომავალში არ გამოირიცხოს ჩიხაში სხვადასხვა პერიოდების კულტურული ფენების აღმოჩენა, მაგრამ ამჟამად ჩვენთვის ცნობილი მასალა ნამდვილად არ უჭერს მხარს აქ შუა საუკუნეების ნივთიერი კულტურის არქეოლოგიურ დადასტურებას. თუმცა, აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ წერილობითი წყაროს ცნობა შეიძლებოდა საკმარისი საბუთიც ყოფილიყო, მაგრამ არქეოლოგიური მასალის არსებობა, რა თქმა უნდა, დამატებითი არგუმენტი იქნებოდა და აღმოჩენის შემთხვევაში, უცილობლად გაამყარებდა „მატიანე ქართლისას“ ცნობის სისწორეს ჩიხის, როგორც საერისთავო რეზიდენციად არსებობის თაობაზე. ნ. ბერძენიშვილი მიიჩნევდა, რომ ჩიხა შემდეგ დროინდელი საჩხერის მაგივრობას სწევდა [ბერძენიშვილი ნ. 1966:31]. ამ მოსაზრებით თითქოს ირიბად არის ნათქვამი, რომ ჩიხა და საჩხერე შესაძლებელია, ერთი და იგივე გეოგრაფიული პუნქტი ყოფილიყო. ასეთ ვარაუდს მხარს უნდა უჭერდეს მოდინახეს სამაროვნის მონაცემებიც, რადგანაც იგი საჩხერისა და ჩიხის მიდამოებში შუა საუკუნეების, ჯერჯერობით, ერთადერთი გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლია. მოდინახეს სამაროვანზე აშკარად გამოიყოფა ორი შედარებით ფართო ქრონოლოგიური პლასტი: გვიანანტიკური (IV საუკუნის პირველი ნახევრისა და შუა წლების) [ნადირაძე ჯ. 1975:4-45] და ადრეული შუა საუკუნეების (IV საუკუნის მიწურული-VII საუკუნე) კომპლექსები [კაპანაძე ნ. 2006:110-124]. ბუნებრივია, რომ ამ ორ მთავარ ჯგუფში შესაძლებელი ხდება შედარებით ვიწრო ქრონოლოგიური შკალის გამოყოფაც. ამ ეტაპზე მნიშვნელობას ვანიჭებთ გვიანანტიკური ხანის მდიდრულ სამარხებს, რადგან სწორედ ისინი მიაჩნებენ, რომ სამაროვანი მხოლოდ რიგითი სოციალური წრის წარმომადგენელთა საძვალე არ უნდა ყოფილიყო. ამის შესახებ ჯერ კიდევ ჯ.ნადირაძე მიუ-

თითებდა და აღნიშნავდა, რომ გვიანანტიკური ხანის დასაწყისიდან არგვეთის საერისთავოს ცენტრი მდ. ყვირილის მარჯვენა ნაპირზე უნდა არსებულიყო და ამ ქვეყნის გამგებელთა რეზიდენცია, ისევე, როგორც ნეკროპოლი, საძებნი იყო ქ. საჩხერის ტერიტორიაზე და ქართული ენის ნორმებიდან გამომდინარე, არ გამოირიცხებოდა შედარებით გვიან გაჩენილ ტოპონიმ საჩხერის ჩიხასთან დაკავშირება [ნადირაძე ჯ. 1975:76]. თუ ეს მოსაზრება სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ ცხადი გახდება, რომ სწორედ მოდინახეს ნეკროპოლიდან ეყრება საფუძველი შუა საუკუნეების ჩიხის (საჩხერის) საერისთავოს. ამ შემთხვევაში ნადვილად არ არის უკანა პლანზე გადასაწევი ჩიხასთან შედარებით საჩხერის გაცილებით მოხერხებული სტრატეგიული მდებარეობა. საჩხერესთან თავს იყრის სასიცოცხლო მნიშვნელობის გზები, რომლებსაც ყოველთვის დიდი დატვირთვა ჰქონდათ და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. უკლებლივ ყველა მკვლევარი, ვინც კი ჩიხის საერისთავოს პრობლემას შეხებია, უყოყმანოდ აღნიშნავს, რომ იგი ქართლის ერისთავის რეზიდენციას წარმოადგენდა (ნ. ბერძენიშვილი, დ. მუსხელიშვილი), მაგრამ თვით ამ საერისთავოს გენეზისის საკითხი არც ერთს საგანგებო ძიების საგნად არ გაუხდია. ამ მხრივ გამოწკლისს წარმოადგენს მხოლოდ ჯ. ნადირაძის ზემოთ მოხმობილი მოსაზრება, რომელსაც ჩვენ სავსებით ვიზიარებთ. ამ საკითხთან მიმართებაში ნამდვილად უინტერესოდ არ გამოიყურება იცქისის ციხის აღმოჩენები. როგორც მისმა არქეოლოგიურმა შესწავლამ გვიჩვენა, VI-VII საუკუნეები წარმოადგენს ამ სამოსახლოს აღმავლობის პერიოდს. ათვისებულია თითქმის მთელი გორა და კულტურული ფენების სისქე 2 მ-ს აღწევს. ამ რეალობიდან გამომდინარე, არქეოლოგიურ ლიტერატურაში გამოითქვა ვარაუდი, რომ შესაძლოა ამ ეპოქის იცქისის ციხე წარმოადგენდა მდ. ყვირილის ზემო წელზე

არსებულ მთავარ საფორტიფიკაციო ნაგებობას და აკონტროლებდა შიდა ქართლის მთიანეთსა და ბარში მიმავალ გზებს. არ გამოირიცხება ის ვარაუდიც, რომ ასეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი რეგიონის მმართველის რეზიდენციაც ყოფილიყო [მახარაძე გ., ... 2005:40]. იცქისის ციხის მიმდებარე მიწა-წყლის განსაკუთრებულ დაწინაურებულობაზე მიანიშნებს ხუროთმოძღვრების ძეგლებიც, რომელთა შორის ისტორიული მნიშვნელობით აშკარად გამოირჩევა სავანის წმ. გიორგის სახელობის დარბაზული ეკლესია. ტაძრის ფასადები მდიდრულად არის დეკორირებული და იგი XI საუკუნის არქიტექტურის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს. ტაძრის კედლებზე შემორჩენილია ისტორიული ხასიათის რამდენიმე წარწერა, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამხრეთის კარიბჭის ტიმპანის წარწერას, საიდანაც ირკვევა, რომ ეკლესია მეფე ბაგრატ IV-ის ზეობის ხანაში, 1046 წელს აუგია გიორგი ერისთავთერისთავს. აქვე ფიქსირებულია ერისთავთერისთავის გარდაცვლილი მშობლების გულზვიადისა და მარიამის, ძმის (შემორჩენილია მხოლოდ ერთი გრაფემა „ხ“) და შვილის, გოლიათის სახელები [სილოგავა ვ. 1980:59]. დედოფალი მარიამი და მისი შვილები გიორგი და ხურსი მოიხსენიებიან ქორეთის ღვთაების ეკლესიის 1000 წლით დათარიღებულ წარწერაშიც, რომელიც შეისწავლა და გამოაქვეყნა გ. გაფრინდაშვილმა. მანვე მართებულად დაუკავშირა ერთმანეთს სავანისა და ქორეთის ეკლესიათა ქტიტორები და მიიჩნია, რომ სავანის ეკლესიის წარწერის გიორგი ერისთავთერისთავის ძმის სახელი იყო ხურსი [გაფრინდაშვილი 1970:54-61]. ამრიგად, სავანის ეკლესიის მამულებელია გიორგი ერისთავთერისთავი. იგი ძლიერი ფეოდალური სახლის წარმომადგენელია და უეჭველია ისიც, რომ ეს საგვარეულო დიდ მამულებთან ერთად ფლობდა ქართლში გადამავალ გზებს და ეწეოდა ფართო აღმშენებლობით საქმიანობას. იცქისის ციხისა და სა-

ვანის წმ. გიორგის ეკლესიის არსებობა კარგად თანხვედბა ერთმანეთს და გამორიცხული არ არის, რომ ამ ძლიერი ფეოდალური სახლის რეზიდენცია სწორედ იცქისის ციხე ყოფილიყო. თუ ეს მსჯელობა ახლოს დგას რეალობასთან, მაშინ X-XI საუკუნეების ყვირილის ხეობის ზემო ნელზე საქმე უნდა გვექონდეს რამდენიმე (ორ, სამ?) საერისთავო რეზიდენციასთან. ჩიხისა და იცქისის გარდა აუცილებლად აღსანიშნავია ბალვაშთა საკმაოდ ძლიერი ფეოდალური სახლის რეზიდენციაც კაცხში. შესაძლებელია თუ არა ვივარაუდოთ ერთი შეხედვით მცირე ტერიტორიაზე ამდენი საერისთავო ცენტრის არსებობა. აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ დროის ამ მონაკვეთში უნდა ეარსება საკუთრივ არგვეთის საერისთავოსაც. ყოველ შემთხვევაში, წერილობითი წყაროების მიხედვით თითქმის არ დასტურდება აღნიშნული საერისთავოს გაუქმება ან ტრანსფორმაცია და თუ დამტკიცდებოდა ვარაუდი, რომლის თანახმადაც იცქისის, ჩიხისა და კაცხის ერისთავები არგვეთის საერისთავოს ფარგლებში არსებული საერისთავო ცენტრების გამგებლები იყვნენ, მაშინ საშუალება გვექნებოდა, გვევარაუდა საერისთავოს შიგნით გარკვეულ იერარქიულ ინტიტუციებზე. მაგრამ იგივე წერილობითი წყაროების მონაცემებით (“ქართლის ცხოვრება“) ბალვაშებთან მიმართებაში ამგვარი ვარაუდის დაშვებაც კი პრინციპულად გამორიცხულია, რადგან ეს საგვარეულო თვით ერთიანი საქართველოს მეფეებსაც არ ემორჩილებოდა და ცხადია, სრულიად ანტიმეცნიერული იქნებოდა იმის წარმოდგენა, თითქოს ისინი რომელიმე რეგიონის მმართველ ერისთავს ექვემდებარებოდნენ. სამწუხაროდ, წერილობითი წყაროებით არც ის ირკვევა, რა დამოკიდებულება არსებობდა ერთი მხრივ, ჩიხასა და იცქისში მსხდომ ერისთავებსა და მეორე მხრივ, ბალვაშებს შორის და ემორჩილებოდნენ თუ არა ეს ერისთავები ბალვაშთა საგვარეულოს. ისტორი-

ული რეალობის გათვალისწინებით ასეთი სახის სიუზერენია უფრო მისაღები და ალბათ, ლოგიკურიც იქნებოდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში არგვეთის პოლიტიკური დაქვემდებარებულობის პრობლემა ასე თუ ისე გარკვეულია და მტკიცედ ფეხმოკიდებული მოსაზრებების თანახმად, X საუკუნეში იგი ქართლის საერისთავოდ განიხილება. სრულიად განსხვავებულ ვითარებას ვაფიქსირებთ შედარებით ადრეულ, VIII-IX საუკუნეებთან მიმართებაში. აქ მივადევით უაღრესად საინტერესო და ამ კუთხის ისტორიისათვის მნიშვნელოვან საკითხს. საქმე ეხება არგვეთის პოლიტიკური კუთვნილების პრობლემას ადრეულ შუა საუკუნეებში. როდესაც ფარნავაზმა არგვეთის საერისთავო შექმნა, ის თავისთავად მოექცა ქართლის სამეფოს ფარგლებსა და პოლიტიკურ სისტემაში. თავის დროზე ჯ. ნადირაძე ვარაუდობდა, რომ ძვ.წ. III-I საუკუნეების საირხე წარმოადგენდა არა კოლხეთის ერთერთი სკეპტუხის, არამედ ქართლის საერისთავოს, სწორედ ფარნავაზის მიერ შექმნილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ცენტრალურ ქალაქს [ნადირაძე ჯ. 1990:151] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულია სხვაგვარი მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც ფარნავაზისა და მისი მემკვიდრეების მოღვაწეობის პერიოდში აღმოსავლეთ კოლხეთში არსებობდა რამდენიმე ადმინისტრაციული დანაყოფი, რომელთა გაერთიანება არგვეთის დიდ საერისთავოდ მოხდა შედარებით მოგვიანო ეტაპზე, სავარაუდოდ ძვ.წ. I - ახ.წ. I საუკუნეების მიჯნაზე [ბრაგვაძე ზ. 1991:95-96], მაგრამ არც ერთი ეს მოსაზრება არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ფარნავაზის დროიდან მოკიდებული არგვეთის ეს მინა-წყალი მყარად მოექცა ქართლის სამეფოს პოლიტიკურ საზღვრებში და ასეთად დარჩა იგი მთელი გვიანანტიკური პერიოდის განმავლობაში.

აკად. დ. მუსხელიშვილის მოსაზრებით, VI საუკუნის ბოლოს და VII საუკუნის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ საქართველო ინტენსიურად იყო ჩაბმული იმ დროის სა-

გარეო სავაჭრო-ეკონომიკურ კონტაქტებში და ამ პროცესში აქტიურ როლს ასრულებდა არგვეთიც, რაზეც მიანიშნებს ჭიათურასა და ქორეთში აღმოჩენილი სასანური მონეტების შემთხვევები და ეს არგუმენტი საკმარისი საბუთია იმისთვის, რათა მივიჩნიოთ, რომ ამ პერიოდში ეს ტერიტორია მოქცეულია ქართლის საერისმთავროს შემადგენლობაში [მუსხელიშვილი დ. 1980:16]. გეოპოლიტიკური ფაქტორის ცვლილებას უნდა გამოიწვიოს საუკუნეების განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოს იურისდიქციაში მყოფი ზემო იმერეთის მიწა-წყლის დასავლეთ საქართველოს მფლობელობაში გადასვლა. იმ პერიოდის საქართველოს ისტორიის გათვალისწინებით, ასეთი ფაქტორი შეიძლება ყოფილიყო არაბების შემოსევები. ზემო იმერეთის ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ადასტურებენ, რომ მოდინახეს სამაროვანმა ფუნქციონირება შეწყვიტა VII საუკუნეში [კაპანაძე ნ. 2006:117]. VII საუკუნითვე თარიღდება წინსოფლის (ჯიეთის) ნამოსახლარისა [კაპანაძე ნ. 2008:67] და იცქისის ციხის ქვედა კულტურული ფენის ზედა ქრონოლოგიური ზღვარიც [Kapanadze N. 2005:127]. ე.ი. ირკვევა, რომ VII საუკუნე ზემო იმერეთის არქეოლოგიური ძეგლებისათვის ერთგვარი გარდამტეხი პერიოდი. კვლევის ამ ეტაპზე აღნიშნულ ვითარებას ვუკავშირებთ სწორედ არაბთა შემოსევებს. შესაძლებელია, მომავალმა აღმოჩენებმა კიდევ უფრო დააზუსტოს აღნიშნული პრობლემის ცალკეული ნიუანსები. პოლიტიკური ვითარება კვლავ იცვლება VIII საუკუნიდან და როგორც დ. მუსხელიშვილი მიიჩნევს, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს იმ მოსაზრების დაშვება, რომ VIII საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც არაბებმა მთელი დასავლეთ საქართველო დაიპყრეს, არგვეთი ქართლის ერისმთავრისთვის დაექვემდებარებინათ და ამით შეექმნათ საფუძველი ეგრისზე ქართლის პრეტენზიებისათვის [მუსხელიშვილი დ. 1980:76-77]. თუმცა, მკვლევარი არ გამორიცხავს, რომ მთელი არგვეთი მაინც დასავლეთ საქართველოს ფარ-

გლებში რჩებოდა და აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად მიმართავს ჰაგიოგრაფიული თხზულების „წამება და ლუაწლი წმიდათა და წამებულთა მონამეთა დავით და კონსტანტინესი“ ერთ პასაჟს, რომლის მიხედვითაც მთავართა წამება ხდება „ქვეყანასა არგვეთისასა“ და ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ მონამეებს უქადიან რიონში დაღრჩობას. ხოლო ეს ფაქტი უკვე თავისთავად მეტყველებს, რომ არგვეთის ტერიტორია რიონამდე ვრცელდება [მუსხელიშვილი დ. 1980:78]. ამ ეპოქასთან დაკავშირებული მსჯელობიდან საყურადღებოდ გვეჩვენება ავტორის მოსაზრება, რომ VIII საუკუნისათვის ტერმინი „ეგრისი ვიდრე შორაპნამდე“ ანაქრონიზმია და წარმოადგენს ძველი ტრადიციის ფორმალურ გამოძახილს [მუსხელიშვილი დ. 1980: 78-79].

სამწუხაროდ, VIII-IX საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები და შესაბამისად მასალაც, ზემო იმერეთიდან ჯერჯერობით არ გაგვაჩნია და დაბეჯითებით ვერ დავამტკიცებთ, აღნიშნულ რეგიონსაც შეეხო თუ არა ეს ვითარება, მაგრამ საისტორიო წყაროში მოხსენიებული იგივე „ერისთავი ჩიხისა“, ქორეთის 1000 წლისა და სავანის 1046 წლის წარწერები თითქოს უნდა ადასტურებდეს ამ მიწა-წყლის ქართლისადმი კუთვნილებას. როგორც დ. მუსხელიშვილი მიიჩნევს, არგვეთი ეკონომიკურად ქართლზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული, რაც მაჩვენებელია იმისა, რომ იგი ოდითგანვე ქართლში შედიოდა და მისი მოსახლეობის გაქართველაც უძველესი დროიდან დაიწყო და წარმატებით დაგვირგვინდა [მუსხელიშვილი დ. 1980: 151]. მსჯელობის ერთგვარ დასტურად მიგვაჩნია ის გარემოებაც, რომ ზემო იმერეთის არქეოლოგიურ მონაპოვარში თავს იჩენს როგორც ქართლისთვის, ასევე ეგრისისთვის დამახასიათებელი მოვლენები და ირკვევა, რომ კულტურულ-რელიგიური თვალსაზრისით, ორი სახელმწიფოს არსებობის მიუხედავად, ქვეყანა ერთგვაროვანი იყო და მის განვითარებაში არ შეიმჩნევა პრინციპულად განსხვავებული კულტურული და რელიგიური ნიუანსები.

**ლიტერატურა:**

**ბერძენიშვილი ნ. 1966:** გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბილისი.

**ბერძენიშვილი ნ. 1975:** საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII., თბილისი.

**ბერძენიშვილი ნ. 1979:** საქართველოს ისტორიის საკითხები, IX. თბილისი.

**ბრაგვაძე ზ.1991:** ფარნავაზის პოლიტიკა კოლხეთის მიმართ და საირხის ნაქალაქარის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, მაცნე, №3. თბილისი.

**გაფრინდაშვილი გ. 1970:** 1000 წლის სამშენებლო წარწერა ქორეთის ეკლესიაზე, ძეგლის მეგობარი, №21. თბილისი.

**ინაძე მ. 1988:** ეგრისისა და ქართლის ურთიერთობისათვის, მნათობი №8. თბილისი.

**ინაძე მ. 1995:** ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბილისი.

**კაპანაძე ნ. 2006:** საჩხერის ადრეული შუა საუკუნეების სამაროვანი, არქეოლოგიური ჟურნალი, IV. თბილისი.

**კაპანაძე ნ. 2008:** წინსოფლის ნამოსახლარი, იბერია-კოლხეთი, №4. თბილისი.

**ლანჩავა ომ. 1998:** ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში, ქუთაისი.

**მახარაძე გ., გაგოშიძე გ., ლომთაძე გ., ბერიკაშვილი დ., კაპანაძე ნ. 2005:** არქეოლოგიური გათხრები იცქისის ციხეზე, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, IX. თბილისი.

**მუსხელიშვილი დ. 1980:** საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II. თბილისი.

**ნადირაძე ჯ. 1975:** ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.

**ნადირაძე 1990. ნადირაძე ჯ.** საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი თბ.1990

**პროკოპი კესარიელი 1966:** ომი გუთებთან, გეორგია III. თბილისი.

**სილოგავა ვ. 1980:** დასავლეთ საქართველოს წარწერები (IX-XIII სს.), ნაკვ. I, თბილისი.

**ქც. 1955:** ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწრის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. I. თბილისი.

**ცქიტიშვილი გ. 1964:** ანტიკური ხანის შორაპნის საერისთავოს საკითხისათვის, ისტორიულ-გეოგრაფიული კრებული. III. თბილისი.

**Kapanadze N. 2005:** Archaeological materials from Itskisi fortress. Pro Georgia. N12. Warshava.



## კენოტაფის გამართვის ტრადიცია საქართველოში

სამარხის ერთ-ერთი უძველესი და ფართოდ გავრცელებული სახეობაა კენოტაფი (ბერძნ. κενोटάφιον - ცარიელი საფლავი), რომელიც სიმბოლურ სამარხს, მასზე, ზოგჯერ, ადამიანის დაღუპვის ადგილზე ან უბრალოდ გარდაცვლილის სახელზე აღმართულ მემორიალს გულისხმობს. საქართველოში ცნობილი იყო როგორც მინისქვეშა, ისე მინისზედა კენოტაფების გამართვის ტრადიცია, რასაც, უპირველეს ყოვლისა, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა ადასტურებს. ადამიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული დამოკიდებულება, ყველა ეპოქისა და ყველა ხალხის რწმენა-წარმოდგენებსა და საკრალურ რიტუალებში ჩანს. ეს წარმოდგენები თავისი შინაარსით თუ ფორმით დროთა განმავლობაში იცვლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მათი „...იდეოლოგიური საფუძველი მცირედ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან“ [სურგულაძე ირ. 2003:13]. ერთ-ერთი ასეთია წარმოდგენა სულების არსებობის შესახებ იმქვეყნიურ სამყაროში, რომელთაც შეეძლოთ ცოცხალთა ცხოვრებაზე მოეხდინათ გავლენა. სწორედ ამ რწმენის საფუძველზე ხსნიან 6000-5000 წლის წინანდელი ბავშვთა სამარხების არსებობას (ინვენტარიანი სამარხები მიცვალებულის გარეშე) ტელ-ეს სავანის (სამარის კულტურა. მესოპოტამია) ნამოსახლარზე [Антонова Е. 1990:105]. როგორც ფიქრობენ, ეს სამარხები გამართული იყო სულებისთვის, ამდენად ისინი კენოტაფებად შეიძლება მივიჩნიოთ.

აღსანიშნავია, კენოტაფების გამართვის ტრადიცია ეგვიპტეში, სადაც, როგორც ცნობილია, ყველაზე მაღალ რანგში ჰყავდათ აყვანილი მიცვალებულის კულტი. ეგვიპტეში კენოტაფები შუა და ახალი სამეფოს დინასტიების ხანაში (დედოფალ ტეტიშერის და

იახმოს I, სენუსერტ III და სეტი I კენოტაფები) გვხვდება. ცარიელი სამარხების (პირამიდების) შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. მიიჩნევენ, რომ კენოტაფის გამართვა რელიგიური რიტუალის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო (“ხებ-სედის დღესასწაული”, „კა“-ს კულტთან დაკავშირებული რიტუალები). კენოტაფი ფარაონის ნამდვილ სამარხთან ერთად იგებოდა, მისთვის საფრთხის აცილების, ზოგჯერ, შესაძლოა, პოლიტიკური მიზნითაც (როგორც ზედა და ქვედა ეგვიპტის ერთ ძალაუფლებაში გაერთიანების სიმბოლო) [Постовская Н. 1957:130].

ტერმინი „კენოტაფი“ პირველად გვხვდება II საუკუნის ბერძენი ისტორიკოსისა და გეოგრაფის პავსანიასის ნიგნში „ელადის აღწერა“ [Павсаний I.2,2; VI,20,17; 23,3]. თუმცა, უფრო ადრე, „ოდისეა“-ში მოხსენიებული „სამახსოვრო ბორცვი“ [ჰომეროსი 1986:18], რომელიც ათინას რჩევით ტელემაქეს უნდა აღემართა უგზო-უკვლოდ დაკარგული ოდისევისთვის — ალბათ კენოტაფი იქნებოდა. როგორც ჩანს, სიმბოლური სამარხის არსებობა უფრო ადრეულია, ხოლო ტერმინი „კენოტაფი“ მოგვიანებით ჩნდება.

კენოტაფადარშეიძლება განიხილებოდეს ყველა სამარხი, სადაც ვერ ან არ დადასტურდა მიცვალებულის ძვლები. ამიტომ სამარხ-კენოტაფების დადგენასთან დაკავშირებით, გარკვეული სირთულეები არსებობს. პირველ რიგში, გასათვალისწინებელია მისი გამართვის მოტივები: მიცვალებულის სულისთვის ზრუნვა, ხიფათის აცილება მიცვალებულის სულის მხრიდან ცოცხლებისათვის და პირიქით; დაკრძალვის რიტუალის ადგილობრივი ტრადიციები, ეპოქისთვის დამახასიათებელი მითოსურ-რელიგიური წარმოდგენები და სხვ.

ისევე, როგორც ძველი სამყაროს

თითქმის ყველა ხალხში, კავკასიაშიც არსებობს კენოტაფის გამართვის ტრადიცია. თუმცა, ამ ტიპის სამარხების შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული და მათი განსაზღვრის დროს გარკვეულ სიფრთხილეს იჩენენ. ალბათ ამასთანაც უნდა იყოს დაკავშირებული კენოტაფების გამოვლენის მხოლოდ ერთეული შემთხვევები ჩრდილო კავკასიის სამაროვნებზე [Ивановский А. 1911:166; Крупнов Е. 1960:188-189] და ნაწილობრივ ამიერკავკასიაშიც. თუმცა, ეს არ ეხება შირაქის ველის — ართიკის სამაროვანს, სადაც გვიანბრინჯაოს ხანის 60-მდე კენოტაფი არის აღრიცხული (500-მდე კატაკომბურ სამარხში) და დადგენილია მათთვის დამახასიათებელი ლოკალური თავისებურება. კერძოდ, ასტრაგალების არსებობა მხოლოდ ამგვარ სამარხებში [Хачатрян Т. 1975:144].

კენოტაფები საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე შუა ბრინჯაოს ხანიდან გვხვდება. „თრიალეთის კულტურაში ჩნდება გვართა და ტომთა ბელადების მდიდრული ინდივიდუალური სამარხები, იცვლება იდეოლოგიური და რელიგიური წარმოდგენები, რასაც ინჰუმაციისა და კრემაციის ცვალებადობა ასახავს“ [გოგაძე ელ. 1972:93]. უკვე შუა ბრინჯაოს ხანაში ჩანს გორასამარხები, სადაც მიცვალებულის ჩონჩხი დადასტურებული არ არის. ამიტომ ვარაუდობენ, რომ ამ დროს დაკრძალვის მთავარი სახეობა კრემაცია იყო. თრიალეთის ყორღანებთან დაკავშირებით ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ არც ერთ ყორღანში (42 ყორღანიდან ორი გამონაკლისია) დამწვარი ძვლები და ფერფლი არ აღმოჩნდა. [Куртин Б. 1941:81]. მსგავსი შემთხვევები ზურტაკეტის ყორღანებშიც დადასტურდა. ამიტომ, თრიალეთის კულტურაში კრემაციის წესის არსებობის შესახებ ერთგვარი ეჭვიც კი გამოითქვა. ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნულ სამარხებს კენოტაფებად მიიჩნევს [Фисенко В. 1966:82, გამოყენებულია: ჯაფარიძე ოთ.1969:73]. ოთ. ჯაფარიძე ამ მოსაზრებას მართებულად არ თვლის [ჯაფარიძე ოთ.1969:68,73].

შუა ბრინჯაოს ხანაშივე ჩნდება კენოტაფები საქართველოს სხვა ტერიტორიაზე. არსებული მონაცემების მიხედვით, მათი გამოიჯვნა კრემაციული სამარხებისგან, ზოგჯერ ვერ ხერხდება. ამიტომ ვეყრდნობით და ვითვალისწინებთ ძეგლის გამთხრელების დასკვნებს და მხოლოდ იმ ძეგლებს განვიხილავთ, რომლებიც თვით გამთხრელების მიერ კენოტაფებად არის მიჩნეული. მაგრამ ამ შემთხვევაშიც გვხვდება გარკვეული სიძნელეები. მაგალითად, სამთავროს №243 სამარხი გამთხრელის ალ. კალანდაძის მიერ მიჩნეულია კენოტაფად [კალანდაძე ალ. 1980:28]; ტ. ჩუბინიშვილი მას კრემაციულ სამარხად თვლის [ჩუბინიშვილი ტ. 1957:44], ხოლო მ. ივამჩენკო აქ მეორად დაკრძალვას გულისხმობს [Иващенко М. 1980:200-201].

ერთ-ერთი ყველაზე ადრეული სამარხ-კენოტაფი (ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარი — II ათასწლეულის დასაწყისი) ქვემო ქართლში, ბედენის გორასამარხებში გვხვდება. ბედენის 10 გორასამარხიდან ხუთში ადამიანის ძვლები არ აღმოჩნდა. გ. გობეჯიშვილი თვლის, რომ ყველა ეს სამარხი გაძარცვული და დაზიანებული იყო, გარდა ერთისა - ინვენტარიანი, დაუზიანებელი გორასამარხი №8, რომელსაც იგი კენოტაფად მიიჩნევს, მაგრამ, კრემაციასაც არ გამოორიცხავს [გობეჯიშვილი გ. 1981:96-98]. საერთოდ, ქვემო ქართლის შუა ბრინჯაოს ხანის სამარხებში (განსაკუთრებით გორასამარხებში) ინჰუმაციურთან ერთად, ხშირად გვხვდება სამარხები მიცვალებულის გარეშე და ყველა ეს შემთხვევა (თრიალეთი, ზურტაკეტი, ირგინჩაი, სიონი და სხვ.) დაკრძალვის კრემაციული წესითაა ახსნილი. თეორიულად ეს სარწმუნო ვარიანტია, თუ გავითვალისწინებთ ურთიერთობებს ძველი სამყაროს იმ ქვეყნებთან, სადაც კრემაცია დაკრძალვის გავრცელებული წესი იყო [გობეჯიშვილი გ. 1981:96]. თუმცა, კრემაციის დამადასტურებელი არქეოლოგიური მონაცემები მწირია: არ ჩანს ცეცხლის კერები, ნაცრის ფენა, დამწვარი ძვლის ნაშთები და სხვ. აქ არც ამ რაოდენობის კენო-

ტაფებია საგულისხმო. ასევე ირგანჩაის (ტა- შირის) შუა ბრინჯაოსა და გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვანზე, საკმაოდ ხშირად გვხვდება ყორღანები მიცვალებულის ჩონჩხის გარეშე. კრემაციის ნიშნები აქაც არ შეიმჩნევა. მაგრამ კენოტაფებად მათი მიჩნევა, სწორი არ იქნებოდა. მხოლოდ ერთი სამარხი ითვლება კენოტაფად, ისიც სავარაუდოდ [Кахиани К. и др. 1977:58-61].

შედარებით მეტი კენოტაფი გვხვდება შუა ბრინჯაოს ხანის შიდა ქართლის სამაროვანებზე. ასეთი სამარხები აღმოჩნდა: ნატახტარში [Садрაძე В. 1993:24;], მუხათგვერდში [Садрაძე В. 1993:63-64], სამთავროს [კალანდაძე აღ.1980:25], წალვლის [რამიშვილი აღ.1998:7,9] და მეტეხის (კასპის რ-ნი) [შატბერაშვილი ზ.1967:36-38] სამაროვანებზე. ამ უკანასკნელზე საგანგებოდ შევჩერდებით. მეტეხის 11 გორასამარხიდან ოთხი სამარხის (№№ 6,7,8,9) შუა ნაწილში, სადაც ჩვეულებრივ მიცვალებულის ძვლები უნდა ყოფილიყო, დადასტურდა მთლიანი ცხვრის ჩონჩხი კისრის არეში ობსიდიანის დანით და მის ირგვლივ შემონახული თიხის ჭურჭლით. ზ. შატბერაშვილი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ სამარხში კრემაციის არავითარი კვალი არ ჩანდა და ეს შემთხვევა ახლებურად უნდა ყოფილიყო გააზრებული. საინტერესოა, რომ ამავე სამაროვანზე აღმოჩნდა სამარხები, სადაც მიცვალებულის პირდაპირ ცხვრის მთლიანი ჩონჩხი იდო. სამარხი, მიცვალებულის გარეშე, ცხვრის ჩონჩხით, თიხის ჭურჭლითა და ობსიდიანის დანით, აღმოჩნდა სიონშიც (მარნეულის რ-ნი) [მენაბდე მ., ... 1981:33,39]. შესაძლოა, ამ შემთხვევებში საქმე გვექონდეს სამარხ-კენოტაფებთან.

გვიანბრინჯაოს ხანაში კრემაციის კვალი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე თითქმის აღარ ჩანს. ამიტომ ადვილი ხდება კენოტაფების გამოვლენა. ამ ეპოქისთვის ყველაზე ადრეულად მიჩნეულია ალაზნის ველზე გათხრილი ილტოს კენოტაფი, რომელიც შუაბრინჯაოს ხანიდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდს ეკუთ-

ვნის [Дедабришвили Ш. 1979:18, ფიცხელაური კ. 1973:39]. გვიანბრინჯაოს ადრეულ ეტაპზე (XIV-XII სს.) აღმოსავლეთ საქართველოს სამაროვანებზე კენოტაფების რაოდენობა შესამჩნევად მატულობს. კენოტაფები აღმოჩნდა ამ ხანის თითქმის ყველა სამაროვანზე: სამთავროზე (სამარხები №№26,146,153) [კალანდაძე აღ. 1980:25,44-47,49-50,72-73,84-87; სადრაძე ვ. 1997:8, ცხრილი 4,5], წეროვანში (სამარხი №47) [სადრაძე ვ.1989:109-115; Садрაძე В. 1991:22], წალვლში [რამიშვილი აღ.1998:7-9], კასპში [ბარამიძე მ.1965:34-35], მადნისჭალაში (ს. №10) [თუშიშვილინ.1972:64-65]), გულგულაში [ნუცუბიძე ავ. 1980:33], მუხათგვერდში [ჭანიშვილი თ. 2004:83-85] და სხვ.

კენოტაფების საერთო სურათის წარმოსადგენად მნიშვნელოვან მასალას გვანვდის მუხათგვერდის სამაროვანი, სადაც 31 გვიანბრინჯაო-ადრერკინის სამარხიდან 7 კენოტაფია (სამარხები №№ 18,21,23,24,28,29,55). სამაროვანზე კენოტაფების ორი სახეობა გამოიყო: ინვენტარიანი და უინვენტარო. კენოტაფები აქ ქვაყრილიან (№18) ან ქვანრიან ორმოსამარხებს წარმოადგენს. სამარხი №18-ის დასაკრძალავი ორმო ხელუხლებელი ჩანდა. გამოირჩეოდა მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ინვენტარით (17 თიხის ჭურჭელი, იარაღი, სამკაული); თარიღდება ძვ.წ. XIV-XII სს. აღნიშნულ კენოტაფში ინვენტარი გარკვეული ნესის მიხედვით იყო განლაგებული. სამარხის ცენტრალური ნაწილი, სადაც მიცვალებული უნდა ყოფილიყო დასვენებული, ცარიელი იყო და ინვენტარის მხოლოდ ის ატრიბუტები (მძივები, სატევრისპირი, საკიდები, უმბონი) ჩანდა, რომლებიც მიცვალებულს უნდა ჰქონოდა ასხმული, ირგვლივ კი, წრიულად თიხის 17 ჭურჭელი იყო დანყოფილი. სამარხის სამხრეთ კუთხეში წვრილფეხა საქონლის ძვლები (ალაპის ნაშთი) ელაგა. აქ კრემაციის არავითარი ნიშანი არ შეიმჩნეოდა. სამარხი კენოტაფად მიგვაჩინა [ჭანიშვილი 2004:83-85]. სამაროვნის №№ 21, 24 და 28 სამარხების წრიული ქვაყრილის

ქვევით 0,50-0,60 მ. სიღრმეზე, სამარხეული ორმოს თავზე ქვიშაქვის უზარმაზარი ლოდები იდო. სამარხები გაძარცული არ უნდა ყოფილიყო (თუნდაც იმიტომ, რომ მძარცველები ლოდებს უკანვე არ დადებდნენ!). სამარხებში ერთმანეთზე მიწყობილი თიხის ჭურჭელი (№21-ში 5; №24-ში 8; №28-ში 10) და ცხოველის ძვლები აღმოჩნდა. უინვენტარო №№ 29, 55 სამარხებში, წრიული ქვაყრილის ქვეშ, დაახლ. 0,60 მ. სიღრმეზე, დასაკრძალავი ორმოს თავზე მცირე ქვაყრილი დადასტურდა; სამარხის ორმოში მიცვალებულის ჩონჩხი არ იყო. ამგვარი კენოტაფები ჩანს ნალვლის, ირგანჩაის, პაპიგორას სამაროვნებზე [რამიშვილი ალ. 1998:7-9; Кахиანი К. и др. 1977:58-61; მარგიშვილი ს., ნარიმანიშვილი გ. 2004], სომხეთში: არტიკის, არიჭის და სხვ. სამაროვნებზე [Хачатрян Т. 1975:93,144; Хачатрян Т. 1979:8]

როგორც აღვნიშნეთ, ინჰუმაციურ, კრემაციულ სამარხებსა და კენოტაფებს ბევრი რამ აქვთ საერთო (სამარხის ტიპი, ინვენტარი და სხვ.), რაც ადვილად შესამჩნევია. ამჯერად შევეცდებით სამარხ-კენოტაფების და ზოგიერთი სამაროვნისთვის დამახასიათებელი თავისებურებებისა და ლოკალური ნიშნების გამოვლენას. კენოტაფებში უმთავრესად გვხვდება: მიჯრით მიწყობილი თიხის ჭურჭელი (სამთავროს №№ 153,243, წეროვანის № 47, მუხათგვერდის №№ 21,24,28, საფარ-ხარებას № 29 - სამარხები); შეწირული ცხვრის მთლიანი ჩონჩხი და ცხოველის ძვლები, ხშირად ობსდიანის „დანაც“ (სამთავროს №№ 243,153, წეროვანის №47, ნატახტარის № 1, ჩალიანხევის № 12, მეტეხის (კასპის რ-ნი), სიონის (მარნეულის რ-ნი) სამარხები); შეწირული ცხოველის მთლიანი ჩონჩხი აღმოჩნდა სომხეთის გვიანბრინჯაოს ხანის ლჭაშენის სამარხ-კენოტაფებშიც [Хачатрян Т. 1975:93,144; Хачатрян Т.1979:8]. გვიანბრინჯაოს ხანაში ჩონჩხის ნაცვლად, გვხვდება საქონლის ცალკეული ძვლები (ამ დროს ობსიდიანის „დანები“ იშვიათია). გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნებზე ჩნდება აგრეთვე

უინვენტარო კენოტაფებიც (ნალვლი, მუხათგვერდი და სხვ.).

კენოტაფების ლოკალური ნიშნები, რომლებიც მათ ასევე განასხვავებენ ინჰუმაციური სამარხებისგან, ნალვლის სამაროვნზე გამოიკვეთა. კერძოდ, ეს კენოტაფები წარმოადგენს მცირეინვენტარიან დასაკრძალავ ორმოებს, ქვაყრილების გარეშე [რამიშვილი ალ. 1998:7-9]; ინვენტარიანი სამარხები, სადაც მიცვალებულის ძვლები არ გვხვდება, ძვ.წ. IV-III სს პაპიგორასა და შავსაყდარას I სამაროვნებზეც აღმოჩნდა (შავსაყდარა I-ის - 95 სამარხიდან - 17, პაპიგორას 77 სამარხიდან 12 სამარხი) [მარგიშვილი ს., ნარიმანიშვილი გ. 2004]. ყველა ეს სამარხი კენოტაფი, რა თქმა უნდა, არ არის. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამაროვნებზე მიცვალებულების ჩონჩხი ცუდად არის შენარჩუნებული და ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი; ბევრი სამარხი დაზიანებული და გაძარცულია. მაგრამ ზოგიერთი მათგანი (მაგ. პაპიგორას სამარხები: №№ 3,6,9,13,70; შავსაყდარა I: №№ 8,17,47,75,77) შესაძლოა კენოტაფად ჩაითვალოს. თუნდაც იმიტომ, რომ ეს სამარხები მიცვალებულიან სამარხებთან შედარებით ბევრად პატარაა. ვფიქრობთ, მცირე ზომის სიმბოლური სამარხები სპეციალურად ინვენტარისათვის იყო განკუთვნილი.

გვიანბრინჯაოს ხანის მომდევნო ეტაპზე კენოტაფების რიცხვი სამაროვნებზე შედარებით კლებულობს. ეს სამთავროს სამაროვნის მაგალითზეც კარგად ჩანს. აქ უკვე ფოთლისებურსატევრიან კომპლექსებში სამარხი-კენოტაფები იშვიათია, რაც წინა პერიოდისგან განმასხვავებელ ერთ-ერთ ნიშნად მიიჩნევა [სადრაძე ვ. 1997:8]. შემდგომი ხანის (ძვ.წ. VIII-VI, VI-IV სს. და ა.შ.) სხვა სამაროვნებზეც, კენოტაფების მხოლოდ ერთეული შემთხვევებია დაფიქსირებული (ჩითახევი, არდასუბანი, სამშვილდე, ვარსიმაანთკარი და სხვ.) [კვირკვაია რ. 2009:20, ცხრ.2; თუშიშვილი ნ. 1964: 50-51; წითლანაძე ლ.1983: 64].

სამარხები მიცვალებულის გარეშე ელინისტური ხანის საქართველოს ტერი-

ტორიაზე ნაკლებად გვხვდება და კენოტაფად მხოლოდ რამდენიმე ქვევრსამარხია მიჩნეული [თოლორდავა ვ. 1963:140; გვინჩიძე გ. 1988:48]. თუმცა, ვანის ნაქალაქარზე ამავე ხანის სამარხები აღმოჩნდა, რომლებიც კენოტაფის თავისებურ სახეობად შეიძლება წარმოვიდგინოთ (იხ. ქვემოთ).

ამრიგად, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამაროვნებზე უკვე შუა ბრინჯაოს ხანიდან ძირითადად ინვენტარიანი და უინვენტარო სამარხ-კენოტაფები დასტურდება და ეპოქის დამახასიათებელ სამარხთა ყველა ტიპს (გორასამარხები, ქვანრიანი, ორმოსამარხები და სხვ.) მოიცავს. მეტნაკლებად იკვეთება ზოგიერთი კენოტაფისთვის დამახასიათებელი თავისებურებანიც (მიჯრით დანყობილი ჭურჭელი, მიცვალებულის დასვენების ადგილზე — ცხვრის მთლიანი ჩონჩხი, ალაპის ნაშთები, ობსიდიანის დანა და სხვ.). გვიანბრინჯაოს ხანიდან კენოტაფების რაოდენობა შესამჩნევად მატულობს. შემდეგ კლებულობს და ელინისტურ ხანაში უკვე ერთეულების სახით გვხვდება.

ასეთია სამარხ-კენოტაფების შესახებ არსებული არქეოლოგიური მონაცემები.

კენოტაფები, განკუთვნილი უგზო-უკვლოდ დაკარგულების, ომში, ზვავით დაღუპულების, წყალში დამხრჩვალების და საერთოდ ისეთ მიცვალებულებისათვის, რომელთა გვამს ვერ პოულობდნენ, ქართველი ხალხის ყოფაშიც დასტურდება. მაგრამ სხვადასხვანაირი იყო სიმბოლური საფლავების გამართვის ტრადიცია და მასთან დაკავშირებული რიტუალები. მაგალითად „ფშავში გავრცელებული წეს-ჩვეულებისამებრ, კენოტაფის გამართვისას უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანის სიმაღლის ურთხელის ტოტს მოჭრიდნენ, შემოსავდნენ, და დაკრძალვის რიტუალით გათვალისწინებული ყველა წესის დაცვით დაკრძალავდნენ“ [ხაზარაძე ნ., ... 1999:12]. გურიაში კი, „როცა ვინმე უცხო მხარეში გარდაიცვლებოდა, საიდანაც მიცვალებულის მოსვენება ჭირისუფალს არ შეეძლო..., როგორც ნამ-

დვილი ტირილის შემთხვევის დროს სწორედ იმგვარად მოიწვევდნენ ნათესავ-მოყვარებს და მეზობლებს, ისევე იყო ხარჯი და ყოველგვარი ცერემონია, მიცვალებულის მაგიერ, კი იყო ნიშანი, დამსგავსება და ხატება, ისლის ან ღომის ჩალით გააკეთებდნენ ფიტულს, ჩააცმევდნენ „ნამკვდრევ“ ტანისამოსს, ფეხსაცმელსაც კი, ცდილობდნენ მიმსგავსებული პირის სახეც გაეკეთებინათ, ფიტულს „დაასვენებდნენ“ ლოგინზე – ორივე ხელში წმინდა სანთელს ჩაუდებდნენ და ამ მიცვალებულის მსგავსებას — ნიშანს ისეთივე ხმით, მოთქმით, შეცხადებით და ზართაც კი ტიროდნენ, როგორც ახლად გარდაცვლილს“ [წულაძე აპ. 1971: 207-208]. ამ ფიტულს შემდეგ, როგორც ჩანს, კრძალავდნენ.

მიცვალებულის სულის სადგომი გამოსახულების დაკრძალვის წესი, სხვადასხვა ხალხის ტრადიციულ ყოფაში დასტურდება [იხ. Тишкин А., ... 1997]. კენოტაფის გამართვის ზემოაღნიშნული, საკმაოდ ფართოდ გავრცელებული ტრადიცია არქაულია, რასაც ადასტურებს ვარნის ნეკროპოლის (ენეოლითი) №43 სამარხ-კენოტაფში ნაპოვნი ადამიანის თავის თიხის რელიეფური გამოსახულებები, შუბლის, თვალების, ცხვირისა და პირის ადგილზე ოქროს ფირფიტებით [varna.info.bg/russian/nekropolis\_rus.htm.ke.], ეგვიპტის კენოტაფებში არსებული ფარაონის ქანდაკებები და სხვ. გარდაცვლილის გამოსახულების დაკრძალვის შესახებ წერილობითი ცნობა დაცულია ჰეროდოტესთან: „როდესაც რომელიმე მეფე ომში კვდება (იგულისხმება სპარტელთა მეფე - ნ.მ., თ.ჭ.), მის გამოსახულებას აკეთებენ და მისვენებენ კარგად მორთული სარეცლით, ხოლო მისი დამარხვის შემდეგ, 10 დღეს მოედანზე არაფერი კეთდება“ [ჰეროდოტე, VI,58]. ქსენოფონტეს მიხედვით კი, სპარტელ მეფეებს, ისევე მიაგებდნენ პატივს, როგორც გმირებს [Ксенофонт. 1936: Лак. пол.XV, 9]. გმირების კულტი დამახასიათებელი იყო როგორც ძველბერძნული, ასევე ელინისტური რელიგიისათვის. თავდაპირველად გმირებად გარდაცვლილი მეფეე-

ბი ითვლებოდნენ, ხოლო შემდეგ მათი წრე გაფართოვდა და გმირად მიიჩნდათ ყველა ის, ვისაც საზოგადოების წინაშე ჰქონდა დამსახურება [Зелинский Ф. 1993:94]. თუ გარდაცვლილი „გმირების“ გვამებს ვერ პოულობდნენ, მათ სულებს საკრალური რიტუალით მოუხმობდნენ და „კრძალავდნენ“. ამ სამარხ-კენოტაფებზე შემდეგ სამლოცველოები იგებოდა და მსხვერპლშენიერვის რიტუალი ტარდებოდა, რომლის ქტონურ ხასიათზე შენიერული მსხვერპლის შავი ფერი, მსხვერპლშენიერვის დრო — საღამო ან ღამე და სხვ. მიუთითებს [Зелинский Ф.Ф. 1993:95; Элиаде М. 2002:132].

ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე ძვ.წ. III ს. ტაძრებთან და სამარხებთან დადასტურდარკინისა და ბრინჯაოს, მცირე ზომის (16-24 სმ), სუდარაში გახვეული, ოქროს სამკაულებით (საყურეები, ხატისუღელი, სამაჯურები) შემკული ანთროპომორფული ქანდაკებები, რომლებიც ღარიან კრამიტებს შორის ან თირში ამოჭრილ ღრმულებში პირქვე იყვნენ დაკრძალულნი. ეს ქანდაკებები, როგორც ჩანს, მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს გამოსახავდნენ, რაზედაც მათი ძვირფასი სამკაული მეტყველებს. ქანდაკებების დანიშნულებისა და მათი დაკრძალვის შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული. [იხ. Хоштария Н.1979:115; Лордкипანიазе Г. 1970:122,123; კაჭარავა დ. 1983:33-34; ლორთქიფანიძე ოთ. 2002:212; მათიაშვილი ნ. 2006:175; კვირკველია გ. 2011:104]. ერთ-ერთი ვერსიით, „...საქმე ეხება „გაღმერთებული“ ადამიანის გამოსახულებებს, რომლებიც ისევეა ოქროს სამკაულებით... დაკრძალული, როგორც ეს ვანში მათს თანადროულ მდიდრულ სამარხებში დასტურდება“ [ლორთქიფანიძე ნ. 2011:62]. ჩვენი აზრით, ვანში ნაპოვნი გამოსახულებების „გაღმერთებულ“ ადამიანებად, „გაღმერთებულ“ გმირებად მიჩნევას მხარს უჭერს, მათ სამარხებთან არსებული სალოცავები, ხოლო მათ ქტონიურ ბუნებაზე, გამოსახულებათა პირქვე დაკრძალვის ფაქტი მეტყველებს. აღნიშნულ კონტექსტში ძნელი ასახსნელია რა დანიშნულება

ჰქონდა მამაკაცის ქანდაკებებთან ერთად, დაკრძალული ქალის ქანდაკებას. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ქალის კენოტაფების გამართვის ტრადიციაც ცნობილი იყო უძველეს ცივილილიზაციებში. მაგალითად, სამხრეთ იტალიაში ერთ-ერთ ბერძნულ ნეკროპოლზე გათხრილ კენოტაფში აღმოჩენილია ურნა, რომელშიც მოთავსებული იყო ქალის მარმარილოს ბიუსტი [Kurtz D., ...1971:258-259].

საქართველოში გათხრილ კენოტაფებში ნანახია იმქვეყნიური ცხოვრებისთვის საჭირო ინვენტარი, მათ შორის იარაღი. (მუხათგვერდი, წეროვანი, ნალვლი და სხვ.). სერგი მაკალათიას ცნობით, „ადამიანი თუ სადმე შორს მიიცივალა და მისი წამოსვენება შეუძლებელია, მას სამარეს თავის სოფელში მაინც გაუთხრიან, შიგ დანას ან რაიმე ლითონის ნატეხს ჩაატანენ და ზედ ქვას დაადებენ“ [მაკალათია ს. 1930: 128].

სიმბოლური გამოსახულების ნაცვლად კენოტაფებში გარდაცვლილისთვის საჭირო ინვენტარის, მათ შორის იარაღის ჩატანების ფაქტს საკმაოდ მდიდარი არქეოლოგიური მასალა ადასტურებს. ამ კუთხით საინტერესოა ვერგილიუსის „ენეიდა“, კერძოდ, პრიამოსის გარდაცვლილი ძის დეიფობუსის სულისადმი მიმართული ენეასის სიტყვები: „რეტეუმის წინ ცარიელი საფლავი დავდგი, სამგზის მოვუხმე მაღალი ხმით სულთა აჩრდილებს. იქ გენახება იარაღი, გმირის სახელი, თუმც ვერ შევძელი სამშობლოში დამარხვა შენი“ [ვერგილიუსი, 1976:VI,505].

საქართველოში კენოტაფად მიჩნეულ ზოგიერთ სამარხში, როგორც აღინიშნა, ნაპოვნია ცხოველის — ცხვრის მთლიანი ჩონჩხი (სოფ. მეტეხი, სიონი). ეს შესაძლებელია სამსხვერპლო ცხოველი იყოს, მაგრამ საქართველოს ტრადიციულ ყოფაში დადასტურებული ერთი წესი განსხვავებული აზრის გამოთქმის უფლებასაც გვაძლევს, კერძოდ, სვანეთში თუ რაიმე მიზეზის გამო მიცვალებულის სახლში მოსვენება შეუძლებელი იყო, რეალური აქტი მაგიური ქმედებით იცვლებოდა — გარდაცვლილის სიკვდილის ადგი-

ლას ნათესავები მიდიოდნენ და მიჰქონდათ ქათამი (დედალი ან მამალი). (საყურადღებოა, რომ მამლის სქემატური გამოსახულება, როგორც მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული სიმბოლო, გვხვდება დაბლაგომისა და წიფნარის IV-III სს. ქვევრსამარხებზე [იხ. *Куртин Б.* 1950:214; ვაშაკიძე ნ. 1985:69-71]). გარკვეული რიტუალის ჩატარების შედეგად, ადგილობრივთა რწმენით, მიცვალებულის სული გადადიოდა მამალში ან დედალში (გარდაცვლილის სქესის შესაბამისად). შემდეგ ფრინველი, რომელშიც, სვანების წარმოდგენით, გარდაცვლილის სული იყო ჩასახული, სახლში მოჰყავდათ, დაკლავდნენ, სამგლოვიარო სუფრას შლიდნენ და, როგორც დაღუპულის სულის მატარებელს, საგვარეულო სასაფლაოზე, გარდაცვლილისთვის განკუთვნილ საფლავში კრძალავდნენ [Деген-Ковалевский Б. 1936:42]. მსგავსი წესი სვანეთში დადასტურებული აქვს მ. ჩართოლანს [ჩართოლანი მ. 1961:167]. შესაძლებელია, სწორედ ამ ტრადიციით აიხსნას ბრინჯაოს ხანის ზოგიერთი სამარხ-კენოტაფის ცენტრში, მიცვალებულის დასვენების ადგილზე, ცხვრის მთლიანი ჩონჩხის აღმოჩენის ფაქტი. არ არის გამორიცხული, რომ შორეულ წარსულში (ბრინჯაოს ხანაში) მამლის ფუნქციას ცხვარიც ასრულებდა. რწმენა — ადამიანის სულის სხვადასხვა ფრინველსა თუ ცხოველში გადასახლების შესახებ, არქაული რელიგიური სისტემებისთვის დამახასიათებელია. როგორც ჩანს, მომდევნო ხანაში სულის ცხოველში ჩასახლების ტრადიცია სულის გამოძახებამ შეცვალა. ძველად საბერძნეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულის ან დამხრჩვალის სულს სამჯერ ხმამაღლა მოუხმობდნენ, რომ დაბრუნებულიყო და ცარიელ, მისთვის განკუთვნილ საფლავში სამუდამო განსასვენებელი დაემკვიდრებინა. ამაზე ვერგილიუსის პოემის ზემომოყვანილი ფრაგმენტიც მიუთითებს.

ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე კენოტაფები თითქმის აღარ

გვხვდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ შუა საუკუნეებში მიწისქვეშა სიმბოლურ სამარხებს მიწისზედა კენოტაფები ჭარბობს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ყურადღებას იმსახურებს საქართველოში დადასტურებული „საფლავის მოზომვის“ წესი. კერძოდ, ხევსურეთში, „როცა მიცვალებულს ვერ იპოვნიდნენ: წყალში დამხრჩვალს, ან უცხო ქალაქში ან ომში მოკლულს და რომელსაც ვერ მოასვენებდნენ თავის სამშობლოში, ასეთ მიცვალებულს თავიანთ სასაფლაოზე საფლავს მოუზომავდნენ. ...სახელსადებებს (მიცვალებულის სახელზე გამომცხვარი ქადები - ნ.მ., თ.ჭ.)... არაყს, ტაბლას და მიცვალებულის „ტალავარს“ (ხევსურული სამოსი - ნ.მ., თ.ჭ.) წაიღებდნენ სასაფლაოზე, თან ხალხსაც წაიყვანდნენ. იქ ოთხკუთხედად მინას მოზომავდნენ, არ ამოთხრიდნენ ისე შემოხაზავდნენ ბარით ან თოხით. ტაბლას დასდგამდნენ და ტალავარს დააწყობდნენ მოზომილ მინაზე და დალოცავდნენ... ამის შემდეგ მიცვალებულს თავის საფლავ-სამარეში წილი ედვა“ [ბალიაური მ., მაკალათია ნ. 1940:54]. მათზე, როგორც ჩვეულებრივ საფლავებზე, უმეტესწილად ჯვარს აღმართავდნენ ან უბრალოდ ქვას დაადებდნენ.

„საფლავის მოზომვის“ ტრადიცია, მიწისქვეშა კენოტაფების გამართვის, ჩვენ მიერ ზემოაღწერილ, სხვა წესებთან ერთად, დადასტურებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის თითქმის ყველა კუთხეში [გიორგაძე დ. 1987:80].

ამავე კონტექსტში, შეიძლება განვიხილოთ ადამიანის დაღუპვის ადგილზე ან მის სახელზე რაიმე მოსაგონარის, უმეტესწილად კი ჯვრის აღმართვის წესი, რომელიც მთიანეთთან ერთად, საქართველოს ბარშიც ფართოდ იყო გავრცელებული. ასეთი „მემორიალები“, რა თქმა უნდა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სახელზეც კეთდებოდა და მიწისზედა კენოტაფებს წარმოადგენდა. მათი აღმართვის ტრადიციას კი, ალბათ წინ უსწრებდა „საფლავის მოზომვის“ წესი. მით უმეტეს, რომ მიწისზედა კენოტაფი უმეტე-

სად მის ქვეშ სიმბოლური საფლავის არსებობას გულისხმობდა. შესაძლებელია, რომ „საფლავის მოზომვისა“ და მიწისზედა კენოტაფების დადგმის ტრადიცია საქართველოში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგ დამკვიდრებულიყო, როდესაც საფლავში უგზო-უკვლოდ დაკარგულის გამოსახულების დაკრძალვისა და გარდაცვლილისთვის ნივთების ჩაყოლების იდეოლოგიური საფუძველი აღარ არსებობდა.

ამგვარად, საქართველოში კენოტაფების გამართვა უძველესი დროიდან დასტურდება და, როგორც ჩანს, უწყვეტ ტრადიციას წარმოადგენს. ქართველებისთვის ცნობილი იყო კენოტაფის გამართვის სხვადასხვა წესი, რომელთაგან უძველესი — გარდაცვლილის „სულის სადგომი“ გამოსახულების, ცხოველის ან ფრინველის, მისი იარაღის „დაკრძალვა“, გარდაცვლების შემდეგ საიქიოში ადამიანის ჩვეულებრივი ცხოვრების გაგრძელებისა და გარდაცვლილთა სულების მიწისქვეშეთში არსებობის რწმენას უკავშირდება. ეს წარმოდგენები საკმაოდ ფართოდ გავრცელებული და უძველესია [Штернберг Л. 1936:323]. უფრო გვიანდელი უნდა იყოს საფლავის მოზომვის წესი, რაც, როგორც აღვნიშნეთ, შესაძლოა ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგ დამკვიდრდა. ყოველივე ზემოთქმული მიუთითებს, რომ კენოტაფების გამართვის ტრადიციას საქართველოში სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა იდეოლოგიური საფუძველი ჰქონდა და აქედან გამომდინარე კენოტაფების გამართვის სხვადასხვა წესი არსებობდა. ამ წესებმა ქართველთა ყოფაში ამ უკანასკნელ ხანებამდე შემოინახა თავი, რაც ერთ სინქრონულ და დიაქრონულ სივრცეში სხვადასხვა დროის ტრადიციათა თანაარსებობის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს.

უძველესი მითოსურ-რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისა და რიტუალების სიცოცხლისუნარიანობას, მათ ფუნქციონირებას სხვადასხვა დროსა და სოციოკულტურულ სივრცეში დღეს უმეტესწილად კოლექტიური მეხსიერების [Halbwachs M. 1980] საფუძველზე

ხსნიან. არქაული რწმენა-წარმოდგენების თუ ყოფითი ტრადიციების ნაწილი არქეტიპების სახით [Юнг К. 1991], ნაწილი უცვლელად გადაეცემა თაობიდან თაობას, ეპოქიდან ეპოქას და საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებაში დღემდე შემორჩენილი. ნაწილი კი დროთა განმავლობაში სხვადასხვა გარემოების, მათ შორის საზოგადოების იდეოლოგიის, რელიგიური მრწამსის ცვლადობის გამო, ცვლილებას განიცდის. აღნიშნული რწმენა-წარმოდგენებისა და რიტუალების თანაარსებობა გარკვეულ სოციოკულტურულ სისტემაში ამ სისტემის სინკრეტულ ხასითს განაპირობებს. ვფიქრობთ, ჩვენ მიერ განხილული კენოტაფები და მათი გამართვის ხალხური ტრადიციები, ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია უძველესი ტრადიციული ცოდნის დინამიკისა და ტრადიციული კულტურის თავისებურებების ნათელსაყოფად.

#### ლიტერატურა:

- ბალიაური მ., მაკალათია ნ. 1940:** მიცვალებულის კულტი არხოტის თემში. - მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. III, თბილისი, გვ. 3-64.
- ბარამიძე მ. 1965:** კასპის სამაროვანი. - მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, IV, თბილისი, გვ. 31-66.
- გვინჩიძე გ. 1988:** ელინისტური ხანის კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის. თბილისი.
- გიორგაძე დ. 1987:** დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში. თბილისი.
- გობეჯიშვილი გ. 1981:** ბედენის გორასამარხების კულტურა. თბილისი.
- გოგაძე ელ. 1972:** თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბილისი.
- ვაშაკიძე ნ. 1985:** ზემო ფარცხმის სამაროვანი. - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XII, თბილისი, გვ. 23-117.
- ვერგილიუსი, 1976:** ენეიდა. თარგმნა,



წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო რ. მიმინოშვილმა. თბილისი.

**თოლორდავა ვ. 1963:** მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ.წ. III-I სს.,- მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, III. გვ.137-165.

**თუშიშვილი ნ. 1964:** ადრეანტიკური ხანის სამარხები სოფ. არდასუბნიდან.-ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა XIV სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, გვ. 50-51.

**თუშიშვილი ნ. 1972:** მადნისჭალის სამაროვანი. თბილისი.

**კალანდაძე ალ. 1980:** სამთავრო. წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. მცხეთა, II, თბილისი.

**კაჭარავა დ. 1983:** ბრინჯაოს ქანდაკებები ვანიდან.- ძეგლის მეგობარი, №63, თბილისი, გვ. 33-34.

**კვირკვია რ. 2009:** ბორჯომის ხეობა რკინის ფართო ათვისების ხანაში (ძვ.წ. VI-II-VII სს), ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის დოქტორის (h) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისი.

**კვირკველია გ. 2011:** ვანის ნაქალაქარის გამოკვლეული ახალი ტაძარი. - იბერია-კოლხეთი, №7, თბილისი, გვ. 99-105.

**ლორთქიფანიძე ნ. 2011:** სატირის „დაკრძალული“ ქანდაკება ვანიდან.- საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, II (47-B), თბილისი, გვ. 53-67.

**ლორთქიფანიძე ოთ. 2002:** ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი.

**მათიაშვილი ნ. 2006:** რიტუალური სამარხები ვანის ნაქალაქარიდან. - კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, XII, თბილისი, გვ.172-182.

**მაკალათია ს. 1930:** მთიულეთი. თბილისი.

**მარგიშვილი ს., ნარიშვილი გ. 2004:** ალგეთის ხეობის ანტიკური ძეგლები. თბილისი.

**მენაბდე მ., კილურაძე თ.1981:** სიონის

არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

**ნუცუბიძე ავ. 1980:** ალაზნის ველის ძვ.წ. XIV-XII სს არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი

**რამიშვილი ალ. 1998:** შიდა ქართლის ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიების არქეოლოგიის პრობლემები. დისერტაცია ისტ. მეცნ. დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თბილისი.

**სადრაძე ვ. 1989:** წეროვანი II. ბრინჯაოს ხანის სამაროვანი, კატალოგი. მცხეთა, IX, თბილისი, გვ. 77-154.

**სადრაძე ვ. 1997:** სამთავროს სამაროვნის ბრინჯაოს ხანის ძეგლები. თბილისი.

**სურგულაძე ირ. 2003:** მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში. თბილისი.

**ფიცხელაური კ. 1973:** აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-VII სს.)

**შატბერაშვილი ზ. 1967:** მეტეხში 1966 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევადიების შედეგები.- XVI სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1966 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევადიების შედეგებისადმი. თბილისი, გვ. 36-38.

**ჩართოლანი მ. 1961:** ქართველი ხალხის მატერიალური ყოფის ისტორიიდან. თბილისი.

**ჩუბინიშვილი ტ. 1957:** მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

**წითლანაძე ლ. 1983:** ვარსიმეანთკარის სამაროვანი. ჟინვალი, I, თბილისი. გვ.52-77.

**წულაძე აპ. 1971:** ეთნოგრაფიული გური. თბილისი.

**ჭანიშვილი თ. 2004:** მუხათგვერდის სამაროვნის ერთი სამარხის დათარიღებისათვის. ძიებანი, №13-14, თბილისი, გვ.83-90.

**ხაზარაძე ნ., ცაგარეიშვილი თ. 1999:** წმინდა ხის კულტი საქართველოში. თბილისი.

**ჯაფარიძე ო. 1969:** არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბილისი.

**ჰეროდოტე. 1975:** ისტორია, ტ. I. ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თინათინ ყაუხჩიშვილმა. თბილისი.

- ჰომეროსი. 1986:** ოდისეა, ძველბერძნულიდან თარგმნეს ზურაბ კიკნაძემ და თამაზ ჩხენკელმა. თბილისი.
- Антонова Е. 1990:** Обряды и верования первобытных земледельцев Востока. Москва.
- Деген-Ковалевский Б. 1936:** Сванское селение как исторический источник - Советская этнография, №4-5, Москва, стр.21-54.
- Дедабришвили Ш.1979:** Курганы алазанской долины, (Труды кахетинской археологической экспедиции), II, Тбилиси.
- Зелинский Ф. 1993:** Религия эллинизма. Киев.
- Иващенко М. 1980:** Самтаврские погребения первых веков н.э. Мцхета, III, Тбилиси.
- Ивановский А. 1911:** По Закавказью. Материалы по археологии Кавказа, вып. VI, Москва.
- Кахиани К., Гвлигвашвили Э., Шерезадашвили Б., Цквитинидзе З. 1997:** Полевые работы экспедиции Машаверского ущелья. Полевые археологические исследования в 1988 году, Тбилиси., стр.57- 61.
- Крупнов Е. 1960:** Древняя история Северного Кавказа. Москва.
- Ксенофонт. 1936:** Лакедемонская полития. Москва.
- Куфтин Б. 1941:** Археологические раскопки в Триалети, I, Тбилиси.
- Куфтин Б. 1950:** Материалы к Археологии Колхды, II, Тбилиси.
- Лордкипаниазе Г. 1970:** К истории древней Колхиды, Тбилиси.
- Павсаний. 2002:** Описание Эллады, т. I, Москва.
- Постовская Н. 1957:** О царских кенотафах древнего Египта - Вестник древней истории, №3(61), Москва, стр.122-144.
- Садрадзе В. 1991:** Мцхета в XV-XIII в.в. до нашей эры. Тбилиси.
- Садрадзе В.1993:** Археологические памятники Мцхета Великой эпохи средней бронзы. Тбилиси.
- Тишкин А., Грушин С. 1997:** Что такое кенотаф?-Известия лаборатории археологии, выпуск 2, г. Горно-Алтайск. e-lib.gasu.ru/da/archive/1997/02/06.html
- Хачатрян Т. 1975:** Древняя культура Ширака. Ереван.
- Хачатрян Т. 1979:** Арктикский некрополь. Ереван.
- Хоштария Н.1979:** О раскопках на вершине холма в 1947-1959гг.,- Вани IV, Тбилиси.стр.115-134.
- Штернберг Л. 1936:** Первобытная религия. Ленинград.
- Элиаде М. 2002:** История веры и религиозных идей, Т. 1. Москва.
- Юнг К.Г. 1991:** Архетип и символ. Москва.
- Kurtz D.C., Boardman J. 1971:** Greek burial customs. London.
- Halbwachs M. 1980:** The Collective Memory. New-York.

## ნანა გოგიბერიძე

### ბავშვების სამარხების ერთი ჯგუფი ტახტიძის ქვ. IV-III სს. სამაროვნისა

ტახტიძის სამაროვნის 25 სამარხიდან 15-ში აღმოჩნდა ბავშვების ძვლოვანი ნაშთები (სამარხები №№1, 5, 6, 8, 9, 10, 12, 13, 16, 18, 20, 36, 37, 39?, 41). ზოგჯერ ისინი უფროსებთან ერთად იყვნენ დასაფლავებული, უმეტესად კი ეს ინდივიდუალური სამარხებია. ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა საინტერესო დეტალმა, რომლის მსგავსი საქართველოს სხვა თანადროულ არქეოლოგიურ ძეგლებზე ფიქსირებული არ არის. ესაა წვრილი ნივთებით სავსე კოლოფის ან ქისის ჩატანება, რომლებიც ბავშვს ხელში უჭირავს. ტახტიძის სამაროვანზე სამ სამარხში (№№8, 16, 37) კარგად გამოიკვეთა ხის კოლოფები, ხოლო ერთში (№5) ნივთები მოთავსებული იყო ქსოვილის ქისაში. მკაფიოდ ჩანდა ქსოვილის ანაბეჭდი. ორი კოლოფიანი სამარხი (№16 და №37) წარმოადგენდა ხის სახურავიან ორმოსამარხს, სადაც ბავშვები დასვენებული იყვნენ მარცხენა გვერდზე მოკრუნჩხულ პოზაში, ხელში ეკავათ ხის ზარდახშები, რომლებშიც ნივთების ურთიერთ მსგავსი ასორტიმენტი ენყო.

№16 სამარხი ინდივიდუალური ორმოსამარხია ხის გადახურვით. ზედ ლოდები ენყო, რომლებმაც სახურავის ჩანგრევის შემდეგ ჩონჩხი საგრძნობლად დააზიანა - თავის ქალა და მენჯის ძვლები გაჭეჭყილია. სამარხში დაკრძალულია მოზარდი მოკრუნჩხულ პოზაში, მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ. ხელში ხის ზარდახშა უჭირავს, რომელშიც მინის თვალედი და მოხვეული მძივების ასხმები, ბრინჯაოს გვერდშეჭრილი ზარაკები და ბრინჯაოს დახვრეტილი ფირფიტოვანი საკიდი - ე.წ. „კალენდარი“ დევს.

№37 სამარხშიც დაფიქსირდა ხის კოლოფი, რომელიც მიცვალებულს ხელში ეჭირა სახის წინ. მასში ელაგათვალედი მძივები, ზარაკები და ობსიდიანის სკარაბეოიდი. მოოთხკუთხო ორმოში ჩონჩხი იწვა მარცხენა

გვერდზე, მკვეთრად მოკრუნჩხულ პოზაში, თავით ჩრდილოეთისაკენ. ორმოში ჩაყრილი იყო დიდი ლოდები, რომლებმაც დააზიანა ჩონჩხის ძვლები, განსაკუთრებით კი თავის ქალა. კბილების მიხედვით მიცვალებული მოზარდი უნდა ყოფილიყო.

მსგავსი სურათი გვაქვს №5 სამარხში, მხოლოდ ამ შემთხვევაში მიცვალებულის მარჯვენა ხელთან აღმოჩნდა ქსოვილში, ალბათ, ქისაში მოთავსებული წვრილი ნივთები - ვერცხლის კოვზი, ბრინჯაოს ზარაკები, მილაკები, ილარი და ვერცხლისგან დამზადებული კბილის საჩიჩქნები. აქაც ხის სახურავიან სამარხთან გვაქვს საქმე, რადგან ძვლები გაჭეჭყილია. სამარხში დასაფლავებული იყო ახალგაზრდა ქალი მცირეწლოვანი ბავშვით, რომლის სარძევე კბილები ქალის თავის ქალასთან აღმოჩნდა.

ამ სამმა სამარხმა მიგვაქცევინა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ტახტიძის სამაროვნის სამარხებში, სადაც ბავშვები იყვნენ დაკრძალულნი, წვრილი ნივთების გარკვეული ჯგუფები თავმოყრილი იყო ხელის მტევნების არეში გროვების სახით, რაც გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევებშიც საქმე გვაქვს კოლოფის ან ქისის იმავე წესით ჩატანების ფაქტთან. ამასთანავე ირკვევა, რომ შესაბამისი ნივთების ასორტიმენტი მსგავსია, თუმცა არა იდენტური.

კოლოფის კომპლექტის ყველაზე უფრო დამახასიათებელ ელემენტად გამოიყურება ბრინჯაოს ზარაკები, რომლებიც ათიდან ცხრა შემთხვევაში დადასტურდა კოლოფის კომპლექტში (სამარხები №№5, 6, 8, 13, 16, 20, 36, 37, 41). როგორც ცნობილია, მათ მაგიურ მნიშვნელობას და ავი თვალისაგან დამცველის ფუნქციას მიაწერენ [Кигурадзе Н. 1976:54-55], ხოლო მათი სამარხებში, თანაც უმეტესად ბავშვების სამარხებში, აღმოჩენის ფაქტები

ამაგრებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ეს ნივთები სამგლოვიარო რიტუალის ატრიბუტიც უნდა ყოფილიყო [ნითლანაძე ლ. 2004:43; ჭანიშვილი თ. 2006:138].

ძალიან დამახასიათებელია თვალედი და „მოხვეული“ მძივები (ექვს-ექვსი შემთხვევა, შესაბამისად №№8,12,16,20,37,41 და №№8,12,13,16,20,36), აგრეთვე ილარები (№№5, 6, 12, 13, 20, 41).

ოთხ შემთხვევაში ნივთებს შორის აღმოჩნდა ე.წ. „კალენდარი“ (№№6, 13, 16, 20).

სამ შემთხვევაში დადასტურდა ბრინჯაოს მილაკები (№№5, 13, 20).

ესაა ზარდანშებისათვის დამახასიათებელი ნივთების ძირითადი ჩამონათვალი, თუმცა მათი ასორტიმენტი ვარირებს და ემატება როგორც წვრილი, ისე შედარებით დიდი ზომის ნივთები, მაგ. კოვზები, წინწილები, კოლტიუბები, ასევე სხვა წვრილი ნივთები, მაგ. საკიდები და სხვა.

ამ სამარხებს სხვა მსგავსებაც აკავშირებს. ყველა ეს სამარხი ხის სახურავიანი ორმოსამარხია, რომლებსაც ზედ ლოდები ეწყობდა და სადაც მიცვალებულები დასვენებულია მარცხენა გვერდზე მოკრუნჩხულ პოზაში (№36 სამარხის გარდა, სადაც მიცვალებული მარჯვენა გვერდზე იწვა).

ქვემოთ მოგვყავს იმ სამარხების კომპლექსების აღწერილობა, სადაც დაკრძალვის ზემოხსენებული წესია სავარაუდო.

№6 სამარხში დაკრძალული იყო 7-8 წლის ბავშვი მოკრუნჩხულ პოზაში, მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ. ჩონჩხი აქაც ცუდად იყო შენახული. მიცვალებულის ზურგს უკან სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ჩალაგებული იყო თიხის ჭურჭელი, მათ შორის ორი, დიდ-პატარა, ანგობირებული, ნითლად მოხატული ხელადა და შავლაკიანი ბერძნულწარწერიანი კანთაროსი. გულმკერდის არეში თავმოყრილი იყო წვრილი ნივთები: ბრინჯაოს ილარი არნივის ორმაგი გამოსახულებით, საკიდი - ბრინჯაოს ფირფიტა-კალენდარი, გვერდშეჭრილი ზარაკები, ანუ ნივთების ის ასორტიმენტი, რომელიც დამახასიათებელია კოლოფებისათ-

ვის, და თუმცა თვით კოლოფის კვალი არ ჩანდა, საფიქრებელია, რომ აქაც საქმე გვაქვს ნივთების ჩაყოლების აღნიშნულ წესთან.

ეს წესი დასტურდება №12 სამარხშიც. ოვალური ფორმის ორმო დამხრობილი იყო ჩრდილო-სამხრეთის მიმართულებით. სამარხში დაკრძალული იყო ჩვილი ბავშვი, 1 წელზე ნაკლები ასაკისა. ესვენა მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ; ძვლების კვალი-ლა იყო შემორჩენილი. თუმცა თვით კოლოფი ან ქისა ვერ დაფიქსირდა, მაგრამ მის არსებობას გვაფიქრებინებს გულმკერდის არეში თავმოყრილი ნივთები - ილარი ფრინველის ორმაგი გამოსახულებით, თვალედი და მოხვეული მძივების ასხმები და საკიდები.

ასეთივე ვითარებაა №20 სამარხშიც, სადაც აღმოჩნდა ორი მიცვალებულის ძვლები. მეორე ჩონჩხი ბავშვს ეკუთვნოდა. იგი იწვა მარცხენა გვერდზე პირველი მიცვალებულის ჩრდილო-აღმოსავლეთით. სამარხს ხის გადახურვა უნდა ჰქონოდა, რაზეც მიუთითებს სამარხში ჩავარდნილი სამი ლოდი, რომლებმაც ძლიერ დააზიანა ჩონჩხები. მიცვალებულის სახის წინ, სავარაუდოდ, ხელის მტევნებთან, აღმოჩნდა ბრინჯაოს ილარი ბატისმსგავსი ფრინველის გამოსახულებით, ბრინჯაოს გვერდშეჭრილი ზარაკები, და ბრინჯაოს მილაკი. აქვე მრავლადაა თვალედი და მოხვეული მძივები, ანუ კოლოფისათვის დამახასიათებელი ნივთების ასორტიმენტი.

№36 სამარხის ოვალურ ორმოში დაკრძალული იყო მცირეწლოვანი ბავშვი მარჯვენა გვერდზე, მოკრუნჩხულ პოზაში, თავით ჩრდილოეთისაკენ. მიცვალებულის სახის წინ აღმოჩნდა ბრინჯაოს ცილინდრული, გვერდშეჭრილი ზარაკები და მინის სხვადასხვა მძივები: მოხვეული - ლურჯი, ცისფერი, შაბიამნისფერი, ყვითელი და დაბალცილინდრული - მორუხო იოტები.

სამარხი №41 ორიენტირებული იყო ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებით. ხის სახურავის არსებობაზე მიანიშნებს ორმოში ჩავარდნილი ქვის ლოდი. სამარხში სამი ჩონჩხი აღმოჩნდა. ორი მიცვალებულის ძვლები მის-

ვეტილი იყო ორმოს სამხრეთ აღმოსავლეთის კუთხეში. მესამე მიცვალებული ინვა მარცხენა გვერდზე თავით ჩრდილოეთისაკენ მკვეთრად მოკრუნჩხულ პოზაში; მიხვეტილ ჩონჩხებთან აღმოჩნდა ზარაკი და ილარი. მრავლად იყო სარდიონის სფერული და მინის თვალედი მძივები. განხილულ კომპლექსებზე დაყრდნობით აქაც კოლოფის არსებობაა სავარაუდო.

საკმაოდ რთული ვითარებაა №8 სამარხში, სადაც ერთსა და იმავე ფართობზე სხვადასხვა დროს რამდენიმე სამარხი იყო იყო გამართული. ყველაზე თვალსაჩინოაა წარმოდგენილი ხის სარკოფაგი, რომლის არსებობაზე რკინის დიდი ზომის ლურსმნები მიანიშნებს. სარკოფაგმა, როგორც ჩანს, დააზიანა ძველი სამარხების ფენა, რომელთათვისაც მიცვალებულის ხელში წვრილი ნივთებით შევსებული ზარდახშების ან ტილოს ქისების ჩატანების წესი იყო დამახასიათებელი. მაგრამ სამარხი ორმოს აღმოსავლეთი ნაწილი ხელუხლებელია და ნივთების სიმრავლით გამოირჩევა. სწორედ აქ აღმოჩნდა ბავშვის ჩონჩხი, რომელსაც პირში ალექსანდრე მაკედონელის სტატერი ედო. იქვე, სარკოფაგთან უშუალო სიახლოვეში აღმოჩნდა რამდენიმე კოლოფი. თითოეულ მათგანთან დადასტურდა არეული და ნაკლული ჩონჩხები. კოლოფებში წვრილი ნივთები ეწყო: ვერცხლის ღერაკი, ვერცხლის კოვზი, ბრინჯაოს წინწილები, სანელსაცხებლები – კოლტიუბები, ბრინჯაოს კონუსური, ცილინდრული და კონუსურ-დაფანჯრული ზარაკები, საკიდები, სხვადასხვაგვარი, მათ შორის თვალედი და მოხვეული მძივები, თეთრი მინის ოქროს ფოლგიანი ინტალიო გრიფონისა და ქალის გამოსახულებით და სხვ.

საინტერესოდ გვეჩვენება ის ფაქტი, რომ ტახტიძირის სამაროვანზე გათხრილი 15 სამარხიდან, სადაც ბავშვების ძვლოვანი ნაშთები იყო დადასტურებული, ათიდან შვიდ შემთხვევაში სამარხში იდო წითლად მოხატული ან წითლად შეღებილი ჭურჭელი (№№6,12,13,16,20,36,41), თუმცა წითლად მოხატული ხელალები მამაკაცების სამარხებშიც ამოჩნდა (№№17,19).

ანალოგიური შედეგი მოგვცა თავის დროზე ილარების კვლევამ, რომლებიც მხოლოდ ბავშვებისა და მამაკაცების სამარხებშია დადასტურებული [მუხიგულაშვილი ნ. 2006:135; გოგიბერიძე ნ. 2008:9]. შესაძლოა, ეს წესი წითლად მოხატულ ხელალებზეც ვრცელდება. №36 სამარხში, სადაც აღნიშნული წვრილი ნივთების თავმოყრა შეინიშნება, მოხატული ხელადაცაა აღმოჩენილი, მიცვალებული მარჯვენა გვერდზეა დასვენებული. ილარების ქრონოლოგიის საფუძველზე [გოგიბერიძე ნ. 2008:12], ბავშვებისათვის კოლოფების ჩატანების წესის გავრცელების ქრონოლოგიური დიაპაზონი ძვ.წ. IV ს. ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს.

როგორც აღვნიშნეთ, დაკრძალული ბავშვების ხელში წვრილი ნივთებიანი კოლოფების ან ქისების ჩატანების ფაქტი სხვა ძეგლებზე დოკუმენტირებული არ არის, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მისი არსებობა შეიძლება ვივარაუდოთ. მაგალითად, ძალიან ჰგავს ზარდახშის ნაწილებს ზენური ორნამენტით შემკული ძვლის ფირფიტები „დაჭრილების“ სამაროვნის №14 ქვევრსამარხიდან, სადაც ასევე ბავშვი იყო დაკრძალული, ხოლო თანმხლებ ინვენტარში ტახტიძირის განხილული სამარხების ანალოგიური ნივთების არსებობა (ბრინჯაოს გვერდშეჭრილი ზარაკები, ფრინველის გამოსახულებიანი საკინძები და ილარი, ბრინჯაოს მილაკი) [ნაკაიძე ნ. 1980:28, ტაბ. XXXIV] ამ ვარაუდს კიდევ უფრო ამყარებს.

თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ კოლოფის ჩატანების კვალი საძებნელია როგორც ორმოსამარხებში, ისე სხვა ტიპის სამარხებშიც, სადაც წვრილი ნივთების აღნიშნული ასორტიმენტი გროვების სახით არის განლაგებული მიცვალებულის ხელის მტევნების არეში. ერთ-ერთ ასეთად მოგვაჩინა შავსაყდარას სამაროვნის ქვევრსამარხი №49, სადაც მოზარდს ახლდა წვრილი ნივთები – საკინძი და ილარი, „კალედნარი“, ორმაგი მილაკი, ზარაკები. ისინი ეწყო გულმკერდის არეში. სამარხში აღმოჩნდა წითლად შეღებილი ხელადაც [მარგიშვილი ს., ... 2004:53, ტაბ. IX]. შესაძლოა, ამავე მოვლენასთან გვაქვს საქმე

საკრაველის სამაროვანზეც [ამირანაშვილი ჯ. 1997:15-17, სურ.1]. ილარი, თვალედი მძივები და „კალენდარი“ დადასტურდა საირხეში, №9 სამარხში, სამარხის ცენტრალურ ნაწილში [ნადირაძე ჯ. 1990:61, ტაბ. XXXIII ; მახარაძე გ., ... 2007:73, სურ. 57], თუმცა არც მიცვალებულის ასაკი და არც ამ ნივთების ხელის მტევნებთან სიახლოვეს აღმოჩენის ფაქტი აღნიშნული არ არის. ყურადღებას იქცევს დაფნარის სამაროვნის ძვ.ნ. IV ს-ით დათარიღებული №31 ქვევრსამარხი [Кигурадзе Н.1976:33, ტაბ. XXXI], რომელშიც 7 წლის გოგონა იყო დაკრძალული. მის თანმხლებ ინვენტარში მრავლადაა ბრინჯაოს ზარაკები და საკიდები. აქვეა ბრინჯაოს სამაჯური, რომლის ზუსტი ანალოგია მომდინარეობს ტახტიძირის სამაროვნის №12 სამარხიდან. ეს ორი სამარხი სხვა მხრივაც ავლენს დიდ მსგავსებას.

ამავე რიტუალის არსებობა სავარაუდოა ვარსიმაანთკარის სამაროვანზე, სადაც ვერძისთავებიანი ილარები აღმოჩენილია ბავშვების სამარხებში. ნ. მუხიგულაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ილარები წითლად მოხატულ ხელალებთან და, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მძივებთან ერთად ხვდება ხოლმე სამარხებში.

ჩვენს მიერ განხილული ყველა კომპლექსი ან ორმოსამარხია, ან ქვევრსამარხი. ჯერჯერობით ვერ იძებნება ამ წესის ქვის სამარხებში გავრცელების ნიშნები, თუმცა ეცოს სამაროვნის №44 ქვასამარხში, სადაც ქალი და ძუძუთა ბავშვი იყვნენ დაკრძალულნი, ბრინჯაოს ილართან, საკინძთან და ძენკვთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს ცილინდრული კოლოფი, რომელშიც მძივები იყო ჩაყრილი. ვ. შატბერაშვილი მას ბავშვის სათამაშოდ - საჩხაკუნოდ მიიჩნევს [შატბერაშვილი ვ. 2005:72]. ამ სამარხის ილარი ვოლუტისებური თავით ცოტა უფრო ადრეული ჩანს, ვიდრე ცხოველის და ფრინველის გამოსახულებიანი ილარები, რომლებიც კოლოფებიანი სამარხებისათვის არის დამახასიათებელი. შესაძლოა, კოლოფის ჩატანების წესი ცოტა მოგვიანებით, ძვ.წ. IV ს-ის პირველ ნახევარში ჩამოყალიბდა.

ტახტიძირის სამაროვანზე კოლოფიანი სამარხები ქრონოლოგიის თვალსაზრისით რკინის ბურცობებიანი სამაჯურების შემცველ და ხის სარკოფაგებს შორის თავსდება. ერთ შემთხვევაში ასეთი სამარხი (№41) დაზიანებულია ხის სარკოფაგიანი სამარხის (№40) გამართვის დროს. იგივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე №8 სამარხში, სადაც რამდენიმე კოლოფი და ხის სარკოფაგი დადასტურდა.

## ლიტერატურა:

**ამირანაშვილი ჯ. 1997:** საკრაველის სამაროვანი. - ძეგლის მეგობარი, №3(98), თბილისი, გვ. 15-17.

**გოგიბერიძე ნ. 2008:** საკინძების და ილარების ზოგიერთი ტიპის თარიღისათვის. - კრ. იბერია-კოლხეთი, №4, თბილისი, გვ. 5-13.

**მუხიგულაშვილი ნ. 2006:** ვარსიმაანთკარის სამაროვნის ბრინჯაოს ილარები. - ძიებანი, № 17-18, თბილისი, გვ. 133-137.

**ნაკაიძე ნ. 1980:** ძვ.წ. IV-III სს. ქვევრსამარხები «დაჭრილების» სამაროვნიდან. - კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, გვ. 28-41.

**მარგიშვილი ს., ნარიშანიშვილი გ. 2004:** ალგეთის ხეობის ანტიკური ხანის ძეგლები. თბილისი.

**ნადირაძე ჯ. 1990:** საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი. თბილისი.

**მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007:** საირხე. თბილისი.

**შატბერაშვილი ვ. 2005:** ქვემო ქართლი ძვ.წ. IV-I სს-ში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით). დისერტაცია, თბილისი.

**წითლანაძე ლ. 2004:** ხევის არქეოლოგიური ძეგლები II. თბილისი.

**ჭანიშვილი თ. 2006:** მაგიური დანიშნულების არტეფაქტი (ზარაკი) ანტიკური ხანის არქეოლოგიური კომპლექსებიდან. - ძიებანი, № 17-18, თბილისი, გვ. 138-144.

**Кигурадзе Н. 1976:** Дапнарский могильник. Тбилиси.

## არქეოლოგიური სამუშაოები წყალტუბო-მენჯის მონაკვეთის ელექტროგადამცემი ხაზის ტრასაზე

ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ექსპედიციამ 2011 წლის აგვისტო-სექტემბერში საქართველოს ელექტროსისტემის დაკვეთით წყალტუბო-მენჯის მონაკვეთის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის 60 კმ-იანი ტრასის 30 მ-იან დერეფანში სარეაბილიტაციო მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარა საველე-საექსპერტო და არქეოლოგიური გათხრითი (I, II ეტაპი) სამუშაოები, სადაც გამოვლინდა რამდენიმე არქეოლოგიური ობიექტი (ექსპედიციის შემადგენლობა: რევაზ პაპუაშვილი, ლერი ჯიბლაძე, ნანა პაპუაშვილი).

დასახლება მენჯში (ქ. სენაკის მუნიციპალიტეტი), მდ. ცივის მარცხენა სანაპიროს ფლატეზე, №209 ელექტროგადამცემი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე (ტაბ. I<sub>2</sub>) საცდელი თხრილებით (1X2; 1,5X2 მ-ზე) შესწავლილ იქნა გვიანი შუასაუკუნეების ხანის ნამოსახლარის ნაშთები. არქეოლოგიური არტეფაქტებიდან აღმოჩნდა კრამიტისა და უსახო კერამიკის ნატეხები. როგორც ჩანს, ეს ძეგლი გარკვეულ პერიოდში მდ. ცივის მიერ იქნა ჩამორეცხილი და განადგურებული.

მეორე, გაცილებით მნიშვნელოვანი, არქეოლოგიური ობიექტი დადასტურდა ქ. სენაკის ჩრდილოეთით, №177 ელექტროგადამცემი ანძის გასამართავ ადგილზე (ტაბ. I<sub>1,2</sub>). ეს ძეგლი მოქცეულია კალანდარიშვილების ეკლესიასა (ასევე სასაფლაოს) და შუასაუკუნეების ციხეს („ჯიხას“) შორის მდებარე გორაზე. აქ ძეგლის ხასიათის, გავრცელების არეალის, ქრონოლოგიისა და სტრატეგრაფიის განსაზღვრის მიზნით გავაკეთეთ 5 საცდელი თხრილი (ზომებით: 1X2; 1,5X2 მ-ზე). თხრილებში ნიადაგის სტრუქტურული შემადგენლობა თითქმის ერთნაირი იყო: მოყავისფრო მინის შემდეგ იწყებოდა

კლდოვანი თირი, რაზედაც უნდა ყოფილიყო კლასიკური და ელინისტური ხანის დასახლება. მისი ძირითადი ნაწილი, როგორც ჩანს, განადგურდა ჯერ კიდევ გასული საუკუნეების 70-იან წლებში ელექტროგადამცემი ანძის დასადგამ ტერიტორიაზე მინის ნიველირებისას. სწორედ ამით უნდა აიხსნას აქ ზედაპირულად მიმოხეული ადგილობრივი კოლხური და ბერძნული იმპორტული თიხის ნანარმის არსებობა.

№177 და №178 ანძათშორისი მონაკვეთი (აღმოსავლეთიდან დასავლეთით) და კალანდარიშვილების სასაფლაოს და „ჯიხას“ შორის არსებული ტერიტორია (ჩრდილოეთიდან სამხრეთით), რომელიც ეკის მთის სამხრეთი ფერდობის ნაწილია და ქ. სენაკს ჩრდილოეთიდან დაჰყურებს, გამოირჩევა არქეოლოგიური ობიექტების სიუხვით (კალანდარიშვილების გორის მიმდებარე ტერიტორიაზე ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით კი მის დასავლეთ მხარეს აღმოჩნდა მძლავრი კლასიკური და ელინისტური ხანის დასახლება). ამ მიდამოებში, სოფ. ზედა შხეფის ყოფილი მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობისაკენ მიმავალი გზის გაჭრისას რამდენიმე ადგილას დაუზიანებიათ ნასახლარები და სამაროვანი (ძვ.წ. V-III სს.). ეს ძეგლი (არქეოლოგიურ ობიექტთა კომპლექსი) მეტ-ნაკლები ინტენსივობით ვრცელდება 1-1,5 კმ. სიგრძეზე. სავალი გზის ორივე მხარეს მოშვებულ ჭრილებში თვალნათლივ შეინიშნება კოლხური და ბერძნული იმპორტული ნანარმით გაჯერებული მოშავო-მონაცრისფრო მძლავრი კულტურული ფენები. ისინი ხშირად კლდოვან თირშია ჩაჭრილი და საკარმიდამო ნაკვეთებში შედის. კერამიკული მასალა მიმოფანტულია კირქოვან გზაზეც. კლდოვანი თირის ზოგიერთ მონაკვეთში კირქვით ნაგები შენობების ფრაგმენტებიც

შეინიშნება.

აღსანიშნავია, რომ ამ მიდამოებში 1966 წელს სამუშაოები ჩაუტარებია დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიურ ექსპედიციას [გრიგოლია გ., ... 1973:31-33]. ისინი იხსენიებენ, კალანდარიშვილების სასაფლაოდან აღმოსავლეთით - 300 მ. დაშორებით და ფეოდალური ხანის „ჯიხას“ სამხრეთით - 150 მ. მანძილზე, ერთმანეთთან დაბალი ყელით შეერთებულ ორ, სამხრეთ და ჩრდილოეთ ხელოვნურ ბორცვს, ბატნაოხორუს (ბატონის ნამოსახლარი) სახელწოდებით. ზედაპირულად აკრეფილი მასალითა და გავლებული საძიებო თხრილებით გამოუყვიათ ადრეანტიკური და ელინისტური ხანის ფენები. ასევე გაუნმენდიათ ორი ქვევრსამარხი [გრიგოლია გ., ... 1973:31-32].

საგანგებოდ ჩატარებული დაზვერვების შედეგად ვერ მივაკვლიეთ აღნიშნულ ძეგლს, ადგილობრივი მაცხოვრებლების გამოკითხვისას ვერც ბატნაოხორუს ტოპონიმი მოვიძიეთ. ჩვენთვის გაურკვეველია ხელოვნურ ბორცვებში რას გულისხმობენ ექსპედიციის წევრები. როგორც ვიცით, კლასიკური გაგებით, ამ ტიპის ბორცვები მხოლოდ კოლხეთის დაბალი ზონისთვისაა დამახასიათებელი. კალანდარიშვილების გორა და მისი მიმდებარე ტერიტორია კი ბუნებრივ მთიან-ბორცვოვან სისტემას წარმოადგენს.

როგორც აღინიშნა, კალანდარიშვილების გორაზე, სასაფლაოსა და შუასაუკუნეების ციხეს შუა მდებარე ფართობზე აკრეფილიქნა მრავალრიცხოვანი კერამიკული მასალა. ადგილობრივი თიხის ნაწარმი წარმოდგენილია ნაცრისფრად და აგურისფრად გამომწვარი კერამიკით, რომელთა შორის გამოიყოფა: მარცვლოვანი ქდეების რიგებით, რელიეფურ სარტყელზე გამოყვანილი ნათითური ფოსოებით, რელიეფური ქედებით, ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზებით გაფორმებული კოლხური ქვევრების, დერგების, ამფორების პირ-გვერდის, ყურებისა და ძირების ნატეხები (ტაბ. III<sub>1-8</sub>, IV<sub>1-6</sub>, V<sub>4</sub>, VII<sub>3-6,8,11</sub>). ასევე გვხვდება სხვადასხვა საწარმოო ცენტრში

დამზადებული ბერძნული იმპორტული ნაწარმის ცალკეული ფრაგმენტები. მათ შორის გამოიყოფა სოლოხას (შესაძლოა კნიდოსის) ტიპის ამფორის სპეციფიკური ფორმის ძირქუსლი (ტაბ. V<sub>5</sub>, VII<sub>10</sub>). გვხვდება სინოპური ამფორის ქუსლისა (ტაბ. V<sub>1</sub>, VII<sub>1,7</sub>) და ყურის ნატეხებიც (ტაბ. V<sub>6,9</sub>). სოლოხასა და სინოპის ამფორების პირველ გამოჩენას ჩრდილო და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ფიქრობენ ძვ.წ. IV საუკუნის 70-იანი წლებიდან [Монахов С. 1999:242, ტაბ. 98<sub>21</sub>; ახვლედიანი დ. 2004:98]. კალანდარიშვილების გორაზე ამ საწარმოო ცენტრებში დამზადებული ამფორების ცალკეული დეტალები ალბათ ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრითა და ძვ. წ. III საუკუნით უნდა განისაზღვროს. შემდეგ ჯგუფს შეადგენს ძვ. წ. IV საუკუნით დათარიღებული ქიოსური ამფორის გვერდის ფრაგმენტები. სხვა ნივთებიდან აღმოჩნდა ქვის ხელსაფქვავეები, რომლებიც არასრულადაა შემორჩენილი (ტაბ. VIII<sub>12,13</sub>).

კალანდარიშვილების გორასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი როგორც ადგილობრივი, ასევე ბერძნული იმპორტული ნაწარმი წარმოდგენილია ადრეანტიკური და ელინისტური ხანის მთელ რიგ ძეგლებზე. მათი სათითაოდ ჩამოთვლა შორს წავიყვანდა [ლორთქიფანიძე ოთ. 1966:117-140; მიქელაძე თ. 1978:57-58, ტაბ. XII; გამყრელიძე გ. 1982:82-89, ტაბ. XXXI-XXXII; ახვლედიანი დ. 2004:99-104; Кахидзе А. 1881], მაგრამ, მაინც აღვნიშნავთ, რომ ასეთი მასშტაბისა და ასეთ ბუნებრივ გარემოში ამგვარი დასახლების დადასტურება განსაკუთრებულია. ინტერესს ზრდის ის გარემოებაც, რომ აქვეა ამავე ეპოქის (ამ დასახლების კუთვნილი) სამაროვანიც, რომლის ცალკეული სამარხები ბუნებრივად და ანთროპოგენურად ეროზირებულ ფერდობებზე ზედაპირულადაც კი შეინიშნება. ამჯერად, ზოგიერთ მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ჩვენს მიერ დაზვერილ ტერიტორიაზე №177 და №178 ელექტროანძებს შუა, სავალი გზის ცენტრალურ ნაწილში, კირქოვან



გზაზე, ერთმანეთის გვერდიგვერდ გამოვლინდა ძვ. წ. IV-III საუკუნეების საკმაოდ დაზიანებული ორი ქვევრსამარხი. სამარხად გამოყენებულია საშუალო ზომის, შავზედაპირიანი და აგურისფერშიდაპირიანი, სქელკეციანი ქვევრები, რომელთა ზედაპირზე დატანილია მჭიდროდ განლაგებული ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზები. ორივე ქვევრსამარხში ძალზე ფრაგმენტულად დადასტურდა მიცვალებულთა ძვლები.

№1 ქვევრსამარხში დაფიქსირდა პატინით დაფარული ბრინჯაოს სამი სამაჯური, რომელთაგან ორი სრულადაა შემორჩენილი (ტაბ. VI<sub>4,5</sub>). ისინი მრგვალღეროიანია, რკალგახსნილი და ზურგშეზნექილი. ერთი მათგანის ღერო უფრო სადაა, მეორისა კი დაღარული. ამავე სამარხში გამოვლინდა უფრო წვრილი მავთულისაგან დამზადებული ბრინჯაოს სამაჯურის ფრაგმენტი (ტაბ. VI<sub>3</sub>), ზემოდან დაბრტყელებული რკინის ბეჭდის ნაწილი (ტაბ. VI<sub>10</sub>) და ორი ცალი გამჭვირვალე პასტის მძივი (ტაბ. VI<sub>9</sub>).

№2 ქვევრსამარხი შეიცავდა პატინით დაფარულ ორ მთელ და ერთ ფრაგმენტულ ბრინჯაოს რგოლს (ტაბ. VI<sub>6,8</sub>).

ანალოგიური ქვევრსამარხები, მეტნაკლებად მსგავს ინვენტართან ერთად გავრცელებულია კოლხეთის დაბლობსა და მთისწინა ზოლშიც [Кигураძე Н. 1976:ტაბ. I; ნონეშვილი ს. 1985:6-35; გვინჩიძე გ. 1981:163, სურ. 23, ტაბ. V; გვინჩიძე გ. 2003: 23-26]. ისინი უპირატესად ელინისტური ხანისთვისაა დამახასიათებელი [თოლორდავა ვ. 1980:6].

ჩვენს მიერ მესამე არქეოლოგიური ობიექტი წყალტუბოს რაიონში, მდ. გუბისწყლისა და წყალტუბოსწყლის შეერთების ადგილზე იქნა მიკვლეული. აქ, მდინარის ფლატეზე, მოშიშვლებულ ჭრილებს გასდევდა საკმაოდ მძლავრი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურული ფენა, სადაც ზედაპირული დათვალიერებისას წავანყდით უსახო კერამიკის ნატეხებსა და წიდის ფრაგმენტს.

ამრიგად, წყალტუბო-მენჯის ელექტრო-

გადამცემი ხაზის ტრასაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მიკვლეულ ძეგლთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კალანდარიშვილების გორაზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლენილი ძვ.წ. V-III საუკუნეების მძლავრი დასახლება სამაროვანთან ერთად. ამ ძეგლის მასშტაბები გვაფიქრებინებს, რომ იგი წარმოადგენდა დაბური ტიპის (შესაძლოა ქალაქურიც კი) საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულ პუნქტს. აქ გამოვლენილი ბერძნული იმპორტული თიხის ნაწარმი კიდევ ერთხელ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ამ დასახლებული ადგილის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე ბერძნულ სამყაროსთან და, შესაბამისად, აღნიშნული დროის კოლხეთის შესახებ.

## ლიტერატურა:

**ახვლედიანი დ. 2004:** კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხები. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი.

**გამყრელიძე გ. 1982:** ცენტრალური კოლხეთის ნამოსახლარები, თბილისი.

**გვინჩიძე გ. 1981:** ნოქალაქევის სამარხეული ძეგლები. ნოქალაქევი-არქეოპოლისი I, თბილისი, გვ. 150-183.

**გვინჩიძე გ. 2003:** მდ. ტეხურის აუზის ძვ.წ. IV-ახ.წ. VI-სს-თა სამარხები - გ. გამყრელიძე (რედ.). იბერია-კოლხეთი, №1, თბილისი, გვ. 23-28.

**გრიგოლია გ., ფხაკაძე გ., ბარამიძე მ., ლორთქიფანიძე გ. 1973:** დასავლეთ საქართველოს საძიებო არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის შედეგები - (რედ.), მსკა №6, თბილისი, გვ. 17-37.

**თოლორდავა ვ. 1980:** დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბილისი.

**ლორთქიფანიძე ოთ. 1966:** ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბილისი.

**მიქელაძე თ. 1978:** არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, თბილისი.

**ნონეშვილი ს. 1983:** ქვევრსამარხები ამიერკავკასიაში, თბილისი.

**Кахидзе А. 1981:** Восточное Причерноморье в античную эпоху (колхские могильники), Батуми.

**Кигურაძე Н. 1976:** Дапнарский могильник, Тбилиси.

**Монахов С. 1999:** Греческие амфоры в Причерноморье, Саратов.

#### **ილუსტრაციების აღწერილობა:**

**ტაბ. I. - 1.** სატელიტური რუკა; 2. ტოპოგრაფიული რუკა.

**ტაბ. II.** კალანდარიშვილების გორისა და მიმდებარე ტერიტორიის საერთო ხედი.

**ტაბ. III. - 1-8.** ადგილობრივი კერამიკა.

**ტაბ. IV. - 1-6.** კოლხური თიხის ნაწარმი კლასიკური ხანის ნამოსახლარიდან.

**ტაბ. V. - 1-3, 5-9.** იმპორტული მასალები; 4. ადგილობრივი ნაწარმი.

**ტაბ. VI. - 1-10.** ქვევრსამარხების არტეფაქტები.

**ტაბ. VII. - 1,2,3,9,10.** ბერძნული იმპორტული კერამიკა; 3-6,8,11. ადგილობრივი თიხის ნაწარმი; 12,13. ქვის ხელსაფქვავის ფრაგმენტები.

# I




1



2


## II




# III




# IV




1



2



3




4



5




0 1




6

0 2


# V




1




2




3




4




5




6



7



7






8



0.1

# VI




0 — 3



10



# VII



## ვახტანგ ნიკოლაიშვილი, გიორგი მანჯგალაძე, გოდერძი ნარიმანიშვილი

### სამთავროს აღრეანტიკური ხანის ძვანსამარხები

უკანასკნელ წლებში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები და კვლევა-ძიება, აგრეთვე ისტორიული „დიდი მცხეთის“ მიწა-წყალზე მოპოვებული მასალები, საშუალებას იძლევა დაზუსტდეს ზოგიერთი ადრე გათხრილი ძეგლის თარიღი და ამით შეივსოს ის სტრატოგრაფიული და ქრონოლოგიური ხარვეზი, რომელიც დღემდე არსებობდა, მაგალითად, სამთავროს მრავალფენიან სამაროვანზე.

სწორედ ამ თვალსაზრისით არის საინტერესო სამთავროს ფონდში დაცული 2 სამარხის კომპლექსი. ვაქვეყნებთ სამარხთა აღწერილობას და ინვენტარს:

**სამარხი №215.** (1940 წელი. Nუბანი, VII-ფართობი). ქვასამარხია, ბანურსახურავიანი. აღმოჩნდა მიწის აწინდელი ზედაპირიდან 2,70 მ-ის სიღრმეზე. დამხრობილია SSO-NWW. ზომები: 1,43X0,70X0,55 მ. – გარეგანი, 0,95X0,70 მ. – შიდა. ნაგებია ფილაქვებისა და ნაწილობრივ რიყის ქვებისაგან. სამარხს აკლია N კედელი და სახურავის ქვა. მიცვალებული მარცხენა გვერდზე დაუკრძალავთ, ხელფეხმოკეცილი. სამარხში დადასტურდა აგრეთვე ალაპის ნაშთი - გოჭის კანჭები.

სამარხის აღმოჩნდა:

1. ჯამი (კოლექციის № 12-54: 5333; ტაბ. I, 2), მოშავო-ლევანფრად გამომწვარი თიხისა, ღრმა, დაზიანებული და აღდგენილია. ოდნავ პირმოყრილი, ბაკო მომრგვალებული აქვს. პირს ქვემოთ - გვერდზე წიბო ემჩნევა. კალთა დაქანებულია. ძირი - ბრტყელი. პირს ქვემოთ ნახვრეტი-სადინარი ატყვია (დმ - 1 სმ.). უხეში ნახელავია. სიმაღლე - 6 სმ., პირის დმ - 21 სმ, ბაკოს სიგანე - 1,3 სმ.

2. კოჭობი (კოლექციის № 12-54:5334; ტაბ. I, 1), ლევანფრად გამომწვარი თიხისა. ნაპრიალები. პირი გამოყვანილი აქვს, ოდნავ გადაშლილი, მუცელი-სფერული. მხარზე

ოთხ ადგილას, ერთმანეთის პირისპირ რელიეფური შევრილები ჰქონია. ამჟამად მოტეხილებია და ეს ადგილები ბადისებური ორნამენტის შთაბეჭდილებას ტოვებს. სიმაღლე - 11,5 სმ, პირის დმ - 6,3 სმ.

3. ხელადა (კოლექციის № 12-54:5335; ტაბ. I, 3), ლევანფრად გამომწვარი თიხისა. პირი გადაშლილი აქვს, ოდნავ გამოყვანილი, ყელი-ცილინდრული. მუცელი - გამობერილი, ძირი - ბრტყელი, ოდნავ შეზნექილი. მომრგვალებული ოთხკუთხეა განივკვეთის მქონე ყური პირსა და მხარზეა დაძვნილი. ყელისა და მხრის შეერთების ადგილზე ამოღარული ზოლი დაუყვება, რომელზედაც წნეხვით შესრულებული, ფუძით სარტყელზე დაყრდნობილი, 5 ნახევარწრე ამჩნევია. სიმაღლე - 19 სმ, მუცლის დმ - 18 სმ, ძირის დმ - 9 სმ.

4. ვარდული (კოლექციის № 12-54:5336; ტაბ. I, 4), ბრინჯაოს ფურცლისაგან დამზადებული, ოთხქიმიანი. თავთან ნახვრეტი აქვს. სიგანე - 3,5 სმ, სიმაღლე - 1,3 სმ.

**სამარხი 735** (1948 წელი, N უბანი) ქვასამარხია, ბანურსახურავიანი (საველე დავთარში გატარებულია როგორც №1 ქვაყუთი). აღმოჩნდა მიწის აწინდელი ზედაპირიდან 2 მ-ის სიღრმეზე. დამხრობა SOO-NWW; ზომები: 1,6X1,0X0,80 მ. - გარეგანი, 1,25X0,55X0,60 მ. - შიდა. სამარხის თავზე რამდენიმე ქვატეხილიც იდო. იქვე ეწყო ხბოს თავ-ფეხი. სამარხის გრძივი კედლები სამ-სამი ფილაქვისაგან შედგებოდა, ხოლო განივი - თითო-თითო. ფილაქვათა შეერთების ადგილი - ნაწიბურები თიხა-ალიზით შეუვსიათ. მიცვალებული ხელფეხმოკეცილი ესვენა მარჯვენა გვერდზე, თავით SOO-კენ.

სამარხში აღმოჩნდა: ცალყურა ხელადა, პანია ხელადა, ბადია, რკინის დანა და რკინისავე წვეტანა, აგრეთვე ალაპის ნაშთი -

ხბოს კანჭები.

1. ხელადა (კოლექციის № 12-54:8463; ტაბ. II, 1), ლეგა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ნაკლული, ოდნავ პირგადაშლილი. ყელი დაბალი, ცილინდრული აქვს - მხართან შეერთების ადგილას ოდნავ გაფართოებული, მუცელი სფერული, გამობერილი, ძირი - ბრტყელი. განივკვეთში მომრგვალებულ-ოთხკუთხა ყურისთავი უშუალოდ პირთან, ხოლო ყურის ძირი - მხარზეა დაძერწილი. ყელისა და მხრის შეერთების ადგილზე ოდნავ ამოღარული სარტყელი ემჩნევა. სიმაღლე - 18,3 სმ., პირის დმ. - 7 სმ., მუცლის დმ - 17,6 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის მენჯის უკან.

2. ხელადა (კოლექციის № 12-54:8462; ტაბ. II, 2), ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა. ოდნავ პირგადაშლილი. ყელი დაბალი, ცილინდრული აქვს. მუცელი - სფერული, გამობერილი, ძირი ბრტყელი. მომრგვალებულ-ოთხკუთხა განივკვეთის მქონე ყურისთავი პირზე, ხოლო ყურისძირი მხარზეა დაძერწილი. ყურს სიგრძეზე ღარი დაუყვება. სიმაღლე - 11,5 სმ., პირის დმ - 7 სმ., მუცლის დმ - 11,4 სმ., ძირის - 6,1 სმ. აღმოჩნდა სამარხის W კედლის ძირში.

3. ჯამი (კოლექციის № 12-54:8461; ტაბ. II, 3), მოშავოდ გამომწვარი თიხისა, ღრმა, ოდნავ პირმოყრილი. კალთა თანაბრად მომრგვალებული აქვს - ძირთან დაქანებული. სიმაღლე - 9 სმ, პირის დმ - 19 სმ. მიცვალებულის პირისახის წინ.

4. შუბისწვერი რკინის (კოლექციის № 12-54:8464; ტაბ. II, 4), ძლიერ დაჟანგული. მოგრძო, წვეტიანი, ფოთლისებური, ქედიანი. მასრა შემალღებული და თავთან გახვრეტილია. სიგრძე - 19,8 სმ., მასრის სიგრძე - 6,5 სმ., დმ - 2,8 სმ. აღმოჩნდა მარცხენა ხელის მტევანთან.

5. წვეტანა (კოლექციის № 12-54:8465; ტაბ. II, 5), ძლიერ დაჟანგული რკინისა, ოთხნახნაგა, ერთი ბოლო სატეხის მსგავსია. სიგრძე - 12,3 სმ., სიგანე - 0,8 სმ. აღმოჩნდა მარცხენა ხელის მტევანზე.

6. დანა (კოლექციის № 12-54:8466; ტაბ.

II, 6), რკინის, მცირე ზომისა, ძლიერ დაჟანგული, ცალპირლესული. სიგრძე - 8,7 სმ.

ზემოაღწერილი სამარხები აღნაგობის მიხედვით მსგავსია და თითქმის იმეორებს აღმოსავლეთ საქართველოს ადრეანტიკური ხანის სამაროვნებზე სხვადასხვა დროს აღმოჩენილი მცირე ზომის ფილაქვით ნაგებ ქვაყუთებს: ბეშთაშენი, მანგლისი, კიკეთი, კუმისი, ახალსოფელი [დავლიანიძე ც. 1962:9], კამარახევი [რამიშვილი რ. 1959; ჯღარკავა თ. 1982], მუხათგვერდი [აფაქიძე ან. და სხვ., 1989:29-35, 67-68, სურ. 179-184], ციხედიდისხევი [Апакидзе А., и др., 1987:таб. XCIV], მარტაზისხევი [Апакидзе А., и др., 1987: таб. XCV] და სხვა.

რაც შეეხება სამთავროს ცნობილ სამაროვანს, სადაც ზემოაღწერილი სამარხები აღმოჩნდა, დღემდე მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით იქ ამ ტიპის სამარხები მხოლოდ ახ.წ. პირველი საუკუნეებიდან, კერძოდ, ახ.წ. III საუკუნიდან ფართოდ ვრცელდება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა მსგავსი აღნაგობის სამარხები „დიდი მცხეთის“ სხვადასხვა უბნებზე. მაგალითად, ზემოთ ნახსენებ სამაროვნებზე კამარახევიში, მუხათგვერდში და ციხედიდისხევიში.

სამთავროს 735-ე სამარხს (ქვაყუთი №1), მიუხედავად დიდი მსგავსებისა აღნიშნულ ძეგლებთან, ახასიათებს თავისებურებაც. მისი გამართვისას გამოყენებული ჩანს თიხა-ალიზი ფილაქვების ერთმანეთთან შესაკავშირებლად. სამარხში დადასტურებული ცალკეული ნივთები ფორმით და დამზადების ტექნოლოგიითაც ძალიან ახლოსაა და ზოგ შემთხვევებში იმეორებს ზემოაღწერილ სამარხებში აღმოჩენილ ინვენტარს. კამარახევის 95-ე სამარხში აღმოჩენილი ლეგა ფერის ხელადა მსგავსია ჩვენი ხელადისა. ანალოგიურია, აგრეთვე, რკინის შუბისწვერიც. ასეთივე ხელადებია დადასტურებული კამარახევის 145-ე და 156-ე სამარხებშიც [ჯღარკავა თ. 1982:169, 183, 188].

ამრიგად, სამთავროს 735-ე სამარხში (ქვ-

აყუთი № 1) აღმოჩენილი კერამიკა და იარაღი სინქრონული ჩანს კამარახევის სამაროვნის ადრეული სამარხებისა და მათი თარიღი ზოგადად შეიძლება ადრეანტიკური ხანით განისაზღვროს. ამავე დროისა ჩანს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი მეორე ქვასამარხიც. სამარხებში აღმოჩენილ ნივთებს პარალელი ეძებნებათ ზემოჩამოთვლილი ადრეანტიკური ხანის ძეგლებთან. მსგავსება შეინიშნება აგრეთვე, სამარხის აღნაგობაში, დაკრძალვის წესსა და ინვენტარში.

სამთავროს ცნობილ სამაროვანზე აღმოჩენილი ეს ქვაყუთები გარკვეულწილიად ავსებენ იმ ხარვეზს, რაც აქამდე შეინიშნებოდა რკინის ფართო ათვისების პერიოდის ორმოსამარხებსა და მომდევნო ეპოქის - ანტიკური ხანის ძეგლებს შორის.

#### ლიტერატურა:

**აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ. და სხვ. 1989:** დიდი მცხეთა. 1981. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. - მცხეთა, IX, გვ. 29-35, 67-68.

**დავლიანიძე ც. 1983:** ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში, თბილისი.

**რამიშვილი რ. 1959:** კამარახევის სამაროვანი. - მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, II, თბილისი.

**ჯღარკავა თ. 1982:** კამარახევის სამაროვანი (კატალოგი). - მცხეთა, VI, თბ., გვ.139-190.

**Апакидзе А., Николаишвили В. и др., 1987:** Археологические раскопки в Мцхета и ее округе. - Полевые Археологические Исследования в 1984-1985 гг., Тбилиси, с. 47-51.


**Николаишвили В. 2004:** О взаимосвязях памятников "Мцхета Великая". Конференция: Археология, этнология, фольклористика Кавказа, сборник кратких содержания докладов. Тбилиси.

#### ილუსტრაციების აღწერილობა:


**ტაბ. I - სამარხი № 215** - 1. კოჭობი; 2. ჯამი; 3. ხელადა; 4. ვარდული.

**ტაბ. II - სამარხი № 735** - 1. ხელადა; 2. ხელადა; 3. ჯამი; 4. შუბისწვერი; 5. ნვეტანა; 6. დანა.

# I



# II



**ანზორ სიხარულიძე, ქეთევან ჯავახიშვილი, ვერა ჩიხლაძე,  
ნუკრი მაისურაშვილი, ნუკრი ლლონტი**

**ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა თიანეთთან**

2009 წლის აგვისტოში თიანეთის რაიონის სოფლების ჩაბანოსა და ჭიაურას შორის (თიანეთიდან 8კმ-ის დაშორებით) დამაკავშირებელი საავტომობილო გზის პირას, მდინარე საგამის (მდ. ივრის მარცხენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირას დაზიანდა სამარხი (სამარხის აღმოჩენისა და დაზიანების შესახებ თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ - გამგებლის მოადგილეები თ. იარაჯული, ნ. ბახიაშვილი და თიანეთის მუზეუმის დირექტორი ნ. ფაშურიშვილი - ინფორმაცია მიანოდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. რის შემდეგაც 11 აგვისტოს თიანეთში მივლინებულ იქნა დიდი მცხეთის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლები: მუზეუმის მმართველი ნ. მაისურაშვილი და ფონდების უფროსი მცველი ნ. ლლონტი).

გამოვლენილი ნივთები ალაგდა და ინახებოდა თიანეთის რაიონის გამგეობაში (საკისრე რკალი, სამაჯურები, ბრინჯაოს ძეგლები, აბზინდა, მძივები და ბეჭდები).

სოფელი ჩაბანო მდებარეობს მდ. საგამის ნაპირზე, ზღვის დონიდან 1180 მეტრზე, ხოლო სოფელი ჭიაურა კახეთის ქედის დასავლეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 1240 მეტრზე. სამარხის GPS კოორდინატებია: X 38T0403207; Y UTM 4667711; ±4m.

სამარხის აღმოჩენის ზოლში დადასტურდა ორი ტოპონიმი „სათხევეების ხევი“ და „მთიულის ახო“.

სამარხი ძლიერ იყო დაზიანებული სასოფლო-საავტომობილო გზის გაყვანისას. პრაქტიკულად გზა სამარხის ერთ ნაწილზე გადადიოდა. შემორჩენილი იყო ჩონჩხის ფრაგმენტები მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,7 მ სიღრმეზე (გზის გაყვანისას 2 მ სიმაღლის მიწა მოუჭრიათ). სამარხში ჩონჩხი ნაწილობრივ იყო შემორჩენილი: თავის ქალას

ფრაგმენტები, სამი კბილი, ხერხემლის რამდენიმე მალა და ქვედა კიდურები. ქვედა კიდურების მიხედვით, სავარაუდოდ მიცვალებული გამოტილად იყო დაკრძალული.

შემორჩენილი სამარხის ფართობიდან აიკრიფა შემდეგი ინვენტარი: მუსიკალური ინსტრუმენტის - წინწილას ფრაგმენტები, ვერცხლის სამაჯური, ბრინჯაოს აბზინდა, ბრინჯაოს ხვიები და მძივები. სამარხის იატაკიდან აღებული მიწის გაცრის შედეგად აღმოჩნდა: ვერცხლის კილიტი, ვერცხლის ბეჭდის ფრაგმენტები, ბეჭდის თვალი – კამეო; მიწის გემა-ინტალიო, ბრინჯაოს თხელი ფირფიტა და დიდი რაოდენობით სხვადასხვა სახეობის მძივები.

სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ინვენტარი:

1. ხატისუღელი - საკისრე რკალი, ვერცხლისა (ტაბ. I<sub>1</sub>). ოვალურად მორკალული, მსხვილი, განივკვეთში მრგვალი ღეროთი. გახსნილი და პირამიდისებურად (გუმბათისებურად) შემსხვილებული, დაღარული თავები აქვს. შემსხვილებული ნაწილი შემკულია ზენური ხვიებითა და წერტილებით. დამზადებულია ჩამოსხმის წესით. დეფორმირებულია. დმ-17 სმ; ღეროს უდ. დმ-1 სმ; უმც. დმ-0,3 სმ; წონა 79,88 გრ.

თიანეთის ხატისუღელი იმეორებს ახალგორის ოქროს ხატისუღლის ფორმას. ანალოგიური ხატისუღელი აღმოჩენილია ჟინვალის № 277 მეომრის ყორეკედლიან და № 364 ორმოსამარხებში, რომლებიც ინვენტარის მიხედვით დათარიღებულია I ს-ის ბოლო - II ს. დასაწყისით [ჩიხლაძე ვ. 1999:136-137, ტაბ. XIII<sub>147</sub>, XII<sub>388</sub>]. რაც შეეხება განსხვავებული ტიპის ხატისუღლებს, ამ დანიშნულების ნივთები დადასტურებულია კლდეეთის მეოთხე სამარხში [ლომთათიძე გ. 1957:ტაბ. XIX,15], ზღუდერში [ნემსაძე გ. 1969: 45-56] და ნეძიხში [რობაქიძე ც. 1988:13-14].

2. სამაჯური, ვერცხლისა (ტაბ. I<sub>2</sub>), ოდნავ რკალჩაზნეილი. ბოლოები გახსნილი და შემსხვილებული აქვს. განივკვეთში მრგვალი რკალი ბოლოვდება ცხოველის თავების სტილიზებული გამოსახულებით. გატეხილია ორად. ზომები: დმ-7,7 სმ; ღეროს უდიდესი დმ-0,4 სმ; უმცირესი დმ-0,7 სმ. წონა≈37,2გრ.

3. სამაჯური, ვერცხლისა (ტაბ. I<sub>3</sub>), ოდნავ რკალჩაზნეილი. ბოლოები გახსნილი და შემსხვილებული აქვს. განივკვეთში მრგვალი რკალი ბოლოვდება ცხოველის თავების სტილიზებული გამოსახულებით. გატეხილია სამად. ზომები: დმ-7,2 სმ; ღეროს უდიდესი დმ-0,3 სმ; უმც. დმ-0,7 სმ; წონა ≈26,2 გრ.

4. სამაჯური, ბრინჯაოსი (ტაბ. I<sub>4</sub>), ოდნავ რკალშეზნეილი. ბოლოები გახსნილი და შემსხვილებული აქვს. განივკვეთში მრგვალი რკალი ბოლოვდება ცხოველის თავების სტილიზებული გამოსახულებით. პატინირებულია. ზომები: დმ-7,2 სმ; ღეროს დმ-0,4 სმ.

ანალოგიური სამაჯურები აღმოჩენილია არაგვის ხეობაში, II-III სს-ით დათარიღებულ მხედართა სამარხებში - ჟინვალის [ჩიხლაძე ვ. 1998:58-68, ტაბ. CXI], თალთების [რობაქიძე ც. 1982:11-12] და ნეძიხის [რობაქიძე ც. 1985:18-19] სამაროვნებზე. ციხიაგორაზე, „საყარაულო სერის“ სამაროვანზე - ქვევრ-სამარხებში [ჯინჯიხაშვილი გ. 1980: 42-58], დასავლეთ საქართველოში კი საირხეში [ნადირაძე ჯ. 1975: ტაბ. XXXI].

გვიანანტიკურ ხანაში სამაჯურები გვხვდება როგორც დედაკაცთა, ასევე მამაკაცთა (მხედართა) სამარხებში. თუ დედაკაცთათვის ის მხოლოდ სამკაული იყო, მამაკაცთათვის (მხედართათვის) აუცილებელ სამხედრო ატრიბუტს - ინსიგნიას წარმოადგენდა [ჩიხლაძე ვ. 1999:87-90]. „ბრძოლის დროს შეკრული მაჯა აუცილებელივ საჭიროა, რათა ძარღვი არ აეყაროს. მაჯაშეკრული მახვილს უფრო ღონივრად შემოჰკრავს“ [მესხიშვილი ნ. 1904].

თიანეთის სამაჯურების ანალოგიები ცნობილია საქართველოს ფარგლებს გარეთაც: სომხეთში [Тирацян Г. 1971:216-228],

აზერბაიჯანში [Ионе А. 1977] და ჩრდილოეთ კავკასიაში [Крупнов Е. 1960].

5. აბზინდა ბრინჯაოსი, ფიგურული (ტაბ. III<sub>3</sub>). იგი წარმოდგენს განივკვეთში მრგვალწრიულ რგოლს, რომელიც ბოლოვდება ორი არათანაბარი ზომის თავდაპრტყელებული შვერილით. ერთერთ შვერილზე მკრთალად ჯვარია ამოკანრული. ჩამოსხმულია. ზომები: დმ-3სმ; ღეროს დმ-0,4 სმ; შვერილის სიმაღლე - 0,8 სმ. ანალოგიური ფიგურული აბზინდები აღმოჩენილია ჟინვალის სამაროვანზე - III-IV სს-ით დათარიღებულ № 17 და № 41 ორმოსამარხში [ჩიხლაძე ვ. 1999: ტაბ. XVI-49], ნეძიხში [ც. რობაქიძე. 1985] და მცხეთაში, სამთავროზე I-III სს. დათარიღებულ სამარხებში [Иващенко М. 1980].

6. აბზინდა ბრინჯაოსი (ტაბ. II<sub>1</sub>). იგი წარმოადგენს მასიურ, სამკუთხა განივკვეთის მქონე კონუსისებურად თავებშემსხვილებულ და თავგახსნილ რგოლს, რომელზედაც განივკვეთში მრგვალი, გრძელი ენა მოძრავადაა რგოლზე შემოხვეული. ზომები: დმ-0,6 სმ, კონუსისებრი თავების დმ-2 სმ. ჩამოსხმულია.

ანალოგიური აბზინდები დიდი რაოდენობით აღმოჩენილია არაგვის ხეობაში: ჟინვალის, ხერთვისის, ნიფრანისძირის და ნეძიხის სამაროვნებზე. არაგვის ხეობაში აღმოჩენილი აბზინდები მამაკაცთა-მხედართა სამარხებში დადასტურდა. ყველა მათგანი უხეში ქსოვილის ან ტყავის ტანისამოსის შესაკრავად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. მათი ასაკი II-V სს-ით განისაზღვრა. ეს შეასაკრავი აბზინდები ასე მასიურად მხოლოდ არაგვის ხეობის სამაროვნებზეა დადასტურებული. ეს ვითარება გვაფიქრებინებს, რომ ისინი ადგილობრივად იყო დამზადებული და მათი მფლობელები ერთნაირ ტანისამოსს ატარებდნენ [ჩიხლაძე ვ. 1999:118, ტაბ. XIV-105].

7. ფირფიტა ბრინჯაოსი (ტაბ. IV<sub>2</sub>). შემორჩენილია ორი მცირე ზომის თხელი ფირფიტა. ფირფიტას ზედაპირზე დაუყვება სიგრძივი, ამობურცული ქედი, ქედის ქვემოთ კი შემ-



კულია მრგვალი ბურცობებით. შემორჩენილი ზომები: სიგრძე -2,5 სმ; სიგანე -2 სმ; ეს ფირფიტა ბრინჯაოს ქამრის ნაწილი უნდა იყოს.

ბრინჯაოსა და ვერცხლის ქამრები და ქამრის ნაწილები აღმოჩენილია ჟინვალისა [ვ. ჩიხლაძე ვ. 2003:130-135] და ნეძიხის [რობაქიძე ც. 1985] სამაროვნებზე - მხედართა სამარხებში. ჩვენი დაკვირვებით, ისინი ინსიგნიებს უნდა წარმოადგენდნენ.

ანალოგიური ქამარი-ინსიგნიები დადასტურებულია ერწოში [რამიშვილი რ. 1979], ახალ ჟინვალში [რამიშვილი რ. 1975: 79-81] და დილოში [ნიკოლაიშვილი ვ. 1978].

8. ძეწკვი ბრინჯაოსი (ტაბ. II<sub>2</sub>), რომელზედაც დამაგრებულია ცხოველის (ცხვრის?) სტილიზებული გამოსახულება. ცხოველის თავის სტილიზებულ გამოსახულებიანი ფირფიტა თხელია, სამფრთიანი. მას უკანა მხარეს მირჩილული აქვს რგოლი, რომელზედაც ჩამობმულია ბრინჯაოსავე ძეწკვი. ძეწკვი შედგება 38 მრგვალ-ბრტყელი ბოლოებგახსნილი რგოლებისაგან. ძეწკვის შემორჩენილი სიგრძეა – 51სმ; ეს ნივთი, შესაძლებელია ბრინჯაოს კონუსისებრთავიან აბზინდაზე იყო დამაგრებული.

მსგავსი ნივთი დადასტურებულია ჟინვალის № 378, ნეძიხის № 164 და ნიფრანისძირის № 20 [მუხიგულაშვილი ნ. 1982] სამარხებში. ზემოაღნიშნული კომპლექსები III-IV სს-ით თარიღდება.

9. ბეჭედი ბრინჯაოსი (ტაბ. III<sub>2</sub>). ბეჭდის რკალი ნაკლულია, თვალბუდისაკენ ფართოვდება და გადადის ოვალური ფორმის ფარაკში. თვალბუდეში მოთავსებული იყო ხის საფენი (ოვალური ფირფიტა). ბეჭედს აგვირგვინებს კამეო ორფენიანი მინისა, ოვალური. ფონი შავია, გამოსახულება შესრულებულია თეთრ ფენაში. წარმოდგენილია აპოლონის ბიუსტი პროფილში. ბიუსტი კისრის ქვემოთ არის გადაჭრილი. ღვთაებას სახის გარშემო მსხვილ კულულებად დახვეული გრძელი თმა აქვს, რომელიც მხრებამდე სწვდება; თავი შემკული აქვს ორ რიგად გან-

ლაგებული დაფნის ფოთლების გვირგვინით. გამოსახულება შესრულებულია ძალიან წმინდად და ოსტატურად. მკაფიო პროფილში შეინიშნება მკრთალი ღიმილი: ბერძნული არქაიზმის გამოძახილი. კამეო იტალიკურია— ძვ.წ. III-II სს. ზომები: ბეჭდის რკალის უდიდესი დმ -1,4 სმ; ფარაკის ზომები: 1,9X1,6სმ; ხის საფენის ზომები: 1,7X1,5სმ; კამეოს ზომები: 1,9X1,6სმ; დაზიანება: ბეჭედი ნაკლულია, კამეო გაბზარული.

აპოლონის - ბერძნული რელიგიის ამ უძველესი და მნიშვნელოვანი ღვთაების გამოსახულებები ძალიან პოპულარული იყო ანტიკურ ხელოვნებაში, მათ შორის გლიპტიკაშიც.

გარდა ამ ღვთაების ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდების ამსახველი სიუჟეტებისა, გემებზე მრავლად გვხვდება მისი ბიუსტებიც. ზოგ შემთხვევაში ამ ბიუსტის წინ გამოსახულია კიფარა ან დაფნის ტოტი [Zwilerlein-Diehl E.1973:tab. 29, №№168,172,173].

გემები აპოლონის ბიუსტის გამოსახულებით საქართველოში აღმოჩენილ მასალებს შორისაც გვხვდება. ბორში აღმოჩენილია ცისფერი მინის ინტალიო აპოლონის ბიუსტის გამოსახულებით. აპოლონის სახის წინ კითარა არის გამოსახული [ლორთქიფანიძე მარგ. 1961:13-14, ტაბ. I<sub>4</sub>]. სოფელ მონასტრის სამაროვანზე ორ სხვადასხვა სამარხში (№№16;43) აღმოჩენილია მკრთალი ყვითელი მინის სავსებით ერთნაირი ინტალიო-ჩამონასხამი, რომელზედაც გამოსახულია აპოლონის ბიუსტი და მის წინ დაფნის ტოტი [Гаглоев Р. 1980:227].

10. გემა-ინტალიო (ტაბ. III<sub>1</sub>), მუქი ყვითელი (ოდნავ მოყავისფრო) გამჭირვალე მინისა, ოვალური. ბრტყელი ზურგი და პირი აქვს. პირზე გამოსახულია მეომრის თავი პროფილში, კისრის ქვემოთ სამკუთხედის მსგავსად მოჭრილი ხაზით. მეომარს თავზე გრძელბოლოიანი კორინთული მუზარადი ახურავს. მუზარადის ქვემოთ შუბლზე და კეფაზე თმების ვიწრო ზოლი მოჩანს. მეომარს პატარა, მრგვალი ბურცობებით გამოსახული ხვეული

ულვაშები და წვრილი პარალელური ხაზებით გადმოცემული მოკლე წვერი აქვს. სწორ და დახვეწილ ნაკვეთებთან სახეზე თითქოს ოდნავ შესამჩნევი ღიმილი დასთამაშებს. გამოსახულება არ არის ღრმა, მაგრამ მკაფიოა. ჩამოსხმის შემდეგ გამოსახულება, როგორც ჩანს, საჭრისით არის შელამაზებული. ზომები: 14X12მმ. ინტალიო გატეხილია ორ ნაწილად. აკლია მცირე ნაწილი.

მეომრები, მათ შორის მეომრის თავების გამოსახულებები ძალიან პოპულარული იყო ძვ.წ. III-II სს. იტალიკურ გლიპტიკაში [Zwierlein-Diehl E.1973]. თიანეთის ინტალიოს გამოსახულებას დიდი მსგავსება აქვს ვენის ისტორიულ მუზეუმში დაცულ სარდიონის ორ, იტალიკური გემის გამოსახულებასთან, როგორც საერთო სიუჟეტით, ასევე გამოსახულების ცალკეული დეტალებითაც, მაგ. №122 გემაზე [Zwierlein-Diehl E. 1973:68-69] გამოსახული მეომრის პატარა ულვაშები ისეთივე პატარა, მრგვალი ბურცობებით არის გადმოცემული, როგორც თიანეთის ინტალიოზე. ხოლო №123, [Zwierlein-Diehl E.1973:68, №123] გემაზე გამოსახული მეომრის წვრილი პარალელური ხაზებით გადმოცემული მოკლე წვერი და კისრის ქვეშ სამკუთხედის მსგავსად გადაჭრილი ბიუსტიც, თიანეთის მეომრის მსგავსია. ვენის ისტორიული მუზეუმის გემებიდან ერთი (№122) ძვ.წ. III ს. არის დათარიღებული, მეორე (№123) — ძვ.წ. II ს-ით.

ნიშანდობლივია, რომ თიანეთის მსგავსი ყვითელი (ან მწვანე) მინის ბრტყელი ინტალიოები, იტალიკური გლიპტიკისათვის არის დამახასიათებელი [Неверов О. 1979:105]. გამოსახულებების სტილი იტალიკური გემებისათვის არის დამახასიათებელი.

ვფიქრობთ, თიანეთის გემა ძვ.წ. III-II სს-ის იტალიკური ნახელავი უნდა იყოს. დაზიანება: გატეხილია ორ ნაწილად, ნაკლულია (აკლია მცირე ფრაგმენტები).

11. წინწილა ბრინჯაოსი (ტაბ. IV<sub>1</sub>), დაშლილია, შემორჩენილია ორივე თეფშის ბრტყელი სახელურები და პუანსონით გამოყ-

ვანილი გადაშლილი პირის ნაწილები.

წინწილა წარმოადგენს დასარტყმელ-საჟღერებელ მუსიკალურ ინსტრუმენტს, რომელიც შედგება ნახევარსფეროსებრი მოყვანილობის ორი თეფშისაგან. მას ჰორიზონტულად გადაშლილი ბრტყელი პირი აქვს. გარედან ორივე ნახევარსფეროზე დარჩილია თხელი, ბრტყელი ფირფიტისაგან ნაკეთები სახელურები. თეფშებს ბრტყელ ნაპირზე ნემსათეგით გამოსახულია წერტილოვანი წინწილი ორნამენტი.

საქართველოში აღმოჩენილია 16 ცალი წინწილა, ძირითადად III-IV სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში. ისინი მოცულობით და ფორმით თითქმის ერთნაირია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბავშვთა სამარხებში აღმოჩენილი წინწილები პატარა ზომისაა. წინწილების შემცველი სამარხეული კომპლექსები, მათში აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით, ძირითადად მეომრებს – მხედრებს უნდა ეკუთვნოდეთ.

წინწილა ერთ-ერთი ძველი ქართული მუსიკალური ინსტრუმენტია. მას იყენებდნენ როგორც საერო დღესასწაულებში, ასევე საბრძოლო მოქმედებების დროს [Chikhladze W. 2009:167-175].

12. კილიტი, ვერცხლისა (ტაბ. V<sub>4</sub>), არათანაბრად მრგვალი, ამოზურცულზედა-პირიანი. შიდა მხრიდან ყუნწი აქვს დამაგრებული.

საქართველოში ანალოგიური კილიტები დადასტურებულია გვიანანტიკური ხანის სამაროვნებზე [ლომთათიძე გ. 1957:ტაბ. XI].

13. ვერცხლის ბეჭდის ნატეხები. შემორჩენილია მხრისა და რკალის ორი თხელი ნატეხი. მსგავსი, ვერცხლის თხელი ფურცლისაგან დამზადებული ბეჭდები დადასტურებულია ჟინვალის № 277 ყორეკედლიან სამარხში [ჩიხლაძე ვ. 1998: 58-68], რომელიც I ს. ბოლო-თი და II ს. დასაწყისით არის დათარიღებული.

14. ხეიბი ბრინჯაოსი (ტაბ. IV<sub>3</sub>), ზამბარისებრი. 6 ცალი. დამტვრეულია. შემორჩენილია ნაწილობრივ. დამზადებულია განივკვეთში ბრტყელი ღეროსაგან.

ანალოგიური ბრინჯაოს ხვიები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ნიფრანისძირის [მუხიგულაშვილი ნ. 1982:15-16], ნეძისის [რობაქიძე ვ. 1988:25-27] და ჟინვალის [ჩიხლაძე ვ. 1999:ტაბ. II, 388]. III-IV სს-ით დათარიღებულ სამარხეულ კომპლექსებში. ჩვენი დაკვირვებით, ბრინჯაოს ზამბარისებრი ხვიები მძივებთან ერთად სამკაულად გამოიყენებოდა.

15. მძივები მინისებრი პასტისა - 7 ც. (ტაბ.V<sub>2</sub>), ინკრუსტირებული, თვალედი. სამი — მოგრძო-მილაკისებრი; 4 ც. კასრისებრი. ორი ცალი მოშავო-მოყვითალო ფერისაა, რომელზედაც ცხრა ლურჯი თვალა ჩასმული. სიგრძე - 4,6 სმ; დმ - 1,9 სმ; მესამე - შავი, მოგრძო მილაკისებრია, რომელიც შემკულია ცისფერი თვლებით. სიგრძე - 3,1 სმ; დმ - 1,7 სმ; მეოთხე - ცისფერია, კასრისებრი, შემკულია ლურჯი თვლებით, რომელსაც ირგვლივ თეთრი რგოლები შემოსდევს. სიგრძე - 1,2 სმ; დმ - 1,3 სმ; დანარჩენი სამი მოთეთრო-რძისფერია, ზედაპირი შემკული აქვს ლურჯი თვლებით, რომელსაც ირგვლივ თეთრი ზოლები შემოსდევს.

მძივების შემკობის ასეთი ტექნიკა ჩასახულია ეგვიპტეში - ძვ.წ. III-II სს-ში. საქართველოში აღმოჩენილი ინკრუსტირებული მძივების ქრონოლოგიური ამპლიტუდა დიდია. იგი IX ს-მდე მოდის.

მსგავსი ინკრუსტირებული მძივები აღმოჩენილია ჟინვალის სამაროვანზე - I-IV სს-ით დათარიღებულ სამარხებში [ჩიხლაძე ვ. 1999:109], კლდეეთში [ლომთათიძე გ. 1957:ტაბ. XI-XII], არმაზისხევში [აფაქიძე ან., ... 1955:]; სიონში [რამიშვილი რ. 1970] და საქართველოში გათხრილ ამ პერიოდის თითქმის ყველა ძეგლზე.

16. მძივები მინისა 38 ც. (ტაბ.VI<sub>3</sub>) მოოქრული, ოქროსსარჩულიანი, სფეროსებრი, სხვადასხვა ზომის. ზომები: 1,3X1,1 სმ; უმც. 1,1X0,9 სმ.

მოოქრული მძივები, საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე მრავლადაა აღმოჩენილი. ასეთი სახის მძივები ძვ.წ. III-II სს.

მზადდებოდა ალექსანდრიაში და ამ ხანიდან მოყოლებული გვხვდება მეზობელ ქვეყნებში. მათი დამზადების ტექნიკა იმ დროიდან შუა საუკუნეებამდე უცვლელია. ვ. დეოპიკმა, რომელმაც მოახდინა კავკასიაში აღმოჩენილი მძივების კლასიფიკაცია, მათ ადგილობრივ დამზადებას შესაძლებლად არ თვლის და სირიიდან ან ალექსანდრიიდან შემოტანილად მიაჩნია [Деопик В. 1959].

17. მძივები ეგვიპტური პასტისა, 18 ც. (ტაბ. III<sub>4</sub>) ცისფერი. ტანდალარული, მანდარინისებრი, ზომები: 2 X 1,6 სმ.

ანალოგიური მძივები დადასტურებულია ჟინვალის სამაროვანზე [ჩიხლაძე ვ. 2007:79-89], მცხეთაში [Деопик В. 1959], კლდეეთში [ლომთათიძე გ. 1957:ტაბ. XVIII], კარსნისხევში [ლეკაშვილი დ. 1990.:125-139] და სხვა თანადროულ ძეგლებზე. ისინი გვხვდება სავაჭრო მაგისტრალებთან განლაგებულ სამაროვნებსა თუ ნამოსახლარებზე [ლორთქიფანიძე ოთ. 1958].

18. მძივები მინისა, 172 ც. (ტაბ.VI<sub>1</sub>), ლურჯი ფერის. ორი ცალი სფერული. ზომები: 0,9 X 0,9 სმ; დანარჩენი მრგვალ-ბრტყელი, ზომები: 0,4 X 0,1 სმ.

19. მძივები პასტისა, 49 ც. (ტაბ.VI<sub>2</sub>), ლურჯი. ერთი ცალი კასრისებრი. ზომა: 0,9 X 0,7 სმ. დანარჩენი ბიკონუსური. ზომები: 0,6 X 0,5 სმ.

20. მძივები მინისა, 7 ც. (ტაბ.V<sub>3</sub>) სხვადასხვა ზომის, მოოქრული. კასრისებრი, დალარული. უდიდესი ზომა: 1,7 X 1,4 სმ. უმცირესი ზომის: 0,9 X 0,9 სმ.

21. მძივი სარდიონის - 1 ც. სფეროსებრი. ზომა: 1,4 X 1,1 სმ.

22. მძივები გიშრის - 3 ც. ერთი ცალი ტანშეზნეკილი. ზომა: 1,1 X 1,6 სმ.

23. მძივი მთის ბროლის, 1 ც. ბურთულა. ზომა: 0,9 X 1,1 სმ.

24. მძივი მინისა 1 ც. ცისფერი. კასრისებრი, ტანდალარული. ზომა: 1,4 X 1,6 სმ.

25. მძივები მინისა, 3 ც. მოოქრული, ტანდახორკლილი. ზომები: 0,7 X 0,6; 0,3 X 0,4 სმ.

26. მძივი პასტისა, 1 ც. (ტაბ. V<sub>6</sub>), ცილინდრული. შემკულია სხვადასხვა ფერის პასტით. ზომა: 2,2X0,9 სმ.

27. მძივი პასტისა, 1 ც. (ტაბ. V<sub>7</sub>), შინდის კურკისებრი. დიაგონალურად დაუყვება თეთრი, მწვანე და ყავისფერი ზოლები. ზომა: 1,2X0,7 სმ.

28. მძივები პასტისა, 4 ც. მათ შორის 2 ც. ცილინდრული, მონითალო-მოყავისფროა. ზომები: 1,5X0,8 სმ; 2 ც. რუხი ფერისაა. ზომები: 0,6X0,3 სმ.

29. მძივები მინისა, 3 ც. ლურჯი. ორი ცალი კასრისებრი, დაღარული. ზომები: 1X0,8სმ; ერთი ცალი დაკუთხული. ზომა: 1X0,4სმ.

30. იოტები, 4ც. ორი ცალი ლურჯი, ერთი - მწვანე, ერთიც რძისფერი.

მძივების ასეთი დიდი რაოდენობით აღმოჩენა დაკავშირებული უნდა იყოს სუდარასთან, თავსაბურავთან ან ტანისამოსთან. ამ სამარხში მძივები აღმოჩნდა თავის ქალის ირგვლივ და ქვედა კიდურების ზემოთ. ამის გამო სუდარის შემკობა ნაკლებ სავარაუდოა. იგი ტანისამოსთან და თავსაბურავთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ანალოგიური მძივები დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ყინვალის სამაროვანზე გამოვლენილ კომპლექსებში. მძივების სიუხვით განსაკუთრებით აღსანიშნავია ყინვალის ყორეკედლიანი, ქვამინაყრილიანი, ხის ძელებით გადახურული ზოგიერთი ორმოსამარხი, რომელთა თარიღი I-II სს. განისაზღვრა [ჩიხლაძე ვ. 2007:79-89].

ამრიგად, როგორც ზემოაღნიშნული სამარხეული კომპლექსის ინვენტარის განხილვიდან ირკვევა, არტეფაქტების უმრავლესობა ახ.წ. III-IV სს-ით უნდა დათარიღდეს. ამავე პერიოდში ჩანს გამართული თიანეთში ამ ბოლო დროს გამოვლენილი სამარხიც.

## ლიტერატურა:

**აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდ-აძე ა., ლომთათიძე გ. 1955:** არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები (1937-1946 წწ. განათხარის მიხედვით). - მცხეთა I, თბილისი.

**ლორთქიფანიძე მარგ. 1961:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, III. თბილისი.

**ლორთქიფანიძე ოთ. 1958:** ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ. - სმამ, XIX, №3, თბილისი.

**ლექაშვილი დ. 1990:** კარსნისხევის სამაროვნის მძივები. — არქეოლოგიური ძეგლები. ახალგაზრდა მეცნიერთა VII-VIII სამეცნიერო სესიის მასალები. თბილისი.

**ლომთათიძე გ. 1957:** კლდეეთის სამაროვანი ახ.წ. II საუკუნისა. თბილისი.

**მუხიგულაშვილი ნ. 1982:** ნიფრანისძირის სამაროვანი, ანგარიში, ხელნაწერი. ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე.

**მესხიშვილი ნ. 1904:** ისტორიული პიესების წარდგინების გამო. - „ივერია“, № 80.

**ნადირაძე ჯ. 1975:** საირხე - საქართველოს უძველესი ქალაქი. თბილისი.

**ნემსაძე გ. 1969:** ზღუდერის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964-1966 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები. — სსმაე, (1965-1967), თბილისი.

**ნიკოლაიშვილი ვ. 1978:** ანტიკური ხანის ძეგლები დიღმის ხეობიდან. - საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I. თბილისი.

**რამიშვილი რ. 1970:** ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, I, სიონი. თბილისი.

**რამიშვილი რ. 1975:** არქეოლოგიური კვლევა-ძიება ახალ ყინვალში. - კრ. ყინვალის ექსპედიცია (პირველი სამეცნიერო სესიის მოკლე ანგარიშები), თბილისი.

**რობაქიძე ც. 1982:** თალთების სამაროვანი. ანგარიში. ხელნაწერი ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე.

**რობაქიძე ც. 1985-1988:** ნეძიხის სამაროვანი. ანგარიშები. ხელნაწერი ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე.

**რამიშვილი რ. 1979:** ერნოს ველი გვიანარმაზულ ხანაში, თბილისი.

**ჩიხლაძე ვ. 1998:** ჟინვალის სამაროვნის ყორეკედლიანი სამარხები. — ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, VI, თბილისი.

**ჩიხლაძე ვ. 1999:** არაგვის ხეობა I ათასწლეულის პირველ ნახევარში. დისერტაცია. თბილისი. ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ბიბლიოთეკაში.

**ჩიხლაძე ვ. 2003:** გვიანანტიკური ხანის მეომრის სამარხი ჟინვალის სამაროვნიდან. - იბერია-კოლხეთი, №5, თბილისი.

**ჩიხლაძე ვ. 2007:** ჟინვალის სამაროვანზე მოპოვებული მძივები. - საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.

**ჯინჯიხაშვილი გ. 1980:** ქვევრსამარხები „საყარაულო სერის“ სამაროვნიდან. - კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.

**Гаглов Р. 1980:** О некоторых материалах погребального инвентаря Монастырского могильника. – Известия ЮОНИИ, вып. XXIV, Тбилиси.

**Деопик В. 1959:** Классификация бус Северного Кавказа IV-V вв. – СА, № 3, Москва.

**Иващенко М. 1980:** Самтаврские погребения первых трёх веков н.э. – Мцхета III. Тбилиси.

**Ионе А. 1977:** Мингечаурские кувшинные погребения с оружием. - КСИИМК, вып. 60, Москва.

**Неверов О. 1979:** Итальянские геммы в некрополях северопонтийских городов. - Сб. Из истории Северного Причерноморья в античную эпоху, Ленинград. с. 104-115.

**Крупнов Е. 1960:** Древняя история северного Кавказа. Москва.

**Тирацян Г. 1971:** Древнеармянская

керамика из раскопок Армавира, Ереван.

**Chikhladse W. 2009:** Musical instruments-Symbols from Archeological Material of the first-fourth centuries. Iberia-Colchis 5. Tbilisi.

**Zwierlein-Diehl E. 1973:** Die Antiken Gemmen Des Kunsthistorischen Museum in Wien. Band I., S. 104-105 .

#### **ილუსტრაციების აღწერილობა:**


**ტაბ. I – 1.** საკისრე რკალი, ხატისუღელი ვერცხლის; 2. სამაჯური ვერცხლისა; 3. სამაჯური ვერცხლის; 4. სამაჯური ბრინჯაოსი.

**ტაბ. II – 1.** აბზინდა ბრინჯაოსი; 2. ძეწკვი ბრინჯაოსი, ცხოველის სტილიზებული გამოსახულებით. **ტაბ. III – 1.** გემა-ინტალიო


იტალიკური; 2. ბრინჯაოს ბეჭედი, გემა-კამეოთი; 3. აბზინდა ბრინჯაოსი, ფიგურული; 4. მძივები ცისფერი ეგვიპტური პასტის. **ტაბ. IV – 1.** წინწილის ნაწილები და სახელურები

ბრინჯაოსი; 2. ქამრის ნაწილები ბრინჯაოსი; 3. ბრინჯაოს ხვიები. **ტაბ. V – 1.** სხვადასხვა სახეობის მძივები; 2. მძივები მინისებრი პასტისა, ინკრუსტირებული. 3. მძივები მინისა, მოოქრული. 4. კილიტა ვერცხლის; 5. მძივები მინის, ტანდახორკლილი, მოოქრული; 6. მძივები პასტის. **ტაბ. VI – 1.** მძივები მინისა, ლურჯი ფერის; 2. მძივები პასტის; 3. მძივები მინის, მოოქრული.

I




1



2





3






4

# II



# III









# IV



V



# VI



## ადრეული შუა საუკუნეების ნასოფლარი სოფ. სვენეთთან

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიერ გორის მუნიციპალიტეტის სოფ. სვენეთთან მილსადენის ტრასაზე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ექსპედიციამ სვენეთის საშუალო სკოლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, სარწყავი არხის მარცხენა მხარეს, მილსადენის ახალი ტრასის მშენებლობის ზოლში (ტაბ. I<sub>1</sub>) შეისწავლა 100 მ სიგრძისა და 33 მ სიგანის ფართობი. არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობდა 2010 წლის 23 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით და მიზნად ისახავდა 3X1,5 მ ფართობის თხრილების საშუალებით ძეგლის ხასიათისა და გავრცელების არეალის დადგენას, კულტურული ფენების სიმძლავრის განსაზღვრას.

თავის დროზე, პირველი ეტაპის არქეოლოგიური სამუშაოების დროს ამ მიდამოებში, დერეფნის ზოლთან ახლოს, გამოვლენილ იქნა ადრეული შუა საუკუნეების ქვევრები, ხოლო საკუთრივ დერეფნის ტერიტორიაზე აიკრიფა იმავე პერიოდის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. შესასწავლ ტერიტორიაზე გაჭრილ თერთმეტივე თხრილში (ტაბ. I<sub>2</sub>) მინის თანამედროვე ზედაპირიდან 20-40 სმ სიღრმეზე გამოვლინდა თიხის ჭურჭლების ფრაგმენტები და ოსტეოლოგიური მასალა. თუმცა, თხრილებში ვერ მოხერხდა უძრავი კულტურული ფენების დაფიქსირება. ზოგიერთ თხრილში შეინიშნებოდა უნესრიგოდ მიმოფანტული რიყის ქვები და კრამიტები, რომლებიც თავის დროზე საცხოვრებელი თუ სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებში ყოფილა გამოყენებული. ჩანს, ნასოფლარი საფუძვლიანად განადგურებულა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ამ ტერიტორიაზე გაზის პირველი ტრასის მშენებლობისას. გაზის ტრასის გაყვანამდე და გაყვანის შემდეგაც

ეს ფართობი სისტემატურად გამოიყენებოდა სახნავ-სათესად. სწორედ ამის გამო, გასათხრელ ფართობზე უძრავი კულტურული ფენები აღარ იყო შემორჩენილი.

თხრილებში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის აბსოლუტური უმრავლესობა კერამიკაა, რომელიც ფუნქციური თვალსაზრისით შეიძლება დაიყოს სამეურნეო, სამზარეულო, სუფრის, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაწარმად. სამეურნეო დანიშნულების კერამიკაში ერთიანდება ქვევრები და დერგები, რომლებიც ნატეხების სახითაა შემორჩენილი. ქვევრებს ახასიათებს ჰორიზონტული, ბრტყელი პირი; მომადლო ყელი; რელიეფური სადა და „თოკისებური“ სარტყლებით შემკული ტანი. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცი გადანატეხში ზოგჯერ მუქია (ტაბ. II<sub>1-4</sub>).

ანალოგიური ფორმისა და შემკულობის ქვევრები ცნობილია ადრეული შუა საუკუნეების ნაქალაქარებისა თუ ნასოფლარებიდან. მსგავსი ქვევრები აღმოჩენილია: მცხეთაში [ბოხოჩაძე აღ., ... 1962:34], ურბნისში [ჭილაშვილი ლ. 1964:108; სინაურიძე მ. 1966:46-48], ლოჭინში [აბრამიშვილი რ., ... 1962:198], ერწო-თიანეთში [ჯორბენაძე ბ. 1982:41-42], ჭერემის ნაქალაქარზე [მამაიაშვილი ნ. 2004:ტაბ. XIX<sub>3</sub>] და სხვ. სვენეთის ნასახლარზე აღმოჩენილი ქვევრები ყველაზე ახლოს დგანან ახალი ჟინვალისა [რამიშვილი რ. 1983:129] და დედოფლის გორის ადრეული შუა საუკუნეების მასალებთან (მადლობას მოვახსენებ პროფ. იულ. გაგოშიძეს, დედოფლის გორის პარალელური მასალის მოწოდებისათვის).

დერგი ძირის ფრაგმენტითაა შემორჩენილი. გამომწვარია მოჩალისფროდ. ტანი შემკულია ამოდარული კონცენტრული ხაზებით. ძირი ფართოა (ტაბ. III<sub>11</sub>). სამეურნეო დანიშ-

ნულების მსგავსი ჭურჭელი არაერთია ცნობილი ადრეული შუა საუკუნეების განათხარი ძეგლებიდან — ურბნისი, რუსთავი [სინაურიძე მ. 1966:48], ერწო-თიანეთი [ჯორბენაძე ბ. 1982:41-42] და სხვ.

სამზარეულო დანიშნულების კერამიკულ ნაწარმს განეკუთვნება ქოთნები და ბადიები. ქოთნები სხვადასხვა ზომისაა. აქვთ გაშლილი, ზოგჯერ დაკეჭნილი პირი, დაბალი ყელი და ამოღარული, კონცენტრული, სწორი ან ტალღოვანი ხაზებით შემკული მხრები. თიხა გამჭლევებულია სხვადასხვა მინარევებით (ტაბ. II<sub>5-12</sub>; ტაბ. IV<sub>1-8</sub>). მსგავსი ფორმის ჭურჭლები ცნობილია: ურბნისიდან [ჭილაშვილი ლ. 1964:112; სინაურიძე მ. 1966:53], ახალი ჟინვალიდან [რამიშვილი რ. 1983:125], გლდანიდან [Артилакვა В., ... 1979:ტაბ. XCII], ჭერემის ნაქალაქარიდან [მამაიაშვილი ნ. 2004:ტაბ. II<sub>3</sub>] და სხვ. ფორმა-მოყვანილობით ისინი ყველაზე ახლოს დგანან და ზოგჯერ იმეორებენ კიდეც დედოფლის გორის ადრეული შუა საუკუნეების ქოთნებს.

ბადიებს ახასიათებს სწორი, დაბრტყელებული ან მომრგვალებული, მოყრილი პირი (ტაბ. II<sub>13-17</sub>; ტაბ. IV<sub>15-19</sub>). ზოგიერთ მათგანს შემორჩენილი აქვს შესაკონინებელი ნახვრეტი (ტაბ. II<sub>16</sub>; ტაბ. IV<sub>19</sub>). მსგავსი ფორმის ბადიები მრავლადაა აღმოჩენილი ადრეული შუა საუკუნეების განათხარ ძეგლებზე. ისინი ცნობილია: თბილისიდან [გძელიშვილი იოს., ... 1961:ტაბ. 21], გლდანიდან [Артилакვა В., ... 1979:ტაბ. XCI], ურბნისიდან [სინაურიძე მ. 1966:50], უფლისციხიდან [მინდორაშვილი დ. 2008:25], თელავიდან [ჩიკოიძე ც. 1979:29], ერწო-თიანეთიდან [ჯორბენაძე ბ. 1982:41], ახალი ჟინვალიდან [რამიშვილი რ. 1983:128], ჭერემის ნაქალაქარიდან [მამაიაშვილი ნ. 2004:ტაბ. VI]. გვხვდება ისინი სამხრეთ კავკასიის სხვა ძეგლებზეც [Кафадарян К. 1952:სურ. 160; Калантарян А. 1970:48].

სუფრის ჭურჭლებიდან აღსანიშნავია ხელადები, რომელთა უმრავლესობა ტუჩიანია. გამომწვარი არიან ნითლად და მოჩალისფროდ. თიხა წმინდადაა განლექილი. შემკულობის ძირი-

თადი სახეა ყელზე დატანილი რელიეფური სარტყლები და ამოკანრული კონცენტრული ხაზები. გვხვდება ნითლად შეღებილ-ნაპრიალები ჭურჭლების გვერდის ნატეხებიც. ყურები მრგვალი, ოვალური ან ბრტყელგანივკვეთიანია (ტაბ. II<sub>19-27</sub>; ტაბ. IV<sub>9-14</sub>). სამწუხაროდ ყველა მათგანი ფრაგმენტულადაა შემორჩენილი, თუმცა ანალოგების მიხედვით, მათი სრული სახით წარმოდგენა რთული არაა. მსგავსი ფორმისა და შემკულობის ხელადები აღმოჩენილია: მცხეთაში [აფხაზავა ნ. 1979:ტაბ. XXIX<sub>5</sub>], ლოჭინის ნასოფლარზე [აბრამიშვილი რ., ... 1962:200-201], ურბნისში [ჭილაშვილი ლ. 1964:114; სინაურიძე მ. 1966:ტაბ. XIII], ახალ ჟინვალში [რამიშვილი რ. 1983:126-127], ჭერემის ნაქალაქარზე [მამაიაშვილი ნ. 2004:130-132], ერწო-თიანეთში [ჯორბენაძე ბ. 1982:41] და სხვ. მსგავსი ხელადები მრავლადაა გამოვლენილი დედოფლის გორის ადრეული შუა საუკუნეების ფენებში.

საყოფაცხოვრებო დანიშნულების კერამიკას განეკუთვნება ჭრაქი, რომელიც №11 თხრილიდან მომდინარეობს (ტაბ. II<sub>18</sub>; ტაბ. IV<sub>20</sub>). ნითლად გამომწვარი ე.წ. „ფინჯნისებური“ ჭრაქი პირგაშლილია, მკვეთრად დაქანებული კალთებით. დავინრობულ ქვედა ნაწილზე (ფეხზე) შემოუყვება რელიეფური „თოკისებრი“ ორნამენტი. ძირი ფართოა, დისკოსებური, ოდნავ კიდეანუღლი. თიხა მსხვილმარცვლოვანია (სიმაღლე 8 სმ, პირის დმ 10 სმ, კეცის სისქე 0,5 სმ). ჭრაქის ზედა ნაწილი შებოლილია. ანალოგიური ჭრაქები კარგადაა ცნობილი ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს განათხარი ძეგლებიდან. ურბნისში ისინი თარიღდება VI-VIII სს-ით [ჭილაშვილი ლ. 1964:114; სინაურიძე მ. 1966:56], ბარმაქსიზთან (თრიალეთი) გათხრილ სამაროვანზე V-VII სს-ით [Куфтин Б. 1941:22], ლოჭინის ნასოფლარზე აღმოჩენილი ნიმუშები IV-VI სს-ით [აბრამიშვილი რ., ... 1962:202], უფლისციხიდან მომდინარე ეგზემპლარები VI-VIII სს-ით [მინდორაშვილი დ. 2008:27]. მსგავსი ჭრაქები ხშირად გვხვდება დედოფლის გორის ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიურ მასალა-

ში. ამ ტიპის ქრაქები აღმოჩენილია მინგე-ჩაურის III-VIII სს-ის კულტურულ ფენებშიც [Вайдov P. 1961:ტაბ. VIII<sub>10</sub>].

საინტერესოა სხვადასხვა თხრილებიდან მომდინარე ღარისებრი და ბრტყელი კრამიტები. ბრტყელ კრამიტებს შორის გვხვდება სადა, მოჩაღისფროდ და ნითლად გამომწვარი (ტაბ. III<sub>1,2,5</sub>) ნიმუშები. ამგვარი კრამიტების ერთი ჯგუფი ნითლადაა შეღებილი (ტაბ. III<sub>3,4</sub>). ღარისებრ კრამიტებშიც გამოირჩევა სადა, ნითლად ან მოჩაღისფროდ გამომწვარი ცალები (ტაბ. III<sub>8-10</sub>). ღარისებრი კრამიტების ნაწილიც ნითლადაა შეღებილი (ტაბ. III<sub>6,7</sub>). როგორც წესი იღებებოდა მხოლოდ კრამიტის გამოსაჩენი მხარე. მსგავსი ღარისებრი და ბრტყელი კრამიტები აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების არაერთ ძეგლზე: მცხეთაში, ურბნისში, რუსთავში [ჭილაშვილი ლ. 1964:106; სინაურიძე მ. 1966:71-72], ლოჭინის ნასოფლარზე [აბრამიშვილი რ., ... 1962:198], ქერემის ნაქალაქარზე [მამაიაშვილი ნ. 2004:136-137], ახალ ჟინვალში [რამიშვილი რ. 1983:124], უფლისციხეში [ხახუტაიშვილი დ. 1964:56; მინდორაშვილი დ. 2008:27] და სხვ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შენობების კრამიტებით დახურვა უფრო მეტად ქალაქური ან სოფლად არსებული გამორჩეული, ყურადღების არეში მყოფი ნაგებობებისთვისაა (მაგ. ეკლესია, კოშკი და სხვ.) დამახასიათებელი [ჯღამაია ჯ. 1980:18]. ზოგადად ეს დასკვნა მისაღებია, თუმცა სვენეთისა და ზოგიერთი სხვა ნასოფლარის (მაგ. ლოჭინი) მონაცემებით ისე ჩანს, რომ ადრეული შუა საუკუნეების სოფლებშიც საცხოვრებელი შენობები ზოგჯერ კრამიტით იხურებოდა.

კერამიკულ ნაწარმს შორის აღსანიშნავია თიხის ჭურჭლების გვერდებისაგან დამზადებული დისკოები (ტაბ. III<sub>15</sub>). ამგვარი დისკოები მრავლადაა აღმოჩენილი თითქმის ყველა არქეოლოგიურ ძეგლზე, ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული შუა საუკუნეების ჩათვლით. ისინი სარიტუალო დანიშნულების ნივთებადაა მიჩნეული [ხახუტაიშვილი დ. 1964:24-25].

კერამიკული ნაწარმის გარდა, სვენეთის ნასახლარზე აღმოჩნდა მწვანე ფერის მინის ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ტაბ. III<sub>16</sub>). მინის ნაწარმი მრავლადაა ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოს თანადროული ძეგლებიდან. თუმცა ფრაგმენტულობის გამო სვენეთის მინის ჭურჭლის ზუსტი პარალელის მოძიება ჭირს.

ქვის ნივთებიდან აღსანიშნავია ბაზალტისაგან დამზადებული ხელსაფქვავის ქვები (ტაბ. III<sub>18,19,20</sub>). იქვეა მიკვლეული შურდულის ქვა (დმ 6-6,5 სმ) (ტაბ. III<sub>17</sub>). როგორც შურდულის, ისე ხელსაფქვავის ქვებს მრავლად მოეპოვებათ ანალოგები აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებიდან — ურბნისი [ჭილაშვილი ლ. 1964:128], უფლისციხე [მინდორაშვილი დ. 2008:57], ახალი ჟინვალი [რამიშვილი რ. 1983:129], დედოფლის გორა და სხვ.

საინტერესოა თხრილებიდან მომდინარე ოსტეოლოგიური მასალა. №5 თხრილში მიკვლეულ იქნა ირმის თავის ქალა, რომელსაც რქები მოხერხილი ჰქონდა (ტაბ. III<sub>14</sub>). იქვე აღმოჩნდა ირმის რქის ფრაგმენტი (ტაბ. III<sub>13</sub>). იმავე თხრილში გარეული ტახის ეშვიც გამოვლინდა (ტაბ. III<sub>12</sub>). ჩანს, სოფლის მოსახლეობა ხორცის მარაგს შინაური ცხოველების გარდა (თხრილებში აღმოჩნდა მსხვილფეხა საქონლის ძვლებიც), დროდადრო ნანადირევითაც ავსებდა.

ნასოფლარზე ქვევრებისა და ხელსაფქვავების საკმაო რაოდენობით გამოვლენა (თხრილების გარდა, სამშენებლო დერეფნის გარეთ, კიდევ აღმოჩნდა ორი თითქმის მთლიანი ქვევრი) იმაზე მეტყველებს, რომ სვენეთის ადრეული შუა საუკუნეების მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის მთავარ დარგებს მევენახეობა-მეღვინეობა და მარცვლეული კულტურების წარმოება შეადგენდა.

სვენეთის ნასოფლარზე მიკვლეული არქეოლოგიური მასალა ზემოთ მოყვანილი პარალელების მიხედვით ზოგადად IV-VI სს-ით შეიძლება დავათარილოთ. უფრო კონკრეტულად

კი ნასოფლარის თარიღად IV-V სს. მიგვაჩნია.

ამრიგად, სოფ. სვენეთთან, გაზის ტრასის მშენებლობის ზონაში ჩატარებული მცირე მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად, აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიურ რუკას შეემატა კიდევ ერთი საინტერესო ნასოფლარი, რომელიც რიგი გარემოებების გამო ჩვენამდე საკმაოდ დაზიანებული სახით შემორჩა.

### ლიტერატურა:

**აბრამიშვილი რ., ჭილაშვილი ლ. 1962:** ლოჭინის ნასოფლარის არქეოლოგიური გათხრები. - შ. ხანთაძე (რედ.). სსმმ, ტ. XXIII-B, თბილისი, გვ. 197-206.

**აფხაზავა ნ. 1979:** ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა. თბილისი.

**ბოხოჩაძე ალ., კალანდაძე ალ., ფიცხელაური ვ. 1962:** მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1961 წლის მუშაობის შედეგებისათვის. - ან. აფაქიძე (რედ.). საქართველოში 1961 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბილისი, გვ. 28-35.

**გძელიშვილი იოს., ტყეშელაშვილი ოთ. 1961:** თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები. თბილისი.

**მამაიაშვილი ნ. 2004:** ქალაქი ქერემი. თბილისი.

**მინდორაშვილი დ. 2008:** უფლისციხე შუა საუკუნეებში. თბილისი.

**რამიშვილი რ. 1983:** ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-1973 წწ. განათხარის მიხედვით. - რ. რამიშვილი (რედ.). ჟინვალი I. არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, თბილისი, გვ. 81-130.

**სინაურიძე მ. 1966:** აღმოსავლეთ საქართველოს ადრე ფეოდალური ხანის კერამიკა, მსმკი, ტ. I. თბილისი. გვ. 39-90. ზემო იმერეთი ადრეულ შუა საუკუნეებში.

**ჩიკოიძე ც. 1979:** ქალაქი თელავი. თბილისი.

**ხახუტაიშვილი დ. 1964:** უფლისციხე I, 1957-1963 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. თბილისი.

**ჭილაშვილი ლ. 1964:** ნაქალაქარი ურბნისი. თბილისი.

**ჯორბენაძე ბ. 1982:** ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში. თბილისი.

**ჯღამაია ჯ. 1980:** სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში. თბილისი.

**Артилаква В., Иремашвили Ш., Годзишвили Н., Гочалеишвили М. 1979:** Отчёт о полевой работе глданской археологической экспедиции. - О. Лордкипанидзе (ред.). ПАИ в 1976 г. Тбилиси. с. 197-204.

**Ваидов Р. 1961:** Мингечаур в III-VIII веках. Баку.

**Калантарян А. 1970:** Материальная культура Двина IV-VIII вв. Ереван.

**Кафадарян К. 1952:** Город Двин и его раскопки, Ереван.

**Куфтин Б. 1941:** Археологические раскопки в Триалети. Тбилиси.


### ილუსტრაციების აღწერილობა:

**ტაბ. I.** 1. სვენეთის ნასოფლარის ტერიტორია გათხრებამდე. 2. სამშენებლო დერეფანი და სადაზვერვო თხრილები. **ტაბ. II.** თხრილებში გამოვლენილი სხვადასხვა დანიშნულების თიხის ჭურჭლების ნატეხები: 1-4 - ქვევრები, 5-12 - ქოთნები, 13-17 - ბადიები, 18 - ჭრაქი, 19-27 - ხელალები. **ტაბ. III.** 1-10 - თხრილებში გამოვლენილი ღარიანი და ბრტყელი კრამიტები, 11 - დერგის ძირი, 12 - ტახის ეშვი, 13-14 - ირმის რქა და თავის ქალა, 15 - თიხის დისკოები, 16 - მინის ჭურჭელი, 17 - შურდულის ქვა, 18-20 - ხელსაფქვავის ქვები. **ტაბ. IV.** თხრილებში გამოვლენილი სხვადასხვა დანიშნულების თიხის ჭურჭლების ნატეხები: 1-9 - ქოთნები, 10-14 - ხელალები, 15-19 - ბადიები, 20 - ჭრაქი.

# I




1




2




# II



# III



# IV



## არქეოლოგიური აღმოჩენები თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მონაშეთა მონასტრის ტერიტორიაზე.

2011 წელს, თბილისის ერთ-ერთ უძველეს „აბანოთუბანში“- წმ. ორმოც სებასტიელ მონაშეთას მონასტრის ტერიტორიაზე, განახლდა არქეოლოგიური საკვლევადიებო სამუშაოები.

ეკლესია მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ნარიყალას ძირში – „დაბლაციხის“ ტერიტორიაზე მდებარეობს. ჩრდილოეთით მას გორგასლის, აღმოსავლეთით – ბოტანიკური, სამხრეთით – სამღებროს ქუჩები, ხოლო დასავლეთით – სამსართულიანი შენობა (სურ.1,) ესაზღვრება. იგი, თბილისის როგორც მნიშვნელოვან ისტორიულ, ისე წმინდა ადგილს წარმოადგენდა. ეკლესიის კარიბჭესთან 786 წლის 8 (21) იანვარს წმინდანად შერაცხული ჰაბო ტფილელი ეწამა – „მხნეთა მათ გამოიყვანეს იგი გარეშე კართა ეზოსა ტაძრისასა“... აწამეს და თავი მოჰკვეთეს „კართა ზედა წმიდისა ეკლესიისათა, რომელი სახელად წმითათა მონაშეთა ორმოცთა“ [საბანისძე იო. 1960: 62,63].

არქეოლოგიური სამუშაოების დაწყების თავდაპირველი მიზანი 1924 წელს ბოლშევიკების მიერ დანგრეული და მიწით დაფარული ეკლესიის ნანგრევების გამოჩენა და შესწავლა წარმოადგენდა. 1998, 2001, 2003, 2006, 2011 წლებში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ეკლესიის რამდენიმე სამშენებლო ფენა და დედაქალაქის წარსულის ახალი და მნიშვნელოვანი მონაცემები წარმოაჩინა. მათ შორის: დედაქალაქობამდელი (I-IV სს.) და დედაქალაქობის ადრეული ეტაპის (V-VI სს.), ადრე უცნობი გალავნის კედელი; I-III სს. აბანო-თერმა (I-III სს.); მარანი (IV ს.); ქვაჯვარი (V-VIII სს.); სამარხები (III-IV სს.; XII-XIII სს.) და სხვადასხვა დროინდელი ნაგებობების ნაშთები; ადგილობრივი და იმპორტული წარმოშობის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არტეფაქტები

[ძნელაძე მ. 2009: 113-122; Дзnelაძე M. 2002: 85-89; იხ. ანგარიშები]. აღმოჩენებმა დაადასტურა, რომ საკვლევ ტერიტორია, რომელმაც დღეისათვის მოიცვა 1200 კვ.მ., ძველი თბილისის იმ ნაწილს წარმოადგენდა, რომელზედაც ქვეყნის მმართველთა (მეფე, ერისთავი და ა.შ.) ციხე-სიმაგრე და სარეზიდენციო შენობა-ნაგებობები იყო განთავსებული.

საველე არქეოლოგიური სამუშაოები ივნის-ნოემბერში ჩატარდა. ექსპედიციის სამუშაოებში ჩაერთვნენ: ძნელაძე მერაბი - ხელმძღვანელი, არქეოლოგი - ჩიხლაძე ვერა, ასისტენტები: გვეტაძე ჯემალი და ანჩაბაძე ირაკლი, არქიტექტორი - ლაცაბიძე ლევანი, კომპიუტერული მომს. - გოდერძიშვილი გრიგოლი.

კვლევა-ძიების პროცესში ექსპედიციის საქმიანობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე: დეკანოზი ბესარიონი (მენაბდე), თავაძე მედეამ, იაკობაშვილმა ლიამ, კერესელიძე ქეთევანმა, სირბილაძე შორენამ, ანტროპოლოგმა - ლომოურმა ქეთევანმა, ოსტეოლოგმა - ბენდუქიძე ოლეგიმ, ნუმიზმატმა - ჯალალანია ირინემ, პალინოლოგმა - ყვავაძე ელისომ, მხატვარმა - იზორია მარიკამ, ხელოვნებათმცოდნე იზორია მაიამ, რესტავრატორმა - თავართქილაძე ნინომ.

ექსპედიციისადმი განსაკუთრებული თანადგომა და ყურადღება გამოიჩინეს მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ლუკამ (თანდილაშვილი) და არქიმანდრიტმა ალექსიმ (არაჩემია).

ძეგლზე სამუშაოების დაწყებისთანავე მთელი ტერიტორია გაიწმინდა. განახლდა გეგმა-ბაძე. ძეგლი განფენილია 4 ნაკვეთზე. ნაკვეთი (24 X 18 = 432 კვ.მ.) დაყოფილია 12 კვადრატად (კვადრატი 6X6 მ.). გათხრები ჩატარდა 32 კვადრატში, რომელმაც 1150

კვ.მ. მოიცავს. გათხრების ტერიტორიის სიგრძე (დასავლეთ-აღმოსავლეთით) – 40 მ-ია, სიგანე (ჩრდილო-სამხრეთით)–30 მ.

ძველის მრავალფენიანობისა და ქალაქის ძველი ნარიყალა-“აბანოთუბნის“ ტერიტორიის კეთილმოწყობითი სამუშაოების გათვალისწინებით, შედგა ჩასატარებელი კვლევის წინასწარული პროექტი, რომლის მიხედვით მონასტრის ტერიტორიაზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად:

1. საკვლევ ფართობზე სრულად გამოიკვეთა V-VI სს. გალავნის კედლის კონტური.

2. გალავნის აღმოსავლეთ მხარეს აღმოჩნდა V-VII სს. ასომთავრულწარწერიანი ქვაფვარის ფრაგმენტი.

3. დაზუსტდა IV-V სს. მარნიანი შენობის გეგმარების ნაწილი.

4. გაიწმინდა I-III სს. დროინდელი აბანოს ჰიდრავლიკურხსნარიანი სამი აუზი და ერთი სათავსო.

5. აღმოჩნდა სამარხები: III-IV სს. კომბინირებული (კრამიტისანი) სამარხი და XII-XIII სს. აკლდამა.

6. გაითხარა - XII-XIV სს. მასალის შემცველი 8 ორმო.

7. აღმოჩნდა მრავალფეროვანი მოჭიქული კერამიკა და ნუმიზმატიკური მასალა.

მრავალფენიანი ძველის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს ადრეშუასაუკუნეების დროინდელი (V-VI სს.) გალავანი წარმოადგენს, რომლის ძირშიც, 2003 წელს, შედარებით ადრეული (I-IV სს.) გალავნის ნაშთია დაფიქსირებული (ქვედა გალავანი ამა წლის გათხრების პროცესში არ შესწავლილა).

### 1. გალავნის კედელი (სურ.1,3)

გალავანი გათხრების ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში, II (კვ.8,12) და IV (კვ.4,8,12) ნაკვეთებში მდებარეობს - ლელვთახევში მომდინარე წაკისის წყლის მარცხენა ნაპირის გასწვრივ. მიმართულია - SSW სიგრძე ღერძზე. გამოჩენილი კედლის სიგრძეა - 26 მ.; სიგანე - 2,40 მ.; სიმაღლე (სიღრმე) შემორჩენილი ნაწილისა (ფუნდამენტის პირიდან)

სამხრეთ ნაწილში - 3 მ-ია. ჩრდილო ნაწილში - 0,7-0,8 მ.

გალავნის კედლის სამშენებლო მასალად კლდოვანი ნატეხი ქვაა გამოყენებული, ხოლო შემაკავშირებელ მასალად - კირხსნარი. კედლის გარეთა მხარეები სიმაღლეზე თარაზულ-პოლიგონალურად დაწყობილი ქვის წყობითაა ამოყვანილი, რომლისთვისაც ოთხკუთხა ფორმისა და დაახლოებით ერთი ზომის ნატეხი კლდოვანი ქვებია გამოყენებული. მათ შორის არსებული სივრცე კი სხვადასხვა ზომისა და ფორმის რიყის ქვებით არის შევსებული. შემაკავშირებელი მასალა კირხსნარია. საქართველოში, მკვლევარები, კედლის მსგავს წყობას „უჯარმული წყობით“ მოიხსენებენ. კედლის ზედა, ანუ სამხრეთი მხარე შედარებით უკეთაა შემორჩენილი (სიმაღლე - 3 მ.), იგი სამღებროს ქუჩაზე გადის და ფერდის აყობებით ნარიყალას ზედა ნაწილისკენ (მაღლა, ზედაციხისკენ) მიემართება. კედლის მეორე მხარე (ჩრდილოეთი ნაწილი) მდ. მტკვრისკენ არის მიმართული. ქვედა ნაწილი თანამედროვე ზედაპირთანაა ახლოს, რის გამოც შედარებით მეტად არის დაზიანებული. კედლის უკიდურეს ჩრდილოეთ მხარეს შექმნილია „საფეხური“. სავარაუდოდ, იგი ან გალავნის კედლის კარიბჭის ფრაგმენტს, ან ხეობის დახრილ ნაწილზე კედლისათვის ხელოვნურად შექმნილ „საფეხურს“ წარმოადგენს (სურ.3).

გალავნის კედლის ძირი ეყრდნობა ნაყარი ქვებისაგან შემდგარ და კირხსნარით შედგენილ ფუნდამენტს, რომელიც ორივე მხარეს (გარეთკენ) 0,15 მ-ზეა გამოწეული. ფუნდამენტი, თავის მხრივ, ადრეული და უფრო განიერი (1 მ-ით) გალავნის კედლის ზედაპირზე მოსწორებულ ალიზოვან თიხნარზეა გამართული. ადრეული გალავნის ნაშთი 2003 წლის არქეოლოგიური კვლევის დროს, თხრილების გავლებიდან დაფიქსირდა. გალავნის შესახებ შედარებით სრული წარმოდგენის მიღება მომავალი არქეოლოგიური გათხრების შემდგომ იქნება შესაძლებელი.

გალავანი (დედაქალაქობამდელი და

დედაქალაქობის დროინდელი) თბილისში დღემდე აღმოჩენილ ძეგლთა შორის უძველესია. იგი ზღუდავდა (ჩვენი აზრით) დედაციხის ქვედა ნაწილში მდებარე სახელისუფლო - მმართველთა რეზიდენციას. ვახუშტი ბატონიშვილის მიერ 1735 წელს შედგენილ და შემდგომი დროის თბილისის რუკებზე გამოსახული დედაციხისა და თბილისის გალავანი როსტომ მეფის დროინდელ და მის შემდგომ, გვიანი შუასაუკუნეების ვითარებას ასახავს და არ ემთხვევა ახლად აღმოჩენილი გალავნის მდებარეობას. მას შეიძლება მივუსადაგოთ, მხოლოდ, მალაციხის კარიბჭესთან აღმართული ოთხკუთხა კოშკი, რომელსაც არქიტექტორი ვ. ცინცაძე გორგასლის დროინდელად მიიჩნევდა [ცინცაძე, 1958: 27].

**2. ქვაჯვარი (სურ.40).** არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილ არტეფაქტებს შორის აღსანიშნავია ქვაჯვარის ფრაგმენტი - ზედა მკლავი. იგი გალავნის კედლის „გარეთ“ - აღმოსავლეთ მხარეს 2-3 მეტრის დაშორებით, 0 ნიშნულიდან 3 მ.-ის სიღრმეზე, ნაყარი ქვების გროვაში აღმოჩნდა. ქვაზე კარგად იკითხება ძველი ქართული დამწერლობის - ასომთავრული ანბანის რამდენიმე ასო. წინასწარული მოსაზრებით იგი V-VIII სს. უნდა დათარიღდეს (რ.პატარიძისა და გ. გაგოშიძის მოსაზრებებით ქვაზე გამოსახული ასომთავრული IX ს-ზე გვიანდელი არ უნდა იყოს). ეს თბილისში ქვაჯვარის აღმოჩენის პირველი შემთხვევაა, თუმცა, საქართველოს ტერიტორიაზე მრავლადაა დადასტურებული. ქვაჯვარის დადგმა (ჩვენი მოსაზრებით) გორგასლისეული გალავნის, ან იქვე ახლოს აშენებული წმ. ორმოც სებასტიელ მონაშენის ეკლესიის აშენებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ქვას ეტყობა განზრახ დამტვერვის-დაჩეხვის კვალი. როგორც ჩანს, იგი არაბთა მიერაა დაზიანებული (დამტვერული).

ქვაჯვარის ფრაგმენტის აღმოჩენის შემდგომ, დაახლოებით იმავე მონაკვეთში, ნაყარი ქვების გროვაში აღმოჩნდა ოთხკუთხედის ფორმის მოზრდილი ქვიშაქვა, რომელსაც შუა ნაწილში შედარებით მომცრო ზომისა და

კვადრატული ფორმის ნიში ჰქონდა ამოკვეთილი. სავარაუდოდ, ეს ქვა ბუნს - ქვაჯვარის სადგამს წარმოადგენს. მასაც ეტყობა განზრახ დაზიანების კვალი.

დაგეგმილი პროექტის ნაწილს შენობის ე.წ. „მარნის“ სათავსოს შესწავლა წარმოადგენდა (მეხუთე ფენა ქვემოდან - ზემოთკენ).

**3. მარანი (სურ.3).** მარნის გეგმის ფრაგმენტი 2003 წლის არქეოლოგიური კვლევა-ძიებისას, 0 ნიშნულიდან - 4,10 მ. სიღრმეზე ნაკვ. IV, 1,2,5,6 კვ-ში გამოვლინდა. თითქმის მთელ ფართობზე დაფიქსირდა შენობის გადახურვის ნაშთი (კრამიტყრილის, დანახშირებული და ნაცეცხლური მიწის ფენები). შენობის (მარნის ?) იატაკის დონესთან, 0 ნიშნულიდან - 4,50 მ-ზე., სამი მოზრდილი ქვევრი (№ 3,4,5.) აღმოჩნდა. №1 და №2 ქვევრები ახალი ეკლესიის მშენებლობის დროს (2003 წელს) ქვების ამოღებისას გაითხარა. №3 და №5 თხელკეციან ქვევრებს ხშირი და დაკეჭნილი რელიეფური სარტყლები შემოუყვება. №4 ქვევრს სადა რელიეფური სარტყლები გასდევს.

მარანი არტეფაქტებისა და სტრატოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, წინასწარულად, IV სს. თარიღდება.

**ქვევრი №3.** ქვევრი (IV ნაკვეთის, მე-5-6 კვადრატი) №4 ქვევრის ჩრდილოეთით 120 სმ-ის დაშორებითაა. დაბზარულია და ნაწილობრივ ჩაქცეული. ქვევრის პირი 0 ნიშნულიდან - 4,30 მ. დონეზე გამოჩნდა. ძირის დონე კი - 6,30 მ. სიღრმეზე. ქვევრის შემორჩენილი სიმაღლეა - 0,90 მ., დმ. - 0,8 მ-ია. ქვევრის კეცი მოვარდისფრო-მოჩალისფროა, დამზადებულია წვრილმარცვლოვანი თიხისაგან და სრულადაა გამომწვარი. ქვევრი სფერულმუცლიანია, ძირისკენ მკვეთრად შევიწროვებული. აქვს სქელი, დაბრტყელებული პირი და მკაფიოდ გამოხატული ყელი. ტანზე ყოველ 8-10 სმ-ის დაშორებით რელიეფური ნაჭდევიანი სარტყლები შემოსდევს. ძირი ბრტყელი აქვს. კეცის სისქე - 1-1,5 სმ. ბაკოს სიგანე - 5 სმ., ბაკოს სისქე - 2 სმ. ქვევრის ძირთან, პირზე დასახური ბრ-

ტყელი - ოთხკუთხა ფორმის ფილაქვის - სარ-  
ქველი იყო ჩავარდნილი. ზომები: 42X34X4 სმ.

**ქვევრი №4.** ქვევრი (IV ნაკვეთის, მე-6  
კვადრატის) სფერული, ძირისკენ შევიწროვე-  
ბული ფორმისაა, გამომწვარი მოვარდისფ-  
რო-მოჩაღისფროდ, თხელკეციანია. პირ-ბა-  
კო სქელი და დაბრტყელებულია, ყელი მკაფ-  
იოდ გამოხატული აქვს. ტანზე ხშირი (4,5-6,7  
სმ-ის დაშორებით) რელიეფური სარტყლები  
შემოსდევს. ქვევრის შემორჩენილი სიმაღლე  
- 90 სმ-ია, დმ. -1-1,5 სმ. ძირი ბრტყელია. დმ.  
- 20 სმ. ბაკოს სიგანე - 4,5 სმ. სისქე ბაკოსი  
- 2 სმ. კეცი დამზადებულია სუფთა, კარგად  
განლექილი წვრილმარცვლოვანი თიხისაგან,  
სრულადაა გამომწვარი. ქვევრის ძირთან  
ქვის, მრგვალი ფორმისა და შუაში გახვრე-  
ტილი (სასულე ხვრელი), ჩავარდნილი სარ-  
ქველი აღმოჩნდა.

**ქვევრი №5.** ქვევრის (IV ნაკვეთის მე-6  
კვადრატის) პირი აღმოჩნდა 0 ნიშნულიდან  
430 მ-ის სიღრმეზე, ძირის დონე - 630 მ. და-  
ბზარულია და ჩამსხვრეული. შემორჩენილი  
სიმაღლეა - 1.70 მ. დმ.-1.30 მ. ქვევრი სფერუ-  
ლი, ძირში მკვეთრად შევიწროებული ფორმ-  
ისაა. თხელკეციანია. მოვარდისფრო-მოჩაღ-  
ისფროდაა გამომწვარი. პირი დაბრტყელ-  
ებულია, პირ-ბაკო სქელი. ტანზე, ძირიდან  
ყელამდე, დიდი ინტენსივობით (2-3-4 სმ-ის  
დაშორებით) რელიეფური-დაკეცილი სარ-  
ტყლები შემოსდევს. ზომები: კეცის სისქე - 1  
სმ. ბაკოს სიგანე - 4,5 სმ; ბაკოს სისქე - 2,5  
სმ.

ქვევრში, ძირთან, IV-V სს. დროინ-  
დელი იმპორტული (სინოპური) ამფორა  
(სურ.15,39) აღმოჩნდა. ამფორა მოყვითალო  
- მოთეთროა. მრგვალი პირი შესქელებულია.  
აქვს მაღალი ყელი, კონუსური ტანი, ბრტყე-  
ლი ღრუ ქუსლი. ოვალურ განივკვეთიანი ორი  
ჩაღარული ყური ყელსა და მხარზეა მიძერ-  
ნილი. მხარს ქვემოთ ქუსლამდე ამოღებული  
სარტყლები შემოსდევს. კეცი სილანარევი.  
სიმაღლე - 55 სმ. პირის დმ.4-6 სმ. ქუსლის  
დმ. 4-7 სმ. მხართან ტანის დმ. 16 სმ. ყურის  
დმ. 3 სმ. ყურის სიმაღლე 14 სმ.

მარნის კედლების სიგანე 0,90-1,2 მ-ში  
მერყეობს. შემორჩენილი ნაწილის მაქს. სიმა-  
ღლე ჩრდილოეთით 0,6 მ-ია; მინიმალური -  
0,3 მ. ჩრდილო მხარის კედელი, ნაწილობრივ,  
ეკლესიის ფუნდამენტისათვის გაკეთებული  
№14 და №23-ე „ჭების“ გათხრის დროსაა და-  
ზიანებული. მარნის კედლები ნატეხი-ოთხ-  
კუთხა ფორმის ქვებით, თიხნარი ხსნარითაა  
აშენებული. მარანი სხვადასხვა დროინდელი,  
შედარებით მოგვიანო, კულტურული ფენები-  
სგანაა დაზიანებული.

ქვევრები (N<sup>o</sup>N<sup>o</sup>1-5), თავისი ფორმები-  
თა და იერით III-V სს. თარიღდება, მაგრამ  
სტრატოგრაფიული მონაცემები და მათში  
აღმოჩენილი არტეფაქტები მათ IV საუკუ-  
ნეს მიაკუთვნებს. თარიღის ქვედა საზღ-  
ვარს ამაგრებს მარნის იატაკის ქვეშ გამოვ-  
ლენილი შედარებით ადრეული სამშენებლო  
და კულტურული ფენები. მსგავსი ქვევრები  
დასტურდება III-IV სს. დროინდელი მცხეთის,  
ჟინვალის, ურბნისისა და სხვა თანადროულ  
ნამოსახლარებზე [ნიკოლაიშვილი ვ. 1993:  
ჟინვალი 1963; ჭილაშვილი ლ. 1964]. მარნის  
ფუნქციონირების ზედა საზღვარს მე-5  
ქვევრში აღმოჩენილი იმპორტული (სინოპუ-  
რი) ამფორა იძლევა.

საკვლევ ტერიტორიაზე აღმოჩენილ ძე-  
გლებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელო-  
ბისაა „თერმა-აბანოს“ ნაშთები.

#### 4. თერმა-აბანო (სურ.2-6)

IV ნაკვეთში, 0 ნიშნულიდან - 6,40 მ. (ზე-  
დაპირი) და - 7,70 მ. დონეზე აუზი (იატაკი)  
გამოჩნდა. გაითხარა 64 კვ.მ. ფართობი (სი-  
გრძე - 8 მ., სიგანე - 8 მ.).

გამოვლინდა 4 სათავსოს ნაშთი,  
რომელთა შორის სამი ნყლის აუზს წარმოად-  
გენს. გაინმინდა, აგრეთვე, კერამიკული  
მილები, რომლითაც პირველ აუზში, სამხრე-  
თის მხრიდან, ცხელი ნყალი (გოგირდოვანი?)  
ჩაედინებოდა. აუზის კედლები სხვადასხვა  
ზომის ქვებითაა ამოყვანილი და მოვარდისფ-  
რო-მონაცრისფრო ჰიდრავლიკური ხსნარი-  
თაა შელესილი, შემაკავშირებელ მასალად  
საკმაოდ ძლიერი და მკვრივი კირხსნარი-დუ-

ლაბია გამოყენებული ("Opus caemetricum"). თერმის აუზები მიმართული არიან SW-NO სიგრძივ ღერძზე.

**I აუზი (ცხელი განყოფილება - კალდარიუმი),** ნაკვეთი – IV, კვ. 5,6 (იხ. გეგმა). ოთხკუთხედის ფორმისაა. აუზის NN-SS მიმართულების კედლის სიგრძეა – 3,30 მ. (ზედაპირთან); ძირთან – 3 მ. W-O (იატაკის) მიმართულებით – 2,8 მ. (ზედაპირთან); ძირთან – 2,5 მ. აუზის სიღრმე – 1,35 მ. პირველი აუზის მოცულობა: იატაკის – 7,8 მ.კვ. ; ზედაპირის – 9 მ.კვ.

აუზის ამონმენდისას (ნაყარ ფენაში), მიწასა და ქვებთან ერთად, თიხის ჭურჭლისა და ანტიკური ხანის კრამიტების ნატეხები, დანახშირებული ხის ფრაგმენტები აღმოჩნდა. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ჩასასვლელი, ოთხსაფეხურიანი კიბეა გამართული. იგი შედარებით კარგათაა დაცული. საფეხურის სიმაღლეა – 0,2-2,5 მ. სისქე – 0,2-0,3 მ. სიგანე – 0,5 მ. დასავლეთ-ჩრდილოეთის კედლების კუთხეში ძირთან დატანილია მეორე აუზისათვის განკუთვნილი წყლის სადინარი მილი (დმ.-0,12 მ). მეორე სადინარი, უნაგირისებური ფორმისაა (დმ.-0,25 მ.), პირველ და მეორე აუზების გამყოფი კედლის პირზეა გამოყვანილი. კედლის სიგანეა – 0,2-0,25 მ. კედელი ნაწილობრივ დაზიანებულია. აღმოსავლეთ ნაწილში კედლის თავზე 1 მ-ის სიგანის სასიარულო ბილიკია შექმნილი. კედლები ღია-მოვარდისფრო ჰიდრაულიკური ხსნართაა შელესილი. იატაკი, პირისაგან განსხვავებით, ოდნავ შევიწროვებულია და ჩრდილო-დასავლეთისკენ მიმართულებით – მეორე აუზის მხარესაა დაქანებული. ძირის დონე სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში – 7,7 მ-ია.; ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში – 7,8 მ. დაქანების სხვაობა 0,1 მ-ია. იატაკი ღია-მოვარდისფროა. მასზე კარგად ჩანს წვრილი კენჭებისა და კერამიკის წვრილი ფრაგმენტები, რომელიც მოშანდაკების-მოზაიკის შთაბეჭდილებას ტოვებს. შუა ნაწილი თანამედროვე ეკლესიისათვის განკუთვნილ სვეტს აქვს ჩაჭრილი (სურ.2).

კედლები სხვადასხვა სახის უფორმო ქვებისა და კერამიკულ ნატეხებით კირხსნართაა შედგენილი. გარედან კი მოვარდისფრო კირხსნართაა შელესილი.

**II აუზი (თბილი განყოფილება - ტეპიდარიუმი),** ნაკვეთი IV, კვ.1,5. ზედაპირის დონე 0 ნიშნულიდან – 6,6 მ. ძირის დონე (იატაკზე) სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში – 7,7 მ. სიგრძე ზედა ნაწილისა – 5,2 მ. იატაკთან – 5,1 მ. სიგანე (ზედა ნაწილში) – 2 მ., ქვედა ნაწილში – 1,75 მ. სიღრმე სამხრეთ ნაწილში – 1,1 მ., დასავლეთ მხარეს 1 მ. სამხრეთი კედელს ბრტყელი ზედაპირი აქვს, სიგანე 0,45 მ. აღმოსავლეთი კედელი პირველ აუზს ებჯინება, რომლის პირი მომრგვალებულია. კედლის სიგანე თავთან – 0,3 მ-ია, ძირთან 6 მ. ეს კედელი ებჯინება, როგორც პირველ აუზს, ისე IV განყოფილება-სათავსოს (1,6 მ-ის სიგრძეზე). ჩრდილო და აღმოსავლეთის კედლების კუთხეში ოთხსაფეხურიანი კიბეა გამართული. საფეხურის სიგრძეა – 0,55 მ. სიღრმე – 0,22-0,25 მ, სიგანე – 0,25-0,35 მ. კარნიზი კიბესაც შემოუყვება. ჩრდილო კედლის სისქე ზედაპირთან 50 სმ-ია. იგი ნაკლულია (დაზიანებული) და აღმოსავლეთის კედელს ებჯინება, ხოლო საერთოა მესამე განყოფილების სამხრეთი კედლის. სიგრძე – 2 მ. შუა ნაწილში, უნაგირისებური ფორმის წყლის გადასასვლელი აქვს გაკეთებული (დმ. – 0,25 მ.) კედლის ძირში, ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, პირველი განყოფილებიდან მეორეში წყლის გადასასვლელად თიხის მილია ჩადგმული. კედლებს ეტყობა შეკეთება - შელესილობის კვალი. დასავლეთის კედლის სიგრძეა – 5,2 მ., ძირში – 5,1 მ. კედლის პირი ზედა ნაწილში დაზიანებულია. შემორჩენილი სიმაღლე 1,1 მ. (დასავლეთ ნაწილში), 1 მ. – სამხრეთ ნაწილში. კედელი ნაწილობრივად დამსკდარი. ეტყობა სიგრძივ დატანილი შელესილობის კვალი (2 ზოლად). კედლის სიგანე ზედა ნაწილში 0,5 მ, ქვედა ნაწილში – 0,6-0,7 მ. ყველა კედელს, ძირში, კარნიზის ფორმის შელესილობა შემოუყვება (სიმაღლე – 0,15 მ; სიგანე – 0,1 მ.) იატაკი დაქანებულია



სამხრეთიდან – ჩრდილოეთისაკენ (დაახლოებით 0,1 მ-ით. იატაკის სისქე 0,1-0,12 მ)

აუზი ამოვსებული იყო ნაყარი მიწით, ქვებით, თიხის ჭურჭლისა და კრამიტების (I-III სს. დროინდელი) ნატეხებით.

იატაკის დონეზე, ცენტრალურ ნაწილში, ქვის გამოყვანილი სვეტის ძირი – ბაზა აღმოჩნდა. სიმაღლე - 41 სმ. ძირის ზომა: 0,45X0,45,5 X 0,41,5 X 0,40 მ.

**III აუზი** ნაკვეთი IV, კვ. 1,2. ზედაპირის დონე 0 ნიშნულიდან - 6,8 მ., იატაკის - 7,95 მ.

აუზი შედარებით მომცრო ზომისაა, განმედილია ნაწილობრივ. დანარჩენი ნაწილი ჩრდილო მხარეს გაუთხრელ ფართობში შედის. შიდა ნაწილის სიგანეა - 1,65 მ. გამოვლენილი სიგრძე - 1,6 მ. კედლების ზედა ნაწილი დაზიანებულია. სამხრეთი კედელი მეორე აუზის კედელსაც წარმოადგენს (გამყოფია). კედელს ზედაპირთან წყლის სადინარი აქვს გაკეთებული. აღმოსავლეთი კედლის პირი ნაკლულია. შემორჩენილი სიმაღლე - 0,95 მ., სიგანე - 0,5 მ. გამოვლენილი სიგრძე - 1,6 მ., გვერდზე, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით სამი საფეხურია შემორჩენილი. დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლების გამოვლენილი ნაწილის სიგრძეა - 1,4 მ. აუზის სიღრმე - 1 მ. სიგანე დასავლეთის კედლისა - 30 სმ. ძირთან წყლის გასასვლელი ხვრელი არის დატანილი (დმ. - 0,2-0,25 მ.). ამავე კედელში, ხვრელის ზედა სისწორეზე, პერპენდიკულარულად ჩადებულია თიხის მილი (დმ. - 0,1 მ) წყლის ზედა ნაწილში ზედმეტი სითხის დასაცლელად (დასარეგულირებლად). კედელს ეტყობა გადაკეთების კვალი. გამოვლენილ ნაწილში, სამივე მხრიდან კარნიზული შელესილობა შემოუყვება.

**IV განყოფილება (სავარაუდოდ სამასაჟო სათავსო - აილეპტერია?)**

ნაკვეთი IV, კვ. 2. დონე 0 ნიშნულიდან: იატაკისა - 7,2 მ. მაქს. ზედა დონე სამხრეთი კედლის პირისა - 6,35 მ. იგი შედარებით კარგადაა დაცული. შიდა ზომებია: სამხრეთ მხ. - 3,7 მ. OW მხ. - 2,6 მ. კედელი პირველ აუზსაც ესაზღვრება. ზედაპირი მომრგვალებული

ფორმისაა, თავთან შედარებით ვიწროვდება. სიმაღლე შიდა მხრიდან 0,95 მ-ია, აღმოსავლეთ და დასავლეთ კუთხეები დაზიანებულია. კედლის აღმოსავლეთ კუთხეში მიდგმულია საფეხური (სიმაღლე - 0,4 მ; სიგანე - 0,6 X 0,6 მ. იგი, შესაძლოა, ჩამოსაჯდომი იყოს. მისი ზედაპირი დაზიანებულია.

აღმოსავლეთის კედლის პირზე სასიარულო ბილიკი-ბაქანია შექმნილი. ძირთან კარნიზისმაგვარი შელესილობა გასდევს. მისი, როგორც გვერდითი მხარე, ისე ზედა-სასიარულო ნაწილი შელესილი უნდა ყოფილიყო. შემორჩენილი სიმაღლე - 0,6 მ-ია. სიგრძე კედლისა ჩრდილო-სამხრეთის მიმართულებით - 3,8 მ. ჩრდილო ნაწილის კედელი შეუსწავლელ ფართობში შედის. ჩრდილო და აღმოსავლეთის კუთხეში კიბეა გამართული. შემორჩენილია 2 საფეხურის ფრაგმენტი: სიგანე - 0,8 მ. პირველი საფეხურის სიმაღლე - 0,2 მ. დასავლეთის კედელი სამხრეთიდან ჩრდილოეთის მხარის მიმართულებით 2,05 მ-ის სიგრძეზე გრძელდება; სისქე - 0,45 მ-ია, ძირში ფართოვდება. ზედა ნაწილი ნაკლულია. კედელი, დაახლოებით შუა ნაწილში-დასავლეთით კუთხეს ქმნიდა, საფეხურიც აქვეა გაკეთებული: სიმაღლე - 0,23 მ., სიგრძე - 0,5 მ. კედელი მეორე აუზსა და ნაწილობრივ მესამე აუზს ეზღინება. მესამე აუზთან 1,6 მ-ის სიგრძეზეა გამოჩენილი, სისქე - 0,5 მ-ია.

იატაკი ჰიდრავლიკური ხსნართაა შელესილი. იგი №87-ე ორმოს მიერაა დაზიანებული.

**IV განყოფილება „დამხმარე სათავსოს“** წარმოადგენს. იგი მოიცავს სამივე აუზს და, როგორც ჩანს, ბანაობის წინა და შემდგომ პროცესებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მაგ. ტანის მასაჟი, ზეთების ცხება და ა. შ.

ოთხივე განყოფილება შევსებული იყო ნაყარი მიწითა და ქვებით, კერამიკული ჭურჭლისა და კრამიტების ნატეხებით. მათში, შეიძლება აღინიშნოს ლამაზად გამოყვანილი ხის სვეტის ქვის ბაზა, რომელიც მეორე

– გრძელი აუზის იატაკის დონეზე აღმოჩნდა ჩავარდნილი (სურ. 2). კრამიტები ორივე სახისაა: ნითლად შეღებილი ბრტყელი და მორგვზე დამზადებული ქიმიანი კრამიტები, რომელთა ნაწილზე ასო-ნიშნებია დატანილი (სურ.13,30-34). მცხეთასა და აღმოსავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის კრამიტების ანალიზის მიხედვით, აუზებში ჩაცვენილი კრამიტები ახ.წ. I-III სს-ით. თარიღდება. ამავე დროით თარიღდება, თიხის ჭურჭელიც (სურ.7-9,12,17-24, 26-29).

2011 წლის გათხრების პროცესში ანტიკური ხანის აბანოს (თერმის) გამოკვლევა არ დასრულებულა.

**5. სამარხები (ნახ.3).** გათხრებისას ორი სამარხი აღმოჩნდა: №5 და №6. ორივე სამარხი სხვადასხვა ქრონოლოგიურ პერიოდს განეკუთვნება. განსხვავებულ დროს ეკუთვნის, აგრეთვე, 2001 წელს ეკლესიის წინ – დასავლეთ კედელთან აღმოჩენილი ეკლესიის თანადროული 4 სამარხიც (XIII-XIV სს.).

**სამარხი №5** (სურ.3) 2011 წლის 8 ივლისს II ნაკვეთის მე-8 კვადრატში აღმოჩნდა, 0 ნიშნულიდან - 4 მ-ის სიღრმეზე. სამარხი წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის, მომცრო ზომის, აკლდამას წარმოადგენს. იგი დასავლეთ – აღმოსავლეთის სიგრძივ ღერძზეა დამხრობილი. სამარხის ორმოს ზომებია: სიგრძე - 2,3 მ, სიგანე – 1,7 მ.

სამარხის გვერდების გასამართავად სხვადასხვა ზომის კლდოვანი-ნატეხი, ნაწილობრივ ოთხკუთხა ფორმის ქვები, ხოლო სახურავად თიხის ბრტყელი და ოთხკუთხა ფორმის აგურებია გამოყენებული. შევსებული აღმოჩნდა მინითა და ბრტყელი აგურების ნატეხებით. შედარებით ქვედა დონეზე (0,6-0,7 მ. სიღრმეზე) მათში თიხის ჭურჭლების ნატეხები და წვრილფეხა საქონლისა და ფრინველის ძვლის ფრამენტები დაფიქსირდა. შიდა ზომები: სიგრძე-1,43; სიგანე-0,75-0,80; სიღრმე-მაქს. დას. მხ.-1,5 მ. იატაკი თიხის ფილებით ყოფილა გამართული, რომელსაც ოთხივე მხრივ გვერდებზე ხის ძელები შემოფარგლავდა.

სამარხში მიცვალებულის ძვლის დაშლილი წვრილი ფრამენტები და ხელის მტევნის რამდენიმე ფალანგა იქნა დაფიქსირებული, რომელთა მიხედვითაც სამარხში დაკრძალული ინდივიდი 9-11 წწ. მოზარდ ქალს უნდა განეკუთვნებოდეს. მიცვალებული ზურგზე გაშოტილი, თავით სამარხის დასავლეთ ნაწილში, ხოლო ტანით დასავლეთ-აღმოსავლეთ სიგრძივ ღერძზე დაუკრძალავთ.

სამარხის გრძივ კედლებზე, შუა ნაწილში, გვერდებზე ქვის სამაგრებია შექმნილი, რომლებზედაც ხის გადახურვა (შესაძლოა ლასტი) უნდა დაედოთ. ამდაგვარი გადახურვა მიცვალებულს სამარხის თალის გაკეთების დროს სამშენებლო ნარჩენების დაყრისაგან დაიცავდა, საბოლოოდ ის „ალაპისათვის“ განკუთვნილი ჯამ-ჭურჭლის დასალაგებლად არის გამოყენებული. აკლდამა, ძირიდან დაახლოებით 1,70 მ-ის სიმაღლეზე, თაღოვანი სახურავით იხურებოდა. მისი, ზედა ცენტრალური ნაწილი თიხის ფილებითა („ქართული“ აგურებით) და კირხსნარიანი შეერთებითაა შედგენილი. გვერდითი კედლები ქვისა და თიხნარი ხსნართაა აშენებული. სახურავის თალის ჩაქცევის (სავარაუდოა მძარცველების მიერ) შედეგად დაზიანდა, როგორც მიცვალებულისათვის შექმნილი ალაპიანი სახურავი, ახალგაზრდა ინდივიდის ჩონჩხი და თანჩატანებული ინვენტარიც. სამარხი გაძარცვული უნდა იყოს.

სამარხში (1,4-1,6 მ. სიღრმეზე) აღმოჩნდა 22 ნივთი:

1. ბეჭედი ბრინჯაოსი. აღმ. სამარხის დასავლეთ ნაწილში ხელის ფალანგზე
2. მონეტა (?) ბრინჯაოსი. აღმოჩნდა ცენტრალურ ნაწილში (დაზიანებულია)
3. ჯამი, მოჭიქული, ხოხობის გამოსახულებით, აღმოჩნდა სამარხის ჩრდ. კედელთან.
4. ჯამი, მოჭიქული. აღმოჩნდა თავდაღმა ჩამხობილი სამარხის ცენტრში.
- 5-9. სხვადასხვაფერად მოჭიქული ჯამები (აღდგენილია), აღმოჩნდა სამარხის სხვადასხვა ნაწილებში იატაკთან სხვადასხვა დონეზე.

10-11. ჭრაქი, მოჭიქული. აღმოჩნდა იატაკთან.

12-13. სასმისი და საწვინაწებელი მინისა (ნატეხები). აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ ნაწილში იატაკის დონეზე.

14. ვაზა ფაიანსისა (ნატეხები), აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ კედელთან იატაკის დონეზე.

15-22. ჯამები და ქილები, ნაწილში „აღაპის“ ნაშთი (ფრინველის ძვლები) იყო განთავსებული.

მოჭიქული ჯამები, ჭრაქები, სხვა კერამიკა „თბილისური“ ნაწარმია. სამარხი, არტეფაქტებისა და სტრატოგრაფიული მონაცემებით, XII-XIII სს. თარიღდება.

**სამარხი №6.** კომბინირებული – კრამიტისანი სამარხი 2011 წლის 26 ივლისს, IV ნაკვეთის მე-5 კვადრატში, 0 ნიშნულიდან – 5,50 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. დამხრობილია სამხრეთიდან – ჩრდილოეთისაკენ. აღმოსავლეთის კედელი ნატეხი ქვისა და ბრტყელი კრამიტისაგან იყო შედგენილი, დასავლეთისა – აგურის ფილისაგან, ჩრდილოეთისათვის – თავკედლად თხელი ფილაქვაა გამოყენებული, ხოლო სამხრეთისათვის – გვერდებაკეცილი ბრტყელი კრამიტი. გადახურულია ერთი ბრტყელი კრამიტით.

სამარხის ზომებია: 0,70 X 0,50 X 0,26 მ.; სამარხის შიდა ზომები: 0,50 X 0,25 X 0,22 მ.

სამარხში მცირეწლოვანი (2 წლამდე) ბავშვია დაკრძალული, მარჯვენა გვერდზე, მკვეთრად ხელ-ფეხმოკეცილ პოზაში, თავით სამხრეთით. დაკრძალულისათვის ინვენტარი არ ჩაუტანებიათ.

სამარხი თავისი კონსტრუქციით, დაკრძალვის წესითა და სტრატოგრაფიული მონაცემებით III-IV სს-ით. თარიღდება.

**6. ორმოები (სურ.3).** თბილისის ნმ. ორმოც სებასტიელ მონამეთას მონასტრის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა-ძიების დაწყებიდან (1998 წ.) 2011 წლის ჩათვლით აღმოჩენილი და შესწავლილი იქნა 91 ორმო (წინასწარულად: 1. VI-IX სს. 2. XII-XIII სს. 3. XVI-XVIII სს.). მიმდინარე წლის არქეოლოგი-

ური გათხრებისას დაფიქსირდა და ნაწილობრივ გაითხარა 14 (№78-91) ორმო. ორმოების ძირითადი ნაწილი შევსებული იყო XII-XIII სს. კერამიკული მასალით, მათ შორის მოჭიქული ჯამებით, კრამიტებითა და მონეტებით.

ორმოები, ძირითადად, წაგრძელებული მსხლისებრი ფორმისაა, თუმცა რამდენიმე ცილინდრულია. მათი დიამეტრი მერყეობს 0,7 – 1,4 მ-ს შორის.

№78 –ნაკვ. II, კვ.10; №79 –ნაკვ. II; კვ.11 დმ.-1,5 მ.; სიღრმე –1,8 მ.; №80 –ნაკვ. IV, კვ., დმ.-1,1, სიღრმე –0,8 მ.; №81 –ნაკვ. II-IV, კვ.11-3, დმ.-2 მ., სიღრმე-1,8 მ.; №82 –ნაკვ. II, კვ.11, დმ-1 მ.; სიღრმე –1,1 მ.; №83 –ნაკვ. II, კვ.12, დმ-0,7 მ., სიღრმე-0,7 მ.; №84 –ნაკვ. II-IV, კვ.12-4, დმ – 1,35 მ., სიღრმე –2,40 მ.; №85 –ნაკვ. IV, კვ.2, დმ.-1,5 მ.; №86 –ნაკვ. II, კვ.12, დმ.-1,3 მ.; №87 –ნაკვ. IV, კვ.2, დმ.-1,4 მ.; №88 –ნაკვ. IV, კვ.6, დმ.-1,5 მ.; №89 –ნაკვ. IV, კვ.3, დმ.1,5 მ.

## 7. ნუმიზმატიკა

2011 წლის არქეოლოგიური გათხრებისას 80 ცალი სპილენძის მონეტა აღმოჩნდა. მათგან მხოლოდ მცირე ნაწილის განსაზღვრა იქნა შესაძლებელი. მეხუთე სამარხში აღმოჩენილი მონეტები ვერ განისაზღვრა. განისაზღვრა ე.წ. „სასახლის“ იატაკის დონეზე და ორმოებში აღმოჩენილი მონეტების ნაწილი. ყველაზე ადრეული, ქუფური ფელსები VIII-IX სს. დადასტურდა სასახლის იატაკის დონეზე. ორმოებში აღმოჩენილი მონეტები ძირითადად XII-XIII საუკუნეებისაა, მათ შორისაა – ქართული, სპარსული და მონღოლური. 2 მონეტა დავით VIII-ეს (1310 წ.) ეკუთვნის. ერთი ცალი XVII ს. ევროპული სევილია. ნაყარ ფენებში რუსული და საბჭოთა დროინდელი მონეტებიც ფიქსირდება.

თბილისის ნმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა ნაეკლესიარზე ჩატარებული გათხრებისას მიღებულმა მონაცემებმა მნიშვნელოვანი საკითხების დასმისა და ახსნის წინაპირობები შექმნა:

1. მკვლევარები ერთხმად აღნიშნავენ, რომ „თბილისი პირველი საუკუნეების მი-

ჯნაზე საყურადღებო სავაჭრო-სახელოსნო დასახლება უნდა ყოფილიყო“, რის არგუმენტადაც შემთხვევით აღმოჩენილი ბერძნული (ძვ.წ.VI-III სს.), 6 ც. ბაქტრიული (ძვ.წ.III-II სს.) ლისიმახეს მინაბადი (ძვ.წ.III-I სს.), ფრაატი IV-ის (ძვ.წ. I ს.) და სხვ. სახის მონეტის არსებობა მოჰყავდათ [Лорткипанидзе М. 1991: 3]. აბანო-თუბანში ახალმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა მათ მოსაზრებებს დამატებითი მყარი საფუძველი შესძინეს. „ქალაქური ტფილისი“, ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან მოყოლებული, საქალაქო ცხოვრების მნიშვნელოვან ელემენტებს შეიცავს. იგი გამაგრებულ ციხეს-დასახლებას წარმოადგენდა. ამაზე მოწმობს ახ.წ. IV ს-ის ცნობილი რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის საგზაო რუკა, რომელზედაც თბილისი აღნიშნულია როგორც ძლიერი გამაგრებულ პუნქტი - „ილადო“-ს („ფილადო“-ს) სახელით და ადრეული (ახ.წ. I-III სს.) გალავნის კედლებისა და აბანოს (ახ.წ. I-III სს.) ნაშთების აღმოჩენა. ამავეზე მეტყველებს წერილობითი წყაროს - „მოქცევაი ქართლისაი“-ს ცნობა, რომ თბილისი, როგორც „ქალაქი -ციხე“ ახ.წ.368 წ. იხსენიება: „და მოვიდა ქრამ ხუარბორზად, სპარსთა მეფისა პიტიახში, ტფილისად ქალაქად, ციხედ. და ქართლი მისსა ხარკსა შედგა, და სომხითი და სივნიეთი და გუასპურაგანი [მოქცევაი ქართლისაი. 1975: 325] საყურადღებოა ის მოსაზრებებიც რომლის მიხედვითაც „ თბილისი ქართლის დედაქალაქ - მცხეთის აღმოსავლეთ კარიბჭეს წარმოადგენდა“ და „... უკვე ელინისტური ხანიდან თბილისის თანამედროვე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა ინტენსიურად იყო ჩაბმული მსოფლიო ვაჭრობის სფეროში“ [გრძელიშვილი ი. 1961: 5], მდებარეობდა რა ინდოეთიდან ფასიდი-საკენ ერთიანი დიდი სავაჭრო სატრანზიტო ე.წ. „აბრემუმის გზის“ მონაკვეთზე [ლორთქიფანიძე ო. 1957: 382-383].

2. ახ.წ. პირველ საუკუნეებიდან თბილისის დღევანდელი ისტორიული „აბანოთუბანი“, გოგირდოვანი წყლებით, ლეღვთახევისა და მდ.წავკისის წყლის მიდამოების სამეფო

–„ციხის ბალებით“, ტყე ნადირითა და წყალთევზით სავსე, „ნალკოტის“ იდილიას ქმნიდა. ამ ადგილთანაა დაკავშირებული თბილისის შექმნასთან დაკავშირებული ვახტანგ გორგასლის ლეგენდებიც (ხოხობზე და ირემზე). ახალი მოსაზრებით (ნ. იზორია, მ.ძნელაძე) ლეგენდა ხოხობზე განვითარებულ შუასაუკუნეებში (თამარის ეპოქაში) უნდა შექმნილიყო, რაზედაც მრავლად დადასტურებულ მოჭიქულ ჭურჭლებზე ხოხობის გამოსახულებები უნდა მეტყველებდეს.

3. განსაკუთრებულად მიმზიდველი ბუნებრივი პირობები და ახლად აღმოჩენილი რომაული სამშენებლო ხელოვნების მაღალ დონეზე შექმნილი შთამბეჭდავი აბანოსა (თერმის) და დედაქალაქობამდელი ციხის გალავნის კედლის აღმოჩენა, ძეგლის მკვლევარებს აფიქრებინებთ, რომ შესაძლოა, „მცხეთის აღმოსავლეთ კარიბჭესთან“ ერთად ამ ადგილს სახელისუფლებო (სამეფო, საერისმთავრო) დასასვენებელი (სამკურნალო-სარეაბილიტაციო) რეზიდენციის ფუნქციაც ჰქონოდა მინიჭებული.

4. არსებული მონაცემების (წყაროები, ისტორიული კვლევები და ახალი არქეოლოგიური შედეგები) ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ მცხეთიდან თბილისში დედაქალაქის გადმოტანის მთავარი მიზეზი სვეტიცხოველში დავანებული ქრისტეს კვართის დაცვაში უნდა ვეძიოთ. შესაბამისად, მტრის პირველი გამანადგურებელი დარტყმა თავის თავზე, ახალ დედაქალაქს - თბილისს უნდა მიეღო. ისტორიული მონაცემები ადასტურებენ მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ ამ გადწყვეტილების მართებულობას.

5. თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთას თავდაპირველი ეკლესია მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ V-VI სს. უნდა იყოს აშენებული.

2011 წელს, თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მონამეთა მონასტრის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრები დეკემბრის თვეში დამთავრდა, მაგრამ ძეგლის შესწავლა არ დასრულებულა.

## ლიტერატურა:

**გრძელიშვილი ი. ტყეშელაშვილი ო. 1961:** თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები. თბილისი.

**ლორთქიფანიძე ო. 1957:** ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ. სმამ, ტ. XIX, №3, თბილისი.

**ნიკოლაიშვილი ვ. 1993:** კარსნისხევის მეთუნე-ხელოსანთა დასახლება. თბილისი.

**ჟინვალი. 1964:** არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, I. თბილისი.

**საბანისძე იოანე. 1960:** აბო თბილელის მარტვილობა. ჩს. თბილისი.

**შატერდის კრებული X საუკუნისა. 1975:** „მოქცევაი ქართლისაი“. თბილისი.

**ცინცაძე ვ. 1958:** თბილისი. თბილისი.

**ძნელაძე მ., ხოხობაშვილი თ. 2009:** თბილისის ნმ.ორმოც სებასტიელ მონამეთა ეკლესიის შესწავლისათვის. თსუ. ქრისტიანული კვლევები, II, თბილისი.

**ჭილაშვილი ლ. ნაქალაქარი ურბნისი. 1964:** თბილისი.

**Дзnelадзе М. 2007:** Археологические раскопки на территории Тбилисской церкви св. Сорока Себастьянских Мучеников. Археология, Этнология, Фолклористика Кавказа. Тбидиси.

**Зеест И. 1960:** Керамическая тара Боспора. Москва.

**Лорткипанидзе М. 1991:** Тбилиси (IV - начало XII вв.). Тбилиси.

## ილუსტრაციების აღწერილობა:

1. თბილისის ნმ. ორმოც სებასტიელ მონამეთას მონასტერი, საეთო ხედი მეტეხიდან. 2. აბანო – თერმა (I-III სს.), ხედი ჩრდილოეთიდან. 3. გათხრების საერთო გეგმა. 4. აბანო, გეგმა. 5.6. აბანო, ჭრილები. 7-14, 17 – აბანოში აღმოჩენილი კერამიკა (I-III სს.). 15. ამფორა №5 ქვევრიდან (IV ს.). 16. №1 და №2 ქვევრი (III-IV სს.). 18-36. აბანოში აღმოჩენილი კერამიკა (I-III სს.). 37-38. №1 და №2 ქვევრი (III-IV სს.). 39. ამფორა №5 ქვევრიდან (IV ს.). 40. ქვაჯვარი (V-VIII სს.)

# I



1






2

# II



# III





# IV



7



8



9



10




11



12



13



14



15




16



17

# V



## ვახტანგ შატბერაშვილი

### ხევხმელას ხეობა ანტიკური ხანაში

მტკვრის მარჯვენა შენაკადი, მდ. ხევხმელა მდებარეობს შიდა ქართლში, კასპის რაიონში. ის სათავეს იღებს თრიალეთის ქედის ჩრდილო განშტოებაზე მდებარე რაზმითის მთიდან და მტკვარს სოფელ გრაკალთან უერთდება. ვახუშტი ბაგრატიონი მდ. ხევხმელას მოიხსენიებს როგორც ხოვლეს ხევს და გადმოგვცემს: „თეზმის დასავლით არს ხევი ხოვლესი, გამოსდის რაზმითის მთას, მოდის ჩრდილოდამ, ერთვის მტკვარს სამხრიდამ; არს ვენახოვანი, ხილიანი და ნაყოფიერი.“ [ქც 1973:342]. იოანე ბაგრატიონი თავის ნაშრომში „ქართლ-კახეთის აღწერა“ ხოვლეს ხევში ჩამოთვლის შემდეგ სოფლებს: „მდუღრის ხევი ან ხოვლის ხევად წოდებული: ხოვლე, გრაკალი, დოესი, აგარა ...“ [ბაგრატიონი ი. 1986:31]. ვახუშტი ბაგრატიონის რუკებზე ხოვლეს ხევში ერთგან მითითებულია საყავრე, ისციხე, ზესი, აბანო, ხოვლე, აგარა, დოესი, ყარაღაჯი და გრაკალი; მეორე რუკაზე კი საყავრე, ისციხე, აკეთი (ავკვეთი), ზესი, ხოვლე, აბანო, დოესი და გრაკალი [ბაგრატიონი ვ. 1997:30,74]. ამჟამად ხოვლეს (ხევხმელას) ხეობის არსებული სოფლებია: საყავრე, ფიცესი, ზენადრისი (დაცარიელებულია), ხოვლე, დოესი, თელიანი (ძველი ყარაღაჯი) და გრაკალი. ხეობას აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან თეძამი და მისი ხეობის სოფლები, აგრეთვე თეძამ-ხევხმელას წყალგამყოფი ქედი, დასავლეთიდან კი ატენის ხეობის წყალგამყოფი ქედი საზღვრავს. ხეობაზე გადის თრიალეთ-შიდა ქართლის, აგრეთვე თეძამისა და ტანას ხეობების დამაკავშირებელი გზები, სამხრეთით კი მტკვრის ხეობის გასწვრივ მდებარე გზაა, რომელიც ანტიკური ხანისა და შუასაუკუნეების განმავლობაში მდინარის მარჯვენა ნაპირს მიუყვებოდა.

ხევხმელას (ხოვლეს) ხეობა გვიანბრინჯაოს ხანიდან ჩანს დასახლებული. დაფიქ-

სირებულია ამ პერიოდის სამი გორანამოსახლარი, რომლის ცენტრი ხოვლეგორა უნდა ყოფილიყო [მუსხელიშვილი დ. 1977:40, 41]. IV საუკუნიდან ხოვლეგორაზე ცხოვრება შეწყდა და მოსახლეობამ სამხრეთით, ხეობის სიღრმეში აინაცვლა. ხოვლეს ხევის სამხრეთი ნაწილი ინტენსიურად ჩანს ათვისებული ელინისტურ ხანაში, ხოლო გვიან ანტიკური ხანის მასალების მიხედვით აქ მნიშვნელოვანი დასახლება უნდა ყოფილიყო. ადრე შუასაუკუნეებში ხოვლეს ხევი, როგორც ჩანს, ატენის ხეობის ადმინისტრაციულ ერთეულში (რომელიც მთელ გაღმამხარს მოიცავდა) [მუსხელიშვილი დ. 1977:192-193], XV საუკუნეში ეს მხარე საჯავახოს, XV-XVIII საუკუნეებში კი საჯავახოსა და საციციანოს შემადგენლობაში შედიოდა [გვასალია ვ. 1983:120, 121, 126].

ხეობაში სხვადასხვა პერიოდის არაერთი არქეოლოგიური ძეგლია, რომელთა ნაწილიც შესწავლილია. 1954-61 წლებში ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციამ მდ. ხევხმელას მარცხენა ნაპირზე, სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, სანიორე ქედის ბოლოში შეისწავლა მრავალფენიანი, ქრ.წ. XIV-IV საუკუნეების ნამოსახლარი „ხოვლეგორა“ [მუსხელიშვილი დ. 1978], სადაც 8 სტრატეგრაფიული ჰორიზონტი (VIII-VII — ქრ.წ. XV-XIV სს; VI — ქრ.წ. XIII ს; V - ქრ.წ. XII-X სს; IV - ქრ.წ. IX-VII სს; III - ქრ.წ. VI ს; II - ქრ.წ. V ს.; I - ქრ.წ. IV ს.) დადასტურდა. ხოვლეგორას სამხრეთით, 500 მეტრში, ამავე ექსპედიციამ გათხარა ქრ.წ. IX-VIII, VII-VI, V-IV საუკუნეების სახელოსნო უბნები და ქრ.წ. XIV-VI საუკუნეების სამაროვანი [ს ი კ ძ ა 1990:225]. სახელოსნო უბნის სამხრეთით 100 მ-ში აღმოჩნდა ელინისტური ხანის დასასრულის საკულტო ნაგებობის

ნაშთი [გვასალია ჯ. 1972:42-50]. ხევხმელას ხეობაში, სადაზვერვო თხრილები გაავლეს კიდევ ორ გორა-ნამოსახლარზე: კენჭიყარა-სა (მდებარეობს ხოვლეს სამხრეთით, 2 კმ-ში) და ავკეთის გორაზე (ხოვლეს დასავლეთით, 3,5 კმ-ში), სადაც ხოვლეგორას სინქრონული ფენები დადასტურდა, თუმცა, იქ სოფლის განვითარება და მისი გორის ფარგლებს გარეთ გასვლა არ ჩანს [მუსხელიშვილი დ. 1977:40, 41]. ამავე წლებში გაითხარა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე, ქრ.წ. III ათასწლეულის შუახანების ყორღანი [გრიგოლია 1958:41], რომლის მასალაც ქართლში შესწავლილ სხვა რამდენიმე ძეგლთან ერთად უმნიშვნელოვანესია ადრეული ყორღანული კულტურის ბედენური და მარტყოფული ეტაპების მონაცვლეობის (თუ თანაარსებობის) საკითხის გარკვევისათვის [ჯაფარიძე ო. 1998:148-150; ორჯონიკიძე ალ. 2002:23; Кахиани К., ... 1991:66]. ასევე მნიშვნელოვანია 1974 წელს, კავთისხევის ექსპედიციის მიერ, სოფ. დოესთან გათხრილი ადრებრინჯაოს ხანის ყორღანიც [Шатберашვილი 3. 1976]. 1976 წელს კავთისხევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სოფ. ხოვლეში, ადგილ ზესურე-ბზე აწარმოა არქეოლოგიური დაზვერვები, სადაც პლანტაჟის დროს დაზიანდა სამაროვანი. მისი ტერიტორია დაახლოებით 2 ჰა იყო. სამაროვანზე წარმოდგენილი იყო გვიანბრინჯაოდან ადრეშუასაუკუნეებამდე პერიოდების სამარხები [Цкитишвили Г., ...1979:117-130]. 2004 წელს მინის სამუშაოებისას დაზიანდა დიდი ზომის აკლდამა, რომელიც კასპის მუზეუმის თანამშრომლებმა განმინდეს და შემდეგ მისი დაცვის მიზნით მიწით დაფარეს [Shatberashvili V. 2009]. 2008 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის ექსპედიციამ სოფლის მიდამოებში არქეოლოგიური დაზვერვები აწარმოა, აგრეთვე გათხარა 2004 წელს შემთხვევით მიკვლეული გვიანანტიკური სამარხის მიმდებარე ტერიტორია (დანვრილებით იხ. ქვემოთ). 2011-2012 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტის ექსპედიციამ (ხელმ. ვ. ლიჩელი) ხოვლეგორაზე მცირემასშტაბიანი სამუშაოები ჩაატარა: გაინმინდა ძეგლის ადრე გათხრილი ნაწილი და რამდენიმე ძველი თხრილი გაფართოვდა.

ქვემოთ ჩვენ მიმოვიხილავთ ხოვლეს (ხევხმელას) ხეობაში არსებულ, ანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებს.

ხოვლეგორას III ჰორიზონტზე (ქრ.წ. VI ს.) შეიმჩნევა გარკვეული სიახლეები: გორას თხრილთან ერთად ქვის დიდი გალავანი შემოავლეს. გაჩნდა ინტერიერის ახალი ელემენტები — შუა ცეცხლი, ლუმელთან ახლოს ქვის მაგიდა, კედლის გასწვრივ სკამი. ერთ სათავსოში დადასტურდა კედლებისა და იატაკის ჭილოვით მოგების ფაქტი. ჩნდება მილიანი და სამტურჩა დოქები, გრძელტანიანი ქილები. გაჩნდა კერამიკის შემკობის ახალი წესი - ჭურჭლის შეღებვა წითელი საღებავით. ზედა, II და I ჰორიზონტებში წითლად გამომწვარი და წერნაქით შეღებილი კერამიკა შავად გამომწვარს მნიშვნელოვნად აღემატება [მუსხელიშვილი დ. 1978:57-59; ს ი კ ძ ა 1990:224-225].

ხოვლეს სამოსახლოს ბორცვიდან სამხრეთ-დასავლეთით, 500-600 მეტრში მდებარე მინდორზე, ადგილ დუბეში, 1960 წელს ჩატარებული გათხრებისას აღმოჩნდა ქვის კედლებისა და თიხით შელესილი ძეგური ნაგებობის ნაშთები. ნაგებობას ხანძრის კვალი ემჩნეოდა. დამწვარ ფენაში აღმოჩენილი ნივთების ნაწილს ცეცხლში ყოფნის კვალი ეტყობოდა, ნაწილს კი არა. ამ ნივთებს შორის აღსანიშნავია ოქროს ორნამენტირებული გარსაკრავი, ვერცხლისაგან დამზადებული ადამიანის ხელისა და ფეხის სტილიზებული გამოსახულებები, მინისა და სარდიონის მძივები და მძივსაკიდები, ბრინჯაოს სხვადასხვა ფორმის ზარაკები, აგრეთვე ვერცხლის ფირფიტების ნატეხები, რომელიც ჯ. გვასალიას აზრით, ხარის გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს და რიტუალური დროშის ნაწილები უნდა იყოს. ძეგური ნაგებობა კი, „ხატის“ („ჯვრის“) ნაგებობის ნაშთი

უნდა იყოს [გვასალია ჯ. 1972:47-49]. აღმოჩენილი მასალა ელინისტური ხანითაა დათარიღებული.

1976 წელს კავთისხევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სოფ. ხოვლეში, ადგილ ზესურებზე (ტაბ. I<sub>6</sub>) გათხარა გვიანანტიკური ხანის ოთხი სამარხი, რომელთაგან ერთ-ერთი, № 1 კერამიკული ფილებით ნაგები მდიდრული სამარხი იყო, დანარჩენი სამარხები კი ქვის ფილებით იყო აშენებული. № 1 სამარხში ერთმანეთთან ზურგმექცევით, ორი მიცვალებული ესვენა. საინტერესოა სამარხის ინვენტარიც: 1. საყურე, ოქროსი, რკალგახსნილი; 2. ბეჭედი, ვერცხლის, მასიური, გემიანი; 3. ბეჭედი, ვერცხლის; 4. მძივები (96 ც.); 5. მონეტა, ავგუსტუსის; 6. მონეტა, გოტარზესი; 7. რიტონი, ვერცხლის (ტაბ VII<sub>3</sub>); 8. დოქი, წითლად გამომწვარი, სფერულტანიანი, ყელზე რელიეფური ზოლით; 9. დოქი, წითლად გამომწვარი, მსხლისებური; 10. დოქი, შავად გამომწვარი, სფერულტანიანი, დაბალყელიანი; 11. ფიალა, წითლად გამომწვარი, მაღალქუსლიანი; 12. ფიალა, შავად გამომწვარი, მაღალქუსლიანი. სამარხი II-III საუკუნეებით თარიღდება [Цкитишвили Г., ... 1979:117-130]. მასალის ნაწილი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება, ხოლო ვერცხლის რიტონი კი კასპის მუნიციპალურ მუზეუმშია დაცული.

2004 წელს ზესურების სამარხების ჩრდილო-აღმოსავლეთით, მშრალი ხევის, ზესხევის პირას (ტაბ. I<sub>2</sub>), წყალსადენი მილის გაყვანისას დაზიანდა ქრ.წ. III საუკუნის მდიდრული აკლდამა [შატბერაშვილი ვ. 2008].

2008 წელს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური დახმარებით სოფ. ხოვლეში საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპედიციამ ჩაატარა არქეოლოგიური კვლევა-ძიება (იხ. შენიშვნა 1), რომელიც ითვალისწინებდა ზესხევეზე 2004 წელს შემთხვევით მიკვლეული მდიდრული აკლდამის (ქვემოთ, სამარხი № 1) მიდამოებში საძიებო თხრილების გაკეთებას სავარაუდო სამაროვნის მისაკვლევად და მისი ფართობის

დასადგენად. ივარაუდებოდა, რომ ახლომახლოს ნასახლარიც უნდა ყოფილიყო. სამუშაო ტერიტორია, გამოყოფილი სახსრების გათვალისწინებით, შემოიფარგლა ორი, ერთმანეთის მეზობლად არსებული ნაკვეთით: სახელმწიფოს კუთვნილი 1325 მ<sup>2</sup> (სამხრეთი უბანი – აკლდამის აღმოჩენის ადგილი, ტაბ. I<sub>2</sub>) და ადგილობრივი მოსახლის, პავლე ჯანანაშვილის ეზო (3724 მ<sup>2</sup>, ჩრდილოეთი უბანი, ტაბ. I<sub>1</sub>), სადაც 2003 წელს, მეპატრონის მიერ ეზოს ტრაქტორით მოსწორებისას, ზედაპირიდან 0,5 მეტრში დაზიანდა ქვის სამარხი. ამავე ნაკვეთზე აშენებული სახლის სარდაფის კედლის ქრილში კულტურული ფენის ნაშთია შემორჩენილი.

არქეოლოგიურ გათხრებს წინ უძღოდა ტოპოგრაფიული და გეოფიზიკური სამუშაოები (იხ. შენიშვნა 2), რის შედეგადაც გამოიკვეთა რამდენიმე ანომალური უბანი, სადაც დაახლოებით 1 მ-ის სიღრმეზე სავარაუდო ძეგლები უნდა ყოფილიყო [ჯახუტაშვილი მ., ... 2009]. შესაბამისად, განისაზღვრა გათხრების გეგმა: ანომალურ უბნებზე უნდა გავლებულიყო საკონტროლო თხრილები.

ჩრდილოეთ უბანზე, თხრილის დასავლეთ ნაწილში, 0,5-07 მ-ის სიღრმეზე გამოიკვეთა ორი ქვაყუთი და სამი ორმოსამარხი (ტაბ. II). როგორც ზემოთ ითქვა, აქ ერთი სამარხი ბულდოზერს დაუზიანებია. სამარხში აღმოჩენილი დოქი ეზოს პატრონმა კასპის მუზეუმს გადასცა. დოქი წითელი ანგობითაა დაფარული, წრიულპირიანია, აქვს სფერული ტანი და დაბალი ყელი, რითაც ქრ.წ. II-I საუკუნეების ნაკეთობებს ემსგავსება. როგორც ჩანს, ეზოს მოსწორებას სხვა სამარხებიც შეენირა — ორმოსამარხები დეფორმირებული იყო. იქ მოპოვებული კერამიკის ნაწილი ნაკლული იყო და ახალი გადანატეხების კვალი ემჩნეოდა. სამარხების ნუმერაცია დავინწყეთ 2-დან, რადგან №1 2004 წელს შემთხვევით მიკვლეულ მდიდრულ აკლდამას ეწოდა.

სამარხი № 2 მცირე ზომის, მომრგვალებული ფორმის, სამხრეთ-დასავლეთიდან

ჩრდილო-აღმოსავლეთით დამხრობილი, დაზიანებული ორმოსამარხი იყო (ზომები -0,4X0,5 მ.) (ტაბ. II №2). სამარხში, მოხრეშილ და მოსწორებულ ნიადაგზე დაკრძალული იყო 5-7 წლის ბავშვი. ძვლები არეული და დაშლილი იყო, დაფიქსირდა ქვედა ყბის ძვალი, კბილები და ნეკნები.

ინვენტარი: (ტაბ. III 1) 1. მძივები, მოლურჯო-მოცისფრო მინის, წვრილი, მრგვალი ფორმის, 26 ცალი; 2. მძივები, შინდის კურკის ფორმის, თეთრი, 4 ცალი; 3. მძივები, მილისებური, თეთრი მინის, 5 ც.

სამარხი № 3 (ტაბ. II<sub>3</sub>) დაზიანებული ქვაყუთია (ზომები - 1X0,6 მ, 3-0,5 მ), რომელიც დამხრობილი იყო სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით. იგი შეკრული და გადახურული იყო კირქვის ფილებით. გადახურვის ფილა რამდენიმე ნაწილად დამტვრეული დაგვხვდა, მისი ჩრდილო-დასავლეთი მხარე კი გადანეული იყო. კედლები ყველა მხრიდან საჭეკი ქვებით იყო გამაგრებული. როგორც ჩანს, სწორედ ამ სამარხიდან უნდა მომდინარეობდეს ნაკვეთის პატრონის, პ. ჯანანაშვილის მიერ კასპის მუზეუმისათვის გადაცემული ნითლად შეღებილი დოქი (ტაბ. III<sub>6</sub>). მისივე თქმით, სამარხში ძვლები დაშლილი და ფქვილად ქცეული იყო, რაც პრეპარაციისას დადასტურდა და ძვლის აღება შეუძლებელი გახდა. სამარხი სამშენებლო ნაგვით იყო ამოვსებული, თუმცა მასში მაინც დაფიქსირდა რამდენიმე ნივთი:

1. სამაჯური, ბრინჯაოსი, წვრილი, ოვალურგანივკვეთიანი, თავებში ოდნავ შემსხვილებული, ზურგშეზნექილი, სამ ნაწილად გატეხილი (ტაბ. III<sub>2</sub>); 2. კერამიკის უსახო ფრაგმენტები (როგორც ჩანს, სამარხში გვიანაა მოხვედრილი); 3. ხატისუღელი, რკინის, სამი ფრაგმენტი (ტაბ. III<sub>5</sub>); 4. მძივი, თეთრი მინის, მრგვალი, 1 ც. (ტაბ. III<sub>4</sub>); 5. რგოლი, ვერცხლის (ტაბ. III<sub>3</sub>).

თუკი დავუშვებთ, რომ ნითლად შეღებილი დოქი, რომელიც კასპის მუზეუმს გადაეცა, ამ სამარხის კომპლექსში შედიოდა, მაშინ სამარხის სავარაუდო თარიღი ქრ.წ. II

- I საუკუნეები უნდა იყოს.

სამარხი № 4 (ტაბ. II<sub>4</sub>) ჩრდილო უბანზე ყველაზე კარგად იყო დაცული. ნაგები იყო კირქვის ფილებით: კედლები ოთხი ფილისაგან იყო შეკრული, საჭეკი ქვებით გამაგრებული (ზომები - 1,3X0,9 მ, h - 0,45 მ) და რამდენიმე ნაწილად დაშლილი ერთი ფილით იყო გადახურული. იგი დამხრობილი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. სამარხის სამხრეთი კედლის გარეთ, მოწყობილი იყო სააღაპე, რომელზედაც ბრტყელი ქვა იდო, მის ქვეშ კი წვრილფეხა საქონლის ფეხის ძვლები იყო. სამარხში ერთი მიცვალებული ესვენა, ძვლები ძლიერ დაზიანებული იყო, შემორჩენილი იყო ქვედა ყბის ფრაგმენტი შენარჩუნებული კბილებით და წვივის ძვლის დაზიანებული ფრაგმენტი. ძვლები, სავარაუდოდ, ახალგაზდა ქალისაა.

ინვენტარი: 1. დოქი, გამომწვარი მოვარდისფროდ, ნითელი ანგობით დაფარული, ზედაპირზე ემჩნევა შავი ჰორიზონტალური და ვერტიკალური ზოლები, რომლებიც გაპრიანებისას უნდა წარმოქმნილიყო. პირი წრიულია, მუცელი მომრგვალებული, კალთა გრძელია და ძირისაკენ მკვეთრად ვიწროვდება. ოდნავ აწეული ყური პირსა და მხარზეა მიძერნილი. (ტაბ. III<sub>13</sub>); 2. სამაჯური, ბრინჯაოსი, წვრილი, ოვალურგანივკვეთიანი, თავებში ოდნავ შემსხვილებული, ზურგშეზნექილი (ტაბ. III<sub>16</sub>); 3. სამაჯური, რკინის, ფრაგმენტები (ტაბ. III<sub>7</sub>); 4. ბეჭედი, რკინის, მასიური, ფარაკიანი (ტაბ. III<sub>8</sub>); 5. ბეჭედი, რკინის, მასიური, ფარაკიანი (ტაბ. III<sub>10</sub>); 6. ბეჭედი, რკინის, მასიური, ფარაკიანი, ფრაგმენტები (ტაბ. III<sub>14</sub>); 7. რგოლი, ბრინჯაოსი, ფრაგმენტი (ტაბ. III<sub>11</sub>); 8. საკინძი, ბრინჯაოსი (ტაბ. III<sub>15</sub>); 9. რგოლი, ვერცხლის, ნაკლული (ტაბ. III<sub>12</sub>); 10. სამაჯური, რკინის, ფრაგმენტები, დაშლილი და კოროზირებული (ტაბ. III<sub>9</sub>). სამარხი ქრ.წ. III - II საუკუნეებისა უნდა იყოს.

სამარხი № 5 (ტაბ. II<sub>5</sub>) ორმოსამარხია, რომელსაც დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან შემორჩენილი ჰქონდა ქვის ზღუდეები, სამხრეთით კი ერთი ქვა საზღვრავდა. იგი

დაზიანებული იყო. როგორც ჩანს, ეზოს მოსწორებისას ბულდოზერს ეს სამარხიც დაუზიანებია, რადგან აქ მოპოვებული კერამიკულ მასალას ახალი გადანატეხები ეტყობა და ფრაგმენტულია. მისი ჩრდილოეთი კედელი № 3 სამარხიდან სამხრეთით, 0,5 მეტრში იყო. სამარხის იატაკი თიხატყეპნილი იყო. დაფიქსირდა 4-5 წლის ბავშვის კბილები.

ინვენტარი (ტაბ. IV): 1. ჭურჭლის ფრაგმენტები, სავარაუდოდ ლეკითოსისა, ნითლად გამომწვარი და შავლაკიანი, შემორჩენილია ფართო, ძაბრისებური პირი და ვიწრო ყელი. ბრტყელი სახელური მიძერწილია პირის ქვედა მხარეს. ჭურჭლის ტანი დაკარგულია, ქუსლის ფრაგმენტი დაბალი და წრიულია (ტაბ. IV<sub>2</sub>); 2. ჯამის ფრაგმენტები, ჩალისფრად გამომწვარი და ნითლად მოხატული, (ტაბ. IV<sub>1</sub>); 3. სამაჯური, რკინის, (ფრაგმენტები) (ტაბ. IV<sub>3</sub>); 4. საკინძი, რკინის (ფრაგმენტები) (ტაბ. IV<sub>4</sub>); 5. სასაფეთქლე რგოლი, ვერცხლის (ტაბ. IV<sub>5</sub>); 6. სასაფეთქლე რგოლი, ბრინჯაოსი (ტაბ. IV<sub>6</sub>); 7. ზარაკები, ბრინჯაოსი, ცილინდრული, რკინის ენიანი (5 ც.) (ტაბ. IV<sub>7-11</sub>); 8. ზარაკი, ბრინჯაოსი, ნახევარსფერული (ტაბ. IV<sub>12</sub>); 9. მძივ-საკიდი, ქალცედონის, მრავალნახნაგა (ტაბ. IV<sub>13</sub>); 10 მძივები, სარდიონის, სფერული, 2 ც. (ტაბ. IV<sub>14</sub>); სამარხი ქრ.წ. III-II საუკუნისა უნდა იყოს.

სამარხი № 6 (ტაბ. II<sub>6</sub>) ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დამხრობილი, დაზიანებული და დეფორმირებული, ქვაყრილიანი ორმოსამარხია, რომლის სამხრეთი კუთხე შემოფარგლული იყო კირქვის თხელი ფილებით. აღმოჩნდა ზედაპირიდან 0,5 მეტრის სიღრმეზე. სამარხში შემორჩენილი იყო პოსტკრანიალური ნაწილის – წინა მხრის ძვლის ორი ძლიერ დაზიანებული ფრაგმენტი, აგრეთვე კერამიკის უსახო ფრაგმენტები და ბრინჯაოს რგოლი.

სამხრეთ უბანზე (ტაბ. I<sub>2</sub>), გეოფიზიკოსების მითითებულ ანომალურ უბნებზე გაიჭრა 3 (№№ 2, 3, 4) თხრილი.

თხრილი № 2 (ტაბ. V) მდებარეობს სამხრეთი უბნის უკიდურეს, სამხრეთ-აღ-

მოსავლეთ, ნაწილში, მშრალი ხევის, ზესხევის პირას. აქ, გეოფიზიკოსების დასკვნის თანახმად, ზედაპირიდან დახლოებით 0,6-0,8 მეტრში საგულვებელი იყო ანომალია, რომელიც 4,5X5 მ-ის ფართობისა უნდა ყოფილიყო [ჯახუტაშვილი მ., ... 2009]. ფერდობი აღმოსავლეთისაკენაა დაქანებული. ხევის პირას გზაა გაჭრილი, რომელიც ფერდობიდან 1,5 მეტრით დაბლაა. მდიდრული აკლდამა ფერდობისა და გზის მიჯნაზე, წყალსადენი მილის გაყვანისას აღმოჩნდა. თხრილი გაიჭრა 2004 წელს შემთხვევით აღმოჩენილი აკლდამის (რომელიც მისი დაცვის მიზნით მაშინვე მიწით დაიფარა) მოსაძიებლად. (ზომები - 10X9 მ, სიღრმე - 2,6-2 მ). 0,6 მ-ის სიღრმეზე გეოფიზიკოსების მიერ მოწოდებული ინფორმაცია დადასტურდა - გამოჩნდა უსისტემოდ გაფანტული ქვები და ქვაყრილები, რომელთა ფუნქციის განსაზღვრაც ვერ მოხერხდა. ქვის ყრილები და რიგები უფრო ღრმად, 2 მეტრის სიღრმემდე ჩნდებოდა. მართალია ზოგიერთი ქვა დამუშავებული იყო, მაგრამ აქ არც ნაგებობისა და არც სამარხის კვალი არ ჩანს. შესაძლოა, ეს ადგილი მდიდრული აკლდამის მშენებლობის დროს იქნა დაზიანებული და არეული. ნაყარი ფენის ქვევით, თხრილის მთელ სიღრმეზე, ერთმანეთში არეული მოყვითალო თიხნარი და ქვიშანარევი მიწა გვხვდებოდა. თხრილში აღმოჩენილი კერამიკიდან რამდენიმე ფრაგმენტზე შემორჩენილია ნითელი საღებავით დატანილი ორნამენტი (ტაბ. VI<sub>1-9</sub>). მათ შორის აღსანიშნავია ერთი ჭურჭლის ნატეხზე არსებული სამკუთხედები (ტაბ. VI<sub>9</sub>), რაც ზოგადად, ქრ.წ. IV-III საუკუნეებისათვისაა დამახასიათებელი. მნიშვნელოვანია თხრილში აღმოჩენილი ნითლად შეღებილი, ქრ.წ. II-I საუკუნეებისათვის დამახასიათებელი, ღარიანი და გვერდებაკეცილი კრამიტების (ტაბ. VI<sub>18-21</sub>), აგრეთვე სხვადასხვა ჭურჭლის – ქვევრების, დერგების, დოქებისა და ქოთნების ფრაგმენტები (ტაბ. VI<sub>10-17</sub>). თხრილში მოპოვებული კერამიკა ძირითადად ქრ.წ. III-I საუკუნეებს მიეკუთვნება. ოსტეოლოგიური

მასალა მიგვანიშნებს, რომ აქ შესაძლებელია, სამარხიც ყოფილიყო – 2 მეტრის სიღრმეზე, თხრილის ცენტრალურ ნაწილში ადამიანის ძვლები დაფიქსირდა: ერთი მოზარდის, მეორე კი მოზრდილი ადამიანის ლულოვანი ძვლის ფრაგმენტია. როგორც ჩანს, ისინი ან ჩამორეცხილი უნდა იყოს, ანდა დაზიანებული სამარხის ნაშთს წარმოადგენს. პალეო-ზოოლოგიური მასალიდან აღსანიშნავია ცხვრის, თხის, ძროხის, ძაღლისა და ირმის ძვლები [ბენდუქიძე ოლ. 2009].

თხრილის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა 2004 წელს შემთხვევით აღმოჩენილი აკლდამა (ტაბ. VII<sub>1,2</sub>). სამარხი გადახურული იყო კირქვის დიდი ზომის ორი ფილით, რომელთაგან ერთს ოთხკუთხა ფორმა ქონდა და ზედაპირი კარგად იყო დამუშავებული (ზომები: 3X0,9 მ, ფილის სისქე 0,15 მ), მეორე კი არასწორი ფორმის, შედარებით უხეშად დამუშავებული იყო (ზომები: მაქს. სიგრძე 3,1 მ, მაქს. სიგანე 2,3 მ, ფილის სისქე 0,15 მ). სახურავის ფილები სამარხის ზომებს ბევრად აღემატებოდა და ისეთი მიმართულებით იდო, რომ შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სამარხი ჩრდილო-ჩრდილო დასავლეთ – სამხრეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთ ღერძზე იყო დამხრობილი (ტაბ. VII<sub>1</sub>). ფილების ალების შემდეგ გამოიკვეთა აკლდამის ზომები და მისი დამხრობა. იგი წარმოადგენს ოთხი ვერტიკალურად დაყენებული, კირქვის ფილისაგან შეკრულ მართკუთხა ფორმის ქვაყუთს (გრძივი ფილების ზომა 252 სმ; განივი ფილებისა - 160 სმ), რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენაა დამხრობილი. მდგრადობისათვის სიგრძივ ფილებში ამოკვეთილია საგანგებო ტრაპეციული ფორმის ღარები (ნარიბანდები), რომლებშიც ჩასმულია განივი ფილები. ასევე, კონსტრუქციის სიმტკიცისათვის გრძივი კედლების გასწვრივ გარეთა მხრიდან მინაში ვერტიკალურადაა ჩაშვებული სამი „საჭექი ქვა“ (ზომები: 25X18X20 სმ), რომლებიც გრძივი კედლების გასამაგრებლად იყო განკუთვნილი. აკლდამის იატაკზე

იდო ქვის ბრტყელი ფილა (ზომები: 140X90X16 სმ), რომელიც, როგორც ჩანს, კედლების აგების შემდეგ იყო ჩადგმული სამარხში. იგი ქვაყუთის მთელ ფართობს ვერ ავსებს და დარჩენილი სივრცეზე მცირე ზომის ფილებითაა შევსებული. შესაძლოა, ქვის ფილის იატაკად დაგება აკლდამის კონსტრუქციის შეკვრის დროს გადაწყდა, რადგან მას შერჩენილი აქვს 18-20 მმ-ის შვიდი ფოსო და მათგან გაჩენილი ბზარი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ფილა თავდაპირველად სხვა, უფრო მცირე ზომის აკლდამისთვის იყო განკუთვნილი. ფილების ზედა სიბრტყეები და გვერდები კარგადაა დამუშავებული, ქვედა სიბრტყეები კი დაუმუშავებელია. სამარხი ნაგებობისათვის გამოყენებულია ადგილობრივი ჯიშის ქვა, რომელიც მრავლად მოიპოვება ხოვლეს სამხრეთით, მდ. ხეხმელას ხეობის მოპირდაპირე ფერდზე. მისთვის დამახასიათებელია ფენოვანი სტრუქტურა, დამუშავების დროს იგი ადვილად იშლება 20-10 სმ-იან ფენებად, რაც მისი მოპოვების პროცესსაც აადვილებს. დედაქანიდან სამშენებლო ბლოკების გამოსაცალკევებლად აქ გამოყენებულია ქვის დამუშავების ხერხი, რომელიც ძველ სამყაროში საყოველთაოდ იყო ცნობილი. ქვის მასივში არჭობდნენ ხის სოლებს, ხოლო ზემოდან ასხამდნენ წყალს. ხე ფართოვებოდა, ჩნდებოდა სასურველი მიმართულების ნაპრალი და ფილა ადვილად ცილდებოდა ძირითად ქანს. ქვის მოპოვების ამ ტექნიკაზე მიუთითებს იატაკისა და სამხრეთის ვერტიკალური ფილის ძირზე შემორჩენილი ფოსოების რიგი [ფავლენიშვილი ლ. 2009].

2004 წლის შემთხვევითი აღმოჩენის შემსწრე ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად მოხერხდა დაკრძალულის პოზის განსაზღვრა (სამარხი 2004 წელს განმინდეს და მიცვალებულის ძვლები ამოიღეს კასპის მუზეუმის თანამშრომლებმა, მათვე შეაგროვეს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სამარხიდან ამოღებული ნივთები [დანვრილებით იხ. შატბერაშვილი ვ. 2008:87]). იგი იწვა გაშოტილი, თავით დასავ-



ლეთისაკენ, სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში. ინვენტარი მის გარშემო ისე იყო განლაგებული, რომ სამარხის სამხრეთი ნაწილში ადგილი კიდევ ერთი ადამიანის დასაკრძალავად რჩებოდა. 2009 წელს მოხერხდა მისი ანთროპოლოგიური შესწავლა. გაირკვა, რომ სამარხში დაკრძალული იყო 25-30 წლის, 1,64 მეტრის სიმაღლე ქალი. ინდივიდის როგორც კრანიანულ, ისე პოსტკრანიანულ ნაწილზე დაზიანებები კონცენტრირებული იყო მარჯვენა მხარეს. მარჯვენა ბეჭის არეში ჩანდა მჭრელი იარაღით მიყენებული ნაიარევი. დაზიანებული იყო ნეკნები, ნაიარევის ნაწილი დაფარული იყო ძვლის თხელი, ე.წ. საკომპენსაციო ფირფიტით, რაც ნაწილობრივი შეხორცების პროცესზე მიუთითებს. ეს დაზიანება გარდაცვალების მიზეზი შეიძლება ყოფილიყო. ინდივიდს ჭრილობის მიღებიდან გარკვეული დრო, სავარაუდოდ 2-3 თვე უნდა ეცოცხლა. მიღებული პარამეტრებითა და მორფოლოგიური ნიშნებით ინდივიდი უფრო იხრება სამხრეთ ევროპული ტიპისაკენ, სუსტად გამოხატული მცირეაზიური ნიშნებით [ლომოური ქ. 2009].

სამარხის განმენდისას, გარდა მისი კონსტრუქციის გარკვევისა, აკლდამის კუთხეებში, იატაკის ქვეშ შორის დარჩენილ, მინით ამოვსებულ სივრცეში აღმოჩნდა რამდენიმე ნივთი: 1. მძივი, ოქროსი, 12 წახნაგა; 2. მძივები, ძონის, ბიკონუსური (3 ც.) და შინდის კურკის ფორმის (4 ც.), მინის ჭურჭლის ფრაგმენტი, გამჭვირვალე, მომწვანო ფერის; მონეტა, ვერცხლის, იმპერატორ ავგუსტუსის დენარი. ქვემოთ მოკლედ აღვწერთ სამარხში 2004 წელს აღმოჩენილ ინვენტარს [დანვრილებით იხ. შატბერაშვილი ვ. 2008:87-96, ტაბ. I - V].

1) კოჭობი - თიხის, მოვარდისფრო.; 2) ჭურჭელი - მომწვანო მინის, ორ ყურიანი (2 ცალი); 3) სანელსაცხებლები - მინის (5 ცალი); 4) სურა - გაუმჭვირვალე თეთრი მინის, მოხატული, ოქროფენილი (2 ც.); 5) ფირფიტა - ოქროსი, ორად გადაკეცილი; 6) ლანგარი - ვერცხლის; 7) ჯამი - ვერცხლის,

ნაწილობრივ მოოქროვებული; 8) სარეცლის ფეხები - ვერცხლი, ხე; 9) აბზინდები - ვერცხლის, 3 ც.; 11) მილისებური საგანი - ვერცხლის; 12) ჭურჭლის ფრაგმენტი - ვერცხლის; 13) ფირფიტები - ვერცხლის, 4 ცალი მეტნაკლებად შემორჩენილია, არის ასევე უსახო ფრაგმენტებიც; 14) სარკე - ბრინჯაოსი; 15) სახელური - ჭურჭლის, ბრინჯაოსი; 16) სამსჭვალეები - ბრინჯაოსი, 3 ც.; 17) ლამპარი - რკინის; 19) სამსჭვალეები - რკინის, 6 ც.; 20) დანები - რკინის, ფრაგმენტები, 6 ც.; 21) დანა - ხის ტარიანი; 22) ფირფიტა - ძვლის, ორნამენტირებული; 23) სადგარი - რკინის, სამფეხა; 24) ხის დაშლილი სარეცლის (?) ფრაგმენტები; 25) მძივები - სარდიონის, 40 ც.; 26) მძივები - მთის ბროლის, 18 ც.; 27) მძივები - თეთრი მინის, ლურჯხალეებიანი, 9 ც.; 28) მონეტები - ვერცხლის, პართიის მეფე გოტარზეს დრაქმები 2 ც.; 29) მონეტები - ვერცხლი, იმპერატორ ავგუსტუსის დენარები, 2 ც.; 30) მონეტა - ოქროსი, იმპერატორ ელაგაბალუსის აურეუსი (თავდაპირველად იგი განისაზღვრა, როგორც კარაკალას აურეუსი, შემდეგ კი დადგინდა, რომ იგი ელაგაბალუსის მიერაა მოჭრილი [იხ. Charkviani M. 2008:134-135]).

თხრილი № 3 მდებარეობს სამხრეთი უბნის შუა ნაწილში, ხევის პირას. მისი ზომებია: 8X3 მ მაქს. h - 1,8 მ. ეს თხრილი, ისე როგორც სხვები გავლებულ იქნა გეოფიზიკოსების მიერ რეკომენდირებულ ტერიტორიაზე და შუაზე კვეთს მათ მიერ მითითებული I უბნის ანომალურ ზონას. თხრილის დასავლეთ კიდეში, ზედაპირიდან 0,7 მ-ის სიღრმეზე, აღმოჩნდა 0,6X0,5 მ-ის ფართობის ქვითა და კერამიკული ფილებით მოგებული „მოედანი“, რომელზედაც ძროხის ძვლის ფრაგმენტები ეწყო. სავარაუდოდ, აქ კერამიკული ფილებით მოგებული სამარხი უნდა ყოფილიყო, რომელიც მოგვიანებით დაზიანებულა და მისი მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი. თხრილის მთელ ფართობზე ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკის ფრაგმენტები ამოდიოდა, რომელთა უმეტესი ნაწილი უსახო იყო და თარიღის განსაზღვრის

საშუალებას არ იძლეოდა.

№ 4 თხრილში მცირე რაოდენობით აღმოჩნდა ანტიკური ხანის კერამიკის უსახო ფრაგმენტები.

2008 წლის არქეოლოგიური სამუშაოების გეგმა ითვალისწინებდა ძეგლის საზღვრების დადგენას, რაც გათხრების, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და სამაროვნის გარშემო ტერიტორიის დათვალიერების შედეგად ნაწილობრივ მოხერხდა. სამაროვნის აღმოსავლეთით გავრცელების არეალი მშრალი ხევით – ზესხევით შემოიფარგლება, რომლის გადაღმა სოფელი იწყება. შესაძლოა გამოიყოს ჩრდილოეთი საზღვარიც, რომელიც პავლე ჯანანაშვილის ეზოში ჩვენს მიერ მიკვლეული სამარხები უნდა იყოს (ტაბ. I<sub>1</sub>). გეოფიზიკოსების დასკვნის მიხედვით, ჯანანაშვილის ეზოში მიკვლეული სამარხების ბუდე უნდა გრძელდებოდეს დასავლეთისაკენაც, მინიმუმ, 15 მეტრის სიღრმეში (ტაბ. I<sub>3</sub>), რომლის ჩრდილო-დასავლეთით, 50 მეტრში, სახლის საძირკვლის მშენებლობისას, პატრონს აღმოუჩენია ოთხი სამარხი, სავარაუდოდ ქვაყუთები, რომლებშიაც მიცვალებულები მოკრუნჩხულ მდგომარეობაში იყვნენ დაკრძალულები (ტაბ. I<sub>4</sub>) ინვენტარის ნაწილი, მისი თქმით, დაკარგული და გატეხილია. საშუალება მოგვეცა გვენახა ერთი დოქი, რომელიც ქრ. წ. IV–III საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს.

დასავლეთი საზღვრების გარკვევისათვის მნიშვნელოვანია კიდევ ორ ნაკვეთზე დაფიქსირებული არქეოლოგიური მასალა. ერთგან, 300 მეტრში, ჩვენს მიერ გათხრილი ტერიტორიის დასავლეთით, ასევე კერძო ნაკვეთზე (ტაბ. I<sub>5</sub>) აიკრიფა გვიან ანტიკური ხანის ქვევრების ფრაგმენტები, რაც აქ ძეგლის არსებობაზე მიგვითითებს. აღსანიშნავია, რომ 1976 წელს გათხრილი სამაროვანი, რომელიც გვიანბრინჯაოს ხანიდან ადრე შუასაუკუნეებამდე ფუნქციონირებდა (როგორც ზემოთ აღინიშნა, აქ ქრ.შ. II–III საუკუნეების სამარხებიც დაფიქსირდა), ადგილობრივი მაცხოვრებლების მონაყოლის მიხედ-

ვით, ჩვენს მიერ შესწავლილი ტერიტორიის სიახლოვეს, კერძოდ, აკლდამიდან სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 400-500 მეტრში უნდა იყოს (ტაბ. I<sub>6</sub>). ამგვარად, შესაძლებელი გახდა ძეგლის გავრცელების მიახლოებითი არეალის განსაზღვრა.

არქეოლოგიური გათხრებისა და დაზვერვების შედეგად გაირკვა, რომ მშრალი ხევის, ზესხევის და მის მეზობლად, ადგილ ზესურებზე, ანტიკური ხანის სამაროვანი (და სავარაუდოდ, ნამოსახლარიც) არსებობდა. აქ ფიქსირდება ქრ.წ. IV, III-I, ქრ.შ II და III საუკუნეების მასალა: როგორც ზემოთ უკვე ითქვა, 1974 წლის გათხრებმა ზესურებში გვიან ანტიკური და ადრეშუასაუკუნეების სამარხები გამოავლინა, 2004 წლის შემთხვევითი აღმოჩენისას III საუკუნის აკლდამა გამოჩნდა, 2008 წლის გათხრებისას დაფიქსირდა სამაროვნის კიდევ ერთი ბუდე (ე.წ. ჩრდილო უბანი), რომელიც ქრ.წ. III-I საუკუნეებით თარიღდება. ამ უბანზე მიკვლეული არქეოლოგიური მასალიდან აღსანიშნავია № 5 სამარხში მოპოვებული შავლაკიანი ლეკითოსი, რომლის პარალელი მოიძებნება ოლბიის ელინისტური ხანის სამაროვანზე და ქრ.წ. III საუკუნით თარიღდება [Парович-Пешикан М. 1974:74-75]. დამატარიღებელია აგრეთვე ნითლად მოხატული ჯამი, რომელიც ე.წ. სამადლოური სტილის კერამიკას [ნარიმანიშვილი გ., ... 2002:57-59] ემსგავსება და III-II საუკუნეებით თარიღდება. № 5 სამარხის სამკაული, კერძოდ კი ბრინჯაოს ცილინდრული და ნახევარსფეროსებრი ზარაკებიც ამავე თარიღს ადასტურებენ [ჭანიშვილი თ. 2007:97-108]. № 1 აკლდამის გარშემო გავლებული თხრილის მასალამ გვაფიქრებინა, რომ შესაძლოა III საუკუნის აკლდამის ადგილას, ან მის სიახლოვეს, უფრო ძველი სამაროვანიც ყოფილიყო, რომელიც აკლდამის მშენებლობისას დიანგრა.

არქეოლოგიური გათხრების პარალელურად, 2008 წელს მიმდინარეობდა სადაზვერვო სამუშაო, რომლის დროსაც არაერთი ძეგლი დაფიქსირდა, მათ შორის ანტიკური ხანის

სხვა ძეგლებიც. სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, 1,4 კილომეტრში, ზენადრისისაკენ მიმავალი გზის ქრილში, ადგილ თეთრუახევზე, ანტიკური ხანის ქვაყუთები ჩანს. ამავე ადგილას, ადგილობრივ მოსახლეს, ზურაბ ილარიონს უპოვია წითლად გაპრიალებული, ზომორფულ ყურიანი ჭურჭელი, რომელიც მოგვიანებით დამტვრეულა. აღწერის მიხედვით, იგი წააგავს სამადლოში აღმოჩენილ დოქის ფრაგმენტს [Гагошидзе И. 1979:ტაბ. III]. ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკა იკრიფება სოფლის სამხრეთით მდებარე ფერდობზედაც. რაც შეეხება ხოვლეგორას მიდამოებს, აქ მრავლად გვხვდება ადრეანტიკური და ელინისტური ხანის კერამიკა და არ ჩანს გვიან ანტიკური ხანის მასალა. 2008 წლის დაზვერვებისას, სოფლის სამხრეთით და დასავლეთით აღმოჩნდა ადრეშუასაუკუნების სამაროვნები და ნამოსახლარებიც.

როგორც ვნახეთ, ხევხმელას ხეობა მთელი ანტიკური ხანის განმავლობაში ინტენსიურად იყო ათვისებული. ხოვლეგორას, ავკეთისა და კენჭიყარას ნასახლარების გარდა, გვიანბრინჯაოს ხანიდან ათვისებული ჩანს დღევანდელი სოფ. ხოვლეს სამხრეთი ნაწილი, რაზედაც ზესურების სამაროვნის მონაცემები მეტყველებს [Цкитишвили Г., ...1979:117-130]. ხოვლეგორაზე ცხოვრება ქრ.წ IV საუკუნისათვის უნდა შეწყვეტილიყო [მუსხელიშვილი დ. 1977:49]. როგორც ჩანს, ამ დროისათვის მოსახლეობამ უფრო ზემოთ, დღევანდელი სოფლის ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით, ზესურები-ზესხევის ტერიტორიაზე გადაინაცვლა, თუმცა ელინისტურ ხანაში გორის შემოგარენი ჯერ კიდევ ათვისებული ჩანს. რაც შეეხება გვიან ანტიკურ ხანას, ხოვლეგორას მიდამოები ამ დროისათვის სრულიად მიტოვებულია.

საყურადღებოა 2008 წლის გათხრებისას ხოვლეში ჩატარებული პალინოლოგიური გამოკვლევების შედეგები, რის მიხედვითაც, ქრ.წ. III საუკუნეში კლიმატი დღევანდელთან შედარებით გრილი და ტენიანი იყო, II საუკუნეში კი უფრო მეტად აცივდა. ამ

დროისათვის მოსახლეობა მემარცვლეობასა და მებაღეობას ეწეოდა და არ ჩანს მევენახეობის კვალი. მოყავდათ ხორბალი, თუმცა მინდვრების ფართობი ისე დიდი არ იყო, როგორც ქრ.წ. III საუკუნეში. წამყვანი როლი მეცხოველეობას ეჭირა. ტყეში დომინირებდა წიწვოვნები: ფიჭვი, ნაძვი და კედარი. დღევანდელი სოფლის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი ჭაობის მცენარეულობით იყო დაფარული. ქრ.წ. III საუკუნეში ხოვლელები ეწეოდნენ ინტენსიურ მინათმოქმედებას, მებაღეობისა და მევენახეობის ჩათვლით. კარგად იყო განვითარებული მეცხოველეობაც. თანამედროვე პალინოლოგიურ სპექტრებთან შედარებით, მნიშვნელოვნად მეტია ეზოს სარეველების მტვრის მარცვლების შემცველობა, რაც შესაძლოა იმაზე მიგვანიშნებდეს, რომ ხოვლეს ტერიტორიაზე ქრ.წ. III საუკუნეში მოსახლეობა დღევანდელზე უფრო მრავალრიცხოვანი იყო [Kvavadze E., ... 2010: 54-74].

შუასაუკუნეებსა და სავარაუდოდ, ანტიკურ ხანაშიც, ხოვლეზე შიდა ქართლისა და თრიალეთის დამაკავშირებელი გზები გადიოდა, მეორეს მხრივ კი დასახლება ძალიან ახლოს იყო მტკვრის გასწვრივ მდებარე გზასთან, რომელიც იმ დროისათვის მდინარის მარჯვენა ნაპირს მიუყვებოდა.

ქრ.წ. III საუკუნის მდიდრული აკლდამის აქ აღმოჩენა იმაზე მიგვითითებს, რომ ამ მიდამოებში ადგილობრივი არისტოკრატიის წარმომადგენელი ცხოვრობდა. დღეისათვის ძალზე ძნელია იმსჯელო იმაზე, თუ რა მდგომარეობა ეკავათ ხოვლელ დიდებულებს ქართლის სამეფოში (ანტიკური ხანის არისტოკრატთა სამარხების შესახებ გამოთქმული მოსაზრებები იხ. [მარლიშვილი ს. 1988:35-49 და იქვე მითითებული ლიტერატურა]), მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ხოვლეს აკლდამაში დაკრძალული ქალის ინვენტარი (მიუხედავად იმისა, რომ მისი ერთი ნაწილი დაკარგულია) არაფრით ჩამორჩება გვიანანტიკური ხანის ისეთი სამარხების მასალას, როგორცაა ზღუდერის [ბრაუნ-

დი დ., ... 2009], ახალი ჟინვალის [რამიშვილი რ. 1983:82-86, 119-121], ერნოს [რამიშვილი რ. 1979:30-37], კლდეეთის [ლომთათიძე გ. 1957:161-190] მონაპოვარი. ხოვლეში ასეთი სამარხის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ აქვე უნდა ყოფილიყო სულ მცირე, ხევხმელას ხეობის მმართველის რეზიდენციაც.

ამგვარად, ხევხმელას ხეობაში წლების განმავლობაში ჩატარებულმა კვლევებმა გვაჩვენა, რომ: ის ინტენსიურად იყო დასახლებული გვიანბრინჯაოს ხანიდან შუა საუკუნეების ჩათვლით; ზოგიერთ პერიოდში, კერძოდ კი გვიან ანტიკურ ხანაში აქ ქართლის ერთერთი დიდებული საცხოვრებელი და სავარაუდოდ, მცირე ადმინისტრაციული მხარის (ხევხმელას ხეობის) ცენტრი უნდა ყოფილიყო.

#### შენიშვნები:

1. ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ: ვ. შატბერაშვილი – ხელმძღვანელი, ნ. თუშაბრამიშვილი - სადაზვერვო ჯგუფის ხელმძღვანელი, არქეოლოგები – ზ. შატბერაშვილი, მ. ჩარკვიანი, თ. ალაპიშვილი და ე. ქორიძე; არქიტექტორი – ლ. ფავლენიშვილი; ფოტოგრაფი – გ. კაკაბაძე; პალინოლოგი – ელ. ყვავაძე; ანთროპოლოგი – ქ. ლომოური; მძღოლი - ჟ. ნივნივაძე.
2. ტოპოგრაფიულ და გეოფიზიკურ სამუშაოებში მონაწილეობას იღებდნენ: ტოპოგრაფი ალ. თევზაძე, გეოფიზიკოსები მ. ჯახუტაშვილი, დ. კიტოვანი, თ. ზარდალიშვილი.

#### ლიტერატურა:

**ბაგრატიონი ვ. 1997:** საქართველოს ატლასი ( XVIII საუკუნე), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი.

**ბაგრატიონი ი. 1986:** ქართლ-კახეთის აღწერა თბილისი.

**ბენდუქიძე ოლ. 2009:** ხოვლეს პალეო-ზოოლოგიური მასალა (ვ. შატბერაშვილი, ნ.

თუშაბრამიშვილი, ზ. შატბერაშვილი, ე. ქორიძე, თ. ალაპიშვილი, მ. ჩარკვიანი, ლ. ფავლენიშვილი, არქეოლოგიური გათხრები ხოვლეში 2008 წელს (ანგარიშის დანართი).

**ბრაუნდი დ., ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ. 2009:** საგანძური ზღუდერიდან, ელიტარული სამარხები კავკასიის იბერიიდან რომაულ ხანაში (ახალი წელთაღრიცხვის 200-250).

**გვასალია ჯ. 1972:** ელინისტური ხანის საკულტო ხასიათის არქეოლოგიური მასალა სოფ. ხოვლედან. - მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XVI-XVII გვ. 42-50.

**გრიგოლია გ. 1958:** ყორღანი სოფ. ხოვლესთან, თბილისის სახ. უნივერსიტეტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა IX სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი.

**ლომთათიძე გ. 1957:** კლდეეთის სამაროვანი, თბილისი.

**ლომოური ქ. 2009:** ანთროპოლოგიური მასალა ხოვლედან (ვ. შატბერაშვილი, ნ. თუშაბრამიშვილი, ზ. შატბერაშვილი, ე. ქორიძე, თ. ალაპიშვილი, მ. ჩარკვიანი, ლ. ფავლენიშვილი არქეოლოგიური გათხრები ხოვლეში 2008 წელს (ანგარიშის დანართი);

**მარლიშვილი ს. 1988:** ანტიკური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს მდიდრულ სამარხთა სოციალური დიფერენციისათვის. - სმამ, 1, გვ. 35-49;

**მუსხელიშვილი დ. 1977:** საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბილისი.

**მუსხელიშვილი დ. 1978:** ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბილისი.

**ნარიშვილი გ., შატბერაშვილი ვ. 2002:** ძვ.წ. V-I სს-ის წითლად მოხატული კერამიკა ქართლიდან (სტილისტური ანალიზი, ქრონოლოგია). - ძიებანი № 9, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი, გვ. 57-70.

**ორჯონიკიძე ალ. 2002:** მტკვარ-არაქსული ტრადიციები ადრეული ყორღანების გავრცელების ხანაში. - ძიებანი № 9, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი, გვ. 23-28;

**რამიშვილი რ. 1979:** ერნოს ველი გვიანარმაზულ ხანაში, თბილისი.

**რამიშვილი რ. 1983:** ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-73 წლების განათხარის მიხედვით, კრებ. ჟინვალი I, თბილისი

**სიკაძე 1990:** საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, თბილისი.

**ფავლენიშვილი ლ. 2009:** ხოვლეს აკლდამის არქიტექტურა (ვ. შატბერაშვილი, ნ. თუშაბრამიშვილი, ზ. შატბერაშვილი, ე. ქორიძე, თ. ალაპიშვილი, მ. ჩარკვიანი, ლ. ფავლენიშვილი არქეოლოგიური გათხრები ხოვლეში 2008 წელს (ანგარიშის დანართი).

**ქც 1973:** ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ IV, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.

**შატბერაშვილი ვ. 2009:** ვ. შატბერაშვილი, ნ. თუშაბრამიშვილი, ზ. შატბერაშვილი, ე. ქორიძე, თ. ალაპიშვილი, მ. ჩარკვიანი, ლ. ფავლენიშვილი არქეოლოგიური გათხრები ხოვლეში 2008 წელს (ანგარიში) (ხელნაბეჭდი, ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრში).

**შატბერაშვილი ვ. 2008:** მდიდრული სამარხი ხოვლედან. - იბერია-კოლხეთი №4, გვ. 87-96.

**ჯაფარიძე ოთ. 1998:** ქართველი ტომების ეთნო-კულტურული ისტორიისათვის ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**ჯახუტაშვილი მ., კიტოვანი დ., ზარდალიშვილი გ., ტაბალუა 2009:** არქეოგეოფიზიკური კვლევები სოფ. ხოვლეს ტერიტორიაზე (ვ. შატბერაშვილი, ნ. თუშაბრამიშვილი, ზ. შატბერაშვილი, ე. ქორიძე, თ. ალაპიშვილი, მ. ჩარკვიანი, ლ. ფავლენიშვილი არქეოლოგიური გათხრები ხოვლეში 2008 წელს (ანგარიშის დანართი).

**Гагошидзе Ю. 1979:** Самадло, археологические раскопки, Тбилиси.

**Кахиани К., Глигвашвили Э., Каландадзе**

**Г., Цквитинидзе З. 1991:** О работе экспедиции Машаверского ущелья в 1987 г. - ПАИ в 1987 г. Ред. О. Лордкипанидзе. Тбилиси, с. 62-69.

**Цкитишвили Г., Гветაძე Д., Накаидзе Н., Бераძე Э., Квиташვილი Р., Рамишვილი А., Иремашვილი Ш., Челидзе Л., Нуцубидзе А. 1979:** Итоги Работ Кавтисхевской Археологической Экспедиции, ПАИ в 1976 г., Тб., с. 117-130.

**Парович-Пешикан М. 1974:** Некрополь Ольвии Эллинистического времени, Москва.

**Шатберашвили З. 1976:** Раскопки курганов Доеси и Охера, ПАИ в 1974 г.

**Kvavadze E., Shatberashvili V. 2010:** Results of palynological study of organic remains from Khovle burials. - საქართველოს ეროვნული მუზეუმის მაცნე: საბუნებისმეტყველო და პრეისტორიული სექცია №2, გვ 54-74.

**Charkviani M. 2008:** Coins from Richly Furnished Burial of the Village of Khovle, Iberia-Colchis # 4, Tbilisi, , pp.134-135;


**Shatberashvili, V. 2008:** Two Painted Glass Jugs from the Village Khovle (Georgia), Annales of the 17th congress of the International Association for the history of Glass, 2008, Antwerp, Belgium, pp. 217-221;

**Shatberashvili V. 2009:** Saving and Situating Roman Tomb in Georgia. AIA Colloquium, Archaeological Institute of America, Annual Meeting, Archaeological Site preservation in Post Soviet States, Philadelphia.

#### ილუსტრაციების აღწერილობა:

**ტაბ. I** – ზესურები – ზესხევის რუკა; **ტაბ. II** — ხოვლე, 2008 წლის გათხრები, ჩრდილო უბანი; **ტაბ. III** – 1. № 2 სამარხის მასალა; 2-6. № 3 სამარხის მასალა; 7-16. № 4 სამარხის მასალა; **ტაბ. IV** - №5 სამარხის მასალა; **ტაბ. V** - ხოვლე, 2008 წლის გათხრები, სამხრეთი უბანი, თხრილი № 2; **ტაბ. VI** — მასალა № 2 თხრილიდან; **ტაბ. VII** – 1, 2. აკლდამა № 1; 3. ზესურების სამარხში მოპოვებული რიტონი.


# I




1. ჩრდილოეთი უბანი;
2. სამხრეთი უბანი;
3. გეოფიზიკოსების მიერ დადასტურებული ანომალია;
4. სამარხები ადგილობრივი მოსახლის ეზოსა და საძირკველში;
5. ანტიკური ხანის მასალა ადგილობრივი მოსახლის ეზოში;
6. ზესურების სამაროვნის სავარაუდო მდებარეობა.

# II


გეგმა მ 1 : 25



ჭრილი 1- 1 (შენიშვნა: +/- 0,00 = 756,67)




ჭრილი 2- 2





# III





სამართი № 2



სამართი № 3




სამართი № 4






# IV




# V

გეგმა მ 1: 25




ჭრილი 1-1

ჭრილები მ 1: 25




ჭრილი 2 - 2


ჭრილი 3 - 3



# VI



# VII



1



2



3



## მარინე კვაჭაძე

### მძივები ელი-ბაბას სამაროვნისა

ელი-ბაბას სამაროვანი მდებარეობს წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. ბარეთის სამხრეთით მდებარე მთის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე, მდ. ბაშქოვ-სუს მარცხენა ნაპირზე. ძეგლზე სამუშაოები ჩატარდა 2002-2003 წლებში (ექსპედიციის ხელმძღვ. გ.ნარიმანიშვილი), ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ენერგოკორიდორის მშენებლობასთან დაკავშირებით. სამაროვანზე გაითხარა 127 სამარხი, რომლებშიც თიხის ჭურჭლის, ბრინჯაოსა და რკინის იარაღისა და სამკაულის გარდა აღმოჩნდა რამდენიმე ათასი მძივი, რომლებიც დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა [ნარიმანიშვილი გ. 2003; ნარიმანიშვილი გ., ... 2004; მურვანიძე 2005].

**სამაროვანზე მოპოვებული მძივები მასალის მიხედვით ოთხ ჯგუფად იყოფა:** I - ლითონის, II - ქვის, III - მინისა და IV - მინისებრი პასტის მძივები (**რომაული და არაბული რიცხვების რიგი წარმოადგენს არტეფაქტის ტიპის აღნიშვნას:** I – სახეობა, I-1 – ჯგუფი, I-1-1 – ტიპი, I-1-1-1 ქვეტიპი, I-1-1-1-ა ვარიანტი).

**I. ლითონის მძივები** ბრინჯაოს არტეფაქტების სახითაა წარმოდგენილი, დამზადებულია თხელი ფირფიტისგან და ცილინდრის ფორმა აქვთ. ბრინჯაოს მძივებში გამოიყო 2 ქვეტიპი: I-1-1 - სადა ზედაპირიანი (ტაბ. I,1) და I-1-2 - განივად დაღარული (ტაბ. I,2).

**II. ქვის მძივები** მინერალის სახეობის მიხედვით იყოფა – II-1. **სარდიონისა და II-2. აქატის ჯგუფად.** II-1 ჯგუფში გამოიყო 4 ტიპი: II-1-1 — **მრგვალი** (ტაბ. I,3), II-1-2 — **კასრისებრი** (ტაბ. I,4), II-1-3 — **დახეთქილი** (ტაბ. I,5) და II-1-4 — **ცილინდრული** (ტაბ. I,6). სარდიონის მძივები დამზადებულია მონითალო-მოყავისფრო და მოყვითალო მინერალისგან, რომელთაგან ზოგიერთს აქვს შავი

ფერის ლაქები. II-2 ჯგუფი წარმოდგენილია 5 ტიპით (ტაბ. I,7-11): II-2-1 — **მრგვალი** (ტაბ. I,7), II-2-2 — **ცილინდრული** (ტაბ. I,8), II-2-3 — **კასრისებრი** (ტაბ. I,9), II-2-4 — **ასიმეტრიული ფორმის სამკუთხაგანიკვეთიანი** (ტაბ. I,10) და II-2-5 — **ბრტყელი** (ტაბ. I,11) ფორმის. ამ ჯგუფის მძივები ძირითადად დამზადებულია ორ და სამფეროვანი აქატისგან.

**III. მინის მძივები** ხუთი ჯგუფადაა წარმოდგენილი (ტაბ. I,12-16): III-1 — **სფერული** (ტაბ. I,12), რომლებიც დამზადებულია შავი, ლურჯი და ღია მწვანე ფერის მინისგან; III-2 — **ლურჯი ფერის კოპებიანი მძივები** (ტაბ. I,13), რომლებიც სამაროვანზე ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი: ერთ ვარიანტს კოპები განლაგებული აქვს ერთ რიგად, ხოლო მეორე ვარიანტს - ორ რიგად; III-3 — **ფიგურული მძივები** (ტაბ. I,14) ცისფერი და ლურჯი ფერისაა; III-4 — **ცილინდრული მძივები** ნითელი და ლურჯი ფერის იოტებს წარმოადგენს (ტაბ. I,15). III-5 — **რგოლისებრი** ფორმის მძივები ყვითელი და მუქი ლურჯი ფერის მინისგანაა დამზადებული (ტაბ. I,16).

**IV. მინისებრი პასტის მძივები** ორ ჯგუფად იყოფა: IV-1. **თეთრი ფერის.** IV-2. **მოცისფრო ფერის.**

**IV-1 ჯგუფის** თეთრი პასტის მძივები ფორმის მიხედვით იყოფა ექვს ტიპად:

**IV-1-1** ტიპის მძივს ვარდულის ფორმა აქვს (ტაბ. II,1), ის წარმოადგენს 0.5 სმ-ის სიმაღლის ცილინდრს, რომელსაც შუაწელზე ღარი შემოსდევს. ცილინდრის ორივე სიბრტყეზე 7-7 მცირე ზომის წრეა დატანილი, ხოლო კიდევები ნაჭდევებითაა დაღარული. მძივს დიამეტრზე ერთი ნახვრეტი აქვს.

**IV-1-2 ტიპში ერთიანდება სამკუთხა მძივები**, რომლებიც შემკულობის მიხედვით ორ ქვეტიპად იყოფა: IV-1-2-1 ქვეტიპში შე-

დის ერთი მძივი, რომლის სამი სიბრტყე შემკულია კონცენტრული წრეებით – ორ-ორი წრეა გვერდებზე და სამ-სამი - სამკუთხა ზედაპირებზე (ტაბ. II,2). **IV-1-2-2** ქვეტიპის მძივებს სადა ზედაპირი აქვს (ტაბ. II,3). ისინი წარმოდგენილია ორი ვარიანტით, რომლებიც ერთმანეთისგან სამკუთხედის ფორმითა და ნაჭდევების რაოდენობით განსხვავდებიან.

**IV-1-3 ტიპის** მძივებში ერთიანდება მართკუთხა ფორმის ე.წ. დომინოსებრი მძივები. მათ პარალელეპიპედის ფორმა და ორი განივი ნახვრეტი აქვს. ამ ტიპის მძივები შემკულობისა მიხედვით 7 ქვეტიპად იყოფა: **IV-1-3-1** ქვეტიპში ერთიანდება მძივები, რომელთაც ორივე ზედაპირზე თითო წრე აქვს (ტაბ. II,4). ეს ქვეტიპი წარმოდგენილია სამი ვარიანტით: **a** – ორივე გრძივ გვერდზე აქვს თითო ღარი, ხოლო განივ გვერდებზე 2-2 ღარი; **b** — გრძივ გვერდებზე აქვს თითო ღარი, ერთ განივ გვერდზე 2, ხოლო მეორეზე 3 ღარი; **c** — გრძივ და განივ გვერდებზე აქვს 2-2 ღარი. **IV-1-3-2** ქვეტიპში ერთიანდება მძივები, რომელთა ორივე ზედაპირზე ორ-ორი წრეა ამოკვეთილი (ტაბ. II,5). ამ ქვეტიპში გამოიყო რვა ვარიანტი, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან განივ გვერდებზე განლაგებული ნაჭდევების რაოდენობით. **IV-1-3-3** ქვეტიპში ერთიანდება მძივები, რომლებსაც სადა ზედაპირი აქვთ (ტაბ. II,6). ამ ქვეტიპში გამოიყო ცხრა ვარიანტი, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან გრძივ და განივ გვერდებზე განლაგებული ნაჭდევების რაოდენობით. **IV-1-3-4** ქვეტიპში წარმოდგენილია მძივები, რომლებსაც ორივე ზედაპირზე თითო კონცენტრული წრე და მხოლოდ გრძივ გვერდებზე აქვს თითო ღარი (ტაბ. II,7). **IV-1-3-5** ქვეტიპში წარმოდგენილია მძივები, რომლებსაც ორივე ზედაპირზე 2-2 კონცენტრული წრე და გრძივ გვერდებზე თითო ღარი აქვს (ტაბ. II,8). **IV-1-3-6** ქვეტიპში წარმოდგენილია მძივები, რომლებსაც კუთხეები მომრგვალებული აქვს, ხოლო ზედაპირზე სხვადასხვა რაოდენობითაა დატანილი კონცენტრული წრეები (ტაბ. II,9). აქ

ერთიანდება ოთხი ვარიანტი: **a** — ორივე ზედაპირზე 2-2 კონცენტრული წრეა დატანილი; **b** — ერთ ზედაპირზე 1 წრე აქვს, მეორეზე — 2; **c** — ერთ ზედაპირზე 2 წრე აქვს, მეორეზე — 3. **IV-1-3-7** ქვეტიპში შედის ზემოთაღწერილი ფორმის მძივები, რომლებსაც ზედაპირი სადა აქვს (ტაბ. II,10).

**IV-1-4 რომბისებრი ტიპის მძივები**, წარმოდგენილია 6 ქვეტიპით: **IV-1-4-1** ქვეტიპი შემკულია თითო კონცენტრული წრით ორივე ზედაპირზე (ტაბ. II,11); წარმოდგენილია 3 ვარიანტით, რომლებიც ერთმანეთიგან განსხვავდება გვერდებზე ნაჭდევების რაოდენობით. **IV-1-4-2** ქვეტიპის ორივე ზედაპირზე 2-2 წრე აქვს (ტაბ. II,12). **IV-1-4-3** სადაზედაპირიანია (ტაბ. II,13), გამოიყო 7 ვარიანტი, რომლებიც ერთმანეთიგან განსხვავდება გვერდებზე ნაჭდევებისა და ნახვრეტების რაოდენობით. **IV-1-4-4** ქვეტიპის ზედაპირს ერთი წრე ამკობს, ხოლო გვერდები სწორად ჩამოთლილი აქვს (ტაბ. II,14). **IV-1-4-5** ქვეტიპის ზედაპირს ერთი წრე ამკობს, გვერდები სწორად ჩამოთლილი აქვს, ამავე დროს ის ექვსკუთხაა (ტაბ. II,15); ასეთი ფორმა მიღებულია რომბის 2 მოპირდაპირე კუთხის ჩამოჭრით. **IV-1-4-6** სადა ზედაპირიანი რომბია (ტაბ. II,1).

**IV-1-5 ტიპში** ცილინდრული მილაკები იყოფა 4 ქვეტიპად: **IV-1-5-1** სადა მილაკებია (ტაბ. III,1); წარმოდგენილია 3 ვარიანტის სახით, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან ნახვრეტთა რაოდენობითა და განლაგებით: **a** - ერთი გრძივი, **b** - ერთი გრძივი და ერთი განივი, **c** - ერთი გრძივი და ორი განივი არხით. ამ ქვეტიპში შედის აგრეთვე იოტები. **IV-1-5-2** – მილაკებს ორივე ბოლოსთან თითო ღარი შემოსდევს (ტაბ. III,2). **IV-1-5-3** მრგვალგანივკვეთიან მილაკებზე 4 მხრიდან დაძერწილი აქვს მცირე ზომის მილაკები (ტაბ. III,3). ამ ქვეტიპში გამოიყო 3 ვარიანტი: ერთ, ორ და სამ რიგად განლაგებული გვერდითა მილაკების მიხედვით. **IV-1-5-4** - ფიგურული ცილინდრია (ტაბ. III,4), მას ვიზუალურად ყვავილის ფორმა აქვს, მაგრამ დამზადე-

ბულია ცილინდრული მძივის გვერდებზე ნაჭდევების დატანით. ნაჭდევებისა და ნახვრეტების განლაგების მიხედვით ამ ქვეტიპში გამოიყო 5 ვარიანტი.

**IV-1-6 ტიპის** მართკუთხაგანივკვეთიანი მილაკები 8 ქვეტიპითაა წარმოდგენილი: **IV-1-6-1** ერთლარიანი მძივია (ტაბ. III,5); **IV-1-6-2** – ორივე ბოლოსთან თითო ღარი შემოსდევს (ტაბ. III,6), აქ გამოიყო 3 ვარიანტი: **a** - ერთი გრძივი, **b** - ერთი გრძივი და ერთი განივი, **c** - ერთი გრძივი და ორი განივი ნახვრეტით. ხშირ შემთხვევაში განივი არხები გრძივს უერთდება და გამჭოლი არ არის (ტაბ. III,7); **IV-1-6-3** – ბოლოებთან ორ-ორი ღარი აქვს; ამ ქვეტიპშიც 3 ვარიანტი გამოიყო არხების განლაგების მიხედვით; **IV-1-6-4** – განივად დაღარული მძივები ორ ვარიანტში ერთიანდება: ოთხ და ხუთნაწილად დაღარული ცალები (ტაბ. III,8); **IV-1-6-5** – მართკუთხა მილაკები, რომელთაც დაღარული აქვს მხოლოდ ორი გვერდი (ტაბ. III,9); **IV-1-6-6** ქვეტიპის მილაკები ნიბოებზე დატანილი მოკლე ირიბი ნაჭდევებითაა შემკული (ტაბ. III,10); მძივებზე არსებული ნაჭდევების რაოდენობა ორიდან შვიდამდეა, რის საფუძველზეც გამოიყავით 11 ვარიანტი; **IV-1-6-7** - გვერდით ნახნაგებზე ურთიერთგადამკვეთი ღარები აქვს დატანილი (ტაბ. III,11); **IV-1-6-8** – მართკუთხა მძივები, ურთიერთგადამკვეთი არხებით (ტაბ. III,12).

**IV-2 სახეობის მოცისფრო მინისებრი პასტის** მძივები განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ხასიათდება. გამოიყო 11 ტიპი: **IV-2-1 ტიპი მოიცავს საკიდებს**, რომელთა შორის 2 ქვეტიპია წარმოდგენილი, **IV-2-1-1** - წვეთისებრი საკიდები ბადისებრი ნაღარი ორნამენტით (ტაბ. IV,1) და ფალოსისებრი (ტაბ. IV,2) საკიდები (**IV-2-1-2**). **IV-2-2 ტიპში ერთიანდება რომბისებრი მძივები**, რომლებიც ერთი ქვეტიპითაა წარმოდგენილი (ტაბ. IV,3); ზედაპირი დაღარული აქვთ ბადისებრი ან პარალელური ხაზებით.

**IV-2-3 ტიპში** შედის შემკრები მძივები: ეს არის მართკუთხა ფორმის ბრტყელი მძივები, რომლებიც 3 ქვეტიპითაა წარმოდგენილი:

**IV-2-3-1** - ოთხნახვრეტიანი ეგზემპლარები, რომელთა ზედაპირი შემკულია ბადისებრი ორნამენტით ან ირიბი შტრიხებით (ტაბ. IV,4); **IV-2-3-2** – სამნახვრეტიანი მძივებს აქვთ სადა ან ირიბად დაშტრიხული ზედაპირი (ტაბ. IV,5); **IV-2-3-3** – ორნახვრეტის შემკრები მძივებზე დატანილია როგორც ბადისებრი, ასევე ირიბი ხაზები; გვხვდება სადა ზედაპირიანი ეგზემპლარებიც (ტაბ. IV,6).

**IV-2-4 ტიპში** ვაერთიანებთ ბიკონუსური ფორმის მძივებს; წარმოდგენილია სამი ქვეტიპით: **IV-2-4-1** - ბოლოებთან 3-3 ღარი შემოუყვება (ტაბ. IV,7); **IV-2-4-2** - ბოლოებთან 2-2 ამოღარული სარტყელი აქვს (ტაბ. IV,8); **IV-2-4-3** - ორივე ზედაპირი დაფარულია მოკლე ირიბი ხაზებით (ტაბ. IV,9).

**IV-2-5 ტიპში** წარმოადგენილია კასრისებრი ფორმის მძივები, რომლებიც ზედაპირის შემკულობის მიხედვით იყოფა 3 ქვეტიპად: **IV-2-5-1** - სადაზედაპირიანი ცალები (ტაბ. IV,10); **IV-2-5-2** - ჰორიზონტალური ღარებით შემკული მძივები (ტაბ. IV,11); **IV-2-5-3** - ირიბად დაშტრიხული ეგზემპლარები (ტაბ. IV,12).

**IV-2-6 ტიპი** წარმოადგენს მრგვალი ფორმის მძივების ჯგუფს, რომელშიც სამი ქვეტიპი გამოიყოფა: **IV-2-6-1** - სადაზედაპირიანი ცალები (ტაბ. IV,13); **IV-2-6-2** ქვეტიპის მძივები სიგრძეზე ოთხნაწილადაა დაღარული და თითოეული სეგმენტი ირიბადაა დაშტრიხული (ტაბ. IV,14); **IV-2-6-3** - ვერტიკალურად დაშტრიხული მძივები, რომელთაც ბოლოებთან თითო ლილვაკი (ტაბ. IV,15).

**IV-2-7 ტიპში** შედის ასიმეტრიული ფორმის ბრტყელი მძივები, რომლებიც შემკულია სხვადასხვა მიმართულებით დატანილი ხაზებით (ტაბ. V,1).

**IV-2-8 ტიპის** კუბისებრი მძივების ყველა გვერდზე დატანილია ურთიერთგადამკვეთი განიერი ღარები (ტაბ. V,2).

**IV-2-9 ტიპში** ერთიანდება მართკუთხა-განივკვეთიანი მილაკები, მათ აქვთ სადა ზედაპირი (ტაბ. V,3).

**IV-2-10 ტიპში** წარმოდგენილია ცილინ-

დრული ფორმის მძივები, გამოიყო 4 ქვეტიპი: **IV-2-10-1** სადაზედაპირიანი (ტაბ. V,4); **IV-2-10-2** ჰორიზონტალურად დაშტრიხული (ტაბ. V,5); **IV-2-10-3** ჰორიზონტალურად დაღარული (ტაბ. V,6); **IV-2-10-4** ქვეტიპში შედის დანაძერნებიანი მძივები (ტაბ. V,7). ამ სახეობის მძივები წარმოადგენს მილაკს, რომელზეც ერთ ან ორ რიგად კოპებია დაძერნილი.

**IV-2-11** ტიპში შედის ფიგურული მძივები, რომლებიც ელი-ბაბას სამაროვანზე თითო ეგზემპლარის სახითაა წარმოდგენილი; **IV-2-11-1** ქვეტიპში შევიდა სამკუთხაგანივკვეთიანი ასიმეტრიული ფორმის მოგრძო მძივი (ტაბ. V,8); **IV-2-11-2** ქვეტიპში გვაქვს ასევე სამკუთხაგანივკვეთიანი მოგრძო მძივი, რომელიც შუაში გავლებული ღრმა ღარით ორ ნაწილადაა გაყოფილი (ტაბ. V,9); **IV-2-11-3** ქვეტიპში შესული ბრტყელი მძივი შუა ნაწილში შევიწროვებულია და გაორმაგებულ ოვალს ემსგავსება (ტაბ. V,10). მძივის ერთ ზედაპირზე ორი წერტილია დაჭდეული, ხოლო მეორე ზედაპირი სადაა.

**IV-3** ჯგუფში ერთიანდება ყვითელი ფერის მინისებრი პასტის მძივები; აქ გვაქვს 2 ტიპი: **IV-3-1** მილაკი შუაში შევიწროვებული, ერთი გრძივი ნახვრეტით. მძივი ყველაზე ვიწრო ნაწილში ოთხი მხრიდანაა გახვრეტილი (ტაბ. V,11). **IV-3-2** მილაკი შუაში ლილვაკისებრი დანაძერნით (ტაბ. V,12).

**IV-4** ჯგუფის მძივი პოლიქრომულია: ორი მოყვითალო ფერის მრგვალი ბურთულა ერთმანეთთან დაკავშირებულია ტეხილხაზოვნად დახვეული შავი ფერის პასტის ძაფით (ტაბ. V,13).

როგორც ზემოთ წარმოდგენილი მძივების ტიპოლოგიიდან ჩანს, ელი-ბაბას სამაროვანზე აღმოჩენილი სამკაულის ეს სახეობა ფორმათა მრავალფეროვნებით და დამუშავების მაღალი დონით გამოირჩევა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. დომინოსებრი მძივები (**IV-1-3**), რომლებიც ძირითადად აღმოჩენილია სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ რეგიონში. პირველად დომინოსებრი მძივები აღწერა ბ. კუფტინმა; მან

ვანის ეპოქით დაათარილა წინწყაროს, მარალინ-დერესისა და თაქ-ქილისას სამაროვანზე მოპოვებული ამ სახეობის მძივების შემცველი კომპლექსები [Куптин Б. 1941:56-57]. შემდგომი კვლევის შედეგად წინწყაროს სამაროვანზე მოპოვებული დომინოსებრი მძივების შემცველი კომპლექსების თარიღი დაზუსტდა და ძვ.წ. XI ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. VIII ს-ის პირველი ნახევრით დათარიღდა (მენაბდე მ., ... 1968:5-21). დომინოსებრი მძივები აგრეთვე მოპოვებულია ბეშთაშენსა და ავრანლოში, თარიღდება ძვ.წ. VI-V სს-ით (დავლიანიძე ც. 1983:104-107), კნოლეს სამაროვანზე აღმოჩენილი ანალოგიური ტიპის მძივები, თარიღდება ძვ.წ. VII-VI სს-ით (ნარიმანიშვილი გ., ... 2004: 125-126). რამდენიმე დომინოსებრი მძივი აღმოჩნდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ცაიშის სამაროვანის კოლექტიურ სამარხში, აღნიშნული კომპლექსი ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. VII პირველი ნახევარით თარიღდება (პაპუაშვილი რ. 2010: ტაბ III,84).

დომინოსებრი მძივები აღმოჩენილია სომხეთის ტერიტორიაზე გათხრილ შემდეგ ძეგლებზე: ძვ.წ. XI-IX სს თარიღდება — არტიკის III ჯგუფის სამარხები [Хачатрян Т. 1979: 223, 421, 539]; თალინის № 20 სამარხი [Аветисян А., ... 2006: табл. 15, рис. 4]; ნორატუსის № 11 სამარხი [Мартиросян А. 1964: таб. XX/1]; ძვ.წ. IX-VI სს თარიღდება: ოშაკანი [Есаян С., ... 1988:LXXV/10], კეტი [Петросян Л.1989: таб.70/8; 73/15]; ხრტანოცი [Мартиросян А.1954: 84].

ელი-ბაბაზე მოპოვებული დომინოსებრი მძივები სამაროვნის არქეოლოგიური მასალის გათვალისწინებით თარიღდება ძვ.წ. VII-VI სს-ით.

ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ დომინოსებრი მძივები ძირითადად გავრცელებული იყო სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ რეგიონში; მათი ქრონოლოგიური ჩარჩო ძვ.წ. XI საუკუნიდან ძვ.წ. V საუკუნემდე არსებულ პერიოდის მოიცავდა.



## ლიტერატურა:

**დავლიანიძე ც. 1983:** ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში. თბილისი.

**მენაბდე მ., დავლიანიძე ც. 1968:** თრიალეთის სამაროვნები. თბილისი.

**მურვანიძე ბ. 2005:** ელი-ბაბას სამაროვანი – ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, № 15-16, თბილისი, გვ. 147-163.

**ნარიმანიშვილი გ. 2003:** ნალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ელი-ბაბას (საბეჭდავის) სამაროვანზე 2003 წელს ჩატარებული საველე კვლევა-ძიების წინასწარული ანგარიში, ხელნაწერი (ინახება არქეოლოგიის ცენტრის საველე დოკუმენტაციის არქივში).

**ნარიმანიშვილი გ., მახარაძე ზ., შანშაშვილი ნ. მელიქიძე შ. 2004:** ნალკის ექსპედიცია 1990-1992 წლებში – საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში, თბილისი, გვ. 123-128.

**პაპუაშვილი რ. 2010:** კოლხურ სამაროვანთა აბსოლუტური ქრონოლოგიისათვის – არქეოლოგიური ჟურნალი, V, თბილისი, გვ. 32-43.

**Аветисян А., Аветисян П. 2006:** Культура Араратской равнины XI – VI вв. до н.э. (на арм. языке). Ереван.

**Есаян С., Калантарян А. 1988:** Ошакан. I. Ереван.

**Куфтин Б. 1941:** Археологические раскопки в Триалети. Тбилиси.

**Мартиросян А. 1954:** Раскопки в Головино. Ереван.

**Мартиросян А. 1964:** Армения в эпоху бронзы и раннего железа. Ереван.

**Петросян Л. 1989:** Раскопки памятников Кети и Воскеаска. Ереван.

**Хачатрян Т. 1975:** Древняя культура Ширака. Ереван.

## ილუსტრაციების აღწერა:

**ტაბ. I – ბრინჯაოს მძივები:** 1). სადაზე-დაპირიანი (I-1-1); 2). დაღარულზედაპირიანი; სარდიონის მძივები: 3). მრგვალი (II-1-1); 4). კასრისებრი (II-1-2); 5) დახეთქილი (II-1-3); 6). ცილინდრული (II-1-4); აქატის მძივები: 7). მრგვალი (II-2-1); 8). ცილინდრული (II-2-2); 9). კასრისებრი (II-2-3); 10). ასიმეტრიული ფორმის სამკუთხაგანიკვეთიანი (II-2-4); 11). ბრტყეული (II-2-5); მინის მძივები: 12). სფერული (III-1); 13). კოპებიანი მძივები (III-2); 14). ფიგურული მძივები (III-3); 15). ცილინდრული მძივები (III-4); 16). რგოლისებრი (III-5).

**ტაბ. II – თეთრი მინისებრი პასტის მძივები:** 1). ვარდული (IV-1-1); 2). წრებით შემკული სამკუთხედი (IV-1-2-1); 3). სადაზედაპირიანი სამკუთხედედი (IV-1-2-2); 4). დომინოსებრი ერთწრიანი, ნაჭდევებიანი (IV-1-3-1); 5). დომინოსებრი ორწრიანი, ნაჭდევებიანი (IV-1-3-2); 6). სადა ზედაპირიანი (IV-1-3-3); 7). დომინოსებრი ერთწრიანი (IV-1-3-4); 8). დომინოსებრი ორწრიანი (IV-1-3-5); 9). დომინოსებრი ორწრიანი, კუთხეებმომრგვალებული (IV-1-3-6); 10). დომინოსებრი სადაზედაპირიანი (IV-1-3-7); 11). რომბისებრი თითო კონცენტრული წრით, ნაჭდევებიანი (IV-1-4-1); 12). რომბისებრი ორი კონცენტრული წრით, ნაჭდევებიანი (IV-1-4-2); 13). რომბისებრი სადაზედაპირიანი, ნაჭდევებიანი (IV-1-4-3); 14). რომბისებრი ერთი კონცენტრული წრით (IV-1-4-4); 15). რომბისებრი ერთი კონცენტრული წრით, ექვსკუთხა (IV-1-4-5); 16). რომბისებრი სადაზედაპირით (IV-1-4-6).


**ტაბ. III – თეთრი მინისებრი პასტის მძივები:** 1). სადა ცილინდრები (IV-1-5-1); 2). მილაკები ორივე ბოლოსთან თითო ღარით (IV-1-5-2); 3). ცილინდრები ოთხი მხრიდან დაძერწილი მცირე ზომის მილაკებით (IV-1-5-3); 4). ფიგურული ცილინდრია (IV-1-5-4); 5). მართკუთხაგანიკვეთიანი მილაკები, ერთღარიანი (IV-1-6-1); 6). მართკუთხაგანიკვეთიანი მილაკები, ორივე ბოლოსთან თითო ღარით (IV-1-6-2); 7). მართკუთხაგანიკვეთიანი მილაკები, ბოლოებთან ორ-ორი ღარით (IV-1-6-3); 8). მართკუთხა განივად დაღარული მძივები (IV-1-6-4); 9). მართკუთხა მილაკები, რომელთაც

დაღარული აქვს მხოლოდ ორი გვერდი (IV-1-6-5); 10). მართკუთხა მილაკები ნიბოებზე დატანილი მოკლე ირიბი ნაჭდევებით (IV-1-6-6); 11). მართკუთხა მძივი ნახნაგებზე ურთიერთგადამკვეთი ღარებით (IV-1-6-7); 12). მართკუთხა მძივები, ურთიერთგადამკვეთი არხებით (IV-1-6-8).


**ტაბ. IV** – მოცისფრო მინისებრი პასტის მძივები: 1). საკიდი წვეთისებრი (IV-2-1-1) 2). საკიდი ფალოსისებრი (IV-2-1-2); 3). რომბისებრი მძივი (IV-2-2-1); 4). შემკრები მძივი, ოთხარხიანი (IV-2-3-1); 5). შემკრები მძივი, სამარხიანი (IV-2-3-2); 6). შემკრები მძივი, ორარხიანი (IV-2-3-3); 7). ბიკონუსური მძივები ბოლოებთან 3-3 ღარით (IV-2-4-1); 8). ბიკონუსური მძივები ბოლოებთან 2-2 ღარით (IV-2-4-2); 9). ბიკონუსური მძივები დაშტრიხული ზედაპირით (IV-2-4-3); 10). კასრისებრი ფორმის სადაზედაპირიანი მძივები (IV-2-5-1); 11). კასრისებრი ფორმის ჰორიზონტალური ღარებით (IV-2-5-2); 12). კასრისებრი ფორმის ირიბად დაშტრიხული (IV-2-5-3); 13). მრგვალი სადაზედაპირიანი მძივები (IV-2-6-1); 14). მრგვალი, ოთხნაწილად დაღარული და ირიბად დაშტრიხული მძივები (IV-2-6-2); 15). მრგვალი ფორმის, ვერტიკალურად დაშტრიხული მძივები, ბოლოებთან თითო ლილვაკით (IV-2-6-3).

**ტაბ. V** – მოცისფრო მინისებრი პასტის მძივები: 1). ასიმეტრიული ფორმის ბრტყელი მძივები (IV-2-7); 2). კუბისებრი მძივები (IV-2-8); 3). მართკუთხა მილაკები, სადა ზედაპირით (IV-2-9); 4). ცილინდრული ფორმის მძივები, სადაზედაპირიანი (IV-2-10-1); 5). ცილინდრული მძივები, ჰორიზონტალურად დაშტრიხული (IV-2-10-2); 6). ცილინდრული მძივები, ირიბად დაღარული; (IV-2-10-3); 7). ცილინდრული მძივები, დანაძერნებით (IV-2-10-4); 8). ასიმეტრიული ფორმის სამკუთხაგანივკვეთიანი მძივი (IV-2-11-1); 9). სამკუთხაგანივკვეთიანი, ორნაწილიანი მძივი (IV-2-11-2); 10). გაორმაგებული ოვალისებრი მძივი (IV-2-11-3); ყვითელი ფერის მინისებრი პასტის მძივები; 11). მილაკი შუაში შევიწროვებული (IV-3-1); 12). მილაკი ლილვაკისებრი დანაძერნით (IV-3-2); 13). პოლიქრომული მძივი (IV-4).


# I




I-1-1




II-1-1




II-1-2




II-1-3




II-1-4




II-2-1




II-2-2




II-2-3



II-2-4




II-2-5




III-1




III-2



III-3




III-4




III-5

## II




IV-1-1




IV-1-2-1




IV-1-2-2




IV-1-3-1




IV-1-3-2




IV-1-3-3




IV-1-3-4




IV-1-3-5




IV-1-3-6




IV-1-3-7




IV-1-4-1




IV-1-4-2




IV-1-4-3



IV-1-4-4




IV-1-4-5




IV-1-4-6


### III




IV-1-5-1




IV-1-5-2



IV-1-5-3




IV-1-5-4




IV-1-6-1




IV-1-6-2




IV-1-6-3




IV-1-6-4




IV-1-6-5



IV-1-6-6




IV-1-6-7




IV-1-6-8


# IV




IV-2-1-1




IV-2-1-2




IV-2-2-1




IV-2-3-1




IV-2-3-2




IV-2-3-3




IV-2-4-1




IV-2-4-2




IV-2-4-3



IV-2-5-1




IV-2-5-2




IV-2-5-3



IV-2-6-1




IV-2-6-2




IV-2-6-3


# V




IV-2-7-1




IV-2-8-1




IV-2-9-1



IV-2-10-1




IV-2-10-2




IV-2-10-3




IV-2-10-4




IV-2-11-1



IV-2-11-2




IV-2-11-3



IV-3-1



IV-3-2



IV-4

# ბიბლიოგრაფია და რეცენზიები

ანაკლია II, 2010, თბ., დავით მუსხელიშვილი, ლერი ჯიბლაძე,  
რევაზ პაპუაშვილი, ნანა პაპუაშვილი

არქეოლოგიური ძეგლი ანაკლია II 1972-1978 წლებში გათხარა კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელი თ.მიქელაძე) ანაკლიის რაზმა (დ. მუსხელიშვილი). მოპოვებული არქეოლოგიური მასალა სამეცნიერო წრეებისათვის ცნობილი იყო მხოლოდ ПАИ-ში გამოქვეყნებული ზოგადი ანგარიშებით და რამდენიმე სამეცნიერო სტატიის საშუალებით და ვერ ხერხდებოდა ანაკლია II-ის სრული პუბლიკაცია. მხოლოდ 2010 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიისა და ეთნოლოგიის კომისიამ სამეცნიერო საზოგადოებას წარუდგინა ზემოთხსენებული ავტორების მიერ მომზადებული მონოგრაფია ანაკლია II.

წიგნი შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნისა და ინგლისურენოვანი რეზიუმესგან. ნაშრომს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია, ტაბულების აღწერილობა, შემოკლებათა განმარტება და 59 ტაბულა. მონოგრაფიას წამძღვარებული აქვს აკად. დ.მუსხელიშვილის წინასიტყვაობა, რომელშიც მოკლედაა მიმოხილული ანაკლია II-ის გათხრების ისტორია და ძეგლის მნიშვნელობა საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლის საქმისთვის.

მონოგრაფიის I თავი შედგება ორი პარაგრაფისგან. პირველი ეძღვნება ძეგლის ზოგად დახასიათებას, არქეოლოგიური გათხრების მიმდინარეობის პროცესს და სტრატეგრაფიას. ავტორების მიერ გამოყოფილია გორან-ამოსახლარის განვითარების 6 ქრონოლოგიური ეტაპი ელინისტური ხანიდან შუა ბრინჯაოს ჩათვლით. მეორეში განხილულია ანაკლია II-ზე დაფიქსირებული ძეგურ ნაგე-

ბობათა სისტემა. ავტორების აზრით, აქ გამოვლენილი ჯარგვალური ნაგებობები კოლხეთის დაბლობზე მიკვლეული ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის ნამოსახლარების იდენტურია (ფიჩორის ცენტრალური ბორცვი, ანაკლია I-ის I-II ფენა, ერგეტა IV ფენა, ნაოხვამუ, ყულევი და სხვ.). ანაკლია II-ზეც, ისევე როგორც კოლხეთის არაერთ ნამოსახლარზე, ჯარგვალური ნაგებობის გამართვას წინ უძღვოდა მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოები, რაც გამოწვეული იყო კოლხეთის დაბლობის არამყარი გრუნტით და ხდებოდა ნიადაგის ამალღება-მოზინვა. ავტორების ვარაუდით, ანაკლია II-ის ჯარგვალური ნაგებობების ზედა ნაწილი გადამწვარი უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ კოლხეთის სხვა თანადროული ძეგლებისაგან განსხვავებით, აქ ხანძრის კვალი შემორჩენილი არ არის.

ნაშრომის II თავი, რომლის სახელწოდებაც ანაკლია II-ის ნივთიერი მასალა, მოიცავს 5 პარაგრაფს. პირველ პარაგრაფში შესწავლილია თუნის ნაწარმი. ცალკეცალკე, პერიოდების მიხედვითაა განხილული შუა ბრინჯაოს, გვიანბრინჯაოს, წინარეანტიკური და კლასიკური ხანის კერამიკა. პროცენტულად ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოდგენილია შუა ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლები და შესაბამისად, ავტორებიც ყველაზე დიდ ადგილს უთმობენ სწორედ აღნიშნული ეპოქის არტეფაქტების განხილვას და მრავალრიცხოვან მასალაში ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით გამოყოფენ სამ ჯგუფს. როგორც აღვნიშნეთ, ძეგლზე წარმოდგენილია ძველი კოლხეთის ისტორიის რამდენიმე ეტაპი და შესაბამისად, კერამიკაც არაფრით განსხვავდება დასავლეთ



საქართველოს ზღვისპირეთის პარალელური მასალისგან. მონოგრაფიის ავტორების მიერ დეტალურადაა განხილული თითოეული ეპოქისთვის დამახასიათებელი თუნის ნაწარმი და მათ შორის კლასიკური ხანის ბერძნული იმპორტის (სინოპური და ქიოსური ამფორების ფრაგმენტები) ნიმუშები. ნაშრომის II თავში საკმაოდ დაწვრილებითაა წარმოდგენილი ანაკლია II-ზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების, მძივ-სამკაულის, ქვისა და ძვლის მასალის ანალიზი. საგანგებო პარაგრაფი ეძღვნება ანაკლია II-ის მეურნეობის დარგების შესწავლას, რის საფუძველზეც ავტორები დაასკვნებენ, რომ ბორცვზე მოსახლე საზოგადოების მთავარი საქმიანობა იყო მინათმოქმედება და მეცხოველეობა და ასევე ეთანხმებიან სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოთქმულ ვარაუდს (ლ. ძიძიგური) უკვე ამ პერიოდიდან კოლხეთის დაბლობზე ვაზის მოშინაურებისა და მევენახეობის ჩასახვადანვითარების შესახებ.

მონოგრაფიის III თავი შეიცავს ავტორთა დასკვნებს ანაკლია II-ის ქრონოლოგიის გარშემო. კონკრეტული თარიღები დადგენილია როგორც მასალის შედარებითი ანალიზის, ასევე — რადიოკარბონული მეთოდის გამოყენებით. ძეგლის ზოგადი სტრატოგრაფიული სურათისა და არქეოლოგიური მასალის დაწვრილებითი ანალიზის საფუძველზე ნაშრომის დასკვნით თავში ავტორები ვარაუდობენ, რომ შუა ბრინჯაოს ხა-

ნაში ბორცვი წარმოადგენდა განმხოლოებით მდებარე დიხა-გუძუბას, ხოლო ადრეანტიკურ ხანაში, როდესაც მის ირგვლივ მომრავლდა დასახლებათა რაოდენობა და გაჩნდა ე.წ. თანამგზავრი ბორცვები, ანაკლია II გახდა განსაკუთრებული სტატუსის მატარებელი, სადაც ყველაზე მაღალ ბორცვზე „იჯდა სათემო დასახლებათა მეთაური, რომელიც წარმართავდა მთელი რიგი სამუშაოების ჩატარებას“.

როგორც ვხედავთ, ანაკლია II წარმოადგენს ძველი კოლხეთის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლს. მისი გამოცემით კიდევ უფრო გამდიდრდა ჩვენი ცოდნა კოლხური გორანამოსახლების შესახებ. ავტორთა დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მონოგრაფია დაწერილია გამართული ქართული ენით და საკმაოდ კარგად იკითხება. დამაკმაყოფილებელია არქეოლოგიური სიტუაციისა და მასალის ამსახველი ტაბულების ხარისხიც. ყოველივე ამის ფონზე ამკარად უკმარისობის განცდას ტოვებს მხოლოდ ერთ გვერდიანი ინგლისურენოვანი რეზიუმე. მონოგრაფია ბევრად მოიგებდა უფრო ვრცელი რეზიუმეს შემთხვევაში და ასევე სასურველი იქნებოდა, მას დართული ჰქონოდა ტაბულების აღწერილობის ინგლისურენოვანი ვერსიაც.

**ზურაბ ბრავაძე**

## **ქართული არქეოლოგიის კვალდაკვალ, გ. გამყრელიძე**

პროფ. გელა გამყრელიძე დიდი ხანია იკვლევს ქართული არქეოლოგიის ისტორიას. სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი ამ მიმართულებით შექმნილი მისი ნაშრომები. აქვე ისიც აუცილებლად აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიის ისტორიის კვლევა-ძიებას ჯერ-ჯერობით მაინც არ ექცევა სათანადო ყურადღება და ეროვნული არქეოლოგიის ჩასახვა-განვითარებისა თუ

ქართული არქეოლოგიის პიონერების მოღვაწეობის შესახებ გამოკვლევათა რაოდენობა ერთობ მწირია. ამიტომ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ.ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის მიერ გამოცემული და სარეცენზიოდ წარმოდგენილი ნაშრომი ამ მხრივაც საყურადღებო ნარკვევია.

არქეოლოგიის განვითარება მჭიდროდ უკავშირდება სამუზეუმო საქმის ისტორიას,

რადგან მეფის რუსეთის დროინდელ საქართველოში სწორედ მუზეუმი, ამ შემთხვევაში კავკასიის მუზეუმი, წარმოადგენდა ერთადერთ ინსტიტუციას, საიდანაც ხორციელდება არქეოლოგიური სამუშაოები და ინახებოდა არქეოლოგიური მასალა. გ.გამყრელიძის ნარკვევში შესწავლილია კავკასიის მუზეუმის არქეოლოგიური საქმიანობა, მაგრამ ავტორის მიერ ისიც გარკვეულია, რომ კავკასიის მუზეუმის ჩამოყალიბებამდე ბევრად ადრე საქართველოში ყოფილა ძველი ნივთების ერთად თავმოყრის მცდელობა. ნაშრომიდან ირკვევა, რომ ჩვენში სამუზეუმო ცხოვრების ჩასახვა ვახტანგ VI-ის დროიდან უნდა იღებდეს სათავეს, რადგან საგანგებო „სალაროში“ სამეფო ხაზინასთან ერთად ინახებოდა მინაში ნაპოვნი ნივთებიც. რა ბედი ენია აღნიშნულ საცავს, ამას მკითხველი ნაშრომის წაკითხვისას შეიტყობს. ნარკვევში საუბარია სტატისტიკური კომიტეტის შესახებ, რომელმაც შეადგინა პირველი სახელმძღვანელო ინსტრუქცია არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენისა და აღრიცხვის შესახებ. აქვე ხაზგასმულია გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების როლი სიძველეთა მოძიების, დაცვისა და აღრიცხვის საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ ეს საქმიანობა არ შედიოდა აღნიშნული საზოგადოების ფუნქციებში.

1852 წელს საქართველოში საფუძველი ჩაეყარა გათხრით არქეოლოგიას და პირველი არქეოლოგი, ვინც ეს სამუშაო შეასრულა იყო დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილი. ხოლო პირველი ძეგლი, რომელსაც არქეოლოგის წერაქვი შეეხო, იყო უფლისციხე. ნარკვევში დიდი ადგილი ეთმობა დ.მეღვინეთუხუცესიშვილის საქმიანობას და ავტორი მაქსიმალურად იყებს ქართული არქეოლოგიის პიონერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არსებულ მწირ ცნობებს.

ავტორის მიერ სათანადოდაა წარმოდგენილი XIX საუკუნის გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის პლატონ იოსელიანის როლი ქართული არქეოლოგიის განვი-

თარების საქმეში.

ყურადღების მიღმა არ არის დატოვებული სამთავროს ველის გათხრებიც, რომელიც ჩატარდა XIX საუკუნის 70-იან წლებში ფრ. ბაიერნისა და ე. შანტრის მიერ და სამართლიანადაა აღნიშნული, რომ ამ გათხრებმა დიდად შეუყნო ხელი თბილისში „კავკასიის არქეოლოგიური კომიტეტისა“ და „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების“ დაარსებას.

ბუნებრივია, ნაშრომში წარმოდგენილია გამოჩენილი მკვლევარის დიმიტრი ბაქრაძის არქეოლოგიური მოღვაწეობა და მისი დიდი როლი არქეოლოგიური და სამუზეუმო ცხოვრების განვითარების საქმეში. ასევე სათანადოდაა აღნიშნული დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიური მოღვაწეობა, რომელმაც ქართული არქეოლოგია თვისობრივად ახალ სიმაღლეზე აიყვანა და დაიწყო ზრუნვა არქეოლოგიის, როგორც პროფესიად ჩამოყალიბებისათვის ახლად დაარსებულ ქართულ უნივერსიტეტში.

სარეცენზიოდ წარმოდგენილი ნაშრომის ღირსებაა, რომ ყურადღების მიღმა არაა დატოვებული XIX—XX საუკუნის პირველი ნახევრის ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ეხება ქართულ არქეოლოგიას. შეიძლება ითქვას, რომ ავტორმა ყველას თავისი მიაგო. მას არ გამორჩენია ამ პერიოდში ჩატარებული არც ერთი არქეოლოგიური გათხრები და ღვაწლის სათანადო დაფასების გარეშე არ დაუტოვებია არც ერთი პიროვნება, რომელიც იდგა ქართული არქეოლოგიის სათავეებთან და მის განვითარებაში შეიტანა თუნდაც უმნიშვნელო წვლილი.

მართალია, ნარკვევი ავტორის მიერ თავებდა არ არის დაყოფილი, მაგრამ პირობითად ის შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს: ქართული არქეოლოგიის ჩასახვა-განვითარება XX საუკუნის მეორე ნახევრამდე, უფრო ზუსტად, მეორე მსოფლიო ომამდე და არქეოლოგია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და

დღეს, რადგან საქართველოში ინტენსიური არქეოლოგიური საქმიანობა იწყება სწორედ XX საუკუნის 50-60-იანი წლებიდან და აღნიშნულ საქმეში პროგრესი თვალსაჩინო იყო აკად. ოთ.ლორთქიფანიძისა და მისი თანამოაზრეების მიერ სპეციალური ინსტიტუციის, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დაარსების შემდეგ.

„ქართული არქეოლოგიის კვალდაკვალ“ მიეკუთვნება სამეცნიერო-პოპულარულ პუბლიკაციათა რიგს და შემეცნებითი ხასიათისაა. ასეთი სახის ნაშრომის დაწერა კი, ჩვენი აზრით, ცოტა არ იყოს, „უმაღური“ საქმეა, რადგან იგი უნდა წარმოადგენდეს მეცნიერულ გამოკვლევას, რომელიც გასაგები იქნება

ნებისმიერი მკითხველისათვის. უნდა ვაღიაროთ, რომ ავტორმა შეძლო გასაგები, მარტივი ენით მოეთხრო ქართული არქეოლოგიის მთავარი „თავგადასავალი.“

გ.გამყრელიძის ნარკვევი ზოგადად ქართული მეცნიერების ისტორიის შესწავლის კუთხითაც საინტერესო ნაშრომია. იგი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული და დართული აქვს ფერადი ტაბულები. ცალკე აღნიშვნის ღირსია ინგლისურენოვანი პარალელური ტექსტი, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ფარგლებს გარეთ ქართული არქეოლოგიის პოპულარიზაციას.

*ზურაბ ბრავაძე*

### **რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში, 2006. თბ., გ. გამყრელიძე, თ. თოდუა**

რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსიის ცალკეული საკითხები ქართულ არაერთხელ გაშუქებულა ქართულ ისტორიოგრაფიაში, მაგრამ მონოგრაფიული სახით ეს პრობლემა შესწავლილი არ ყოფილა. სწორედ ამ ხარვეზის შევსებას ემსახურება 2006 წელს გამოქვეყნებული გ.გამყრელიძისა და თ.თოდუას მონოგრაფია „რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში“.

ნაშრომის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგნაირად: წინასიტყვაობა, საისტორიო წყაროების მიმოხილვა, ძვ.წ. I-ახ.წ. II საუკუნის სიტუაცია იბერია-კოლხეთში, ახ.წ. III-IV საუკუნეების სიტუაცია იბერია-კოლხეთში, რომაული ნაწარმი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, რომაული სამხედრო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი, რომაული საბრძოლო იარაღი, რომის იმპერატორების ოფიციალური სახელების ქრონოლოგიური ნუსხა, რომის ლეგიონების ნომრები და სახელწოდება, გამოყენებული ლიტერატურის სია, შემოკლებათა განმარტება, ტაბულების აღქერილობა, XIII ტაბულა და ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმე.

ნაშრომში დაწვრილებით არის განხილული

საკითხის შესახებ არსებული ბერძნულ-რომაული ნარატიული და ეპიგრაფიკული წყაროების ცნობები, არქეოლოგიური არტეფაქტები და იბერია-კოლხეთის ბიოგეოგრაფიული გარემო. საკვლევი თემის შესწავლა იწყება ძველი საქართველოს გარშემო განვითარებული საერთაშორისო მოვლენების გათვალისწინებით (პართიის სამეფოს წარმოქმნა, პოლიტიკური ვითარება რომში, პონტოს სამეფოსა და არმენიაში). აღნიშნულია, რომ ძვ.წ. I საუკუნეში რომისა და პონტოს მწვავე ურთიერთდაპირისპირებამ უაყოფითი ძვრები გამოიწვია მახლობელ აღმოსავლეთსა და კავკასიაში, სადაც ერთმანეთს შეეჯახა აღმოსავლურ-ელისტური და რომაულ-ევროპული იდეოლოგიების ინტერესები და ამის ფონზე დიდი ადგილი ეთმობა ძვ.წ. I საუკუნის კოლხეთისა და იბერიის შიდაპოლიტიკური სიტუაციის ანალიზს. ავტორები სრულიად სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ძღვევამოსილების მიუხედავად, რომმა მაინც ვერ შეძლო შიდა კოლხეთის სრული დამორჩილება, ეს ვერ მოახერხა ვერც არისტარქეს, ვერც მითრიდატე პერგამონელისა და ვერც პოლემონის ხელით.

ნაშრომში თანმიმდევრულადაა განხი-

ლული იბერიის პოლიტიკური მდგომარეობა პომპეუსის ოკუპაციიდან ახ.წ. I საუკუნის ჩათვლით. წერილობითი ცნობებისა და არქეოლოგიური ვითარების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ავტორები ასკვნიან, რომ იბერიის სამეფოს აღმავლობის და ძლიერების ხანა ძვ.წ. I საუკუნის მიწურულიდან დაიწყო. ამას გარკვეულწილად ხელს უწყობდა ახალი ხელსაყრელი გეოპოლიტიკური სიტუაცია. კერძოდ, რომსა და პართიას შორის გაუთავებელი ქიშპი და ომი. ეს რეალობა კი იბერიის ხელისუფალთ საშუალებას აძლევდა ამ ორი დიდი სახელმწიფოს ურთიერთდაპირისპირება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ. სწორედ ამ პერიოდში უნდა გაეფართოებინა იბერიის საკუთარი საზღვრები და დაებრუნებინა დაკარგული ტერიტორიები და თითქმის შავ ზღვაზე გასულიყო. ჩვენ სავსებით მისაღებად მიგვაჩნია ავტორთა ეს მოსაზრება. თუმცა, ისტორიოგრაფიაში განსხვავებული აზრიც არსებობს, რომლის თანახმადაც ძვ.წ. I საუკუნე არ შეიძლება ჩაითვალოს იბერიის სამეფოს აღმავლობის პერიოდის დასაწყისად. სასურველი იქნებოდა, თუ ავტორები ამ მოსაზრებას უბრალოდ მაინც აღნიშნავდნენ საკუთარ ნაშრომში.

ახ.წ. I-II საუკუნეები იბერიის სამეფოს აღმავლობის ეპოქაა. ფარსმან I-ისა და განსაკუთრებით ფარსმან II-ის დროს ქვეყანამ არნახულ ძლიერებას მიაღწია და კავკასიის მასშტაბით იქცა ლიდერ ქვეყნად. ეს ვითარება საკმაოდ კარგადაა ასახული ნაშრომში რომთან ურთიერთობის კონტექსტში.

არქეოლოგიური მასალისა და წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე მისაღებად უნდა გამოიყურებოდეს ავტორების მოსაზრება რომაული გარნიზონების საქართველოს ზღვისპირეთში ახ.წ. I საუკუნიდან განლაგების შესახებ. ალბათ, ისიც სარწმუნოა, რომ ლეგიონები ძირითადად დისლოცირებული უნდა ყოფილიყო აფსაროსში, ფაზისსა და სებასტოპოლისში. ამ მხრივ თითქმის თავისუფალი ჩანს იბერიის ტერიტორია. ცნობილი ფაქტია, რომ აქ რომაული ლეგიონების დგომის კვალი ჯერ-ჯერობით არ ფიქსირდება, მაგრამ პლინიუსის ცნობაზე დაყრდნობით, ავტორები არ გამორიცხავენ, რომ შესაძლებელია ალანთა

შემოსევების შეკავების მიზნით, რომაული შენაერთები განლაგებული ყოფილიყო დარიალის ხეობაში და აღნიშნულ ავტორთან მოხსენიებული 'კასტელიუმ კუმანია' წარმოადგენდეს დარიალის ციხეს. ჩვენი აზრით, აღნიშნული მოსაზრება უფრო მეტ დახვეწას საჭიროებს, რადგან თუ მართლა იდგა რომაული გარნიზონი დარიალის ხეობაში, მაშინ ისიც უნდა აიხსნას, როგორ შეძლო ფარსმან II-მ დარიალის გახსნა ალანებისთვის, რომლებმაც ამის შედეგად ააოხრეს კაპადოკია და არმენია. ხოლო ის ფაქტი, რომ დარიალის ციხეზე მიკვლეული სამარხები ამკარად უკავშირდება რომაულ სამყაროს, მყარ არგუმენტად ვერ გამოდგება, რადგან გვიანანტიკური ხანის იბერა-კოლხეთის არაერთ სამარხშია დაფიქსირებული რომაული ყოფისთვის დამახასიათებელი ცალკეული არტეფაქტები და, რა თქმა უნდა, არავის მოსვლია აზრად, ყოველი მათგანის აღმოჩენის ადგილი მიეჩნია რომაული შენაერთების დისლოკაციად. ყოველშემთხვევაში, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე რომაული გარნიზონების პრობლემა დამატებით კვლევა-ძიებას საჭიროებს და ამ კუთხით ალბათ, საშური საქმეა დარიალის ციხის სრულფასოვანი არქეოლოგიური შესწავლა.

მონოგრაფიაში ვრცელი ადგილი ეთმობა დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლის კასტელუმების ანალიზს და ავტორებთა მსჯელობა ამ მიმართულებით დამაჯერებელი და არგუმენტირებულია. სავსებით გასაზიარებელია მოსაზრება, რომლის თანახმადაც, პონტო-კავკასიის სასაზღვრო ხაზის ჩამოყალიბება დასრულდა II საუკუნის შუა ხანებისათვის პიტიუნტში გარნიზონების ჩაყენებით, ხოლო III საუკუნის შუა ხანებში კი მან საერთოდ შეწყვიტა არსებობა. მისი განახლება მოხდა III-IV საუკუნეთა მიჯნაზე, მაგრამ IV საუკუნეში ეს სისტემა კვლავ დასუსტებას განიცდის.

სავსებით მისაღებია ავტორთა დასკვნა, რომლის მიხედვითაც, პონტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემაში შემავალი აფსაროსი, ფასისი, სებასტოპოლისი და პიტიუნტი წარმოადგენდნენ მილიტარისტული ხასიათის ციხე-ქალაქებს და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული დასახლებების წარმოქმნის პროცესი წარიმართა განსხვავებული

გზით, რადგან აქ არ ფიქსირდება კლასიკური რომაული კანაბები. აღნიშნული დასახლებების არსებობა განპირობებული იყო რომის აღმოსავლეთი პროვინციების უსაფრთხოების მიზნით და ემსახურებოდა რომის გეოპოლიტიკური ინტერესების განმტკიცებას კავკასიასა და ზოგადად, მახლობელ აღმოსავლეთში.

აღნიშნულით სრულდება მონოგრაფიის კვლევითი მხარე. წიგნის დანარჩენი ნაწილი საცნობარო ხასიათისაა. მოცემულია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში აღმოჩენილი რომაული არქეოლოგიური მასალის კატალოგი, რომაული სამხედრო განმარტებითი ლექსიკონი, დახასიათებულია რომაული სა-

ბრძოლო იარაღის ცალკეული სახეობები, წარმოდგენილია იმპერატორთა სრული ნუსხა და რომის ლეგიონების ნომრები, სახელწოდება და ფორმირების დრო.

გ. გამყრელიძის და თ. თოდუას მონოგრაფია მრავალმხრივ საინტერესო ნაშრომია. მისი მთავარი ღირსება ისაა, რომ სპეციალისტი-ისტორიკოსებისა და არქეოლოგების გარდა, იგი გამოადგება საქართველოს ანტიკური ხანის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრესაც. მით უმეტეს, რომ დაწერილია გამართული ქართული ენით და ადვილად იკითხება.

*ზურაბ ბრავვაძე*

## **ომი და შეიარაღება იბერია-კოლხეთში, 2010. თბ., გ. გამყრელიძე**

2010 წელს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ გამოსცა გელა გამყრელიძის სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი „ომი და შეიარაღება იბერია-კოლხეთში“. წიგნი ეძღვნება 2008 წლის აგვისტოს ომში გამიჯნულ დაღუპული 167 მეომრის ნათელ ხსოვნას.

როგორც ითქვა, „ომი და შეიარაღება იბერია-კოლხეთში“ სამეცნიერო-პოპულარული ნაწარმოებია და განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის. იგი რამდენიმე თავისგან შედგება. ავტორისეულ წინათქმაში მოკლედ მიმოიხილება წიგნის სტრუქტურა და აღნიშნულია ანტიკური ხანის ის ავტორები, რომელთაც შემონახული აქვთ ცნობები იბერია-კოლხეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების შესახებ.

თავი „საიდან ვიცით იბერიულ-კოლხური პერიოდის საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ისტორია“, მიძღვნილია წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური ძეგლების ზოგადი ანალიზისადმი. განხილულია ქართული (ქართლის ცხოვრება, მოქცევაჲ ქართლისაჲ) და უცხოენოვანი (ქსენოფონტი, სტრაბონი, ტაციტუსი, არიანე, დიონ კასიოსი, აპიანე, პლუტარქე, დიოდორე სიცილიელი, მემნონი და სხვ.) წერილობითი

წყაროების ცნობები იბერიისა და კოლხეთის სასიმაგრო-საფორტიფიკაციო ნაგებობების, შეიარაღებისა და საომარ მოქმედებათა შესახებ. ამავე თავში მიმოიხილულია ანტიკური ხანის ეპიგრაფიკული ძეგლებიც. მკვლევარის დასკვნით, საკითხის შესახებ მცირეა წყარო-მონაცემთა ბაზა, რომელთა ინტერპრეტაციასაც ეყრდნობა იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის რეკონსტრუქცია. თუმცა, ამ ვითარებაშიც, შესაძლებელია წყაროთა მონაცემებისა და არქეოლოგიური მასალის ურთიერთშეჯერების ფონზე ანტიკური ეპოქის საქართველოს სამხედრო ვითარების ამსახველი სურათის მეტ-ნაკლებად წარმოჩენა.

წიგნის შემდეგი თავის სახელწოდებაა „საომარ მოქმედებათა სარბიელი“. მასში მიმოიხილულია გეოგრაფიული გარემოს როლი კონკრეტულად სამხედრო საქმის განვითარებისათვის. დახასიათებულია იბერია-კოლხეთის ბუნებრივი პირობები და ეკოსისტემა, ძირითადი მდინარეები, უღელტეხილები, ხეობები, სავაჭრო-სატრანზიტო გზები. ავტორის ანალიზის ამოსავალს წარმოადგენს ბერძნულ-რომაული წერილობითი ცნობების

მონაცემები, რომელთა დაკავშირება იბერია-კოლხეთის გარემო პირობებთან იძლევა მყარ საფუძველს, ცნობილი მოსაზრებისთვის, რომ კოლხეთს და იბერიას ეკავათ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ერთ-ერთი საკვანძო ტერიტორია, სადაც ხდებოდა დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციების თანხვედრა და შეჯახება.

ნაშრომის შემდეგ თავში „ხის თავდაცვითი სამოსახლოები კოლხეთში“ განხილულია სოფელ მთისძირში, ადგივილების გორაზე ავტორისავე მიერ აღმოჩენილი და შესწავლილი სასიმაგრო ნაგებობა. იგი შესწავლილია ზოგადკოლხურ კონტექსტში და აღნიშნულია, რომ თავდაცვითი მიზნებისათვის კოლხეთში მოხერხებულად იყენებდნენ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს და ბუნებრივ გორებს. ამავე თავში მოცემულია მთისძირის კოშკის რეკონსტრუქცია, რომელიც არქეოლოგიური სიტუაციის გარდა აღდგენილია ძველი ბერძენი ავტორების მიერ შემონახული ცნობების გათვალისწინებით. არქეოლოგიური მასალისა და ძველი წერილობითი წყაროების შეჯერების საფუძველზე მიღებულია დასკვნა, რომლის თანახმადაც, ქართველური მოსახლეობით დასახლებულ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძვ.წ. III საუკუნის წინა პერიოდში გავრცელებული იყო ბორცვებზე და ბუნებრივ გორებზე გამართული ძელურ-ბათქაშიანი, ძელებიანი მესერიტ შემოზღუდული, კოშკებჩართული კომპლექსები, რომლებსაც ეწოდებოდა მოსუინი. ადგივილების გორის მსგავსი გამაგრებული ბორცვები ავტორის აზრით, წარმოადგენდა ნათესაურ თემებს, რომლის სათავეშიც იდგა ბერძნული წყაროებით ცნობილი ბასილევსი. აქვე ავტორი დასაშვებად მიიჩნევს მთისძირის მდიდრული სამარხის მიკუთვნებას ადგილობრივი ხელისუფლისადმი, რაც ჩვენი აზრითაც, სრულიად შესაძლებელია.

„სამხედრო-პოლიტიკური ვითარება ფარნავაზ-ქუჯის დროინდელ იბერია-კოლხეთში“. ნაშრომის ამ თავში მიმოხილულია

იბერია-კოლხეთის სამხედრო და პოლიტიკური ისტორია წინარე ანტიკური ხანიდან ელინისტური ეპოქის ჩათვლით. ყურადღება გამახვილებულია ქსენოფონტეს ცნობაზე ძვ.წ. 401 წელს ბერძენთა და კოლხთა დაპირისპირების თაობაზე. ეს ბრძოლა მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ წერილობით წყაროებში პირველად გაჩნდა ცნობა კოლხეთის ჯარის ტაქტიკისა და ომის დროს მანევრირების შესახებ. ამავე თავში მოცემულია საინტერესო ცნობები სხვადასხვა ქვეყნის ჯარებში დაქირავებულ თუ ნებით მყოფ ქართველ მეომრებზე. დიდი ადგილი ეთმობა აზოსა და ფარნავაზს შორის მიმდინარე ბრძოლების აღწერას და იბერია-კოლხეთის ციხე-სიმაგრეების მნიშვნელობას ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში.

ძვ.წ. II-I საუკუნეების ვითარებაა გადმოცემული თავში „მითრიდატე ევპატორი და კოლხეთი“. ავტორი ზედმიწევნით კარგად იცნობს წერილობითი წყაროებსა და არქეოლოგიურ მასალას, ასევე ხსენებული ეპოქის ზოგად ისტორიის, რაც მას საშუალებას აძლევს ზუსტად განსაზღვროს იბერია-კოლხეთის სტრატეგიული მნიშვნელობა დიდი სახელმწიფოების (პონტოს, არმენიის, რომის) პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებში. დეტალურად არ შევუდგებით ყველა ნიუანსის განხილვას. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ავტორისეული დასკვნები მრავალწლიანი მეცნიერული მოღვაწეობის პროდუქტია და ძნელია, არ იქნეს გაზიარებული და მიღებული.

საკმაოდ საინტერესოდაა დანერგილი ნაშრომის შემდეგი თავი „იბერია-კოლხეთში რომაელების ექსპანსია“. აქ საქმე ეხება საყოველთაოდ ცნობილ მოვლენებს: პომპეუსის სარდლობით რომაელი ლეგიონების პირველ გამოჩენას საქართველოში, ფარნაკეს დამანგრეველ ლაშქრობებს კოლხეთში, რომაული გარნიზონების ჩაყენებას შავიზღვისპირა ზოლში, ე.წ. პონტოს ლიმესის პრობლემას და კიდევ არაერთ საკითხს, რომლებიც ავტორის

მიერ ჩვეული პედანტობითაა შესწავლილი და გადმოცემული.

ძველი საქართველოს სამხედრო საქმით დაინტერესებული მკითხველი ბევრ სიახლეს შეიტყობს ნიგნის იმთავში, რომელსაც ეწოდება, „აღჭურვილობა, არტილერია და საზღვაო საქმე იბერია-კოლხეთში“. ყურადღება გამახვილებულია ძველი ქართველი მეომრის არსენალზე, აღჭურვილობაზე, სხვადასხვა საბრძოლო იარაღზე, მეომრის თავდაცვით საშუალებებზე, საარტილერიო საქმეზე და საბრძოლო ხომალდებზე. ავტორისეულ ყოველ მსჯელობას საფუძვლად უდევს საქართველოს სხვადასხვა არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული შესაბამისი მასალისა და წერილობითი წყაროების ცნობების ურთიერთშეჯერება, რაც მსჯელობას დამაჯერებელს ხდის. აქვე მოცემულია იბერიელი მეომრის, კოლხი მეშურდულის, საბრძოლო ეტლების, ყუმბარსატყორცნი ბალასტების, საბრძოლო ხომალდის და სხვ. რეკონსტრუქცია, რაც მონოდებული ტექსტის უკეთ აღქმისათვის კარგი თვალსაჩინო ნიმუშია.

ნაშრომის ბოლო თავი იბერიის სამეფოს აღმავლობას ეძღვნება. განხილულია ფარსმან II-ის დროინდელი ეპოქის სამხედრო-პოლიტიკური ვითარება. ეს თავი უხვად შეიცავს ცნობებს იბერიის სასიმაგრო სისტემების, ჯარის სახეობების, სტრუქტურისა და რაოდენობის შესახებ. წერილობით წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნულია, რომ იბერიის

სამხედრო ძალები კარგად ფლობდნენ მაშინდელი საომარი საქმის ძირითად ელემენტებს და გათვიცნობიერებული იყვნენ ისეთ ნიუანსებში, როგორცაა: პარტიზანული ბრძოლები, სწრაფი იერიში, გადაჯგუფება, რელიეფის მოხერხებულად გამოყენება და სხვ.

ბოლოთქმაში აღნიშნულია, რომ ანტიკური ხანის ქართული ჯარი აგებული იყო სამობილიზაციო პრინციპზე და წარმოადგენდა სერიოზულ სამხედრო ძალას.

როგორც ვნახეთ, გ. გამყრელიძის „ომი და შეიარაღება იბერია-კოლხეთში“ ძველი საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან პრობლემატიკაზე შექმნილი ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევია. სასურველია, იგი ბევრმა ახალგაზრდამ წაიკითხოს, რადგან ასეთი სახის ნიგნები ხელს უწყობს მომავალი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას. ნაშრომი უხვადაა ილუსტრირებული და ეს ვითარება მონოდებული მასალის კარგად გააზრების ხელისშემწყობია. როგორც აღვიშნეთ, ნიგნი პოპულარული ხასიათისაა და სწორედ ამის გამო ალბათ, სასურველი იქნებოდა მას დართული ჰქონოდა ფერადი ილუსტრაციები. ჩვენი აზრით, ნაშრომი ასევე მოიგებდა იბერია-კოლხეთის ძირითადი ბრძოლების ამსახველი ქრონოლოგიური ცხრილის ცალკე დანართის სახით არსებობის შემთხვევაშიც.

*ზურაბ ბრავაძე*

## **სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი საქართველოში, 2009. თბ., ნ. ჯაბუა**

2009 წელს გამოიცა ხელოვნებათმცოდნე ნათელა ჯაბუას მონოგრაფია „სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი საქართველოში.“

წინასიტყვაობაში ავტორი მკითხველს აცნობს საკუთარ მიზანს, დაადგინოს საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის ტიპოლოგიური თავისებურებანი, გავრცელების ტერიტო-

რიული და ქრონოლოგიური ფარგლები და საქართველოს სამნავიანი ბაზილიკების არსებობის ეტაპობრივი სქემა. ავტორის მიზანს ასევე წარმოადგენს ქართული სამნავიანი ბაზილიკების შესწავლა ქრისტიანული სამყაროსა და საქართველოს სხვა არქიტექტურულ ტიპებთან მიმართებაში.

მონოგრაფიის ცალკეული თავები ეძღვნება ავტორის მიერ დასახული პრობლემე-

ბის გადაჭრის გზების ძიებას.

ნაშრომის თავში „ქრისტიანული ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის შესახებ“ შესწავლილია სამეცნიერო ლიტერატურაში ქრისტიანული ბაზილიკების წარმოშობისა და ფორმირების საკითხების ისტორიოგრაფია, მოცემულია წერილობითი წყაროების ანალიზი და განხილულია ყველა მთავარი მოსაზრება, რომელიც უკავშირდება აღნიშნულ პრობლემას.

მონოგრაფიის შემდეგი თავის სახელწოდებაა „საქართველოს სამნავიანი ბაზილიკების შედარებითი დახასიათება სტატისტიკურ-ტიპოლოგიური აღრიცხვის საფუძველზე“. ჩანს, რომ ავტორს საკმაო შრომა გაუწევია ბაზილიკების შესახებ არსებული მასალის სტატისტიკურ-ტიპოლოგიური მეთოდით კვლევის გარშემო. ნაშრომის ამავე თავს ერთვის საქართველოს სამნავიანი ბაზილიკების გავრცელების რუკა და დაწვრილებითაა დახასიათებული 42 ძეგლის ადგილმდებარეობა რეგიონების მითითებით, ქრონოლოგიური მონაცემები, ძეგლთა დაცულობა, სამშენებლო პერიოდები, გადაკეთება-შეკეთების დრო და ხასიათი, XX—XXI საუკუნეების რესტავრაციები, სამშენებლოდ გამოყენებული მასალა, კედლების სისქე, ძეგლთა ზომები, სიგრძე-სიგანის შეფარდება ექსტერიერსა და ინტერიერში, ძეგლის სიმაღლისა და სიგრძე-სიგანის შეფარდება, შუა და გვერდითი ნაგებობის ურთიერთდამოკიდებულება, საყრდენები და თაღები, ნაგებობის გადახურვა, კამარები, გამბრჯენი თაღები, საკურთხევლის აფსიდა, სატრიუმფო თაღის ფორმები და ზომები, აფსიდის ამალღება, საფეხურების რაოდენობა, სამღვდლოების ჩამოსაჯდომი ქვის რიგები, ტრაპეზი, ნიშების რაოდენობა, პასტოფორიუმები, შესასვლელთა რაოდენობა, მეორე სართულების სათავსები, ბაზილიკაში შესასვლელი, მთავარი შესასვლელი, ნარტექსი, გალერეა, გარსშემოსავლელი, კარიბჭე, სარკმელები, ინტერიერის განათების ინტენსივობა და ხასიათი, სვეტისთავები, იმპოსტები, ინტერიერის

მორთულობის ელემენტები, შიდა სივრცის გადანყვეტა, ინტერიერისა და ექსტერიერის ურთიერთდამოკიდებულება. აღნიშნული საკითხების კვლევას მოსდევს 14 ცხრილი. მათში წარმოდგენილია საქართველოს სამნავიანი ბაზილიკების (V-XVIII საუკუნეები) დაწვრილებითი მონაცემები, რაც ავტორის მსჯელობას ანიჭებს მყარ არგუმენტაციას.

მონოგრაფიის შემდეგ თავში „სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის არსებობის ეტაპები საქართველოში“ განხილულია ქრონოლოგიის საკითხები. არქიტექტურული ძეგლების ანალიზის საფუძველზე გამოყოფილია სამი ქრონოლოგიური ეტაპი: V-VII, VI-II-IX და X-XI საუკუნეები და დახასიათებულია თითოეული მათგანი.

ნაშრომის მომდევნო თავში „ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი ქრისტიანულ სამყაროსა და საქართველოში“ წარმოდგენილია ის ძირითადი კომპონენტები და ტენდენციები, რითაც ქართული ძეგლები ემსგავსება სირიულ, სომხურ და ბიზანტიურ ნიმუშებს და ასევე ნაჩვენებია მათ შორის არსებული თვისობრივი განსხვავებულობანი.

საკუთრივ ქართულ არქიტექტურულ ტიპებთან სამნავიანი ბაზილიკის მიმართების პრობლემას ეხება მონოგრაფიის თავი „სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურულ ტიპებთან ურთიერთმიმართების საკითხი ქართულ ხუროთმოძღვრებაში.“ აქ მოცემულია სამნავიანი ბაზილიკისა და სამეკლესიანი ბაზილიკის, ორნავიანი ეკლესიის, დარბაზული ეკლესიის, გუმბათიანი არქიტექტურისა და გურჯაანის ყველანაირის შედარებითი დახასიათება და ამ ფონზე წარმოჩენილია საქართველოს საეკლესიო ხუროთმოძღვრების ცალკეულ არქიტექტურულ ტიპებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები. ნაშრომის დასკვნაში ზოგადად რეზიუმირებულია კვლევის შედეგები.

მონოგრაფიის ბოლოს წარმოდგენილია საქართველოს ყველა სამნავიანი ბაზილიკა (42 ძეგლი), აღჭურვილი გეგმით და სათანადო ბიბლიოგრაფიით. ნაშრომს ცალკე ერთ-



ვის გამოყენებული ლიტერატურის საკმაოდ გრძელი სია, საიდანაც ირკვევა, რომ ავტორი ზედმინევით ფლობს საკვლევ პრობლემის შესახებ არსებულ ქართულ და უცხოენოვან სპეციალურ ლიტერატურას.

მონოგრაფიაში გადმოცემული ავტორისეული ძირითადი დასკვნები და დებულებები

წარმოდგენილია ინგლისურ ენაზე ვრცელი რეზიუმეს სახით, რაც მართალია, არა საკმარისი, მაგრამ აუცილებელი პირობაა, რათა ეს საინტერესო გამოკვლევა ხელმისაწვდომი გახდეს არაქართულენოვანი მკითხველისათვის.

*ზურაბ ბრავაძე*

## **ქუთაისის არქეოლოგია, 2007. თბ., ომარ ლანჩავა**

2007 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ.ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრმა გამოსცა პროფესორ ომ. ლანჩავას მონოგრაფია „ქუთაისის არქეოლოგია“. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ქუთაისში მიმდინარეობს ინტენსიური არქეოლოგიური სამუშაოები და წარმოდგენილი ნაშრომი ამ გათხრების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ერთად თავმოყრისა და ქუთაისის სამი ათასწლოვანი ისტორიის ცალკეული ეტაპების მონოგრაფიულად შესწავლის პირველი სერიოზული მცდელობაა.

ნაშრომი შედგება წინათქმის, შესავლის, რვა თავისა და ქართულ და ინგლისურენოვანი რეზიუმეებისგან. წიგნს ერთვის შემოკლებათა განმარტება, სურათების აღწერილობა (ქართულ და ინგლისურ ენებზე), გრაფიკული ტაბულები, სტრატეგრაფიული ჭრილები, სიტუაციური გეგმები და ფერადი ილუსტრაციები. მონოგრაფია გამოცემულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე.

შესავალში მიმოხილულია ქუთაისის გეოგრაფიული გარემო, არქეოლოგიური ძეგლების ისტორია, წერილობითი წყაროების ცნობები და ისტორიოგრაფია.

I თავი ეხება ქუთაისის ისტორიულ-არქეოლოგიურ ვითარებას უძველესი დროიდან ძვ.წ. VIII საუკუნემდე. აღნიშნულია, რომ ქუთაისის მიდამოებში ცხოვრება იწყება მუსტიეს ეპოქიდან, ხოლო ამ ტერიტორიების ინტენსიური ათვისება ხდება ძვ.წ. XV-XIII

საუკუნეებიდან, როდესაც გავრცელებას იწყებს კოლხური კულტურის ელემენტები და ჩნდება სასოფლო ტიპის პირველი სამოსახლოები (არქიელის გორა, ცაცხვების უბანი, ვარდისუბანი, გაბაშვილის გორა, თეთრამინა, მწვანეყვავილა, პატრიკეთის გორა, ფარცხანაყანევი, გოდოგანი, ფარნალი).

II თავი ქუთაისის ძვ.წ. VIII-VI საუკუნეების ვითარებისადმი მიძღვნილი. ამ ეპოქის მძლავრი კულტურული ფენის არსებობა მკვლევარს საფუძველს აძლევს ივარაუდოს, რომ ძვ.წ. VIII საუკუნიდან ქუთაისში შეინიშნება მძლავრი დემოგრაფიული აფეთქება. ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებიდან ქუთაისი ყალიბდება როგორც ქალაქური დასახლება, რომელიც ხდება საერო და რელიგიური მმართველობის ცენტრი. ძვ.წ. VI საუკუნიდან ქალაქი იცვლის ადგილმდებარეობას და არქიელის გორიდან გადადის თანამედროვე ქუთაისის ვაკე ნაწილში. ავტორის აზრით, ეს ადგილმონაცვლეობა გამონვეულია გეოპოლიტიკური ვითარებით, კერძოდ, სავაჭრო ურთიერთობების გააქტიურებით.

მონოგრაფიის III თავში შესწავლილია ქუთაისის ანტიკური ხანის (ძვ.წ. VI-I საუკუნეების) არქეოლოგიური ძეგლები. აღნიშნულია, რომ ეპოქას ძვ.წ. IV-III საუკუნეებიდან ვიდრე ახ.წ. III-IV საუკუნეებამდე ადრე ქუთაისის ისტორიაში უწოდებდნენ „ბნელ პერიოდს“, რადგან ამ დროის ამსახველი არტეფაქტები გამოვლენილი არ იყო. უკანასკნელი წლების კვლევა-ძიებით ეს ლაკუნა აღმოფხ-

ვრილია ქალაქის ვაკე ნაწილში ფიქსირებული ადრეანტიკური ხანის ფენების შესწავლის შედეგად. დადგენილია, რომ ელინისტურ პერიოდში აღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა სამაროვანი. ავტორის ვარაუდით, ელინისტური ხანის სამაროვნის გაჩენა ეთნოკულტურული ცვლილებების შედეგი უნდა ყოფილიყო. პროფ. ომ. ლანჩავას ეს მოსაზრება შეიძლება გარკვეულწილად საკამათო იყოს, რადგან კულტურის ტრანსფორმაცია, რა თქმა უნდა, ყოველთვის არ არის დაკავშირებული ეთნიკურ ცვლილებებთან.

IV თავი მიძღვნილია ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქებისა და დასავლეთ საქართველოში ირან-ბიზანტიის გეოპოლიტიკური ინტერესებისადმი. აქ ზოგადად არის მიმოხილული ეგრის-ლაზიკის სასიმაგრო სისტემებისა და ეგრისის ზღვისპირა და შიდა ქალაქების პრობლემატიკა. მონოგრაფიის ამ თავში ავტორი გარკვეულად იმეორებს მისსავე ადრე გამოთქმულ შეხედულებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია სადოქტორო დისერტაციაში და მონოგრაფიაში „ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში“ და ამ კუთხით კვლევა-ძიება აშკარად ნაყოფიერია. სავსებით სამართლიანად არის შენიშნული, რომ ქუთაისის ახალი აღმავლობის პროცესი სათავეს იღებს III-IV საუკუნეებიდან და ეს პერიოდი ცალკე ეტაპადაა გამოყოფილი ქალაქის ისტორიაში და სწორედ ამ დროიდან ქუთაისი გვევლინება როგორც ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი დანინაურებული ციხე-ქალაქი და ამ პროცესში გადამწყვეტი როლი შეასრულა ეგრისის სამეფოს გაძლიერებამ.

ციხე-ქალაქის განვითარების მეორე ეტაპი ავტორის აზრით, იწყება IV საუკუნის შუა ხანებიდან და აღნიშნული პერიოდის კვლევას ეთმობა მონოგრაფიის V თავი. არქეოლოგიურ და სტრატეგრაფიულ ვითარებაზე დაყრდნობით შესწავლილია ციხე-ქალაქის დაგეგმარება, სასიმაგრო სისტემა, წყალმომარაგება, საკულტო და საერო არქიტექტურა, ე.წ. სამლოცველო სახლი, სამეფო

სასახლე, რის შედეგადაც ავტორი მიდის მეტად სერიოზულ დასკვნამდე, რომლის თანახმადაც, ციხე-გოჯის დანინაურებამდე, IV-V საუკუნეებში, შესაძლებელია ქუთაისი ეგრისის სამეფოს პოლიტიკურ ცენტრსაც წარმოადგენდა. ვფიქრობთ, ავტორის ეს მოსაზრება შესაძლებელია იქცეს მეცნიერული დისკუსიის საგნად, რადგან საქმე ეხება საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს პრობლემას.

ნაშრომის VI თავი შეეხება ქუთაისის VI-VII საუკუნეების ისტორიას. არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებენ, რომ ამ დროს ქალაქი გარე აგრესიის მსვერპლი ხდება, რის გამოც ინგრევა სასიმაგრო სისტემა და სხვადასხვა ნაგებობები. თუმცა, ამ მოკლევადიან მოვლენას არ გამოუწვევია ქალაქის დაცემა-განადგურება და უკვე V-VI საუკუნეების მიჯნიდან იწყება განახლების პერიოდი, რომელსაც შედეგად მოსდევს საქალაქო ცხოვრების აღმავლობა და ფართო აღმშენებლობითი სამუშაოები. ხდება ციტადელის გადაკეთება, შენდება გოდოლებიანი კედლები, კარიბჭეები და კოშკები, რიონზე იგება ახალი ხიდი, რითაც ქვედა ქალაქი და ციტადელი ერთმანეთს უკავშირდება, ხოლო ციტადელის შიგნით სამლოცველო სახლის ადგილზე შენდება ახალი სამაფსიდიანი ბაზილიკა. ამ პერიოდის ქუთაისის აღმავლობაზე მიუთითებს მდიდარი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალაც. ამის მიუხედავად, VI საუკუნიდან ქუთაისი აღარ არის ეგრისის სამეფოს ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრი, რადგან ამ დროიდან დანინაურდა ციხე-გოჯი-არქეოპოლისი, მაგრამ ქუთაისი კვლავ აქტიურ როლს ასრულებდა ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში და ქალაქმა საკუთარ თავზე იწვინა ეგრისის დიდი ომიანობის შედეგები.

ნერილობით წყაროებზე და არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით, მონოგრაფიის VII თავში, რომლის სახელწოდებაცაა „ქუთაისი VII-VIII საუკუნეებში“, ავტორი სამართლიანად ვარაუდობს, რომ ქუთაისი კვლავ დიდი

და დაწინაურებული ქალაქი უნდა ყოფილიყო. მეტიც, VIII საუკუნიდან იგი გვევლინება, როგორც აფხაზთა სამეფოს სატახტო ქალაქი. აღსანიშნავია, 400 კვ.მ. ფართობის აგურით ნაგები სამეფო სასახლე, რომელიც ავტორის მიხედვით, ფუნქციონირებდა VIII საუკუნის ბოლოდან X საუკუნის მეორე ნახევრამდე. ამ ეპოქის ქუთაისში წარმოებული ფართო სამშენებლო სამუშაოები დაკავშირებულია ლეონ II-ის მოღვაწეობასთან.

ნაშრომის VIII თავში განხილულია IX-XI საუკუნეების ქუთაისი და მისი გარეუბნები. არქეოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე მიღებულია ბუნებრივი დასკვნა, რომ ერთიანი საქართველოს დედაქალაქობის პერიოდის ქუთაისის განუყოფელი ნაწილები იყო გელათის სამონასტრო კომპლექსი, გეგუთის ციხე-დარბაზი, კახიანოურის უფლისწულის სასახლე, მწვანეყვავილა და მონამეთა.

